

664
1974/4

УДК 62-50
62-50/000

Техника

2

1974



ლენინი სოცსლოვდა!

ლენინი სოცსლოვს!

ლენინი ისოცსლავს მარად!

სესია

201

გამოცემის მეთვრამეტე წელი

15181

2

თებერვალი

1974

თბილისი

საქ. კვ. ცვ.-ის გამომცემლობა

ლიბერატორულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფარველთა კავშირის ორგანო

კ. მარჯოსის სახ. საქ. ბიბ.

შინაარსი

მივესალმებით საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობას

- 3. ნოდარ დუმბაძე. შაბუკოვის სახელით
- 4. რევაზ ლალიძე. შთაბრძენის წყარო
- 5. მერაბ ელიოზიშვილი. გმირობა დასწრებაშია
- 6. დიმიტრი ერისთავი. ტრადიციის გრძელდება
- 7. გულდა კალაძე. ჩვენი უპირველესი ვალი
- 8. გიორგი ცაგაძე. ყველა სიმღერა რასმის გვაბრძნობს
- 9. ნანა დემეტრეაშვილი. ყოველ თქვენთანში რუსთა-ველის გამომხედვას..
- 10. „გორდელა“. მრავალუბანიერ
- 79. ნოდარ წულეისკირი. ბატონის დედოფალი
- 83. მზია კობაჩიძე. თავგობანი

პროზა, პოეზია

- 11. იოსებ ჩხეიძე. ბორიანი. რომანი. გაგრძელება
- 39. მორის ფოცხეიშვილი. ლექსები
- 44. ვასილ გვეტაძე. ლექსები
- 45. ავთანდილ ჩხიკვიშვილი. გვალვა. მოთხრობა
- 61. ტარიელ მანუჩარი. ლექსები
- 69. ვანო ჩხიკვაძე. ლექსები

ახალი თარგმანი

- 74. ალექსანდრე იუპინკო. სასწაული. მოთხრობა

ჩვენი დღეების რიტმი

- 86. კარლო კობაჩიძე. ვიდრე ბალი დაწვიფდება

წერილები

- 97. გივი ფანჯულიძე. რატომ ჩამოვრჩით?
- 108. მურმან თავდიშვილი. ძართული ფოლკლორის ჯომიერთი მოტივი პოლონ იაშვილის შემოქმედებაში
- 118. ცისანა კვინიტაძე. ნიკოლოზ ჯაგოლოცკი და ძართული პოეზია
- 125. პაატა გუგუშვილი. კარგი წიგნი
- 128. გრიგოლ ჯარღალიშვილი. ტოკონიმიკური ეტიუდები.

მეცნიერება

- 133. იოსებ ლორთქიფანიძე. არქეოლოგია და თანამედროვეობა

ახალგაზრდა მეცნიერები „ცისკარში“

- 142. ჯურ კილაძე. ფორმის საკითხისათვის უილიამ ფოლკანერის შემოქმედებაში
- 154. თინა გაბიანი. გერმანული პოეტი გოტფრიდ აუგუსტ ბიურგერი

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ნარტყვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- ბაკი ბაქრაძე,
- გივი გეგეჭორი,
- გურამ გვერდწითელი,
- მერაბ ელიოზიშვილი,
- კარლო კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია კახკორია,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ ფოცხეიძე,
- ნოდარ წულეისკირი,
- ტარიელ მანუჩარი,
- ნერგი შილაძე,
- თამაზ შილაძე,
- ლუა ჯანაშია.

ზაზუკობის სახელით

კომკავშირი ჩემთან 1944 წლის ზამთარში მოვიდა, მან დაუკითხავად შემო-
ალო მეცხრე კლასის კარი, უკანა მერხზე დაჯდა ჩემს გვერდით, ჩემსავით ფეხ-
შიშველი, ნახევრად მშვიერი, დამზრალი, ვეებერთელა თვალბანთებული, არმი-
ელის გახუნებულ ფარაჯაში გახვეული, შუბლზე ჩამოფხატული წითელვარსკე-
ლაგვანობილი ბუდიონურით, გამომიწოდა თავისი გამხდარი, ძარღვიანი ხე-
ლი, გამილიმა და გამეცნო:

— გამარჯობა, მე პავა ვარ, კორჩაგინი!
შორიდან ვიცნობდი, მაგრამ ასე ახლოს არ მენახა.

ჩემს გვერდით რომ დაჯდა უცებ დენთის სუნი, სანგრის სუნი, მაზარის
სუნი, ჩექმის სუნი, თივის სუნი, სისხლის სუნი და თამბაქოს სუნი მეცა.

დამზრალი რომ ვიყავი, ის გაცრეცილი ფარაჯა მომახურა; მეც გამათბო
და თვითონაც გათბა.

მერე თავის წიგნში ჩამახედა. ამოცანა გადამაწერინა.

დაფასთან გასულს მიკარნახა.

დიდ დასვენებაზე მახორკა მომაწვეინა.

ავადმყოფი სახლში გამაცილა.

ვარო! — დაიძახა ჩემს მაგივრად.

ყანაში წამყვა, კვალი გამატანინა.

ვაზი გამასხვლევეინა.

ჩემს ჭირში კუბოსათნ დადგა და ჩემთან ერთად იჭირისუფლა.

უდარდელი ვიყავი და დარდი მასწავლა.

მშიშარა ვიყავი და უშიშარი გამხადა.

ტირილი ვიცოდი ქალივით ცრემლიანი, კაცური უცრემლო ტირილი მას-
წავლა.

16 წლის ბალდი ვიყავი და კაცი გამხადა.

მერე გვერდიდან არ მომცილებია.

1945 წელს ჩემთან ერთად შემოვიდა უნივერსიტეტში. ერთად დავწერეთ
პირველი ლექსი და პირველი ჰონორარიც ერთად დავმადერეთ.

1966 წელს მაისში, მოსკოვს წამყვა, ჩემთან ერთად ამოვიდა პიონერთა სა-
სახლის გაჩირადნებულ სცენაზე და ზემითა და ხალისით გაქედილი დარ-
ბაზის თვალწინ — ლენინური კომკავშირის პირველი ლაურეატის ოქროს მე-
დალი დამაბნია გულზე. მე მაშინ საჯაროდ ვიტყრე და მადლობის სიტყვა
ვუთხარი.



— მადლობელი ვარ, ჩემო პავკა, მადლობელი ვარ, ჩემო კომკავშირო.

მერე მე ერთი საოცარი რამ შევამჩნიე მას, ის რომ სიბრძნე ემკატეება დღითი-დღე, მაგრამ არ ბერდება, ხანი არ ეკიდება, ჭაბუკია მარად. შარშანს ჩემს უფროს გოგონასთან სწავლობდა უნივერსიტეტში, წელს კი ჩემს უმცროს გოგონასთან ზის უკანა მერხზე, მეშვიდე კლასში. ზის და მასწავლებლის უჩუმი-რად წიგნის სიყვარულს ასწავლის.

მიწის სიყვარულს ასწავლის.

ქართულის დედობას ასწავლის.

გარჯას ასწავლის.

სიკეთეს ასწავლის.

იმ ჩემი გოგონების სახელით, ჩემი ჭაბუკობისა და ყმაწვილკაცობის სახელით მადლობელი ვარ შენი, ჩემო პავკა — შენ ჩემო კარგო და ძვირფასო კომკავშირო!

ნოდარ დუმბაძე

შთაგონების წყარო

ლექსი და სიმღერა ახალგაზრდული ცეცხლის გარეშე არ არსებობს, ერთიცა და მეორეც სიჭაბუკისგან განუშორებელია. მუდამ ვცდილობდი ჩემს სიმღერებსა თუ სხვა მუსიკალურ ნაწარმოებებში არ განელებულიყო ახალგაზრდული სული, დაუოკებელი ვნება. ჩემს სიცოცხლეში ცოტა რამეს მოუნიჭებია ისეთი სიხარული, როგორც საქართველოს კომკავშირის ჯილდომ განმაცდევინა. ამ აღიარებამ და სიყვარულმა ერთხელ კიდევ მომაგონა, რომ სამუდამო ვალში ვარ ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი ხალხის წინაშე.

ბოლო ხანებში საკმაოდ ბევრს და დაძაბულად ვმუშაობ; რამდენიმე თვეში უნდა დავამთავრო ოპერა „ლელა“, უცხოელ დამპყრობთა მრავალი შემონევა და დარბევა გამოუცდია ჩვენს მშრომელსა და მრავალტანჯულ ერს, მაგრამ ყველა ამ პომპეუსებმა, ჯალალედინებმა და თემურ ლენგებმა საწადელს ვერ მიადწიეს — ვერ გაანადგურეს ქართული ვაზი და სიმღერა, ჩვენი ტაძრები და ციხე-კოშკები. გარეშე მტრის სწორედ ასეთი თავდასხმა, კერძოდ, რომაელთა შემოსევა უდევს საფუძვლად ჩემს ოპერას. ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე მსჭვალავს სამშობლოს უანგარო სამსახურის იდეა, ადამიანის უმთავრესი და მარადიული გრძნობა — სიყვარული. თუ რამდენად დაძვლიე ჩემს წინაშე მდგარი სიძნელები, ამას ახლო მომავალი დაგვანახევებს.

პოეტ იოსებ ნონეშვილის ტექსტზე დავწერე ახალი სიმღერა „ოქტომბერი მოაბიჯებს“, რომელსაც მალე გადასცემს საკავშირო ტელევიზია. აქვე მინდა გავამხილო ჩემი არცთუ ისე შორეული გეგმა — განზრახული მაქვს ქართველ პოეტთა ლექსებზე დავწერო 12 სიმღერა. ეს სიმღერებიც ჩვენი ახალგაზრდობის გმირული საქმიანობითა და სიყვარულით იქნება შთაგონებული. ასე შეეგებე ჩემი კომკავშირის დღესასწაულს.

რევაზ ლალიძე



დღემდე მინდა, რომ კორჩაგინი ვიყო. გახუხებული ბუდიონოვკით, შელახული ფარაჯითა და ვილაც პეტლიუროველისათვის წართმეული შაშხანით ხელში, მივდევდე ჯავშნოსან მატარებელს, ვწვებოდე რკინიგზის მიწაყრილზე, მოკლე გადარბენებით მივიწვევდე წინ და ბოლოს, ჩემს მიერ არსმენილი, მხოლოდ, წარმოსახვაში არსებული „ვაშას“ ძახილით ვიღებდე თეთრების მიერ დაკავებულ ვაგზლის შენობას, ლუკმა პურიტა და თევზის ნაფცქვენივით ვიჭერებდე გულს, ვაყოლებდე სიგრილედაკარგულ, დამდგარ წყალსა და კვლავ თავქუდმოგლეჯილი ვახტებოდე დაძრულ, წითელვარსკვლავიანთა ეშელონს, ვაგონიდან ვაგონში მეძებნა პავკა, გამეფრთხილებინა იგი, რათა არ დამეშვა მისი სამკვდრო-სასიცოცხლო დაჭრა და...

მასთან ერთად ჩავსულიყავი რესპუბლიკურ ესპანეთში; მეძახნა მხოლოდ წარმოსახვაში არსებული „ვივა რესპუბლიკა“, მეთეტრებინა ღამე ბრძოლის წინ, და ბოლოს, თუნდაც იმ ხიდის ამფეთქებლად გავრინდულიყავ, ვისაც უხმობს ზარი ჭეშმარიტებისა...

ვიეტნამი! კუბა! ჩილე!..

და, რა არის, ყოველივე ამის შემდეგ, პატარა ქალაქის, პატარა სკოლაში, სკოლის დირექტორის გაუთავებელი კარნახებითა და თავმდაგომობით ჩატარებული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის კრება?!

• ბევრი არაფერი...

აქაც, პავკა კორჩაგინი და საკუთარი ფანტაზია იყო მხსნელი, ვინაიდან, იმ თავმდაგომსაც საკუთრივ როდი გაველო პავკასეულ ცეცხლის ალში, და მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი, მის მახლობლად ენთო, მასაც ნაამბობითა და ყურმოკვრით სმენოდა იმ ცეცხლოვან დღეთა შესახებ, რომელთა კალენდარული მოწმეც იყო იგი. მის გვერდით ჩაველო და მას კი ვერ გავგო, თუ საით წავიდა მგზნებარე მატარებელი, აღმოსავლეთისაკენ, თუ დასავლეთის მიმართულებით... და ეს არ იყო გეოგრაფიული შეცდომა...

* * *

როცა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდებას მანიჭებდნენ ამ ექვსი წლის წინ, ჩემი სამწერლო-სალიტერატურო აღიარება როდი მზიბლავდა და მალეღვებდა იმდენად, რამდენადაც...

მეგონა, რომ თვით კორჩაგინი შემოვიდოდა სცენაზე, მეგონა, რომ მაია-კოვსკის მფრქვეველი რიხი გააპობდა წყალღვინოთი პირამდე სავსე, ჭყამპალა ლექსთა დოქს, ან კიდევ, რაღაცა ამგვარი იბუხრებდა საიდანღაც, მეგონა, რომ...

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ასე ჰგონია ყველას, ვინც, კომკავშირელად ეკურთხა მაშინ, როცა პირველკომკავშირელთა მიერ დაგზნებული ცეცხლი უკვე დაგზნებული იყო და ვუმატებდით კოცონს, ჭეშმარიტი რწმენით დაიღლიავებულნი...

და მაინც დაგვასწრო მატროსოვმა, გამცემლიძემ, ზოიამ და რუხაძე ზოიამ, ეს კიდევ ჩვენი წინა თაობა გამოდგა, კიდევ...

აღტაცებულნი ვუკრავდით ტაშს, ტაშისკვრითა და არა თოფის ლულებით გახურებულ ხელისგულებს ჩვენი ცრემლით ვიგრილებდით, ჩვენი ცრემლით ეპოხავდით.

ეს კიდევ ჩვენი წინა თაობა გამოდგა, კიდევ!..

* * *

სამი წელიწადი ხდება, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

წვერი ვარ, კომკავშირული ძრავით. ძრავის სარქველები გავაფართოვე მხოლოდ. გაწევამ იმატა. მატულობს პასუხისმგებლობა, სიახლეთა სიხარული.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ლერწამფასადიანი შენობა, მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის მორკმული შენობის მეზობლად მდებარეობს, მდებარეობს კი არა და ცხოვრობს!

რამდენი ჭეშმარიტი, ღველფიანი კომკავშირელი გამაცნო მე და მეგობრად მიქცია, ამ ლერწამფასადიანმა შენობამ!.. რა გულწრფელობითა და სიხარულით შემიღია მეგობართა სამუშაო ოთახის კარი!.. შევადებ კიდევაც!.. ახსოვთ და მახსოვს, მათაც და მეც, ჩვენ, ერთად!..

* * *

ენგელსისა და კიროვის ქუჩათა შორის, მაჩაბლის კოხტა ქუჩაზე მიმავალს ხან ერთი ძვირფასი შენობა შემომხვდება და შემომცინებს, ხანაც მეორე. ერთ მათგანში ქართველ საბჭოთა მწერალთა კავშირია, ხოლო, მეორეში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი. ორივე ძვირფასია ჩემთვის...

მერაბ ელიოზიშვილი

ტრადიცია გრძელდება

როგორც მხატვარი, ამ საზეიმო ჟამს უმთავრესად იმათზე ვფიქრობ, ვინც ჩვენი აკადემიის კედლებში ეუფლება ოსტატობას, იმათზე, ჩემს მომავალ კოლეგებზე.

ახალგაზრდობის სწორი გზით აღზრდა, ეს არის ის უმთავრესი საფუძველი, რაზეც უნდა აიგოს ნათელი შენობა. ჩვენს აკადემიაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სწორედ ეს საფუძველი მისცენ ახალგაზრდობას.

ჩვენ ყოველთვის გვყავდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, მაგრამ ახლანდელ მომავალ თაობას რომ ვუყურებ, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო: გარდა იმისა, რომ ნამდვილად ნიჭიერები არიან, პროფესიული დონე თითქმის ყველა მათგანისა, ფერმწერი იქნება ის, მოქანდაკე თუ გრაფიკოსი — მაღალია.

და მე მხოლოდ შემიძლია ვუსურვო მათ, რომ რაც შეიძლება უფრო ბევრი იშრომონ, იშრომონ დაუღალავად, ყოველ წუთს, ყოველ წამს. ახალგაზრდა შემოქმედი დღენიადაც უნდა იწვოდეს შინაგანი შემოქმედებითი ცეცხლით, დღენიადაც შემართული, დაძაბული უნდა ცხოვრობდეს სისხლსავსე შინაგანი ცხოვრებით და რაც მთავარია, უნდა სწავლობდეს და აკვირდებოდეს ცხოვრებას, ადამიანებს. მას უნდა შესწევდეს უნარი მთლიანად შეიგროვოს, ასე ვთქვათ, მთელი არსებით შეისრუტოს ის დიდი პროცესები, რაც ჩვენს ცხოვრებაში ხდება და ყოველივე ეს გაატაროს საკუთარი ხედვის პრიზმაში. შეეძლოს ცხოვრების მრავალწახნაგოვნების საკუთარი კუთხით დანახვა და წარმოჩენა: ასევე მრავალწახნაგოვანია ადამიანის ბუნებაც, მისი ფსიქიკა. მასში ღრმად წვდომა, საკუთარი მეობიდან დანახვა სამყაროსი, შექმნა სახის და არა ტიპის — აი ესაა უმთავრესი და გადამწყვეტი ყოველი შემოქმედისათვის. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა ძნელი საქმეა, მაგრამ სწორედ აქეთკენ უნდა ისწრაფოდეს თვითელი ახალგაზრდა შემოქმედი.



ცნობილია, რომ მხატვარი სწავლობს ცხოვრებიდან, მაგრამ როცა იგი შესძლებს განაზოგადოს ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა, თვითონ მხატვრულ ნაწარმოები იქცევა ხოლმე მასწავლებლად, ახლა იგი თვითონ ასწავლის ადამიანებს.

ჩვენი დიდი რეალისტური ტრადიციების დაუფლება, გაღრმავება და საკუთარი ინდივიდუალობის მკაფიოდ წარმოჩენა — აი ის უმთავრესი მიზანი, რაც უნდა ამოძრავებდეს ახალგაზრდა შემოქმედს. ყოველივე ამას, ცხადია, ისევ ვიმეორებ, უდიდესი, მე ვიტყვოდი, ტიტანური შრომა სჭირდება და ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედნი დასძლევენ ყოველგვარ სიძნელეს და შექმნიან მრავალ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც ასახელებს ჩვენს ქვეყანას, შორს გაიტანს მის სახელს. ამისათვის მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

რაც შემეხება პირადად მე, ჩემს შემოქმედებით გეგმებს, უნდა მოვახსენოთ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ მხატვრების ერთი ჯგუფი ვეწვიეთ ქუთაისს. დავთვალიერეთ ავტო-ქარხანა, მაუდ-კამოლის ფაბრიკა და სხვ. გვქონდა შეხვედრები მუშებთან. ჩემზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ შეხვედრებმა შრომის ადამიანებთან, იმ საქმიანმა ატმოსფერომ, ერთუზიანმა, რაც ამ ქარხნებში სუფევდა. გადავწყვიტე შევქმნა სურათების ციკლი ამ ადამიანებზე. ამისთვის მინდა ისევ ჩავიდე ქუთაისში ორი თვით, უფრო ახლოს გავიცნო ეს საინტერესო ადამიანები, მათი შრომითი საქმიანობა, მათი სულიერი სამყარო.

უკვე შევუდექი მუშაობას. მე მინდა ეს ციკლი მივუძღვნა კომკავშირს, ჩვენს ახალგაზრდობას და ეს იქნება ჩემი პირადი წვლილი ყრილობისადმი.

ლიმიტრი ერისთავი

ჩვენი უპირველესი პალი

როგორც ხელოვანი, ერთი შეხედვით თითქოს განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვარ ჩაყენებული: ჩემი მშობლები ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი არიან, და ეს გამორჩეულ პასუხისმგებლობას მაკისრებს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე, რადგან არ არსებობს ხელოვანი, რომელსაც ასევე არ აწვეს თავისი წინაპრების წინაშე პასუხისმგებლობის ტვირთი. განა ყოველ ჩვენგანს ერთნაირად დიდი ვალი არ აკისრია იმათი, ვინც ჩვენი დიდებული ტაძრები უზადლო ფრესკებით მოხატა, მცხეთა ჯვრის შეუღარებელი მონასტრით დაამშვენა და მტკვარზე პომპეუსის ხიდი გასდო! მარტო ხელოვნების ხალხს როდი ეხება ეს! წინაპართა ვალი ერთნაირად გვაკისრია ყველას: მხენელსა და მთესველს, მჭედელსა და თიხის პურჭლის ოსტატს, მწყემსსა და მევენახეს! უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ყოველი ახალგაზრდა ადამიანი ყელამდე ვალშია ჩაფლული — ჩვენი — მამაცი, გამარჯვ, გონიერი და ნაშუსიანი მამა-პაპის ვალში. ქართველი ჰაბუეები და ქალიშვილები და უზარელი შრომითა და სწავლით იხდიან ამ ვალს! და თუმცა მე, ორმოცი წლის კაცს, ალბათ უკვე აღარ მეთქმის ახალგაზრდა, მეც ახალგაზრდის გულით და სურვილით ვცდილობ ჩემი მშობლების და ჩემი წინაპრების ვალის გადახდას.

ეს ყრილობაც, ქართველი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენელთა ფორუმიც ერთ მიზანს ისახავს უმთავრესად: კიდევ ერთხელ მოვავსოთ მანეთს სამშობლოს წინაშე ჩვენი ვალის გამო!

მოგესალმებით, ჩემო მეგობრებო, ქართველ კომკავშირელებს, კომკავშირის XXX ყრილობის სტუმრებს, და ყოველივე სიკეთეს გისურვებთ ჩვენი დიდი ქვეყნის სასახელოდ! ჩემი მხრივ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ვიმრომებ ისე, რათა ჩემი ხელიდან გამოსული, ყველაფერი ძალიან გავდეს ახალგაზრდულს! თქვენებურს! ვიცხოვრო თქვენთან ერთად! ვიცხოვრო თქვენთვის!

გულდა კალაქი

ყველა სიმღერა რასმეს გვაგონებს

ყოველი სიმღერა, პოეტის თქმისა არ იყოს, რაიმეს გვაგონებს. როდესაც „ინტერნაციონალისა“ და „ვარშავიანკის“ ბგერები დაიღვრება, ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან ის ადამიანები, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ ნათელი მომავლისათვის და სიცოცხლეს სწირავდნენ ბარიკადებზე. სამამულო ომის დროინდელი სიმღერები იმ ჯარისკაცს ეკუთვნის, რომელმაც სტალინგრადიდან ბერლინამდე იარა და კაცობრიობა გადაარჩინა უდიდეს განსაცდელს. ამ სიმღერებში ისმის წამებულთა ქვითინი და გამარჯვებულის სიამაყე და დიდება.

ყველა სიმღერა რასმეს გვაგონებს...

მთელი ჩემი ცხოვრება მუსიკასა და სიმღერას ეკუთვნის. რას მოაგონებს ჩემი სიმღერა და შემოქმედება დღევანდელ თაობას ხვალ? ამაზე ალბათ კომპოზიტორთა და შემოქმედთა მრავალ თაობას უფიქრია. იქნება თუ არა იგი გამომატველი დღევანდლობის მაჯისცემისა და მისწრაფებებისა? რაც დღეს გვადლეუვებს, რაც გვიხარია და დამახასიათებელია ჩვენი დროისათვის, იქნება ასახული ჩვენს სიმღერებში და ხვალ ამ სიმღერის გავგონებაზე გავახსენდება დღევანდელი დღეები? იქნება ჩვენი სიმღერა ისეთი, რომ ოდესმე რაც ახლა ილექება ჩვენი სულის სიღრმეში, იმას ჩასწვდეს და შეარჩიოს?

ჩვენს იმ სიმღერებში, რომელსაც ახლა საქართველოში ყველგან მღერაინ, საკონცერტო დარბაზი იქნება ეს თუ საკოლმეურნეო მინდვრები, ისმის ჩვენი გმირული დღეების გამოძახილი. იგი დღევანდელი ახალგაზრდობის, კომკავშირული ახალგაზრდობის სიმღერებია. ჩვენი სიმღერა მათ ეკუთვნის და ჩვენი სიმღერის არსებობა კომკავშირისა და ახალგაზრდობის გარეშე წარმოუდგენელია. იგი სიმღერაა ჩვენი თავისუფალი და გამარჯვებული ქვეყნისა, რომანტიზმისა და ოცნებისა, გმირობისა და თავგანწირვისა, თავმდაბლობისა და სიამაყისა, მოკრძალებული და სათუთი სიყვარულისა, მხნე და ამაყი გულისა.

ჩვენი შემოქმედების ძირითადი აზრი და მამოძრავებელი სტიმული იყო და არის ახალგაზრდობა, ახალგაზრდობის დიდი სიყვარული და სანამ პირში სული გვიდგას, ჩვენი შემოქმედებით ახალგაზრდობის იდეებსა და მისწრაფე-



ბებს უნდა ვემსახუროთ. ჩვენმა გულმა უნდა იმღეროს თავდაუზოგავად და გატაცებით, რადგან „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“ და სანამ გული იმღერებს, მუდამ ახალგაზრდები ვიქნებით.

გიორგი ცაბაძე

ყოველ თქვენგანში რუსთაველის გამოხედვა!...

მეცნიერებს უფლება აქვთ იპაექრონ და მოითხოვონ ახალი და ახალი არგუმენტები, მაგრამ ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მესხეთში, მისთვის არავითარი საბუთი არაა საჭირო იმის სამტკიცებლად, რომ რუსთაველი აქაურია, ამ კუთხის შვილია, მისი პურით გაზრდილი და მის ცის მგალობელი. აქ ყოველ ვაჟკაცში „იმ ერთი ვინმე მესხის გამოხედვაა“, და ყოველი ქალის გული ნესტანობაზე და თინათინობაზე ოცნებითაა გამთბარი. აგერ უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი თეატრი ცდილობს უფრო ღრმად ჩასწვდეს მესხეთისა და მთელი საქართველოს სულს, რუსთაველის სულს, და თუ ფიქრი და შრომა მოდნავ მაინც მოგვიწონეს, ეს ისევ აქაურობის ბრალია, მისი მიწისა და ხალხის მადლია. აქ მთები ვენახების გაუქმებული ტერასებითაა დასერილი. იგი უგულოდ გადაშლილ სტრიქონებს გაეს! მათი ამოკითხვა ან ახლით შეცვლა ძველი პალიმფსესტებივითაა საჭირო. ამას აკეთებს ახალგაზრდობა, ისინი, ვის გამოხედვაშიაც ასე ძალუმად იგრძნობა „ის ერთი ვინმე მესხი“. ჩვენი თეატრის კოლექტივისთვის საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის საბატიო ტიტულის მინიჭება იმის აღიარებად მიგვაჩნია, რომ იმ უძველესი სიკეთისა და სილამაზის ასაღორძინებლად ჩვენც ცოტა რამ გავვიკეთებია. მაგრამ ჩვენ მართონი როდი ვართ! როგორ არ ვუთხრათ მადლობა იმათ, ვინც უმშვენიერესი შენობა ააგეს ჩვენი თეატრისთვის! როგორ არ ვიყოთ კმაყოფილი იმით, რომ საგანგებოდ ჩვენი სცენისთვის ფიქრობენ და სწერენ ჩვენი მწერლების საუკეთესო წარმომადგენლები: ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჭილაძე, სხვები!.. როგორ არ გვიხაროდეს, რომ ათასი ანთებული თვალია ჩვენი სპექტაკლების მაცქერალი. ყველა ამათი თანადგომის გარეშე არათუ გაუჭირდებოდა ჩვენს თეატრს, იგი საერთოდ ვერ იარსებებდა. და ბოლოს, როგორ არ ვიყოთ იმათი მადლიერი, ვინც არავითარი სიძნელის წინაშე არ შემდრკალა და ჭეშმარიტად ახალგაზრდული შემართებისა და ენთუზიაზმის მაგალითი გვაჩვენა. — ჩვენს მსახიობებზე მოგახსენებთ, მათს დაუზარებელ შემოქმედებით შრომაზე!..

საქართველოს კომკავშირის ყოველი ზეიმი — სიჭაბუკის ზეიმი, სიჭაბუკის ზეიმი და სიხარული კი — ერის, მთელი საქართველოს სიხარულია!

მოგესალმებით, მეგობრებო, საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის დელეგატებს და სტუმრებს, მთელი საქართველოს ჭაბუკებს და ქალიშვილებს, ჩვენი თეატრის კოლექტივის სახელით, ჩვენი მაყურებლების სახელით და გისურვებთ, მარად გშვენოდეთ და გეამაყებოდეთ, რომ ყოველ თქვენგანში რუსთაველის გამოხედვა!

ნანა დემეტრაშვილი,

ჩვენო ლენინურო კომკავშირო!

„წინწყარო ჩამოვიარეთ“, მთლად საქართველოც, ევროპაც და შენფერი არ შეგეხვედრია, შენი მრავალქამიერი იყოს. ჩვენ შენი გაწვრთნილი შვილები ვართ, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, დაზგასთან, მიწასთან.

ჩვენც ჩვენი მამულისათვის ვმღერით, ჩვენც შენი მომავლისათვის ვმღერით, შენი პატრიოტი ახალგაზრდობისათვის მზის შუქად იღვრება ჩვენი მშობლიური, ჩვენი ქართული სიმღერა. შენა ხარ ჩვენი ნამუსისა და სიმღერის გვირგვინი. შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული, ნორჩი, კეთილი, ედემში დანერგული.

გუგუნებენ შენი სიბრძნედ ქცეული ლოზუნგები, ერის სიმღერაში გუგუნებენ.

ჩვენ ერთად ვმღერით, წყაროვ ჩვენი სიმღერისა. შენი სადღეგრძელო იყოს, შენი მრავალქამიერი.

„გორღლა“



ბოროტაყი

IV

დაე ემსჯელათ, იხმობდნენ, გაუმხელდნენ... მაგრამ არაფერი გაუმხელიათ, ისე ისადილეს, ისე ივახშმეს, ისე მიბინარდნენ. გაგულისდა, გაიბუსხა, დადიოდა გაბუტული ბავშვივითა, ოღონდ თავსაც ირწმუნებდა, ფრთხილობენ, რა გასაკვირველია, აქ დიდი სიფრთხილაც არის საჭირო, ათჯერ გაზომე და ერთხელ მოსტერიო, ნათქვამიც არის, ათჯერ გაზომავენ და მერეღა გამიხელენო. ისე მიბინარდნენ, ეტყობა მაინც ვერ მოზომეს ათჯერა, როდის მოზომავდნენ, ხვალა, ზეგა, ერთი კვირის შემდეგა. — ვინ უწყის, როგორი საზომი ჰქონდათ. ამას მოთმინება არ ეყოფოდა, გარეგარეც აღარ ივლიდა, მიეჭრებოდა ჩიქურადა, აბა, მორჩით მაგ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკსა, გადმოყაქეთ რა განვიზრახავთ, მე რა მევალეზაო; ისე მიბინარდნენ, მაინც ვერ მიეჭრა, მაინც დაითმინა, თუმცა ღელავდა, გაგულისებულოც მერე დამშვიდდა, უეცრად დამშვიდდა, სტუმარსაც რომ იმის მახლობლობლად გაუმართეს საწოლი, თვალეზი მიღულა და ისე გაიფიქრა, ყველაფერი იციან, ყველაფერი გათვალისწინებულია, აი გამყდავენების დროო. და მიბინარდნენ.

გარედანაც არაფერი ისმოდა, გაყუმულიყო სოფელი, მხოლოდ ცაცხვი ჩიფჩიფებდა ფანჯარასთანა, შრიალებდა ცაცხ-

ვის ფოთოლი სამოახლოს ფანჯარასთანა, ისევე შრიალებდა, თუმცა მოახლენი აღარ იყვნენ იქა, ვაჟკაცები იყვნენ, დიდი ამბავი უნდა გამყდავენებულოცო. წინასწარაც დიდი ღუმელი უნდოდა, რას ამტყდარიყო ცაცხვი, რასა ჩურჩულებდა ფოთოლი ცაცხვისა. მოყურადენი ხომ არა ჩურჩულებდნენ. რა გასაკვირია, ადგა, გადაიხედა. არავინ იყო, არავინ მოსჩანდა, თვით მთვარეც არ მოსჩანდა, მხოლოდ ჩამოღვრილიყო ცაცხვის ფოთლებში, იქითიქითაც ჩამოღვრილიყო; არავინ იყო, მაინც მიხურა ფანჯარა, მიწყნარდა შრიალი, ეგება აღარცა ჩურჩულებდა ფოთოლი ცაცხვისა; მიწყნარდა შრიალი, ჩაგუბდა პატარა ოთახი, ჩაგუბდა და ჩაიხუთა, რადგან თამბაქოს ეწეოდა ზედიზედა, თამბაქოს ბოლით ითქვამდა სულსა, დიდი გამყდავენების მოლოდინში. იმას წამოახველა, აბა, წამოიწეეს და წამოიწყებსო. ამასაც წამოახველა, მზადა ვარ, გისმენო. არაფერი მოესმა, დაძაბა ყურადღება, წაყელყელავდა, აღბათ ყურში უნდა ჩამჩურჩულოსო. არა, მხოლოდ გვერდი იცვალა სტუმარმა, კიდევ წამოახველა, ბოლმა თუ შეაწუხა, ამოეწეწა ყელი, წამოახველა და მინებდა ძილსა.

დადლიყო, ღრმა ძილს მიეცა. შალვა ზეთერელი ვერ დაიჯერებდა, თავს იმპინარებსო, ასე ფიქრობდა, უფროდაუფრო მოსწონდა ეს იღუმალეზით მოცუული ყმაწვილი; მოსწონდა იმისი თავმე-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1.

კავებაცა, წელან თანხლები რომ გაუგდო, მსჯელობაც მოსწონდა, ღრმა რწმუნაცა, მხოლოდ ასეთი რწმენით თუ გავიშარჯვებთო, ასეთი დაჯერებითა, ასეთი შეუპოვრობითა, თორემ ჩემი ძმისთანანი ვერაფერს ააწყობენ წესრიგზედა, აწყობილსაც მოშლიან, მოფუტყნიან, მიშთანგრევენ, გამარჯვებულნიც დაფრთხებიან, ალებულ ციხესიმაგრეებს ჩააბარებენ მტერსაო. იცნობს თავის ძმასა, სხვებსაც იცნობს ამდაგვარებსა, ოღონდ ეს უკვირს, რამ მოაქცია ელიზბარი წინააღმდეგობის მოძრაობაში, როგორ მოუპოვებია ესოდენი გავლენა, რომ მთავარ ბანაკიდან მოვლენილსაც ეწინააღმდეგება, უსაყოფს იმანთ განკარგულებასა, უსაბუთებს, სხვაგვარად უნდა მოქმედებო, რამ მოაქცია? ბრუნავს წუთისოფელი, ბრუნავს ერი დაწახნაგებული, ბრუნავს დაეხლება ათას სიავესა, ათასგვარ მტერსა, ეხლება და უმაჟრღდება, უმაგრდება უმტიციესი, უმახვილესი წახნაგებითა, ზედ ეფშვნება სიავე ამა სოფლისა, ზედ ეფშვნება მტერი, ეფშვნება და ეგლისება, კვლავაც ეფშვნება, ვიდრე თვითონაც დაბლაგვდებოდეს, მაგრამ ბრუნავს წუთისოფელი, ბრუნავს ერი დაწახნაგებული და მერე სხვა წახნაგებითა შეეგებება სხვა სიავეთა, სხვა ბოროტ მტერსა; ბრუნავს წუთისოფელი, ბრუნავს ერი დაწახნაგებული და ილესება წახნაგები დაბლაგვებული თუ ფხამოცვეთილი, ილესება უფრო მრისხანე ბრძოლებისთვისაო. ელიზბარიც თუ ალესილა ან ელოდა თუ როდის დადგებოდა იმისი ჟამი, როდის მოაბრუნებდა წუთისოფელი ქარტეხილთა შესახლელადა. ბრუნავს წუთისოფელი, ბრუნავს ერი დაწახნაგებული და აქ სადმე იქნება ამისი წახნაგიცა, აი წამოდგება და გაუშხელს, შენი ჯერიაო.

არ აპირებდა წამოდგომასა... შალვა ხეთერელი ვერ დაიჯერებდა, უფრო დაუფრო მოსწონდა ეს ყმაწვილი, ამდენი მოთმენა რომ შეეძლო, ამდენი გონიერება რომ შესწევდა, ბარემ მიძინოს ყველაში, მოითენოს, მიძინარდეს, მიმკვდარდეს თუ ვინმე ელოდება ჩვენს გამჟღავნებასაო. ეს უბრალო გამჟღავნე-

ბა ჰო არ იქნება, — დავალებანიც ვიქნება, — გადასაცემი, დავალებანი, გულეზანი, ბრძანებანი, ზუმრობა ჰო არ არის, მოძრაობის გულში მოქცეულა, ლიხით გადმოსვლა უნდა შეამზადოს, უნდა შეამზადოს ალება თბილისისა, დედაქალაქისა, დიდი ისტორიული მოვლენაა, თვით დავით აღმაშენებელსაც უფრო მეტი, ბევრად აღმატებული არაფერი მოუმოქმედნია.

აქ უცებ ხრიალი აუტყდება სტუმარსა, ეს არც ხველებაა, აღარც სუნთქვაა, თითქოს სული ეგუბებაო, სულთამხუთავი დასხმია თავსა, იგერებდსო; ხრიალებს ასე, მერე ამოახველებს და სულს მოითქვამს, მინიც იტვრენს, იტვრენს კარგახანსა, ალბათ ერკვევა, სადა ვარ და რა დამმართნიაო, ბოლოს გაერკვევა, იმასაც გაარჩევს, თუ როგორ ადლადის გაღვივებული წერტილი, როგორ დაეკიდება საწოლიდანა, არის, არის ერთადგილას შეჩერებული, თითქოს უნდა წაიფეროს ფლოსო, მერე როგორ აიშარტება, გაღვივდება, გააკმაშდება, თითქოს ნაპერწყალი უნდა წააყაროსო, მაგრამ ბოლი შემოეხვევა, ბოლი ჩაბურავს სანაპერწყლოდ გამზადებულსა, თავს გააღწევს იმა ბოლსა, კვლავ დაეკიდება, თითქოს უნდა ჩანელდესო, ჩაიფერფლოსო, ჰო ამასაც გაარჩევს და გაუბედავად იტყვის, ან უფრო — წამოიკნავლებს გაუბედავად, არ შეიძლება ფანჯარა გავაღოთო. რატომაც არაო და საწოლიდან წამოიჭრება შალვა ხეთერელი. მე თვითონო, ესეც წამოიჭრება. როგორ გეკადრებათო, არ დანებებს, ეს მე მომანდეთ, იმედი გქონდეთ, არაფერი გამომეპარებაო. ფანჯარასაც გააღებს, იქიდანაც გადაეკიდება, მიმოატარებს თვალსა, მიუშვებს ყურსა, ჩქამი რა არის, ფოთლის ცახცახში არ ამერიოსო, კარსაც გააღებს, ჩავა ძირსა, ეზოს შემოვივლის, გავა გზახედა, გავა დიდი სიფრთხილითა, კედელკედელა, გაინაბება, მიაყურადებს, იქნება ასე, რომ კარგად დარწმუნდეს, დაიბეჯითოს და კიდევაც დაიბეჯითებს, ღრმა ძილს მისცემია სოფელი, ყველაფერი მისცემია ძილსა, სწორედ ის დროა, ერთიობრი



ძილი წყალმაც იცისო, რომ იტყვიან, ფოთოლიც გაყუმულა, გამტკნარებულა. სწორედ ის დროაო და სტუმარიც მისცემა ძილსა, განიავებულა ოთახი, გაბერტიყილა ორბირ ქარზედა, შვება მოპვერია, ჩაიბჭვავებია ღრმა ძილსა. ვერ დიჯერებდა შალვა ხეთერელი, ალბათ მელოდება გატვრენილიო, ჰო ალბათ მელოდებაო და მიუვა, თითქმის ჩასჩურჩულებს ანუ მოახსენებს, ყველაფერი რიგზეა, ირგვლივ სიწყნარე სუფევსო. შენც არ მომიკვდე, ვერაფერს გაიგებს სტუმარი, ჩურჩული რა არის, ვერ გამოერკვეოდა, თოფიც რომ დაეცალათ ყურთანა. ერთი პირი ძილი წყალმაც იცისო, საწყალს, ამასაც თუ მოერია ერთი პირი ძილიო, მაგრამ ამას არა მართებდა ძილი, ახლა არა მართებდა, სწორედ ახლა უნდა ეფხიზლა. იფიქრა შეგანჯღრევო. გადაიფიქრა. ისევ ფანჯარა მიეცტა, მიეცტა კარიცა, ისევ დადგევა პაპიროსი, ისევ გაგულდა იქაობა, უარესად გაგულდა, თვითონაც შეუგუბდა სული.

მამალმაც იყივლა, პირველად იყივლა, აჰაა, შეიშმუშნება სოფელიო, პირველი ყიული იმდენი არაფერი, მესამე ყიულამდის კიდევ დრო იყო, გაგულდილიყო პატარა ოთახი, ან დაიხრჩობოდა მანამდისა, ან გამოუტყდებოდა, კიდევ დრო იყო... კიდევაც წამოიქნავლა, არ შეიძლება ფანჯარა გავაღოთო. არ შეიძლებაო, მაუგო შალვა ხეთერელმა, გაბუსხულივით მიუგო. რატომაო, ძლივძლივობისდა აღმოთქვა სულშეგუბებულმა სტუმარმა.

- ბოლოსდაბოლოს მეტყვიით თუ არა...
- ბატონო?!
- მეტყვიით თუ არა?!
- რა უნდა გითხრათ?!
- რა დაგაბარათ, ჩემთან, საკუთრად ჩემთან რა დაგაბარათ გიორგი ყანჩაველმა?!
- საკუთრად თქვენთან?! რა მოგახსენათ, რა უნდა დუბარებინა?!
- არაფერი?!
- არაფერი.. თუ გამახსენდება, ბატონო გიორგი, ვგონებ, ასე ბრძანებდა...
- დიას!
- თუ კარვად მახსოვს...

- ჰო, ჰო!
- დაარბიეს ხეთერელთა დიდი გვერდი, ორიოდემ უცხოეთში გაასწრო, იქ მხოლოდ ელიზბარი დაგხვდებაო. იმისი უფროსი ძმაც უნდა გადაარჩენილიყოსო...
- ჰო, ჰო, ჰო!
- მაგრამ ის აქ, სადღაც, თბილისში უნდა იყოსო...

— ჰოოოოოოო... — გააგრძელა შალვამა და პაპიროსი მოსრისა საფერფლებზედა. ადგა, ფანჯარა გამოაღო, იქვე შეჩერდა ვალებულ ფანჯარასთანა. აშრიანლებულიყო ცაცხვის ფოთოლი, ისევე შესშრიანლებდა თუ შესჩურჩულებდა ძველ სამოახლოსა, ამას არ ესმოდა ეს შრიალი, ამისი ოთახი იქით იყო, იქით, აქედან შორსა, იქ ფართო აივანი გადაშლილიყო, აივანს ვაზი ასდევნებოდა, ასე არა შრიანლებდა ვაზის ფოთოლი, ეს სამოახლოს შრიალი გახლდათ. აღარც ის ახსოვს თუ როგორა შრიანლებდა ვაზის ფოთოლი, დიდიხნით მოშორდა აქაობასა, რუსეთს აღიზარდა, რუსთა სამხედრო სკოლებში, რუსთა არმიისთვისა, აღიზარდა და იბრძოდა, ყურში უწიოდა ტყვიები, გუგუნი, ქუხილი უდგა ყურშია. რაც უნდა იყოს მიმხვდარიყო: ელიზბარის ძმა აქ სადღაც არისო, აქვე მოვძებნითო, შენ მხოლოდ ელიზბართან გექნება საქმე, ის ჩამოვა განსაკუთრებული დავალებითაო, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული დავალებითაო, სხვაგვარად არ დაუშვებდა სიამაყე ხეთერელებისა, — განსაკუთრებული დავალებითაო, ანუ სარდლად შიდაქართლისა, თქვენ მანამდის გააფრთხილეთ შეთქმულნიო, დაიბარეთ ტყედგასულნიო, ერთისიტყვიით მოემზადენით იმის ჩამოსასვლელადაო. ის უკვე აქ გახლავთ, რაღა ბედენაა დავალება გიორგი ყანჩაველისა თუ ვიღაც სხვისა თუ სხვებისა, ვინც ამოჰფარებია თუ ამოჰფარებინა გამოჩენილი კომპოზიტორის სახელსა, რა ბედენაა, რა დაცდა უნდა? ის უკვე აქ გახლავთ და უკვე

ოთარ ჩხიძე
ბორნიაცი

იცის, ელიზბარი წინააღმდეგია, ჰმ, წინააღმდეგია, ელიზბარმა წამლები მოამზადოს, ბევრი მალამო მოამზადოს, გაწაფოს მოწყალების დები, სხვა დანარჩენი ამისი განსარიგებელია. აღარ ახსოვდა თუ ვით შრიალებდა ფოთოლი ვახისა, არ იცოდა შრიალი ცაცხვის ფოთოლთა, არ იცოდა, არც მოესმოდა, ტყვიები უხუხუნებდა ყურში, ქუხილი უღვა, აეტანა მძინვარებასა. ჰო ის უკვე აქ გახლდათ, მაგრამ ჯერ მაინც ვარეშე პირი იყო, ჯერ არავინ დაემორჩილებოდა, მაინც უნდა მოესინჯა. და შემობრუნდა:

— მე აქ გახლავართ, მომახსენეთ ყველაფერი! — შემობრუნდა და ბრძანა სარდალმა, ჭეშმარიტმა მხედარმოთაყარმა, აფსუსს, რომ მხოლოდ ზურგზე დასცემოდა ოდნავი ნათელი მკრთალი მთვარისა, აფსუსს, ვეება შუქურებით რომ არ განათებულიყო ან არ იდგა დიდების დარბაზში უფლისციხისა, დიდების კვარცხლბეკზე, როცა მზე შუადღისა გაპირდაპირებოდა ზესარკმელსა, გაპირდაპირებოდა და იმსხვრეოდა, იღვრებოდა, იფრქვეოდა, რათა უფრო მეტი ბრწყინვალეობით გამოეჩინა ფიცის მიცემა, გამარჯვებული დაგიბრუნდებით ან მოხსენება, გავიმარჯვეო, მტერი ქედს იხრის თქვენს წინაშეო. გადაშუქებულიყო ტახტი უხუცესთა, სახე უხუცესთა, დაბორკილიყოს მტერი აწ და მარადისო, აწ და მარადისო. აფსუსს, აქ მხოლოდ გამოუძინებელი ახალგაზრდა მუსიკოსი მიწოლილიყო, ბნელ კუთხეში მიწოლილიყო, ძილი თავისკენ ეწეოდა, შალვა ხეთერელი თავისკენა, აღარ გაეგებოდა, რომელს დანებებოდა ან რომელი დაიმორჩილებდა.

— უკვე მოგახსენეთ... — ამოიღულულა და გადაბრუნდა კედლისკენა.

— ელიზბარს მოახსენეთ.

— დიახ, სულერთია, ბატონო გიორგი ყველას იგივესა სთხოვს, დაეხმარეთო. — საბნის ყური მოათათურა, მოიხვია თავზედა, ლამის შეხუთულიყო თუ შეგუბებოდა სული, მაინც წამოიკეცა, ისე საშინლად მოსჩვენებოდა, სახე,

რომელიც არა სჩანდა, მხოლოდ ზურგიდან წამოპფენოდა მკრთალი ნათელი.

— ბრმად არავის ვეხმარები.

მკვეთრად მოესმა წახურულ საბანშიცა, გადაივლო საბანი.

— ბრმად რატომარ...

— რახან ჩავერევი, ჩემს ხელთ უნდა იყოს ყველაფერი.

— არ ვიცი, რა მოგახსენოთ...

— ჩემს ხელთ უნდა იყოს სტრატეგიული გეგმა, რუქა და შიფრის გასაღები, რაზმების განლაგება, ლაშქარის რაოდენობა, იარაღის საწყობები, მომარაგების გზები და საშუალებანი, უშუალო ურთიერთობა უნდა მქონდეს მთავარ მტაბთანა, რწმუნება უნდა მქონდეს სრული თავისუფლებისა. ასეთია ჩემი პირობა, თუ თქვენ სხვა წინადადებანი გაქვთ, მოლაპარაკება უაზროა.

სტუმარი წამოვდა, არაფერი გაეგებოდა, სიბნელეც ხელს უწყობდა იმის გაუგებრობასა, თვალებს ახამხამებდა უაზროდა, ამოდ ცდილობდა, რაიმე დაენახა, ნათქვამიდან რომ ვერაფერი გამოერკვია, ეგება სახეზე ამოვიკითხოო, ამოდ ცდილობდა, ლამობდა ამოდ. მთვარის შუქი ისევ მკრთალად ჩამოშვებულიყო ფანჯარაში, ჩამოშვებულიყო ირიბადა, ირიბადა სჭრიდა შალვა ხეთერელის ზურგსა, კეფასაც გადასდევდა, ჰკვეთავდა კუნჭულს პატარა ოთახისა, შუამდრს სვეტად ასდევდა კედელსა. იმ სვეტში მაინც მოქცეულიყო, სახე ფანჯრისთვის მიეშვირა, ჰო მიეშვირა, გაპირდაპირებოდა, რა ვუყოთ თუ მკრთალი გახლდათ ნათელი, სახე მაინც გამოირჩეოდა, აღავსებდა ნათქვამსა, როგორმე ოდნავ მიახვედრებდა; ამოდ ცდილობდა, ამოდ ინატრებდა, ადგილიდან არ იძვროდა შალვა ხეთერელი, იდგა გაჭიმული, მხედარს რომ შეჰფერის გადამწყვეტ წუთებში, — მაშ რაო, მიიღებთ ჩემს წინადადებასა, სხვაგვარად მოლაპარაკება უაზროა.

— მართალი ბრძანებაა, მოლაპარაკება უაზროა, — ასეც მიატანა სტუმარმა, ეტყობა, მოეწონა ნათქვამი, მიატანა ხალისიანადა, ოდნავდაც ჩაიცინა,



მკვირცხლად წამოიკეცა საბანი და მიე-
ქცა ბალიშსა. გამოუძინრობის ბრალი
თუ იყო ან მიუხვედრელობისა, თორემ
ცოტა უფრო იფრთხილებდა. იმისი
ბრალიც იქნებოდა, იშვიათად რომ ემო-
გზუბრნა. ბევრი სხვა რამის ბრალიც იქ-
ნებოდა, ვთქვათ იმისა, რომ ვისაც იც-
ნობდა თუ ვისთანაც ესაქმებოდა, ერთ-
მანეთსა ჰგავდნენ ან თავგამოდებითა
ჰბაძავდნენ ერთმანეთსა ან ამას ეგონა
ერთნაირნი არიანო, იშვიათად გადაჰ-
ყროდა სხვათა და სხვათა, ეგრერიგად
ვერ ერკვეოდა, რა ზნისანი, რა ხასიათი-
სანი იყვნენ ადამიანები, — უამრავ
ზნისანი, უამრავ ხასიათისანი. სიბნელე-
საც თუ დავაბრალებთ, კიდევაც საკვირ-
ველია, უფრო სახიფათო რად არ წამოს-
ცდა. თუმცა ესეც საკმარისი გახლდათ,
მიეჭრა შალვა ჯიქურადა, საბანი გადააძ-
რო, მკლავში ჩაავლო ხელი და წამოაგ-
დო.

— მაშ რად დაიწყეთ მოლაპარაკება?!
— რა გნებავთ ჩემგან?! — შესძახა
სტუმარმა ცოტა შიშითა, ცოტა განწი-
რულივითა, ცოტა იმ იმედითა, ვინმე
გაიგონებს, მომხედავენო.
— მაშ რად დაიწყეთ მოლაპარაკება-
მეთქი.
— არაფერი მესმის.
— გვიანდა არის უკანდახვევა, ყველა-
ფერი თქვით, ჩემს გამოსაწვევება და
შესამზადებლად თქვით, აჰა, მე მზალა
ვარ, დააბოლავეთ, თქვით დანარჩენიცა,
ქარაგმების თავი არა მაქვს, ჩემთვის
ყველაფერი ნათელი უნდა იყოს.
— ნათელიც არის, ბატონი გიორგი...
— დიახ, დიახ, რაო ბატონი გიორგი?!
— სთხოვს ყველასა, ყველასა, ვისაც
შეუძლია, ვისაც დრო არ დაეშურება,
მირჩიოს, მიმასწავლოს თუ როგორ მი-
ვიკვლიო მუსიკალური საზოგადოები-
სათვის ჯერ კიდევ უცნობი ხალხური
სიმღერები.
— რომელი სიმღერები?!
— ხალხური სიმღერები.
— რას ნიშნავს ხალხური სიმღერე-
ბი?!

— სიმღერებს, ხალხში რომ შექმნი-
ლა, დახვეწილა საუკუნეების განმავ-
ლობაში, თაობიდან თაობას გადმოსც-
მია, წამოუღია წინაპართა კენესა თუ სი-
ხარული, დამაფიქვრელად, გულსჩამ-
წვდომად გადმოუტანია. ხალხური სიმ-
ღერები რამდენიმე ჯგუფად დაიყოფა.
ერთი მაგალითად...

— ლაწირაკო, — შესძახა შალვა ხე-
თერელმა და ძალდაძალ შეანჯღრია
სტუმარი, — კონსერვატორიის სტუდენ-
ტი გგონივარ თუ აბუჩად მიგდებ?!
როგორ მიბედავ!..

მოიბუზა სტუმარი, ჯერ გაიწია, ეგებ
წაუვიდეო, მიხვდა, ვერსაით გაუსხლ-
ტებოდა მარწუხივით შემოქცობილ თი-
თებსა, მერეღა მოიბუზა.

— აკი მკითხეთ?! — თქვა ეგრე მო-
ბუზულმა, განა თქვა — წამოიქირტინა.
— რა გკითხე?!

— რასა ნიშნავს ხალხური სიმღერე-
ბიო.

— ჰოდა რასა ნიშნავს?..

რაოდენ მიუხვედრელიც უნდა ყოფი-
ლიყო, იგივეს მაინც ვეღარ გაიმეორებ-
და, ვერც სხვას იტყოდა, — რას იტყო-
და, სხვა რა უნდა ეთქვა?! უცნაურ ყო-
ფაში მოხვედრილიყო, რა ეღონა აღარ
იცოდა, შიშობდა კიდევ არ შემანჯღრი-
ოსო, შიშობდა, ვეღარ გაუძლებდა, შე-
ჰყვირებდა, მომეშველეთო. ეგება სჯობ-
და ახლავე ეხმო მშველელისთვისა, ეგე-
ბა აქამდისაც უნდა ეხმო, ეხმო მაშინ-
ვე, რომ იგრძნო, ვიხრჩობი თამბაქოს
ბოლშიო. მაგრამ ის რაც იყო, იყო, ახ-
ლა მაინც ნულარ დაიგვიანებდა... მარ-
წუხი ეშვებოდა, ნელ-ნელა ეშვებოდა,
უცებ მოეხსნა. გაბრუნდა მრისხანე ლა-
ნდი, ფანჯარას გადაადგა, მაშინ სახეზე
დაეცა მკრთალი ნათელი, სახე იქით-
კენ მიქცეულიყო, ეს მაინც ვერ დაინა-
ხავდა. მშველელი მიავიწყდა, ოღონდ
ყოფილიყო ეგრე მდუმარედა თუ ეთ-
ქვა რაიმე, ეს ვეღარ გაეგო. მდუმარე-
ბა აჯობებდა რა თქმა უნდა, ძილი მით

ოთარ ჩხიძე
აბრიათი

უკეთესი, ძილი ღრმა, გადაკარგული ამა ქვეყნიდანა, მაგრამ ვინ დააცადა, — რას ნიშნავს ხალხური სიმღერებო, ჩასციებია და ვერას მიუგებს, ტვინიც რომ გადაიბრუნოს, ვერაფერს ეტყვის, რაც იცის, იმაზე მეტსა, ვერა, ვერაფერსა.

— იცით, რა?! — შესძახა უცებ აღმოჩენის სიხარულითა, — შევუთვლი ბატონ გიორგისა, შევეკითხებო, შესაძლოა სხვაგვარი განმარტებებიც იყოს...

თავი მოიბრუნა შალვა ხეთერელმა, ისე მოიბრუნა, ცალ მხარეს დაეცა შუქი მთვარისა. ისურვებდა და იხილა სტუმარმა, იხილა მრისხანე სახე, ოღონდ ეს ისეთი მრისხანება გახლდათ, ვერაფერი რომ ვერ ეწამებინა:

— ეს უფრო გონივრული წინადადებაა, — გამოისროლა ნახევრად გაშუქებული სახემა, მკრთალი მთვარით გაშუქებულმა, — თანახმა ვარ, შეატყობინეთ. მანამდის ჩვენ შეგვიძლიან განვაგრძოთ საუბარი, ოღონდ ასე აბღაუბდა აღარა, ნათლად ვილაპარაკოთ. რა განვიზრახავთ, რას აპირებთ, როდის დაიწყებთ?

სახე წინ წამოვიდა, გამოსცდა მკრთალ ნათელსა, მთვარის ნათელსა, აქეთ სხვა ნათელი აღარ იყო, სიბნელე გახლდათ, სიბნელე და შეფიქრიანებული მგზავრი, ახალგაზრდა მუსიკისი, მეფიქრიანებული და შეწუხებული, ნეტავი როგორდა ნათლად ლაპარაკს მოითხოვსო, ან რა დროს ლაპარაკია, ან აქამდის რად არ გამოიმეხმაურა თუ ასეთი მხურვალე მომხრეა ჩემი, ან რა აბრაზებს, ვინ ეუბნება უარსაო. დაფიქრებაც რომ არ შეიძლებოდა, — როდის დაიწყებთო: მოდიოდა სახე, ბნელში მოიწვედა, მკვეთრი ლანდი მოაპობდა მღვრიე სიბნელესა.

— ხვალვე, — შეაგება მოჩქარებითა, ეგება შევაჩერო მკვეთრი ლანდიო. მართლაც შეაჩერა და მოჩქარებითვე მიაცარა, აღარ დაიძრასო, — განზრახული მაქვს ორგვარი მეთოდი მუშაობისა, ბატონ გიორგის ეს მოეხსენება, მოსწონს, თანახმაა: ესე იგი ორგვარი მეთოდი. რა მეთოდებია ეს მეთოდები: აღ-

გილობრივ და გამოწვევით. ადგილობრივ, ნიშნავს, მე თვითონ ჩამოვყვები ან ჩვენ თვითონ ჩამოვივლით, კალოები იქნება, თუ სხვა რამ საქმიანობა იქნება, დღეობები იქნება თუ სხვა რამ გართობანი, ან დატირება, ესეც შეიძლება რა თქმა უნდა, ერთისიტყვით, ჩამოვივლით და, რასაც გადავყვებით, ჩავიწერთ, იქვე ჩავიწერთ, ბუნებრივად, ბუნებრივ პირობებში. ჩამწერი საუცხოვო მაქვს თუ არა და ნოტებზე გადავიღებ. შემდეგი ანუ გამოწვევით, ნიშნავს, მოვიხმობთ შერჩეულს მომღერლებსა, რომლებიც ჩვენის თხოვნით, ჩვენის შეკვეთით შეასრულებენ რაც იციან. ორივე ამ მეთოდს თავისებური ნაკლიცა აქვს, თავისებური ღირსებაცა. ორივეს ნაკლსაც მოვახსენებთ, ორივეს ღირსებასაცა, ოღონდ აქედანვე იცოდეთ, თანახმა ვარ მივიღო ყველა სხვა მეთოდი, ყველა სხვა რჩევა, ოღონდ არ გამოვკრჩეს არცერთი ნიუანსი, მცირედი ნიუანსიც კი. ახლა რაც შეეხება ნაკლსა და ღირსებას ორივესი ცალცალკე...

ისევ წამოვიდა მკვეთრი ლანდი, მკაცრი სახება, განა წამოვიდა — დაეშვა, დაქანდა ნაჯახივითა, დაეცემა და შუა გადააპობსო, ათად მოიკუნტა სტუმარი, მოიგრიხა, დაეხვა, მაინც არაფერი უშლებოდა, განწირულიყო. მაგრამ შეჩერდა ნაჯახი, ფხა შეახო და შეჩერდა:

— გაგაფრთხილე თუ არა?!

— გამაფრთხილე... — წაიწკმუტუნა.

— მაშ რაღას მიეღმოედებო?!

— რაცა მკითხეთ... — სცადა თავი წამოეწია, მკითხე და გიხსნიდი დაწვრილებითაო.

— გიბრძანეთ, ნათლად ილაპარაკემეთქი, — შესძახა ჩვეული მრისხანებითა, — ილაპარაკებთ თუ არა გარკვევითა?! იტყვით თუ არა, იტყვით თუ არა?! — კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა და იყვირა ისე, ზრიალი დაიწყო ძველმა სამოახლომა.

ვინ იცის რა მომხდარიყო, ელიზბარი რომ არ მიშველებოდა, — ჯერ ხმა



საქართველოს
წიგნების კავშირი

მიაწვდინა, მერე თან მიჰყვა ხმასა, რა ამბავია, რა დაგემართნიათო.

— უნდა მითხრაო, — შეპყვირა ძმამა, — მე არ შემიძლიან ავიტანო იღუმალე-ბით მოსილი სიტყვები და გადაკრული ლაპარაკი, მე უნდა ვიცოდე ყველაფერი, მე უნდა მემორჩილებოდეთ, თუ არა და უარს ვაცხადებ და ვნახოთ ერთი, სხვას ვის იპოვნით ჩემზე გამოცდილსა, ჩემზე ერთგულსა, ჩემზე თავდადებულსა!..

— ბოდავ, — მწვავედ ამოიძახა ელიზბარმა, — ასე იცის ცუდმა სიზმრებმა.

— წუთითაც არ წამძინებია...

— მით უარესი, უფრო მწარე ბოდვანი იცის უძილობამა... დაიძინე!

— არ დავიძინებ, უნდა ვიცოდე!

— დაიძინე, შე საცოდავო... — წყნარად წარმოსთქვა ელიზბარმა, წყნარად, ოღონდ საოცარი გულსტკივილითა, თან მოაყოლა სიბრაღულიცა, უსასოობაცა, უიმედობაცა, თან მოაყოლა უსათუთესი განცდა უბედურობით შეძრწუნებულისა, რომელს არ ძალუძს, თანაუგრძნოს, ხელი წაახმაროს, თვით შემორყილა და გათანგულა, მიუტოვებია ღმერთსა თუ სიკეთესა, გამრიგეს სოფლისა, ველარაფერი განურიგებია, გასცლია, გამდგარა, მიუტოვებია; წყნარად წარმოთქვა, წყნარად, ოღონდ შთამბოვნებლად, ეს გამოცდილი ექიმის ზემოქმედებაც იყო, ზემოქმედებაცა ძმობისა, იმ გაუგებრობისა, აქამდის რომ ვერ გაერკვია და ვერც გაარკვევდა.

V

კრინტი აღარ დაუძრავს შალვა ხეთერელსა, ისე დაიღია ღამე, დღეც გაპლია უბრადა, უხმოდა, ნაწილიც არ ჩაუდგია პირში, არც საუზმეს გაჰკარებია, არცა სადილსა, არც გარეთ გასულა, არც წამოუწვევია საწოლიდანა, წამხობილიყო, წაფრქვევებულებიყო, არ უნდოდა არავის დანახვა, არც ხმის გაგონება არავისი. არც არავინ ეპასუხებოდა, სტუმარი ვერც გაჰბედავდა, არც რძალი ეპასუხებოდა, ძმა მინც დაეხმალ-

ებოდა რა თქმა უნდა, მაგრამ არ მოეცლიათ, არ გაეჩერებინათ შინა, დილიდანვე გაეყვანათ, დილიდანვე დაატარებდნენ აღმა-დაღმა, გაღმა-გამოღმა, შორსა თუ ახლოსა, დაატარებდნენ ავადმყოფებთანა თუ დაპრილ-დაჩეხილებთანა, მშობიარეებთანა თუ ბნელიანებთანა, უეცრად გულშემოყრილებთანა თუ საიქიოდ გადადებულებთანა, ერთს რომ უვლიდა, მეორე დასდგომოდა თავსა, არიქა ჩემთან წამოდიო, დაუზარელი იყო და დაატარებდნენ, მუქთი იყო და ეტანებოდნენ, ან ვინ არ მიეტანებოდა, ვინ მოასვენებდა მუქთსა, დაუზარელსა? — არც არავინა, მილიციაც იმას იხმობდა, პატიმარს მივაცილებდიო გორსა, გაგვექცა და ვესროლებოთ. დაჰხედავდა, დაიხრებოდა, გისვრიათო, დაუდასტურებდა. შემოგვაკვდა, აღარაფერი ეშველებო. შემოგვეკვდომიათო, აღარაფერი ეშველებო, დაეთანხმებოდა. ახირება არცა სჩვეოდა, იყო მუყაითი, საქმის ერთგული, მორჩილი ყველასი, დიდისაცა, პატარასიცა, სხვადასხვა მოვლინებულისა თუ უფროსისაცა, ამპარტავნებისაცა და თავმდაბლებისაცა გულშემტკიცესებისაცა და გულჩვილებისაცა, ყველასი, ყველასი, ყველა საშველად უხმობდა, ასდევდა ყველასა. შინაურებისთვის ვერ მოეცალა, ვერ დახმარებოდა ძმასა. ერთხანს თითქოს შეგება მიეცა, ეს მაშინა, ხართაშობისას რომ დაეშვა მზეი, კიდევაც გაეშურა შინისკენა, მაგრამ გადაუდგენენ პატარავეჯვისხეველები, ჩიკოიძეებისთვის უსვრიათო, ორლობეში დაცემულან დიმიტრი და ლადო, მიჰხედენ თუ კაცი ხარო. კაცობის შესხენება არც უნდოდა, სიტყვის მასალა იყო, არც უნდოდა ხვეწნა თუ მუდარა, ან შესხენება სიბრაღულისა, სხვებს უნდოდათ, დაკარგულიყო სიბრაღული, სიკეთე დაკარგულიყო, გააგებულებიყო დიდი ნაწილი იმა მხარეში, მაგრამ იმით ვერავინ მოაგონებდა სიკეთესა თუ სიბრაღულსა, მხოლოდ ამას

ოთარ ჩხეიძე
პირველი

მოაგონებდნენ, მოაგონებდნენ, ვინც ვერასოდეს დაივიწყებდა.

ასე მიტოვებულიყო შალვა ხეთერელი უძმოდ და უმეგობროდა, მიტოვებულიყო გაფიცებული ფიქრებისა და ანთებულ წარმოსახვის ანაბრადა. სიბრაზით აღარაფერი აბრაზებდა, კიდევაც მოსწონდა ეს უმტკიცესი ვაჟაკები, რომ არ გაუმხილეს, არ გამოუტყდნენ, დააბნიეს, აუხვიეს თვალი. არა, ამას თვალი არ აპხვევია, უფრო ცხოვლად წარმოიდგინა, მაგრამ სულერთია, იმათ დაეფარათ, რადგან რწმუნება არა ჰქონდათ, გამოსტყდომოდნენ. ალბათ თვით გიორგი ყანჩაველი გამოუტყდება, ასეც უთქვამს, აქ არისო, გასაგებია, რახან აქ არის, მევე მოველაპარაკები, შენ იქ შენს საქმეს მიჰხედოე, გასაგებია ყველაფერი, ნათელია, ნათელზე ნათელი; გიორგი ყანჩაველი შალვას დაეძებს, ხოლო ეს აქ არის, აქ არის და გულს ასკდება, რად არ მეტყვიანო, — ვინ ეტყვის გიორგი ყანჩაველზე უკეთესადა? ვერც ვერავინ ეტყვის, არც არავინ ეტყვის, უნდა მიაშუროს თბილისსა, უნდა შეხედეს... და ხართაშობისას, ელიზბარი ორდობეში ჩიკოძეების გვამებს რომ დასცქეროდა, შალვამ ლაგამი ამოსდო თავიანთეულ ცხენსა თავიანთეულ ბაღში, ზედ მოველო და გაჰქუსლა გორისკენა, საღამოს მატარებელს მივუსწრებო.

ვერ მიუსწრო, ეს არ ეწერა... ელიზბარიც ვერ დაბრუნდა შუალამემდისა, ასე ეწერა.

ვერც ნიკუშა ასცდენოდა თავის წერასა, იღვა და ელოდა, იჭდა და ელოდა, იწვა და ელოდა ელიზბარ ხეთერელსა, ფეხი ვერ გაედგა უიმიოდ, ვერ გამოეცადა დათქმული მეთოდები, ვერც ვერავისთან მისულიყო, ვერც ვერავინ მოეწვია; არც მოუხერხდებოდა, არც თავი ჰქონდა, მძიმე ღამე გადაეტანა, ძილი გასტეხიდა, აზრიც დაჰბნეოდა ძილგატეხილსა, გზა არა ჰქონდა ლოდინის იქითა, გზა არა ჰქონდა და ელოდა. ისიც აშინებდა, სადაც ელოდა, აშინებდა პატარა ოთახი, სასტუმრო ოთახი, რომ-

ლის ერთადერთ ფანჯარას შეჰპტუტებდა რტოები ცაცხვისა, შეჰპტუტებდა წუხანდელზედ მეტი იღუმალებითა. რტოები როდი აშინებდა, არცა იღუმალება, ვერც ჩასწვდებოდა იღუმალებას ფოთოლთა შრიალისა, მხოლოდ ის აფიქრებდა, კიდევ არ ამოცურებულიყო მკაცრი სახება, მკრთალად გადაშუქებული, ნახევრად გადაშუქებული მთვარის შუქითა. ამაოდ შეფიქრიანებულიყო, არც ეს ეწერა, სხვა რამ ეწერა, სხვა რამ უნდა გადახდომოდა, არ იცოდა, ვერც მიხვდებოდა, ოლონდ მიხვედრაც აღარ უნდოდა: კარს მოსდგომოდა ანთებული სანთელი. კარი გაიღო, იქვე აქანავდა მკრთალი შუქი. ფანჯარაშიც მკრთალი შუქი ჩამომდგარიყო, ურხევი, შეუქანებელი. ეს სხვა გახლდათ, ეს ცახცახებდა, ქანაობდა, გადაწყდებოდა და წამოვარდებოდა, მომეტებულად წამოვარდებოდა, წინ მოიწევდა, მოვიდა სულ ახლოსა, საწოლთან დადგა. კვლავაცა ცახცახებდა, კვლავაცა ქანაობდა, ოლონდ არ აბირებდა დაძრულიყო იქიდან; დასცახცახებდა მკლავსა, ზეაწეულ მკლავსა, მოხდენილსა, მომხობლავსა ისედაცა, მითუმეტეს სანთლის შუქქვეშა; დასცახცახებდა ჩამოშლილ გრძელ თმასა, შუაზედ რომ გადაყოფილიყო, ნაწილი მხრებზე გადაჰფენოდა, ნაწილი ჩამოტოტილიყო გულზედა, ჩამოტოტილიყო, ჩამოტალღულიყო, თეთრი ემოსა, თეთრზე ფინა, თეთრზე ჩამოტალღულიყო.

გამოცხადება თუ იყო, ნეტავი სხვა რა იქნებოდა, — ლოცვად უნდა დამდგარიყო, შევედრებოდა, ეს ქვეყანა შენი ხვედრია, შენი ვართ, შენი, მეც მომხედე, მეც წარმმართე გზასა კეთილსაო. წამოიწია.

— იწექით, — სთქვა ქალმა, უბრალოდა სთქვა, ვითომდა აქ არაფერიო, სკამი მიიღვა საწოლთანა, ძირს დადგა შანდალი. — თუ ვეძინებათ, არ შეგაწუხებთ, გაეზრუნდები.

— არა... რასა ბრძანებთ!

— იწექით, იწექით! ნუ შეწუხდებით, თორემ გაეზრუნდები... — ქალი

წამოვდა, შანდალს დაეწოდა, შეასრულებდა დანამუჭრსა.

— არა, არა, არა... როგორც გენებოთ... — დამორჩილდა სტუმარი, თან ფანჯრისკენაც გააპარა თვალი, იქიდანაც მოჩვენება ჰო არ გადმოვლისო.

სრა, იქ ისევ შრიალებდა ფოთოლი ცაცხვისა, იღვა მკრთალი სვეტი ფანჯრის რაფაზე, ირიბად იღვა.

აქ იჯდა ქალი, თმა ჩაპღვროდა კალთაში, ღვარს იგროვებდა მუჭში, იგროვებდა და ვერც იგროვებდა. ცახცახებდა სანთელი, აცახცახებდა ქალის ლანდსა, ყველაფერს აცახცახებდა პატარა ოთახში. გარეთ ფოთოლიცა ცახცახებდა, შუქი არა, შუქი მთვარისა, იღვა, ჩასვეტილიყო ირიბადა, დადარაჯებულყო, თითქოს იმიტომ დადარაჯებულყო, მკაცრი სახება თუ შემოიჭრებოდა, გადაეყო შუაზედა. აქ იჯდა ქალი, ლამაზი ქალი, შეპფრფინვოდა სანთელი, შესცახცახებდა.

— გეტყობათ, შეწუხდით, — თანაგრძნობით წარმოსთქვა ქალმა, — ჩამოხვედით დიდი იმედებითა, არ დაგხვდათ ნიადაგი შესაფერისი თქვენი იმედებისა.

— არა, რატომ?! ვიმედოვნებ... — კიდევ რალაც უნდა მოედევნებინა, მაგრამ აქ კიდევ წამოიწია, თან შეკრთა, საბანი არ გადამეჩეჩოს, არაფერი გამომიჩნდესო, — თუ ნებას მომცემთ, საშუალება თუ მექნება, წამოვდგები.

— იწეკით-მეთქი. — და ქალმა სანთლისკენ წაიღო თვალი, ავიღებ და გავალო.

— არა! ნუ! — საჩქაროდ მიატანა სტუმარმა, — უხერხულია, თითქოს ავად ვიყვე...

— არც გასაკვირია, — არ ეურჩა ქალი, ოღონდ იქვე დასძინა, — თქვენ არა, ჩვენა ვართ ავად, მე ვარ ავად, სიმართლევ და სულის ობლობა ყოვლად საშინელი ავადმყოფობაა, ჩემი მეუღლე ბრძანდება ავად, ქედის მოხრა და დამორჩილება შემადრწუნებელი სიმდაბ-

ლეა, ავადმყოფობაზე ავადმყოფობა, დაცემულობა სულისა.

— არა, რატომ?! —

— რატომ არა?! — შეუბრუნა ქალმა, მწყრალად შეუბრუნა, — ექვმაც გაუზზარა ისედაც სევდანარევი ხმაი.

— მართალსა ბრძანებთ რა თქმა უნდა, — აღელდა სტუმარი, რად ვეურჩეო. — ოღონდ მე მინდოდა მეთქვა...

— მე ვამბობ, — მოუჭრა ქალმა, — და რასაც მე ვამბობ, ჭეშმარიტებაა; მე ქვეყნის ამბებს არ მოგახსენებთ, ჩემსას გეუბნებით. გეუბნებით ჩემი ქმრისასა და ეს ყველაზე უკეთ მე მომეხსენება და ეს ყველაზე უკეთ მომეხსენება, ჭეშმარიტებისა ან მგვანია ჭეშმარიტებისა.

— გეთანხმებით... — მსურვალედ შეეპასუხა სტუმარი, თითქოს ურჩობა უნდა გამოისყიდოსო, თუმცა არცთუ გაბედული გახლდათ ეს მსურვალეობა, ისეთ ყოფაში იყო, უხერხული გამოსდიოდა ყველაფერი.

— მე ვამბობ, — თითქოს შეუწყრა ქალი, ნუ შეპასუხებით, — „მძიმე არის მარტოობა სულისა...“ ვიმეორებ რა თქმა უნდა, მაგრამ ვიმეორებ როგორც განცდას ჩემსასა, საკუთარსა, შეუცილებელსა. აღრე ვიმეორებდი ისე, როგორც ლამაზ, პოეტურ სტრიქონსა, ახლა ვიცი თუ რა არის მარტოობა სულისა; კარგია რომ გავიგე, ჩავწვდი აზრსა, ჩავწვდი შთაგონებას პოეტისა, მაგრამ ნეტავი არ გამეგო, ნეტავი კვლავაც აღტაცებით წამომეძახნა, ო, როგორ მომწონს, მშვენიერია, წამომეძახნა და მიმენება თვალეზი, როგორც ვჩვევოდა, უფრო თავს ვიწონებდით, ვიდრე ლექსსა. — ქალი დაღუშდა, მიილულა, თითქოს უნდა წარმოიღვინოს, როგორი ვიქნებოდი მაშინაო.

— არა, — ისევ აჩქარდა სტუმარი, — თქვენ ყოველთვის ჩასწვდებოდით, ყოველთვის განიცდიდით...

— ახლა განვიცილი-მეთქი, — კიდევ

ოთხარ ჩხვიძი
ბორიანი

არ დაანება ქალმა, — განვიციდ მომეტებულადა, რაც უფრო მორჩილდება, რაც უფრო მდაბლდება, მით უფრო გაუუგებარიცა ხდება ჩემთვის ის კაცი, ვინც უნდა მანუგეშებდეს, მამხნევებდეს, მასულიერებდეს. ის თითქოს არც ამხნევს თუ რა შემართება ან რა ხდება ირგვლივ ან თვითონვე რა დამართნია, თითქოს არც ამხნევს თუ აინუნშიც არ აგდებს არაფერსა. ასე რომ იყოს უკეთესიც იქნება, აუხსნი, გააგებინებ, წააქეზებ, გაამხნევებ, აიყოლიებ, უკეთესი იქნება!.. მაგრამ ო, არა, ასე არ არის, იცის ყოველი, გაეგება ყოველი ნათლად და ღიღებულად, გაეგება და წაუღუნია თავი, მოდრეკილა აუტანელი სიმძიმის ქვეშა, გაგვიკირდება თუ როგორ იტანს!.. უარესიც აუტანიათო, ამასლა თუ იტყვის, იტყვის ისე, უგერგილოდა, ჩანთას წამოავლებს ხელსა და მირბის, შემოგვძახებენ თუ არა, ჰეჰეი, ექიმო, მოგვხედეო. ეს არის და ესა, ექიმიაანი დაგვერქვა და ესაა ჩვენი სახელიცა, გვარიცა, აზრიცა ჩვენი ცხოვრებისა, აქ ვიწყებით და აქა ვთავდებით. მხოლოდ ავადმყოფებს გავასხენდებით, ავადმყოფები შემოგვტირიან, გამორჩენილები დაგვლოცავენ, ოღონდ იცი რა, ვინმე გაღეშილი რომ შემოგვეტრეს და კისრისტეხით გავგერეკოს აქედანაცა, მოსარჩლე მაინც არ გამოგვიჩნდება. ეგვე არას იტყვის, გავა უდრტვირველად, მინდვრად გამართავს კარავსა, ან არც არას გამართავს, ხეს მოეფარება, ბუჩქს მოეფარება და დაელოდება, აცა, საიდან შემომძახებენ, ჰეჰეი, ექიმო, მოგვეშველეო. ვერ ამხსნია თუ რა დამართნია. ჩემს მაზლს თუ ჰკითხავ, მოგვანებებული ხალხოსნობააო. არა, არა მგონია, იღეა თუ რწმენა აქ არაფერ შუაშია ეს სიგიჟეა, მტკნარი სიგიჟე, სხვა რამ არ დაერქმის, არც შეიძლება, სხვა რამე იყოს.

ამოსუნთქა ქალმა, სული მოითქვა და დრო იხელთა სტუმარმა:

— არა მგონია... — ამოსთქვა სტუმარმა.

საცა ამოსთქვა, იქვე ჩაათქმევინა ქა-

ლმა, ლამაზმა ქალმა, განათებულმა სწოთლის შუქითა:

— არც გეგონებათ, სწორად მსჯელობს, სწორად განსაზღვრავს მოვლენებსა, კარგად ერკვევა ყოველ მდგომარეობაში, ურთულეს მდგომარეობაში, რად გეგონებათ?! კიდევაც გაგაოცებთ გონიერებითა, დინჯი, აუღელვებელი მსჯელობითა. მაგრამ მერეა ძნელი ასატანი, მერე, თითოსაც რომ არ გაანძრევს არავის საწინააღმდეგოდა, კრინტსაც რომ არ დასძრავს. ყველაფერს რომ შეეგუება, ბოროტებასაც შეეგუება, ვით გარდაუვალ ბედისწერასა. ეს უნდა იცოდეთ, ისე ძნელია იმასთან ლაპარაკი, ისე ადვილია დაგიყოლიოთ. ნუ დაჰყვებით, ნუ დაუჯერებთ, არ დასთმობთ თქვენი, თუ ვერ აიყოლიებთ, დაესხენით, სხვაც ბევრი გამოგიჩნდებათ მხარისამბმელი. — ეს მღელვარედ გამოსთქვა ქალმა, სანთელიც ჰო ირხეოდა, ღელავდა, აღელვებდა იმის ლანდსა. ფოთოლიც აღელდა ფანჯარაში, ცაცხვის ფოთოლი, ჩაიშრიალა და აქოთქოთდა.

— ბატონმა გიორგიმ... — განმარტება სცადა სტუმარმა.

— ბატონ გიორგის ეხსომება ისეთივე, როგორიც გახლდათ, რწმენით აღსავსე, გატაცებული ახალგაზრდა... ეს იყო, მორჩა, დრომ დააგლიჯა ფრთები, ფრთებდაგლეჯილი ბზახალა, ბზახალა. — გაეცხარდა ქალი.

— სხვა უნდა მეთქვა, — მიაღვენა სტუმარმა, მიაღვენა ცოტა არ იყოს აჩქარებითა, ეუხერხულეობა მასპინძლის კიცხვას რომ ისმენდა, მერე როგორა: მიწოლილიყო და ისმენდა, დიასახლისი უჯდა საწოლთანა, სანთელი არხევდა დიასახლისისა, კალთაში ჩაღვრილ თმას აწვალვდა დიასახლისი: — სხვანიც მიმსაწყლბა ბატონმა გიორგიმ!..

— გამჭრიახია ბატონი გიორგი, თქვენც სხვებს მოუყარეთ თავი, ნუ ჰკარგავთ დროსა, ახლა წუთის დაკარგვაც არ შეიძლება, წუთის დაჰკარგავთ და დაიკარგება ყველაფერი, სამუდამოდ დაიკარგება. — ქალი გაშეშდა, თითქოს

შესძრა ავმა წინასწარმეტყველებამო. სტუმარს მოეჩვენა, ჩქამი ვატყლო, გა-
სუსა, ვაეკრა ბალიშა. ქალი პასუხს
ელოდა, ვაჟი — ვილაცასა, აი, ვილაცა
შემოაღებს კარსაო. სდუმდნენ და ელო-
დნენ. ცახცახებდა სანთელი, იწვოდა
სანთელი. მატულობდა შუქი მთვარისა,
ფანჯარა ივსებოდა, ნელნელა ივსებო-
და. — წუთის დაკარგვაც არ შეიძლება!
— გაიმეორა ქალმა, გაიმეორა უფრო
მძაფრად.

— ახლა რა უნდა ვქნა?! — უმწეო-
დაცა თქვა, ესეც გამოდიოდა: მირჩიე
და მერე მე ვიციო.

— იმას ნუ ელოდებით, შეკყარეთ
სხვანი.. ბატონ ვიორგიმ როგორც ვი-
რჩიათ.. — ჩურჩულით დაასრულა, ჩა-
ნოლვარული თმა წამოიკრიფა, ტუჩპი-
რზე გადაივლო და გადაიგლო მერე მხა-
რზედა, ჩაბლახის ყურით გადაიგლო,
თითქოს ამხედრებულა, ქუსლს შემოპ-
კრავს მერანსა და შეპკიყინებს, მომყე-
ვითო.

აჰყვა სტუმარი, აუფოფინდა, აუჩურ-
ჩულდა სული, წამოიწია და ლოგინში
რომ წამოიწია; მიხვდა თუ რა უმწეო
ყოფაში ჩავეარდნილიყო, ამიტომაც წარ-
მოსთქვა ცოტა არ იყოს წწუხარებითა:

— ამ ღამიან რაღა იქნება...

— არ იცით განა?!

— როგორ არა, აღარ დაველოდები..
გათენდება თუ არა შევუღლები ჩემს
საქმესა. საუკეთესო ჩამწერი მაქვს, მე-
თოდებიცა მაქვს შემუშავებული, ნაცა-
დი მეთოდებია, მაგრამ მე თავისებუ-
რად გამოვიყენებ, უთუოდ, უთუოდ,
გათენდება თუ არა შევუღლები. — მხტ-
რვალედ დასძინა, თითქოს გადავიწყე-
ბოდა, ლოგინში რომ წამოიხდარაყო.

წამოდგა ქალი, თმა გადმოეღვარა,
გადმოეფრქვა თეთრ სამოსზედა, წამო-
დგა და აიძარბა, მომადლო ვახლდათ,
კეთილად ნაგები. ფეხებთან ახლოს შეს-
თამაშებდა სანთელი, ზეიწვედა, თით-
ქოს აწვდომა მონდომებიაო, ვერ ასწ-
დომოდა, სახე ველარ გაეშუქებინა ეგ-
რერიგადა, ვერ გადავლებოდა წარბთა,
წამწამთა, ვერ გადავლებოდა, ვერ დაპ-

კვდომოდა. არც საჭირო იყო, უფრო
ფიქრიანად მოიწვედა სახე, ოდნავ დაე-
შეკვებოდა, ოდნავ გაშუქებული. ხელო-
ცაურდა, ამოტივივდა შუქზედა, მარ-
ჯვენა ხელი, გაიჭიმა გრძელი თითები,
შეეხო ნიკაპსა, სტუმრის ნიკაპსა რა
თქმა უნდა, მცირედად შეეხო, აიწია
ისევე მცირედადა, ნელნელა აიწია, აი-
ყოლია ნიკაპი, გადაშემდა თვალები,
მაიჩერდა ოდნავ გაშუქებულ სახესა.

— მეგრა სხვა რამ გამოქმედებთ,
სხვა, რამ ნამდვილი, კემშარიტი, დიადი,
სიმღერებს არ უნდა აეყოლიებინეთ,
არა, ახლა საამისო დრო არ არის, არა,
სიმღერებს არ უნდა აეყოლიებინეთ,
არა, არა...

— მხოლოდ სიმღერებსა..

თვალები იყო წრფელი, განათებუ-
ლი შინაგანი სიმართლითა და სიწმინ-
დითა; თვალები იყო წრფელი, გმირუ-
ლი არა, გმირისა არ იყო ის თვალები,
არც არაფერსა მალავდა, ვერც დამალა-
ვდა, მეტიც არაფერი შეეძლო.

— ჰა, ჰა, ჰა... — ჩაიციანა ქალმა, ჩუ-
მდა თითქმის გაუგონრად, ჩაიციანა
ჩუმადა და მწარედ, თავისთვის ჩაიციანა,
სხვამ არც არავინ იცოდა თუ რად შე-
მოსულყო, არც არავინ უთვალთვალე-
ბოდა, ამასაც თურმე არაფერი გაეგებოდა,
ვერც ამ სიცილს მიუხვდებოდა, ნაღ-
ვიან სიცილსა, ვერ მიუხვდებოდა თუ
რა ძალა მოეკრიბა, სანთელი რომ აენ-
თო და შემოეღო კარი; აენთო და შე-
მოეღო, რადგან ყურმოკრულ სიტყვებს
დაერწმუნებინა, მოვიდა გმირიო. გმირს
ელოდა, გმირი უნდოდა, სწყუროდა
გმირი, იცოდა; თვითონა რომ აუცილე-
ბელი იყო გმირისთვისა, თვითონაცა,
სწორედ ასეთი — ლამაზი, დაუმცხრა-
ლი, ვატაცებული, გამტაცებელი, დამ-
პყრობელი და აღმგზნები ძლიერი სუ-
ლისა, ისეთისა არა, ბიძინა რომ ბრძან-
დებოდა, არც ასეთისა, არა, ასეთისა მით
უფრო არა, კემშარიტი სულისა, თავგა-
წირულისა. ეს რად ეკონა? რა ბავშვე-
რი სახეა?! ბავშვი აღარაა რა თქმა უნ-

ოთარ ჩხიძე
გორიანი

და, აღარც ყმაწვილია, იმ ასაკისაა, გძირი რომ უნდა იყოს, მაგრამ ვაგლახ! ეს რად ეგონა?! ხმა აქვს თავისებური, მკვეთრი, თან იღუმალი, რაღაც ფარულთა და საშიშით აღსავსე? სიტყვებიც ასეთი გამოსდიოდა, იღუმალი, ფარული, შიშით აღსავსე. ეს რად ეგონა?! — ჰა, ჰა, ჰა... გააგრძელა ქალმა, ხელი დაუშვა მოწყვეტითა, დაჰქნია, შეათამაშა სანთლის ალზედა, თითქოს რაღაც უამური თუ უწმინდური მოეცხო, უნდა მოიწვას, მოიშოროსო.

— მაგრამ ხალხური სიმღერების შეგროვება რომ განმიზრახავს, სხვა რამ უფრო დიდი განზრახვაც მამოქმედებს, — შესძახა სტუმარმა, მხურვალედ შესძახა, — ოპერის დაწერას ვაპირებ, იცი! ჯერ ეს არავისთვის მითქვამს, მხოლოდ თქვენ გიმხელთ. — დიდი ნდობა იყო, თანაგრძნობა უნდოდა ამ განდობასა და შთამოგონებლობა, ქალი სამისოდ ლამაზიც გახლდათ, ძლიერი სულიცა ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა არ აწყვებოდა, ისევ ჩაიცინა იმ თავისებური, ჩუმი, გულდამწყვეტი სიცილითა, ჩაიცინა და დაეწოდა სანთელსა, უნდა აედო, გასულიყო. მიუხვდა სტუმარი, მიეტანა სანთელს დაწოდებულ ხელსა, მიეტანა, შემოეჭლო. — მხოლოდ თქვენ გიმხელთმეთქი. თქვენ დამიზიარით და მე მოხარული ვარ ამ ტყვეობისი...

უფრო მწარედ ჩაიცინა ქალმა, ჩაიცინა და ხელი გამოსტაცა საწოლიდან გადასწვდენოდა სტუმარი, დანდობოდა იმა ხელსა, გამოეცალა სანდობელი, თავი ვერ შეიმაგრა, დაემხო სანთელსა. არაფერი მომხდარა, სანთელი ჩაჰქრა, თუმცა მოასწრო, წარბები მოეტრუსა, — ეგეც არაფერი, ბევრი არაფერი. მაშინ ვერც გაიგო, ბრაგვანი მოიღო თუ არა, წამოვარდა, მამ რაო, ეგრე სათაკილო ყოფაში ჰო არ დარჩებოდა, უნდა მოესწრო, უნდა შეეჩერებინა ქალი, ვაჟაკობა მართებდა ვაჟაკსა, ჰოდა რახან მართებდა, კიდევაც წამოიჭრა, მაგრამ გვიანდა გახლდათ, გაესწრო ქალსა, ჩქამიც აღარ ისმოდა იმისი, სამაგიეროდ სხვა ჩქამი გაიგონა, ეზოს მო-

ეტანა ის ჩქამი, ჩქამი ელიზბარისა, გვიგონა და შევარდა ლოგინში ცხველებლა, წაინაბა, მოიმძინარა თუ მოიმკვლარუნა თავი.

მოეჩვენა, თუმცა მერეც ვეღარ მიხვდა, რომ მოეჩვენა.. ელიზბარს ჯერ არ ეცალა შინ მოსასვლელადა, მძიმე იყო ის ღამე, მწარე იყო ის ღამე იმისთვისა ოღონდ ჯერაც არაფერი იცოდა, თუმცა იქვე იდგნენ მაუწყებელნი, იდგნენ და შეღონებულებენ, როგორ ვუთხრათო. ექვს აართმევდა ელიზბარი, მაგრამ არ ეცალა, დაჭრილს დასტრიალებდა, — ცხვირში მოერტყათ ტყვია, ცხვირი გაეგლიჯათ, სისხლისაგან იცლებოდა, იტანჯებოდა უწყინარი გლეხი, უწყინარი და ისიც გლეხი, რომ არ გეგონოთ, ვინ იცის თავადიშვილი, აზნაურიშვილი ან მღვდელი, ან მასწავლებელი ბრძანდებოდაი, არა, გლეხი, გვარად ჯოხაძე, სახელად შაქრია. გოგო მოსწრებოდა, თვალშუქიანი, სახემწყაზარი. ეს იყო, დავიდარაბა ამას მოჰყოლოდა. რადე ბლუჯიაშვილი და მიხა ლიჩელი მისჭროდნენ კარზედა, გოგო გამოგვიყვანეო. როგორთუ გოგოიო, აყვირებულა პატიოსანი კაცი. ბიჭოს, ეს კიდევაც უარზეაო, უთაქებიათ და უთაქებიათ, თავი გამოუთქვეფიათ რევოლვერის ტარითა, დაუციათ და ტყვია დაუხლიათ, მთვრალეები ყოფილან, საფეთქლის ნაცვლად ცხვირში დაუხლიათ. კარგი რამის მთვრალეები ყოფილან, თორემ ადვილად დაუსწორებდნენ საფეთქლსა, გულსაც დაუსწორებდნენ ადგილსა, გაწაფულიყვნენ, არ ააცდენდნენ; დაბრალებაშიც გაწაფულიყვნენ: „როგორც ცნობებიდან ირკვევა, — სწორდა ბლუჯიაშვილი, — სოფ. უკულმელაში მცხოვრები შაქრია ჯოხაძე საჭმელს აწვდის ბანდიტ გიორგი უდიშვილს. რომელიც მივედით ამის გამოსარკვევათ მე და უნცმილ მიხა ლიჩელი. უკანასკნელის შესაპყრობად მიღებულია ზომები. ამისათვის ვკითხეთ შაქრია ჯოხაძეს. უკანასკნელი გაიქცა, ეზოში დაგდებულ გუთანს წამოედო და სახნისზე ცხვირი გაიჭრა...“ წერაში ვერ გაწაფულიყო,



მეგრამ ეგ მერე რაო, მთავარია აზრი, მთავარია მზადყოფნა, სიფხიზლეა მთავარზე მთავარი და სწერდა გამოფხიზლებული რადე ბლუჯიანშილი, გორის მაზრის მილიციის უფროსსა სწერდა მეჯვრისხევის რაიმილიციის უფროსი: ამას ვრცლად სწერდა, ხოლო სხვა ცნობებს შემოკლებით ატყობინებდა: „აქში მცხოვრებელმა რკინის გზის ახრანის მოსამსახურემ გრიშა მელაძემ მოჰკლა ვინტოვკით სოფ. პატარა მეჯვრისხევი მცხ. დიმიტრი და ლადო ჩიკოძეები.“ ან: „მეჯვრისხევისა და ხევთისის საზღვრებში მოკლულია მცხ. ქთბილისში შალვა ხეთერელი. უქანასკნელმა ცხენი გაიტაცა სოფლიდან... უთხრეს გაჩერდირ და მოკლული იქნა.“ სამაზრო მილიციის უფროსი თავის მხრით აუწყებდა მაზრის აღმასკომის თავმჯდომარესა, ხოლო ის წითელი ფანქრით წააწერდა „ცნობათ“, წითელი ფანქრითა, ან ლურჯითა, რომელიც შეესწრებოდა ანუ რომელი წვერიც მთელი შერჩებოდა ორწვერა ფანქარსა, წააწერდა და გაატანდა მდივანსა, იქ ამითი მოთავდებოდა, უბრალოდა, უმტივიგნულოდა, განუცდელადა. აქ ჯერ ისევა ბორგავდა შაქრია ჯოხაძე, ბორგავდა, კვენესოდა, გავეშებულიყო უწყინარი, უშფოთველი, აუმღვრეველი კაცი, გასწამებოდა ხორცი, ასწწვოდა სული, ვინ იცის როდის დაუმშვიდდებოდა: ვინც ამშვიდებდა, იმან ჯერ არც იცოდა თუ რა უბედურება დასტეხოდა თავსა. სხვებმა იცოდნენ, იდგნენ მათუწყებელნი, ასუსულიყვნენ, ვერც ვერა ეთქვათ, უთქმელობაც არ იქნებოდა.

VI

ჰო უთქმელობაც არ იქნებოდა და უთხრეს, თუმცა ეგრე პირდაპირადაც ვერ უთხრეს, — კიდევ ერთისათვის უსვრიათო, ასე მოახსენეს, ალბათ გეცნობაო, დასძინეს ასეცა, გეცნობა და მახლობელიც რომ იყოს, გასაკვირი არ იქნებაო, რაც უნდა იყოს, იმდენი რა გადაგიტანია, არც ამისი გადატანა გაგიჭირდებოა, თუნდაც გაგიჭირდეს,

მიხივ გადაიტანო, რადგანო, ნათქვამიც არისო, სიკვდილამდის ვის მოუტლავს თავი კაცსა გონიერსაო; ნათქვამიც რომ არ იყოს, ჭირვარამი ასაკლდევებს ადამიანსა და ერთი ქარიშხალი ვერას დააკლებს სალ კლდესაო, ორიც ვერას დააკლებსო, სამიცაო, რამდენიც უნდა ვთვალოთ ვერას დააკლებსო, სალი კლდე სალი კლდეა და ბევრი ქარიშხალი უნდა, უამრავი ქარიშხალი უნდა, უამრავზე უამრავი უნდა იმის ჩამოშლასაო... ეს მაშინ იყო, ჩქამი რომ გაიგონა, გაიგონა თუ მოეყურა ყოველშემთხვევაში ელიზბარი არაფერ შუაში გახლდათ, არ დაბრუნებულყო, ჯერაც ვერ დაბრუნდებოდა, ჯერ იქით მიეშურებოდა, იქითა.. სოფლის ბოლოსა და რომ მიატანდა ეგრე მალედაც ველარ გამობრუნდებოდა.

აქ ვინ იცის სხვა ვინმე მოაწყდა, ეგება სისხლი დააბორიალებდა ვინმესა, — იცისო სისხლმა, თვალებს აურევს მკვლელსაო; იცისო, ოდონდ მიანც ვინ უწყის ვინ მოსწყდომია? ან ეგების არც არავინა ყოფილა, ეგება გულის ძეგრამ შეაკრთო სტუმარი, ეგება გამოფხიზლდა და დაითაქილა, რა უდიერად ვიქცეოდით, გამოფხიზლდა და ეგონა, ეს არის წამასწრესო. შესაძლებელია! ეს ჰო კეთილსინდისიერი ახალგაზრდა გახლდათ, ადათწიების თაყვანისმცემელი, ერთგული მასპინძელისა, პატიოსნების ერთგული; გახლდათ და წაიტეხა კისერი, ანუ კინაღამ წაიტეხა, აჰყვა, აფოფინდა, ველარ დადრიკა სურვილი. რა ვუყოთ თუ თვითონ არ მიუძღვის ბრალი, რა ვუყოთ, ბრალეულს ვილა გამოიძიებდა, მასპინძელი თუ წაადგებოდა თავსა...

ეგონა წამომადგა და ეს არისო, იტვრინა, მოიმკვდარუნა თავი.

მერე ეგონა, სიხმარში ვარო.. დრო გავიდა რა თქმა უნდა ამ ხანიდან იმ ხანამდისა, ვინ იცის ჩასთვლიმა, ვინ იცის ერთი პირი ძლიერ მოუვიდა, — ნულარ შევალთ ამდენის გარჩევაშია, სათქმელი

ოთარ ჩხიძე
ბორნაიი

ის არის, სიზმარში ვარო, რომ ეგონა, თუმცა მკაფიოდ ესმოდა ფეხის ხმაცა, შელაპარაკებაცა, ნათლად ეჩვენებოდა, შუქი რომ შეჰქონდათ და ვაჰქონდათ, რალაც-რალაცებიც შეჰქონდათ თუ ვილაცაც შეასვენეს, მაგრამ მერე რაო, სიზმარი სწორედ იმისი სიზმარია, ცხადლივად მოგაჩვენებს ყველაფერსა. ვიდრე ასე სჯეროდა, არა უჭირდა რაი, ის გამოცხადებაც სიზმარს მიაწერა და აღარ ერცხვინებოდა მასპინძლისა, რა ვუყოთო, რაც უნდა იყოს, სიზმარი იმიტომაც არის სიზმარი, არ ემორჩილება ჩვენს ნებისყოფასაო. მაგრამ მალე მიხვდა, სიზმარში რომ არ იყო, მიხვდა, რამდენჯერმე რომ მოაწყდნენ ამის კარსა, კიდევაც შემოვიდნენ, შემოანათეს ჭრაქიცა; მალევე გაბრუნდნენ, გაიტანეს ჭრაქიცა, გაიხურეს კარიცა, ოღონდ სულ გაიხურეს, გაეცალნენ სამუდამოდა თუ მალე ისევ შემობრუნდებოდნენ,— ამდენამდის ვეღარ მიატანა გუმანი. ვერც მიატანდა, დაბნეულიყო, დაქარულიყო. მანამდის მაინც არა უჭირდა, ვიდრემდის სიზმარში ეგონა თავი, ზღაპრები ახსოვდა, შთაბეჭდილია საიქიოს მოგზაურობის სურათები სხვადასხვა ნაწარმოებებიდანაცა, შთაბეჭდილია და ცხოვლად წარმოიდგენდა განკითხვასა, მონანიებასა, მსჯავრსა, აღსრულებასა, მარად მღუღარე კუბრსა, შიგ ჩაყირავებულ ცოდვილთა, მარადიულ კოცონსა, კოცონს ჯოჯოხეთისასა, ზედ დაფერფლილთა, შიგ ჩაფერფლილთა, რამეთუ უღირსად ეცხოვრათ ამ ქვეყნადა და იქ, იმა ქვეყნად შეჰკებებოდნენ ღირსეულ სასჯელსა; ჰო წარმოიდგენდა, თუქცა ამისი წარმოდგენა თუ წარმოსახვაც არ იყო აღვილი, განცდა სიზმარსაცა სცოდნია, შიში სცოდნია სიზმარსაცა, მაგრამ იმდენი მაინც არა, ცხადლივმა რომ იცის, არა; იმდენი არა, არც იმისი მესადიო. ვინმემ ეგება გაიხადოს სადაოდა, არც მესადიო და არცა მესათსადიო, თქვას, ვინმემ ეგება უმეტესადაც დასახოს შიში სიზმარისა, მოდი ამას ნუ გამოვეციდებოთ, იმასვე მივუ-

ბრუნდეთ, — მიხვდა, სიცხადე იყო, მიხვდა და შედაგდაგდა. შედაგდაგდებოდა, მამ რაო, შედაგდაგება რა არის, რატომ არ დაიბრუნდა, რად არ დაიშალა ნაწილნაწილადა, — ის ჰო მიხვდა, რომ აკუწეს მასპინძლები, აკუწეს და ახლა ამას დაეძებდნენ. კარიც შეუღეს, ჭრაქიც შეუნათეს, მაგრამ თვალი აეხვათ თუ რა იყო, ვერ დაინახეს, აქ ვერ დაინახეს და სხვაგან დაეძებენ, კარმიდამოს მოედნენ, შეიჭრნენ სარდაფებშია, გაცვივდნენ ბაღსა თუ შეუკებშია, არ წავკვივდესო; იქ ვერ იპოვიან რა თქმა უნდა, იქ ვერსად ვადაწყულებიან და შემობრუნდებიან, შემობრუნდებიან და დააფეთებენ თვალსა, ავერ აქ არა ბრძანებულაო. ასე იტყვიან ბრძანებულაო, ზრდილობიანად მოიხსენიებენ. უზრდელად წამოკრავენ ხელსა, ააგდებენ და გაიგდებენ. ან არც ააგდებენ, არც გაიგდებენ, აქვე აკუწუწვენ, ლოგინშივე აკუწუწვენ, როგორც აკუწუწეს მასპინძლები, არც დააკვირებენ, არც დააკვენსებენ, როგორც არც დააკვენსეს მასპინძლები. თუმცა არა, შეკვივებაც მოესმა, ტირილიცა, რალაც ვედრებისა თუ მუქარის მსგავსიცა, მოესმა ნამდვილიადა, მამ დაკვილება მოუსწვრიათ, ესეც მოასწრებს, უნდა მოასწროს, რალაც შეებაა, რალაც განელებაა სიმწარისა, ოდნავი განელებაც დიდი რამეა, შებრძოლების მაგვარი მაინც არის, ხელთ არაფერი ვიპყრია, გდინარ ლოგინში და რომ ჰყვირი თუ ჰკვივი, ვითომ თავს იცავ. ესეც კარგია, ესეც რალაცასა ნიშნავს, თუ ნიშნავს მართლა რაიმესა, მაგრამ ნუთუ აქ იმისთვის ამოსულა, ეს გაარკვიოს, ნიშნავს თუ არა მართლა რაიმესა, ნუთუ ასე უნდა ელოდოს, ასე საპყარივითა — საპყარი რომ ელის სიკვდილსა და ევედრება, მალე მოდიო, მალე მიხსენიო?! არა, აქ ამისთვის არ ამოსულა და არც დაელოდება სიკვდილსა..

ამის მოფიქრება გახლდათ ძნელი რამ, თორემ მერე სწრაფად აღესრულა ყველაფერი, სწრაფდა, ელვის უმალა,



საქართველოს
წიგნების კავშირი

ხოლო თუ რა აღესრულა, მიჰყევით, მი-
ადევნეთ თვალს:

შალითა გააძრო საბანსა და ზეწარს
გადაანასკვა, საწოლი მიაჩოჩა ფანჯარა-
სთანა, ზეწარი ჩააბა, ჩაასკვნა საწოლსა,
მერე ისროლა ფანჯარაში ნასკვიან-შა-
ლითიანადა. სამოსი დაახვია, დაკუნჭა,
შეხლართა ერთმანეთში და მიაყოლა
შალითასა. ჩამწერი გულზე მიიხუტა,
ვადაჯდა რაფაზედა, ერთი კიდევ შემოი-
ტრიალა თავი, თვალი მოავლო იქაობა-
სა და ჩაეკიდა შალითასა. უცებ ყურთან
გაუხუილა რაღაცამა, კედელს მიასკდა,
ნაფშვენები შეეყარა თვალეზში, მეო-
რემაც გაუხუილა, იქვე ჩაერჭო და აგუ-
რის ნასხლეტმა გადააფხრიწა ლაწვი. მე-
სამე ნასროლიც ეძგერა იქვე. მაგრამ მა-
შინ ის უკვე ძირს ეგდო, ხელი
უშვა შალითასა და ძირს დაეხლერთა.
არ მოხვედრია, ისე დაეხლერთა, არც
დაცემისას უტყენია რამე, მაინც არ წა-
მომდგარა, იყო ეგერ, როგორც დაეცა,
არც იძვროდა, არცა სუნთქავდა, თით-
ქოს არცა სუნთქავდა, ეგრე გაეკ-
მიდა სული. კიდევ მიეფრქვა ტყვიები
ქაობასა, კიდევ ჩამოიფშვნა აგური,
ქვაც ჩამოიფშვნა, კირი წამოვიდა ჩხრი-
ალითა, ზედ გადაეყარა, თითქოს უნ-
და ჩამარხოს, ჩაფლას ცოცხლობრივა-
და, ან გადაეფაროს, დაიფაროს, იხსნა-
სო. უფრო იხსნა, ჩაღუმდა იქაობა და
შეირხა ესეცა, ხელი მოაფათურა, სა-
მოსს ეძებდა, თორემ ჩამწერი ისევე
ჰქონდა მიყუდებული თუ მიხუტებული
გულზედა, ხელი მოაფათურა და სამო-
სსაც წააწყდა. მერე გაცურდა, მერე წა-
მოყელყელავდა, საიმედოდ იფულა თა-
ვი, წამოიწია და აი მაშინ კიდევ აწივლ-
და ტყვიები, ამტვერდა კედელი ხეთე-
რელტბისა, ცაცხვებსაც შემოებდღვნა
ქერქი. ეს მაინც გადარჩა, ალაყაფში შე-
ვარდა. კედელს მოეფარა და ხელები
მოიფათურა სხეთულზედა, საღმე სისხლი
ჰო არ დამდინდათ, — არ დასდენოდა,
სად-სალამათად იყო, ვერ დაეჭვებინა,
ისევე ეძებდა ჰრილობასა, ისევე ეგონა,
აი აჰა, სისხლში ამომხეგრება ხელები,
აი აჰა, ნატყვიარში ჩამეფლობა თითე-

ბიო. არც ამოესვარა, არც არსად ჩაეფ-
ლო, მერე უფრო უშიშარი ადგილი მო-
ათვალეგრა, ბნელოდა, მაინც მოათვალე-
გრა, მიეჩვია თვალი სიბნელესთვისა,
კიდევაც გამახვილებოდა თვალი, გაე-
მახვილებინა, დაეძაბა გაჭირვებასო.
იქვე სარდაფის შესასვლელი ყოფილი-
ყო, წინამო სარდაფისა, იშვირა ფეხი
და გადავარდა თავის ბარგი-ბარხანია-
ნადა. კარებსაც მიეტანა სარდაფისასა,
მიეტანა, მაგრამ ვერ შეაღო, უნდა შეე-
ლო. კარგი საფარი იქნებოდა. უკეთესს
გერც გამოსძებნიდა, აღარც ზგა-კვალი
იყოლა. აღარც თავი ჰქონდა მეტი დავი-
დარაბისა, განსაცდელი გამოიარა, ვაე-
კაცურად გამოიარა და ახლა ცოტახანს
უნდა მოეთქვა სული. მიყუჩებულები-
ნენ თავდამსხმელნიცა, — ან გაფანტუ-
ლიყვენენ, ან ვერ შემოებედნათ ეზოში,
ან თავსუვლიდნენ რაც იყო, იყო, დრო
მისცემოდა, სული მოეთქვა, სამოსი მო-
ერგო და თან ეფიქრა თუ რა წყალს მი-
სცემოდა.

არც ფიქრი დასცალდა და არც მორ-
გება ტანსაცმელისა... მორგებით ბარემ
მოირგებდა, მორგებულნიცა ჰქონდა და
კიდევაც მოირგებდა, გამოეწყობოდა,
თუმცა უხერხული დრო დასდგომოდა,
უხერხულ ადგილასაც მოხვედრილიყო.
მაინც გამოეწყობოდა, მაგრამ ვერ გა-
მოეწყო და ვერც გამოეწყობოდა, რად-
გან შარვალი დაჰკარგოდა. ახლა ეს გა-
უხდა თავშისაცემი და გადასლო ფიქრი
იმისა თუ რა წყალს მისცემოდა. ფიქრი
მაინც არ დასცალდებოდა, აივანი შეზა-
ნზარდა, მერე აბრაგუნდა კიბეები, ჩა-
მოიბრინა ერთმა, მეორემა, მესამემა,
შეიძლება. მეოთხემაცა, მეხუთემაცა,
შექუძლებელი არაფერია, მაგრამ ამას
სათვალავი აერია და იქ შეეჩერდეთ, სა-
დაც აერია სათვალავი. ჰო კიბე ჩამოირ-
ბინა სამმა, სამივე გავარდა გარეთა,
გასტვინა, გაჰკვილა სამივემ, არავინ
გამოეპასუხა, ტყვიაც არ მიაყარა, არა-
ვინა, ამათაც იტორღილეს იქვე ორი-

ოთარ ჩხვიძე
ბორიანი

ოდ წუთსა, მერე შემობრუნდნენ, აარა-
ხრახეს კიბეცა, აივანიცა, ისევ აარა-
ხრახეს და შიგნით შეიკრიფნენ. ამას კი-
დევ ერთხელ დაუარა შიშის ზაფრამა,
კიდევ დაიკუნტა ცხრაკეცადა, დაიკუნ-
ტა, დაილია, დაიწრიტა, ლამის ჩაეტია
სარდაფის კარის კუჭრუტანაში; ლამის
ჩაეტია მაგრამ ვერ ჩაეტია, ვერც ჩაე-
ტეოდა რა თქმა უნდა, მხოლოდ ხმა გა-
მოსცა კარმა, შეჭრიალდა, შეჭრიკინდა,
გაიჭახუნა, სწორედ მაშინ გაიჭახუნა,
კიბე რომ აარახრახეს იმა სამთა. კიბე
აარახრახეს, ჭრიკინი თუ ჭახუნიც არ
გამოეპარათ ან ერთ-ერთს არ გამოეპა-
რა, შიგნით რომ შევიდნენ, გაელაპარა-
კა დანარჩენებსა, დაეკევა, დაიყაბულა,
მალევე გამოიყვანა გარეთა. ისევ ჩამო-
იბზინეს, ჯიქურ ეძგერნენ სარდაფის
კარსა, ერთბაშად ჩაავლეს ხელი იმ და-
კუნტულ დაკუმუჭვნილ კაცსა, ჩაავლეს
და აიტაცეს, ვითომც ბუმბულიაო, აი-
ტაცეს, აარბევინეს...

მაშინ შიში აღარ უგრძენია, მხოლოდ
მოუთმენლად ელოდა, კიდევ რა მოხ-
დებოდა. ეგება სწორედ ეს განჯავთ ში-
ში, შიში ვინ უწყის ეს არის, ოღონდ
რაც არის იყოს, ის აღარაფერს განი-
ცდინდა, აღარას გაუბრბოდა, არაფერს
მიეტანებოდა, ვერც ვერაფერი დაენახა,
მომჩვარებულებიყო, მინებებოდა მსახე-
რი ძალსა. მინებებოდა, ოღონდ ხმამ
გამოიტაცა იმა მინებებიდანა, მივიწყე-
ბიდანა, მიკარგულობიდანა, ის ხმა ელი-
ზბარისა გახლდათ, მწუხარებით აღსავ-
სე ხმაი, ცრემლით დატენილი, დატენი-
ლი მღუღარებითა, — რა მოგივიდა, რა
დაგმართნია, რა დღეში ხარო. თვითონ
შეძრწუნებულიყო, ამისთვისაცა ჰყო-
ფნოდა ნუგეში იმა ნუგეშმა თუ გაამხ-
ნევა, თვალი აუხილა, ყურადღება დაუ-
ბრუნა და სანთლები ატყიალა თვალებ-
ში. სანთლები ენთო ტახტის თავთანა,
ორი კელეპტარი ენთო, სხვა — პატარა
სანთლები. სანთლები დაჰნათოდა, სუ-
ღარასა. სუღარა თავიდან ბოლომდის
გადაჰვენოდა ტახტსა. ვილაც გაშოტი-
ლიყო სუღარის ქვეშა, ვილაც ვეება ვა-
ეკაცი, გაშოტილიყო, გათავებულიყო.

იქით კუთხეში თეკლა იჯდა, გამშრალი,
გაქვავებული, ქანდაკეული, ^{საქმე} ელიზბარი, ისევ გამშრალი, ^{მანამდის}
ალბათ გაქვავებული, ხოლო მაშინ უკვე
ამოძრავებული, ზრუნვიანი, ამისის და-
რდით შეფიქრიანებული, — რა დაგმა-
რთნია, რა დღეში ხარო.

ის სამნი თუ ოთხნი ჩამოეხსნენ, შეუ-
შვეს ხელი, მორიდებით მიდგნენ კარ-
თანა, კარებში იდგნენ, კართანვე აიტუ-
ხნენ, აღარც ხმა გაუღიათ. ამას ისინი
აღარც ენაღვლებოდა, სირცხვილმა და-
რია ხელი, სანახევროდ შიშველი იდგა
ქალის წინაშე, ჩამწერი ისევ გულზე
ჰქონდა მიხუტებული, ის მოიშველია,
ხან სად მიიფარებდა, ხან სადა, სიშიშ-
ველ ეგება დამიფაროსო. გუნებაზე არ
იყენენ, თორემ სასაცილო იყო. კართან
აბუხულები გარეთ გაიკრიფნენ, არც
იქ გაუცინიათ, საგულდაგულოდ მოი-
ფათურეს იქაობა, სამოსი შეუფროვეს,
— ზოგი სად დავარდნოდა, ზოგი სადა,
კიბეზე, სარდაფის კართანა, შარვალი
ჰო ცაცხვებთანვე დაჰკარგოდა, ისიც
უპოვენს, მოუტანეს, გაუწოდეს, ჩაიცი-
ვიო. ელიზბარმა არ დაანება, უბრალო
ხალათ-შარვალი გამოუტანა, როგორ-
საც ურჩევდა, ისეთები გამოუტანა, უბ-
რძანა, ესენი ჩაიცვიო. დიხახც უბრძანა,
თუმცა არ უთქვამს მაღალი ხმითა, არც
თვალეები დაუბრიალებია, ხელებიც არ
გაუქან-გამოუქანებია, მაგრამ ისე თქვა,
ალი წაიხარა სანთელთა, და, რომ აიმა-
რთა, ეს უკვე გამაღებით იცვამდა იმ
უბრალო ხალათ-შარვალსა. მერე ისიც
უბრძანა ელიზბარმა, ჩემს გვერდით
ჩამოჯექიო. უხმოდ აღუსრულა, ჩამო-
ჯდა და მუხლებზე დაიდო ჩამწერი, ზე-
ღვე გადაიწყო გამტკრიანებული, ნა-
თრევი, ნაწვალეები კოსტუმში. ეგეც არა-
ფერი, გაწმენდა, გაასუფთავებდა, ჯერ
ეს გაეგო, რას ინებებდა ელიზბარი ან
რა მომხდარიყო, ვინ გაშოტილიყო სუ-
ღარის ქვეშა. ეს რომ იკითხა, თავისთ-
ვის გულში იკითხა და პასუხად ქვითინი
აუვარდა, მიხვდა, რაც მომხდარიყო,
მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო. ქვითი-
ნი აუვარდა და იქვითინა კარგა ხანსა.



არავის უცდია იმისი დამშვიდება, კრინტი არ დაუძრავს ელიზბარსა, თეკლა ისევე იჯდა, გაქვავებული, ნაქანდაკევი, კართან ატუზულნი, სულაც წასულეყვნენ ან ეს ველარასა ჰხედავდა, ველარასა და ველარავისა, გარდა იმისა თუ როგორ დაფარფატებდა სანთელთა ალი სულარაზედა, — აბრიალდებოდა და გადაილანდებოდა, გადაილიბრებოდა და აენთებოდა, მერე ლანდები შეითამაშებდა და აპწკიალდებოდა ნაღვენთი. ამისი თვალუბიც აპწკიალდებოდა მაშინვე, ეწვოდა თვალუბი, ერთად მოეყარა ამდენ განცდასა, ცრემლად მოდიოდა, გული ჰპოვებდა შვებასა.

ჰპოვებდა თუ არა ჰპოვებდა, ე ცრემლი წამოეფრქვა და, როგორც წამოეფრქვა, ისევე დაეწრიტა, ეს მაშინა ღმუილ-ზმუილი რომ მოესმა გარედანა, ჯერ გარედან მოისმა, მერე კარი შემოაღო და, კართანვე რომ წაემხო, შუბლი ტახტს ახალა ლეკო თაფაშელმა. კართან ატუზულნი მართლაც გაკრეფილიყვნენ ლეკო მოეყვანათ, თან მოჰყვნენ და იქვე აიტუზნენ. ლეკო ღმუოდა, ლეკო მოსუტუნებდა, თავში იცემდა, — მე რად არ ვიყავი შენს ადგილასა, მე რად არ მოგვედი, მე რად არ მომქვდესო. აცადა ელიზბარმა, თეკლაც არ შეპასუხებია, კრინტი არ დაუძრავთ კართან ატუზულთა, ამასაც დაეწრიტა ცრემლი, გამზა ესეცა, ჯერ სამოსი დაუხურდა, მერე ხმის ჩამწერიცა, დაიხურა, დაეცა იატაკზე, ოღონდ რბილად დაეცა, ქვეშ მოჰყვა სამოსი, ამას არ გაუგია ან ვერ გაჰბედა შერხეულიყო. ლეკო იბეგვავდა თავპირსა, მოსთქვამდა, იხოკდა წვერსა, იდგა წუთი შეუბედავი, შეუხებელი. მერე შეეხნენ, წაიხარნენ, წაიხარნენ კართან ატუზულნი, წამოაყენეს, დასვეს ჰირისუფალის გვერდითა, მაშინ იმას გადაეხვია მოტირალი, დაჰქეითინა გულზედა, გულში ჩაჰქეითინა. ესეც მოთავდა, სული მოითქვა, მოიშრო ცრემლი და უკვე თავისი ხმით იკითხა, როგორ მოხდაო.

— ეს უნდა გავიყვანოთ... — ელიზბარმა თქვა.
 — უნდა გავიყვანოთ. — მაშინვე ჩაება ლეკოცა.
 — აქეთ არ ივარგებს...
 — არა, აღარ ივარგებს. — არ დააცადა ლეკომა.
 — ვგონებ უკეთესი იქნება..
 — უკეთესი იქნება. — დაუდასტურა ლეკომა. ეს სხვა ლეკო გახლდათ, განა ისეთი, ამას რომ ახსოვდა, ნაცემ-ნაბეგვი, სამოსშემოხეული, არა, რა სათქმელია, სხვა ლეკო გახლდათ, დაწმენდილი, გასუფთავებული, განბანილი, გაუთოვებული, ცოცხალი, მკვირცხლი, ამყოლ-დამყოლი, ცოტა დაუფიქრებელი, ცოტა თამამი, ცოტა მშინარაცა, — ანუ ისეთი, როგორც გახლდათ; გამოშუშებულიყო, გამოახლებულიყო მოვლითა, წამალ-მალამოთი, გამოახლებულიყო, ოღონდ ისეთივე გახლდათ. უკეთესი იქნებო, რამდენჯერმეც გაიმეორა.

ელიზბარმა დააცადა, ამას უნდა დაეცდია, თორემ ის არ დაეცდიდა, ამან დააცადა და იმანაც მოკუმა პირი.

— უკეთესი იქნება, კავთისში გახვიდეთ. — განაგრძო ელიზბარმა და ლეკომაც გაალო პირი. ხელი აიქნია ელიზბარმა. ლეკომ წამოახველა, ვითომდა რაო, მეხველებოდაო. — სოფელს აუქცევთ რა თქმა უნდა, — ისევე ელიზბარმა თქვა, — კათარელთა სასახლეს შეეფარებით. იქ დაიღამებთ ხვალინდელ დღესა. იქაობა მოინარიკლეს, ექვი თუ არ ავართვეს აღარავინ გაეკარება. შენი სიფრთხილის იმედი მაქვს. — კიდევ გაალო პირი ლეკომა, კიდევ აიქნია ხელი ელიზბარმა და კიდევ წამოხველება ამჯობინა ლეკომა. — შენი სიფრთხილის იმედიცა მაქვს და ძიაც ილონებს თავისასა. ქალბატონ ეფემიას წამლებს წაუღებთ. ძიაც თავს გამოიდებს, არას გაგვიჭირვებთ. ეს ამაღამისა და ხვალინდელი დღისა... ხოლო ხვალ დამიან პირდაპირ ნატბისისაკენ აიღებთ გეზსა. მოერიდებით სოფლებსა თუ

ოთარ ჩხიძე
 გორიანი

საამისოდ არაფერი მიუგო ელიზბარმა.

კალოებსა. მრწყევლებიც გამოვიდნენ უკვე, მოერიდებით მრწყევლებსაცა, თქმა არც გინდათ, მოერიდებით ყველასა და ყველაფერსა, ლიახვებზე ფონებსაც არ დაუწყებთ ძებნასა, დაკლებულია წყალი, სადაც გახვალთ, ყველგან ფონი იქნება. ერთი სიტყვითა პირდაპირ ნატბისისაკენ ზილებთ გეზსა, იტრიელე-ბთან მიხვალთ და მერე იმათ იციან, ქარელს გაიყვანენ ან აგარას გაიყვანენ, იმათ იციან, გაამგზავრებენ თბილისსა. გაამგზავრებენ, იმათ ეგერრიგად ვერ შეუვლენ, ისინი ჯერ არ დაშლილან და ადვილადაც ვერ ეკარებიან... ჰო შენ იცი, შენი იმედი მაქვს...

— რა ბრძანებაა, აბა ვისი იმედი გე-ქნება! — შესძახა ლეკომა, დრო მომეცაო, იფიქრა და შესძახა მოჩქარებითა, კიდევ არ ამიქნითს ხელიო.

— კეთილად გველოთ... — ჩაიღუ-ღუნა ელიზბარმა.

ეს მიხვდა და წამოდგა.

— ახლავე მივდივართ? — გაიკვი-რვა ლეკომა.

— ახლავე... — კბილებში გამობზარა ელიზბარმა.

— რა თქმა უნდა, ცხადია, აუცილე-ბლად ახლავე, დაუყოვნებლივ, — მხუ-რვალედ დაატანა ლეკომა, — აბა! — შეუძახა კართან ატუზულებსა, გაგვიძე-ხითო. იმათ მხოლოდ გზა დაუთმეს და ცოტა არ იყოს შეცბუნდა ლეკოი.

— შენ განდობ... — აუხსნა ელიზბარ-მა. — ამათ როგორც ენებოთ, წავიდ-ნენ, მოსვენონ...

— ნწ... — თითქმის ერთად შეიხმინა სამივე, — ასეთ ყოფაში მარტო რო-გორ დავტოვებთ, ექიმო?! ნწ... არა...

— სოფელს მაინც გააცილეთ...

— სოფელსა?! ჰოოოო... — ესეც ერთადა თქვეს, ერთნაირადვე გაავრძე-ლეს.

გადაწყვეტილიყო გადასაწყვეტი, ეს-ენი უნდა დარჩენილიყვნენ, წასულიყ-ვნენ ისინი, ამათ გზა უნდა გაეთავაზები-ნათ, მიცვალებული უნდა გამოეტირათ წამსვლელთა და მოიმართა ლეკოცა, მოიმართა და ვერც მოიმართა, უფრო

აიძუტვა შიშატანილივითა, ისე შეჰკვივლა თეკლამა:

— ო, უბადრუკნო, უქნარანსო, უმწყურ-სებო!... — შეჰკვივლა ისე, არც შერხეუ-ლა, გაქვავებულს ამოსდიოდა მწარე ხმაი, მწარე სიტყვები, — წადით, გაიძუ-რწეთ, უშველეთ თავსა, გაიძურწეთ სა-თითაოდა და სათითაოდაც ჩაახოცინეთ თავი, ო, უბადრუკნო, წადით, წა-დით, ო, უბადრუკნო! თქვენ გერქვათ ვანა მეთათრნი, ჰა, ჰა, ჰა... თქვენ გა-მოატარეთ ერი ბედუჯუღმართ საუკუ-ნეებში, თქვენ იხსენით, თქვენ გადაარ-ჩხეთ?! ჰა, ჰა, ჰა... თქვენ აღმოგაჩნ-დათ საარაკო გონიერება, ძალაც საარა-კო, მოხერხება ზღაპრული, თქვენ გა-დაურჩით მრავალ ურდოთა, გადა-ურჩით და გადაარჩინეთ ყველა თქვე-ნინანი, თქვენ იყათ ვანა?! ჰა, ჰა, ჰა... საით გარბიხართ, რამ დაგაგლახაკათ თუ თქვენ იყავით?! ჰა, ჰა, ჰა... ვის ეგო-ნა, რომ მოგდგამდათ სული დიდი წი-ნაპრებისა, ვინ მოგანდოთ ჩარხი ჩვენი ცხოვრებისა, ვინ იყო იგი, ვინ გადაგვი-დგა, ვინ გაგვწირა ასე უღვთოდა, ვინ იყო იგი, მძვინვარი!.. ვის ეგონენით შთამომავალნი გმირებისა ჭიალუანო, ნამციკანო სულითა, გულითა, ნამციკა-ნო, ჭიალუანო, თქვენა ხართ გმირნი, სად არის გმირი! გმირები უნდა ქვეყა-ნასა და ჭიალუებს შესჩეჩებიათ ხელ-ში ბედი ერისა, ო რა დრო დამდ-გარა, დრო განწირვისა, გარდაგები-სა... ბარემ გაიპოს მიწა და თან ჩავიტა-ნოთ, გაიპოს მიწა, გაიპე მიწავ, გაიპე მიწავ!... ჰა, ჰა, ჰა, დაიმაღენით, მტვრად იქეცით, არცა ყოფილხართ მეტი მტვე-რზედა...

— ძვირფასო თეკლა! — ამოსთქვა ლე-კომა, ან აქამდის როგორ დაითმინა, მა-გრამ ახლაც სადაც ამოსთქვა, იქვე ჩას-თქვა.

— ხმა ჩაიწყვიტე უბადრუკო, — კიდევ უფრო შეჰკვივლა თეკლამა და თითქოს ქანდაკება უნდა მოიმზღვლესო, ისე შე-ქანდა, — ღირსი ხარ ვანა ამა ენისა?! სხვა ენა ჩაიდგით, სხვა ენაზე თქვით თუ



რამე გინდათ, თუ რამე გეთქმით, ნულარ შებილწავთ ჩემსა ენასა.

— ძვირფასო თეკლა.

— ხმა, კრინტი-მეთქი...

ხელი აიქნია ელიზბარმა, ადგა ჭირი-სუფალი. ქანდაკება ისევ მიქვავდა, თავი ჩაჰკიდეს დანარჩენთა.

— იარეთ... ყველაფერს ვერ ატარებ... იქ დაგზვდება... იარეთ!... — ჩაიდუღუნა ელიზბარმა. ხელი გაუწოდა სტუმარსა, ოდნავ, სულ ოდნავ მოუჭირა ხელი, გაამხნევა, დააიმედა.

გავიდნენ, წავიდნენ, ჩქამი არ გატეხილა, ისე გავიდნენ.

VII

მერეც უბრად იარეს, თუმცა გვარიანი ენაწყლიანი გახლდათ ლეკო თათა-შელი, ენაწყლიანი გახლდათ, მაგრამ ცოტა მშიშარაც იყო-მეთქი, ავი მოგახსენეთ, — ჰოდა რახან მოგახსენეთ, თქვენვე მიხვდებით, შიში უშრეტდა ენის წყალსა, შიში ღამისა, მღუშარი, გატყრენილი ღამისა. ღამეს ყოველთვის გაუბრბოდა, მოთავეობა თუ წინამძღოლობა არა სჩვეოდა, გაუბრბოდა თუ არა სჩვეოდა, ახლა მოულოდნელად დაჰკისრებოდა, უნდა გაეძლო, უნდა აეტანა. კიდევაც გაუძლო დღემილსაცა და უგზოუყვლობასაცა. უგზოუყვლობასაცა მაშა, — უგზოუყვლოდ იარეს, თუმცა კარგი საურმე გზა იყო კავთისამდისა, გზაზე დააყენეს გამცილებლებმაცა, მაგრამ მიეფარნენ თუ არა ისინი, გადაეშვა უგზოუყვლოდა, გადაეშვა და თან გადიყოლა ისიცა, ვისაც მიუძღვოდა, რაღა თქმა უნდა თან გადიყოლა, ესეც შიშისა გახლდათ, ელიზბარს ასე არ დაურიგებია, თქმით არ უთქვამს, ოლონდ სწორედ ასე გულისხმობდა, გზას არ დაადგეთო, გულისხმობდა და იმეორებდა, იმდენჯერ იმეორებდა გულში, ისე შეჰყურებდა უსიტყვოდაცა, ვინ იცის, ვინ უწყის, შეიძლება ასედაც იფიქროს ვინმემაც, მაგრამ აქ შთაგონებაც არ იყო საჭირო, ისედაცა სჯეროდა ელიზბარსა, თუ გაჰბედავს ღამით სიარულსა ლეკოი, გზაზე

არ გავა, ისეთი მშიშარააო, იცნობდა, იცოდა... და მისდევდნენ ხან ძეძვიანსა, ხან ხევთურას ფლატეებსა, ხან ღობე-ყორეში გაიხლართებოდნენ; მინდვრად იმდენი არაფერი, მინდვრად რუბეში თუ ჩაიხინცებოდნენ, იმდენი არაფერი, ხნულეზე თუ ვადაბამდნენ, ეგეც არაფერი, სიმინდებში თუ მოხვდებოდნენ, კიდევაც უკეთესი, მაგრამ ერთი ხანობა ახალნარწყავ ხნულში ამოჰყვეს თავი, ძლივძლივობისას გააღწიეს ამოლაფულებმა და დასწყევლეს მინდორიცა, გულში დასწყევლეს, ხმა მაინც არ ამოუღიათ.

ხმა არ ამოუღიათ, მხოლოდ ქაქანებდნენ, ქასქასებდნენ, ჭრიტინებდნენ, ისე ითქვამდნენ სულსა, ისეც მიატანეს კათარელთა სასახლესა. კიდევაც ინათა, ცისკრის ნათელში აილანძა სასახლე კათარელთა, დაილია გაძაღლებული ღამე, შეფიცხდა იმედი მოსვენებისა. სტუმარმა შეისვენა, უკვე ახლოსა ვართო. ლეკოც შეჩერდა, შეჩერდა ცოტა არ იყოს დაბნეული, თავგზადაკარგული, იმედდაწყრული, გაცბუნებული. არ უნდა გაცბუნებულყო, აქეთ არ უნდა წამოსულიყო, რა ვუყოთ თუ აღუთქვა ელიზბარსა, მერე რაო, განა როდის იყო, რომ აღსრულებდა აღთქმულსა თუ დანაპირებსა, — არც არასოდესა, შეჰპირდებოდა, ვისაც როგორა სურდა, მერე იქცეოდა თავის გუნებისადა, იქცეოდა, როგორც უჯობდა, მღუღარეში თითს არ ჩაჰყოფდა, ძილს არ მოიკლებდა, ოფლს არ მოიღენდა. ახლა რაღა დამართნოდა, — ოფლიც მოსდიოდა წურწურითა, ძილიც გასტეხოდა, ცეცხლშიც ამოეყო თავი. აქეთ რამ წამოიყვანა, ვერ გადაუხვია, ვერ მიაღდა უფრო საგულდაგულო სადგურსა?.. ღამე იყო და ჰერ მიადგა, ღამე იყო და ვერ გადაუხვია ელიზბარის ნათქვამსა, ღამე ერეოდა, სძლევდა, იმორჩილებდა, თეთქვავდა შიში ღამისა. იცოდა ელიზბარმა, ამი-

ოთარ ჩხიძე

პირიანი

ტომაც დაავალა, მხოლოდ ღამიან იარე-
თო, მინათითებს არ ასცდებოდა ღამიან-
ნა, ვერ ასცდებოდა, ვერ წაუვიდოდა,
ღღისით სხვა იყო, ღღისით თვითონ
იცოდა, სადაც ერდო მაღალიო, მეც
იმისი მაყარო. კათარელთა სასახლის
მაყარიც ბევრჯერ ყოფილა, ყოფილა,
როცა ერდო მაღალი იყო, ძალიან მაღა-
ლი იყო, აქეთ მაინც ყველაზე მაღა-
ლი, მაგრამ დაცემულიყო ერდო კათა-
რელთა, დაცემულიყო სასახლე კათა-
რელთა, მაშ რაღას მოსულიყო, რამ მო-
ათრია, ჰკუთა თუ არ იყო, ფეხებს მაინც
რაღა დამართნოდა, ნეტავი აქეთ რად
მოათრევდა... ინათა და მაშინდა მოი-
ფიქრა ამდენი.

ინათა და დანარჩენსაც მოადევნებდა,
გამართულ ოჯახებს გაიხსენებდა, ჯერ-
კიდეც გამართულებსა, ჯერ კიდევ
ერდომალეებსა, იქით მიასწორებ-
და, — ეგერ, ეეე... სოფელიც ალანძუ-
ლიყო ცისკრის ნათელში, კათარელ-
თა სასახლის მიღმა ალანძულიყო.
ეს უკვე მოდევნება გახლდათ, ფიქრმა
აიშვა, გავიდოდა, გაიგანებდა, გაიტანდა
გასატანსა. მაგრამ მანამდის ესეც უნდა
გაეგო, ვინ ასდევნებოდა, ვინა ბრძანდე-
ბოდა, რა უნდოდა, რად ასდევნებოდა
ღამესა ან რად მოიწევდა მაინცდამაინც
კათარელთა სასახლისაკენა? ამის გაგე-
ბაც არ გაუჭირდებოდა, ჰკითხავდა და
გაიგებდა, სხვაც არაფერი გაუჭირდე-
ბოდა, რახან გათენდა, რახან გათავდა
გამძლლებული ღამეი. და ის იყო თქმა
დაპირა, პირიც გააღო, ვერ მოასწრო,
ჯერ იმისი შეკითხვა გაისმა:

—რა სუნია?!

—დამწვრისა... — მიუგო ლეკომა.

— დამწვრისა?!

— დამწვრისამეთქი... — ხმაში წყრო-
მა შეეტყო ლეკოსა, ხმის ამოდება რად
დამასწარიო, წყრომა ამისი იყო, თორემ
სალაპარაკოდ რომ იწვევდა, მიხვდა, კი-
დევაც ესიამოვნა; თუმცა გამოწვევა
რად უნდოდა, გათენდა, თვითონვე წა-
მოქენჩრილიყო, მაგრამ სხვა უნდა ეთ-
ქვა, ეს კიდევ სხვასაც უმატებდა, მიე-
ცეს და მიემატოსო, ამასაც ეს ენება,

დამწვრისამეთქი... — უფრო რბილად
გაიმეორა. რა დამწვარაო, ამასაც ვინა
ხავ, ვიცი, ვიცი, ნუ შეწუხდები, რახან
დავიწყე, ბარემ ყველაფერს მოგახსე-
ნებ, რა დამწვარა და სასახლე კათარე-
ლებისა. ჰხედავ; აბა კარგად დააკვირ-
დი, სასახლეა განა გადაბუგული სასახ-
ლეა, გადარუჯული კედლებია, მეტი
აღარაფერი. გარშემო დიდი გაღავანა
ერთყა, კოშკებითა. აი ჩვენ რომ ვდგე-
ვართ, აქ ვადიოდა გაღავანი. სადღაა
გაღავანი? ეეე... ან კოშკები სადღაა,
ან ბედლები, ან ძარები, ან საბძლები,
თავლები სადღაა? ქვა-ქვაზე აღარ და-
უტოვებიათ, გაიტაცეს და გადაბუგეს.
იწვოდა, ჩაიფერფლა, ჩამქრობი ვინ
იყო, დიდხანსა ხრჩოლავდა, სუნიც ჩა-
რჩა და იქნება ასე, ალბათ აღარასოდეს
გადაივლის ეს დამწვრის სუნი... ჩუუ-
უუ... — უცებ მოადევნა და ჩაჯდა, ჩაი-
კუნტა, ვინმე თუ მოეჩვენა. არავინა
სჩანდა, არც მოეჩვენებოდა, სავარაუ-
დოა, მიხვდა, ხმაპაღლა ვლაპარაკობო
და შეეშინდა, თუმცა ინათლა, მაინც
შეეშინდა, განა მარტო ღამისა ეშინოდა.

ამას რატომღაც არ შეეშინდა, მხო-
ლოდ მიმოიხედა, ჩაჯდომით მაინც ჩა-
ჯდა უნებლიედა, ეს დაღლილობისაც
იყო, იმისაცა, წინ რომ თურმე მოსვე-
ნების იმედი არა ყოფილიყო; თურმე
გადაბუგული სასახლე ალანძულიყო
ცისკრის ფერებში და იღვა სუნი სი-
დამწვრისა, ცისკრისფერებში იღვა ის
სუნიცა, გაუნელებელი სუნი.

—რაღა გეწვევლება? — იკითხა სტუ-
მარმა.

—უსაშველო შენი მტერი იყოს. —
ეს მხნედ ამოსთქვა ლეკომა, მხნედა,
ოლონდ ხმადაბლადა, — მაგრამა, მაგა-
რიც ეს არის, რომა ვიდრე საშველი გა-
მოგვიჩნდებოდეს, ჩემო კეთილო და
მოწყალეო ხელმწიფევე, ეგება მაცოდი-
ნო, ვინა ბრძანდებით.

—სახელად ნიკუმას მიწოდებენ... —
მყისვე გამოეხმაურა თანამგზავრი, თუ
ეს არის მთელი დაბრკოლება, როგორ
დავხანებ, გვარსაც ახლავე მოგახსე-
ნებ, მამის სახელსაცა, ავტობიოგრაფი-



ასაც მოგიყვები, გაივლო გულში, გულშიც გაივლო და კიდევაც მოაღვენებდა, მაგრამ სიტყვა ჩაუჭრა ლეკომა:

— ეგ „უშა“ არ მომწონს, ნწ... არ მომწონს, შენ როგორც გენებოს, მაგრამ მე არ მომწონს და რაც არ მომწონს, არც გავიმეორებ...

— ისე... — ესეც საჩქაროდ მოაღვენა თანამგზავრმა, ემანდ არ შემომწყურეს ეს ერთადერთი იმედაო, — ნათლობის მიხედვით ესტატე მქვიან, ოღონდ ასე არაფერს მიწოდებს და არც მე მომწონს...

— რას მიქვიან არ მომწონსო?! წყრომისადა თქვა ლეკომა, ნათლობის სახელი არ მომწონსო?! სადაური რა არის?! აღამიანობა ნათლობა გახლავთ და ნათლობის სახელი დაგიწუნებია, ურჯულოს გზაზე შემდგარხარ და ის არის...

— არა, ასე ნუ ბრძანებთ... — აქ მაინც დაშინდა თანამგზავრი ან ითაკილა, ურჯულობა რად დამწამაო.

— ესე ვბრძანებ და ესედაც გავიმეორებ, — არ დაინდო ლეკომა, — მე ჩემდათავად ნიკოს დაგიძახებ და შენ, როგორც გენებოს, გინდა გაიგონე და გინდა არა, ჩემო კეთილო და მოწყალე მბრძანებელო.

— გავიგონებ... — ადვილად დაეთანხმა თანამგზავრი.

— მაშ რას იზამ, წინ წყალი, უკან მეწყერიო, მეტი რა გზა გაქვს... ამანაც შეაკრთო თანამგზავრი:

— ბატონი ელიზბარი ასე არა ბრძანებდა...

— მე ვბრძანებ, აქ მე ვარ და არა ელიზბარი.

— მაგრამ ...

— რის მაგრამაო, რა მაგრამაო, აქ მე ვარ-მეთქი, და თუ არა გჯერა, მე რომ მე ვარ, და თუ არ მოგწონს, მე რომ ვარ, შენ შენთვისა და მე ჩემთვისა. — ტუჩები გაბუსხა ლეკომა, წამოაღდა ეგრე გაბუსხული, წავიდა მოჩქარებითა.

ესეც წამოაღდა, მოჩქარებით დაავლო ხელი ჩანთასა, აქამდის ლეკოც ეშველებოდა, ახლა თვითონ წამოიკიდა და წავიდა.

— არ მითქვამს, არა მჯერა და არ მომწონს-მეთქი, — მისდევდა და მისდებოდა სტუმარი, — არაფერი ამის მსგავსი მე არ მითქვამს და დავიფიცებ, გულშიც არ გამივლია. მჯერა, თქვენ რომ თქვენა ბრძანდებით, მჯერა და ძალიანაც მომწონხართ. მოითმინეთ, თუ შეიძლება, ის მაინც გამაგებინეთ, სადა მტოვებთ და საით წავიდე... — აქ რაღაცას წამოედო, წაიფორხილა, გასწორდა, ისეე გაეკიდა, ისეე წამოედო და წაიქცა, თითქოს რაღაცა ჩაფშხენა დაცემისასა, წამოდგომისასაც ეფშხვნებოდა, რაღაცა, რომ მიბოლოდა, მაშინაც ხრამხარტუმი გაჰქონდა ფეხქვეშა, მაშინ ყურადღება არ მიუქცევია, ახლაც გაუელვა და გადაუჭრა ფიქრიდანა, ადვილადაც ვერ გააჩრევდა ცისკრის ფერებში, ადვილად ვერ მიხვდებოდა, რა იყო და რისგან იყო. ლეკომ იცოდა, რა თქმა უნდა, ხანძარს ჩაებუვა ბალი სსახლისა, იშვიათი და უცხო წიწვანნი, სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოზიდული, გახარებული რის ვაივავლანითა ჩაებუვა დეკორირებული ბუჩქნარები, ფანატურები, ჩაებუვა და ჩაენახშირებინა. მერე ნახშირი ეზიდათ, სულ ვერ გაეზიდათ, ან დაეწუნათ წვრილწვრილები, მოღავებულიყო, იქნება მოთენთიანებულიყო ნახშირითა, ნახშირი ხრამუნობდა, ნახშირზე დაეცა, ნახშირი აჰყვა ჩანთასაცა, ხელბსაცა, სამოსსაცა, ხსუნის ლაფიც ვერ არ შემორობოდა, ნახშირიც აჰყვა, მოედო, შემოერთყა.

ლეკოც მიეშველა წამოდგომისასა, ხელიც გაუწოდა და სიტყვაცა, სიტყვით უფრო წამოაყენა:

— არც მიმიტოვებინაო და არც მიგატოვებ, ოღონდ არ გამაბრაზო, მეტი არაფერი, მეტი არაფერი, განა სხვა რა-მე პირობასა გთხოვ? ნწ... არა, არ გამაბრაზო. ესეც იცოდე მე ვერაფერი გამაბრაზებს და შეიძლება უცბადაც გავაბრაზდე, გეგონოს ვითომც აქ არაფე-

ოთარ ჩხიმიძე
აორიანი

რიაო, მე იმწუთს ვინ იცის ტანისამოსი შემოვიფიქლოთო. არა, ამას არ ვიზამ, ამისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ სხვა რამეს ვიზამ, უარესს ვიზამ თუ გამაბრაზებ... არავინ მიხსენო, არ ვეგონოს, თითქოს ვინმეს ჰქუაზე მივიდიოდე, ჰო, არ გეგონოს და ვერც გამაბრაზებ. მეტი არაფერი, ძნელია? არ არის ძნელი, მე ასე მგონია, ძნელი არ არის, ხოლო შენ თუ ძნელად გეჩვენება, მშვიდობითა ბრძანდებოდე, მოწყალეო ხელმწიფევე. — შებრუნდა, ზურგი უჩვენა, მოემზადა წასასვლელადა, აბა ჰაა, შენზე ჰკიდია, დავრჩე თუ წავიდეო. — ძნელია?! — იკითხა მუქარითა.

— ადვილია, ადვილია, ძალიან ადვილია... — დაეშურა სტუმარი.

— ძნელიც რომ იყოს, ავრე იტყვი, მეტი რა ჩარა გაქვს.

— არა, მართლაც ადვილია.

— ძნელი იყოს და ძნელი აიტანე, რას ჩააცივდი ადვილსა.

— იყოს, როგორც გენებოთ, ისე იყოს, ოღონდ ეს მიბრძანეთ, სადა ვართ და რადა ვართ ან მოვისვენებთ თუ არა ცოტახანს მაინცა.

— მოისვენებ თუ არა, ეგ რომ მოგახსენო, ჩემო კეთილო ყმაწვილო, ჯერ ეს უნდა მიბრძანო, აქ რად მოვსულვართ? — თვალი თვალში გაუყარა ლეკომა, თანაც მოჭუტა წვრილი თვალები. უცნაურად იელვა მოჭუტულმა თვალმა ცისკრის შუქზედა, წამისად იელვა, ოღონდ ისე იელვა, შეაქრიალა სტუმარსა.

— ემაგას ხომ მე გეკითხებით... — მაინც ესა თქვა, ან კი სხვა რა უნდა ეთქვა?!

— რახან მეკითხები, მაშა არც შენ იცი, — დაასვენა ლეკომა, ოღონდ არ შეჩერდა ამ დასვენაზედა, — ან მართლა არ იცი, ან მიმაღავ. მე რომ გეკითხები, მე მართლა არ ვიცი, ხოლო შენც თუ არ იცი მართლა, აქამდის ჰო ბრმად ვიარეთ და ვიარეთ, ამიერიდანაც უნდა ვიაროთ ბრმადა. შენი არ ვიცი, მე კი არ მომწონს ბრმად სიარული,

არა, რადა ვითომაო, თვალი მოუცილებდით და თვალის ჩინიც არ მოუქვლია, რახან მოუცია და რახან არ მოუქვლია, მე ძალისძალად არ ჩავიღამებ, ნუ... არა, რადაო, ვითომაო!

— ჰოდა რადაო?! — უაზროდ იკითხა მგზავრმა, გზამოკვეთილმა, დაბნეულმა, ლამენათევმა, იკითხა და რომ აშხნდა აბრიალებულ ცისკრის ვარსკვლავსა, ვერ გაარჩია, ვერ დაინახა ვერაფერი.

— ჰოდა მეც მანდა ვარ, — დაატანა ლეკომა. — ჰოდა რადაო, შენც მიდასტურებ, არა? კეთილი და პატიოსანი, ახლა გავინათოთ ბნელი და ვიაროთ სინათლითა. მე ლეკო თათაშელს მიძახიან და განა იმიტომ მიძახიან ლეკო თათაშელსა, ხეთერელმა ჩამავლოს ყურში ხელი და მაპროწიალოს, როგორც უნდა, ნუ... არა, ამიტომ არ მიძახიან ლეკო თათაშელსა. ეს ერთი ღამე, რაც იყო, იყო... ეგება არ მოგწონს ჩემი ნათქვამი, ეგება ღამღამობით წოწიალს დაჩვეულხარ მთვარეულითა ანდა არ გინდა, გამოჩნდე დღისით, მზისითა?! რატომ არ გინდა, რა განგიზრახავს, რად არ გამომიტყდები თუ შენი თანამოაზრე ვარ, ჰა?!

— თანამოაზრე?! — მიადევნა სტუმარმა, მიადევნა დუნედა და გარინდდა.

— თანამოაზრე, მაშა, — გაუმეორა ლეკომა, — თანამზრახველი, თანამონაწილე, თანამდგომი, რაც გინდა და არქვი, მე მიგიძღვივარ, მაგრამ შენ მოგყვები, მოგყვები და ველარ გამოგყვები, თუ არ მაცოდინე საით მოგყვები. მიხვედრით, მიხვედარვარ, რა გამოეპარება ლეკო თათაშელსა, ხეთერელების ჰქუა ერთად რომ მოაგროვო, იმოდენა მე ნეკში მაქვს, აბა, ნეკშია, რა გამოეპარება ლეკო თათაშელსა!.. შენ შენი მითხარი, მე ჩემი ვიცი, შენ შენი მითხარი და მოვისვენოთ...

— ჩემი რა გითხრათ, — თავი ასწია სტუმარმა, — ხალხური სიმღერების ჩასაწერად ჩამოვედი, ეს იყო ჩემი განზრახვა და სურვილი...

— მერე?!

— მერე...

— რას დავეწოწებით ამ ღამიანა, ღამე რა უნდა სიმღერებსა?! რა ღობე-ყოფის ვედები?! დიდება შენთვისა, ღმერთო!.. აჰი გითხარი, ხეთერელების-ოდენა ჰკუთა ნეკში მაქვსმეთქი, ეს იყო გითხარი და ამხნა კიდევაცა, ეგრე ამხნ-დინე, ღმერთო, ყველაფერი! — ხელები აიშვირა ლეკომა, ოღონდ არ აუხედ-ნია, ეტყობოდა, ეს უფრო ფუჭი სიტყვები იყო, ვიდრე მხურვალე მოწოდება ღმერთისა. — ახლა ჩემთვის ყველა-ფერი ნათელია, ვიცი, რა ვიღონო და როგორ მოვიქცე. ასე არა სჯობდა? აქამდის გეთქვა შე დალოცვილო, ბრმად რად მატარე ამ ღადაღლდა გზებზედა! რაც იყო, იყო, სინანულიც არ იცის ლეკო თათაშელმა, არც არას დაგაყვედრებს და არც არას დაგამადლის, რაც გინდა აგისრულებს, ვაგახარებს, გატარებს ნეტარებითა, ლხინსა და დღეობას არ გამოგილევეს, მაშ რაო, სიმღერებიც იქ არის, სადაც ლხინია, ქორწილია, დღეობა სადაც არის, ლხინებსა და ქორწილებში გატარებს, დღეობებს არ გამოგატოვებინებს, არა, რა სათქმელია... მერე რა დღეობები მოდის, ეს ფერიცვალეობაო, ის მარიობაო, ეს გერიობაო, თავგერიობაო, შუაგერიობაო, ჰეჰეი, რა დღეობები მოდის!... დღეობისა და ლხინის ყადრი იცის ლეკო თათაშელმა, სიმღერის ეშხი იცის და რახან სიმღერები მოგნლომეზია, ჩემს იქით გზა არც გექნებოდა. კარგად მიმხვდარა ელიზბარი, თუმცა მთლად ხეთერელთა ჰკუთა რომ შეაგროვო, აგერ, ა, ნეკა ფრჩხილში ჩამეტევა, მაგრამ ამას მაინც კარგად მიმხვდარა.

ხასიათი გამოუყეტდა ლეკოსა, იარა უფრო თამამადა, გვერდი აუქცია სასახლესა, ჩამოიტოვა, თითქოს აქეთ აღარც მოიხედავსო, ყორეებს შემოუღარა, ბოგირი გადავლო და ისევ ჩამობრუნდა. ეს მისდევდა თავჩაღუნული, არაქათი აღარა ჰქონდა, მაინც მისდევდა, მუხლები ეღუნებოდა, ებრიცებოდა, მიუღმოდოდოდა შიგნივარეთა, მაინც მისდევდა, აღარც სინანულის თავი ჰქონდა,

აღარც სურვილისა, წინააღმდეგობა ჰქონდა სახსენებელია, მისდევდა მორჩილად, მოტეხილი, მოჩოლოჩინებული. იმას თითქოს ძალა მიეცაო, ნაბიჯს უმატა, ხველებასაც უმატა... ხველებასაო, რომ გაიგონეთ, არ გეგონოთ გაცივებულის-ყოს, არა, არ გეგონოთ, თუმცა მოგახსენეთ, ნარწყავებში ჩაკვივდნენ, დასველდნენ, ამოილაფენმეთქი, მაგრამ ეს არაფერი, არ გაცივდებოდა ასე იოლადა, იმისათვის ჩახველება თავმოწონება იყო, ჩახველებდა და შეათამაშებდა მხრებსა, ყელს მოიღერებდა, აუცმუქდებოდა ტანი. ეს გახლდათ შეგრძნება სიამოვნებისა, ესევე ეგრძნო. ბოგირი რომ გადაიარა, ჩამობრუნდა, რუს გამოჰყვა ნაპირნაპირა, განიერ რუსა, დიდ რუსა, ისევე სასახლისა თუ ნასახლარის მხარეს მიეჭკა, ოღონდ აქეთაც გამოჩნდა რაღაც შენობა, ალანძული თუ შელანძული კედლები მარცხენა მხარეს დარჩენილიყო. ჰო გამოჩნდამეთქი, სტუმრისათვის გამოჩინდა, გამოარჩია იმისმა დავარდნილ ქუთუთოებში გამოზუტუტულმა თვალებმა, თორემ ლეკომ აქამდისაც იცოდა, უფრო ძველი სასახლე რომ გადაარჩენილიყო, თუმცა იმასაც მისწვდომოდა ხანძარი, აელოკა ცეცხლის ენებსა, მაინც გადაარჩენილიყო, ხიდი და თაღები ჩაეზუგა. დიდრუს გადამდგარი ხიდი და თაღები, მოჩაქურთმებული, მოხარატებული, მოლამაზებული, ჩაეზუგა, ჩაეტანა, ვითომცა ჟოფილა, ვითომცა არაო; ძველი სასახლე გადაარჩენილიყო, თუმცა გაძარცულიყო, რა თქმა უნდა, გაძარცულიყო, მაგრამ ესეც იმდენი არაფერიო, ლეკოს როდის ენაღვლებოდა, ან რად უნდა შეეწუხებინა თავი საამისო ფიქრებითა, როცა შეეძლო, მისულიყო, დანაყრებულიყო და მოესვენა. სტუმარს თუ უნდოდა ეფიქრა, ეფიქრა, რამდენსაც მოინებებდა; ვერც ისე მოეფიქრებდა ამაზე მეტსა. და არც ისა ფიქრობდა, მიფრატუნობდა, მიჩლატუნებდა წელმოწყვეტილი.

ოთაო ჩხიძე
ზორიანი

ასე მიადგენ ძველ დარბაზებსა, ჩამუქებულთა, ჩაყურსულთა. ხავსმოდებული ძველი ქვითკირი რაღაც უცნაურად გამოსჭვივოდა ცისკრის ფერებში; ძველი ქვითკირი გამოსჭვივოდა, ოღონდ ვიწრო და მაღალი ფანჯრები თითქოს უუქნეთიდან ამოდიოდა ან შესავლელიყო უკუნეთისა. შუშები ჩაემსხვრათ ან ამოედოთ, თორემ შუშებზეც ალიცილიცებოდა ცისკრის ვარსკვლავი, შიგნით ველარ შეედწია, ვერ შეებედნა უკუნეთისთვისა. ნუ შეებედნა, ლეკოს აღარც უნდოდა მისი შუქი, სხვა შუქი უნდოდა, სხვა ზრუნვა უნდოდა, იმიტომაც ახველებდა, ისე საიძედოდა, ისე გამომწვევდა. კიდევაც გამოიწვია, შავი რამ აილანდა ქვის კიბეზედა, შავი, კუნაპეტი, ჩამაბნელა ციალი ცისკრისა.

— ძიძა... — თანამგზავრის გასამხნევებლად სთქვა ლეკომა, თქვა და ჩაახველა, მე ვარო, მიცანიო, ან ვინ არ იცნობს ჩემს ჩახველებასაო. იცნო რა თქმა უნდა, ოღონდ არც გამოხმაურებია, არც შერბეულა, რომ მიატანეს და მიესალმენ, საპასუხო ჩაიღუღუნა გაურკვევლად, მერეღა შებრუნდა, წატუსტუსდა; წინამო წაიარა ლანდის ტუსტუსითა, დერეფანში შეუძღვა თუ არა, უფრო ჩამობნელდა თუ არა, სანათიც გამოაჩინა, იქვე წამოემარჯვებინა, თახჩაში ჰქონოდა, ფარდაჩამოფარებულ თახჩაში. მერე სანათიანად წატუსტუსდა, წატუსტუსდა ისევ უთქმელად. შეხედვითაც არ შეუხედნია, ჩატარა ვიწრო დერეფანი, ბოლოს ვიწროვე ოთახში შეუძღვა, არც იქ შეაჩერა, ისევ დერეფანში გაიყვანა, იქიდან კიდევ სხვა ოთახში, სანათი ასწია, შემოატარა ცარიელ კედლებზედა, დიდ წალოსთან შეაჩერა, ერთი გააქანგამოაქანა, გააღეთო. ლეკო მიუხვდა, გააღო, გააღო, მაგრამ ცარიელი დახვდა წალოი. სანათი კვლავ შეირბა, კედელს მიაწეკიო, როგორღაც ისე შეირბა. ლეკოც მიაწვა კედელსა. ძვრა არა ჰქონდა კედელსა. დაქანდა სანათი, დაბლა დააწეკიო, დაბლა დააწვა, არ დამორჩილდა, კიდევ მიაწვა, რაც ძალა

ჰქონდა, არ იქნა და არ დამორჩილდა. სტუმარს მიეზვინა სანათი, მიეზვინა რაღას უდგებარ, მიეშველო, მიეშველა, დააწვა კედელსა. რა ძალა შერჩენოდა ან რა ძალა დაატანა, ძნელი სათქმელი, ადვილიც იყოს, რაღა საძიებელია, როცა დამორჩილდათ კედელი. დაიხრჭილა, დაიძრა, ამოვარდა დამწყვდელი ნესტი და უკუნი. სანათი შერეოდა იმა ნესტსა და უკუნსა, ესენი მერეღა ჩავიდნენ, ჩაჰყვინენ კიბესა ანუ ჩაეკიდნენ და გაეკიდნენ შუქსა, შუქი რომ შეჩერდა, შეჩერდნენ ისინიცა, იქაც წალო დახვდათ და შედრკნენ, საღა მივიღვართ, რა ამბავია ჩვენს თავსაო შედრკნენ თუ შეშინდნენ, უღმობელადა ქანაობდა სანათი, გააღეთო, გააღეს და ცოტა არ იყოს შვებით ამოისუნთქეს, — ლოგინი ეწყო წალოში, აკრიფეთ და წამოიღეთო. სანათი ბრძანებდა. აკრიფეს და აიტანეს. კედელი მიგმანეს, წალო მიხურეს და სანათმა ბრძანა გამომყევითო; გამომყევითო, მაგრამ ამდენი დემილი და მორჩილება აღარ იყაბულა ლეკომა, აქვე დავრჩებითო, მეტის თავი აღარა გვაქვსო, თუ რამეს შეგვაჭმევს; პო კარგი, თუ არა და ჯანდაბას ჩვენი თავი, დავეყრებით და ძილი რომ წავვიღებ, ვალალს შესწყვეტს მუცელიცაო. კედელკუთხე მოიტუსტუსა სანათმა, ტახტი აქ არ არის, მაგიდა და სკამი, სად ვინდათ დაწვეთ, ან როგორ რა უნდა მიირთვათო. როგორც არისო, როგორც გვიჩრდეს, ისე გიღირდესო. მიუგო ლეკომა. მაშინ კუთხეში, იატაკზე ჩაიფერხა სანათმა, ამათაც იქვე დაჰყარეს ლოგინი...

VIII

დაჰყარეს და მიეყარნენ, მიეყარნენ და მიიყარგნენ, აღარ გაეგებოდათ თუ სად იყვნენ, სად არა, რომ გამოფხიზლდნენ, მაშინაც აღარ გაეგებოდათ. ისევ დღე იღვა, ამდენს მაინც მიხვდნენ. ოთახში პატარა მაგიდაც შემოეტანათ, სკამებიცა, მაგიდაზე შოთები ეწყო, ნივრის წნილიცა. ჯამებით ლობიო, კიტრები და პატარა დოქიცა, ძალიან პატარა



რა, საარყე დოქიცა. ალბათ დილასვე შემოიტანეს, სამხრად არაყს არ მოართმევდნენ; თუმცა წესსა თუ ჩვევას რაღას დაგიდევდნენ განიადაგებულ ოჯახში, მაგრამ ჩვევა მაინც ჩვევაა, სულსაც რომ დაფავდეს, ჩვევას მაინც მიეტანება ადამიანი, უფრო ძალუმად მიეტანება, თუ მიხსნის, ეს მიხსნისო... ჰო სკამებიც არ გახლდათ ცარიელი, ამათი სამოსი ეფინა სკამებზედა, გაწმენდილი, გაუთოვებული, გასპეტაკებული. ადგომალა უნდოდა, ვერ ამდგარიყვნენ, ძვალ-რბილი გაპყროდათ, თავები გორავდა უსაურო, ნესტიან ბალიშებზედა. მერე როგორც იყო, ჯერ ლეკომ წამოჰკრიფა ძვალ-რბილი. ახალუხი გადაიცვა და ტაში შემოჰკრა. ეს ტაში ხმობისა გახლდათ და, თითქოს იქვე მიდარაჯებულაო, მაშინვე კარი შემოაღო შაოსანმა დედაკაცმა, დოქით წყალი შემოიტანა, ტაშტიც შემოაყოლა, იქვე დააწყო, პირსახოციც ჩამოჰკიდა კარის სარაზავზედა. ლეკომ ხელები გაატატანა, ღიდრუში უნდა ჩავდგე და თავითფხამდის განვიბანო, ვითარცა იორდანიასი იესო ქრისტეთი. არც ურჩობა იყაბულა, არც შედარება მოუწონა იმა დედაკაცმა ანუ წუხანდელმა ძიძამა, არ მოუწონა, ოღონდ სიტყვით არ გამოუთქვამს, სახეც არ მოუჩანდა ეგრერიგადა, თვალებზე ჩამოეფხატა და ტუჩბირი აეკრა შავი თავშალითა, მაინც შეეტყო უამურობა. ისე შექანდა, ისე გაიხიდა კარებში. ლეკოც მიუხვდა, მიუხვდა ნიკოცა, თუმცა ეს ჯერ ისევ იწვა, ჯერ კიდევ ებლიტებოდა თვალები.

ჰო ჯერ კიდევ ებლიტებოდა თვალები, მაგრამ იმდენი მაინც გაარჩია თუ როგორ ეწვალებოდა ლეკო თათაშელი, — ცალი ხელით ისხამდა წყალსა, ცალით იბანდა; გაარჩია და წამოდგა, მიეშველა, დაუსხა წყალი. ლეკომ მადლობა მოახსენა, სავარცხელი ამოაძვრინა ახალუხის ქისიდანა, თმა-წვეერი ჩამოივარცხნა, ფანჯარასთან მიდგა, იქ ჩამოივარცხნა, აქეთ აღარ მოუხედნია, არც დაუხახავს, არც არად ენადვლებოდა, ეს თუ როგორღა ეწვალებოდა, ცალი

ხელით ისხამდა, ცალით იბანდა. ძიძა იქ აღარ იყო, გასულიყო, ამას რომ ებლიტებოდა თვალები; ხელიბირი გადაიბანა თუ არა, შემოვიდა, გაიტანა ნაბანი წყალი, მერე აღარ გამოჩენილა ან რაღად უნდოდათ, საკმელსასმელი ჰქონდათ, სუფრა გაწყობილიყო. იყო და სწორედ ეს არ მოსწონდა ლეკოსა, დილით გაწყობილი სუფრა არ მოსწონდა, არ ექაშნიკებოდა ნალამური ლობიოი, არაყი. ჰო, არაყზე უარს არ იტყოდა, მაგრამ ერთი ჰქიქის მერე ღვინოს მოინებებდა, გრილ ღვინოსა, არა სჩანდა არცა მომტანი. ფრატუნიც არსაით მოისმოდა. მაშინ ელიზბარ ხეთერელის მიერ გამოტანებული წამლები გაახსენდა ლეკოსა, ტაში შემოჰკრა, ახლა მე ვიცო; ახლა მე ვიცო, ოღონდ მაინც არავინ გამოჩენილა და ვერც საცოუნდელმა გამოჰყო თავი. მაშ ეგრეო, გულზე ხელი დაიბრაგუნა ლეკომა, კეთილი და პატიოსანიო, ხელი დაიბრაგუნა, დაიქადა, კარი გამოაღო და ისეთი წივილ-კივილი ასტება, გეგონებოდათ, სასიკვდილოდ დაუკოდიათო. აწივილდა, აზუზუნდა, აბუზუნდა ხავსიანი დერეფნები, დაიგუგუნეს გამოცარიელებულმა დარბაზებმა, ბუყბუყი ამოვიდა სარდაფებიდანა. ძიძა მაინც ვერ შეაშფოთა, ნელ-ნელა, აუკვირველად, ლანდად მოადგა ამათ კარსა, რას ინებებთო, ეს აგრძნობინა მღუმარედა, შეურხეველდა. ჩვენ არაფერსაო, ითაკილა ლეკომა, მე მაინც, ჰო მოგეხსენება, არც არაფერი მინდომია, არც არაფერს ვინდომებო, მხოლოდ წამლები მომირთმევია ქალბატონ ეფემიასთვისა, უბოძეთ თუ შეიძლებაო. აქ წამლები გაუწოდა, არც გაუწოდა ანუ გაუწოდა, ოღონდ ჯერ მიცემას არ აპირებდა, არც ძიძას გამოუშვერია ხელი, ოღნავადაც არ შეუტოკებია. მეო, მოახსენებდა ლეკოი, გავიგე წამლები რომ შემოლეოდა ქალბატონ ეფემიასა, აქეთ აღარცკი შე-

ოთარ ჩხიმიძე
ზორიანი

მომივლია ან რაღად უნდა შემომველო, რახან გავიგე, გავეშურე პირდაპირ ხევისსა; შენ ეი-მეთქი, შევეუტიე ელოზბარ ხეთერელსა, რა ბებიაშენის მუთაქებესა ხევმეთქი, რას მივიტოვებია ის ქალი-მეთქი, ახლავე მომიმზადე წამლებიმეთქი, ახლავე, ამწუთშიმეთქი, თორემამეთქი... ჰოდა რაღა ბევრი გავაგრძელოო, აგრემც გავიგრძელებდა წუთისოფელი, დაამზადა თუ არა გამოვეშურე, თვალის დახამხამებაში გამოვეშურე და აი, აჰა, მომირთმევიაო. მაშინდა გამოაშვირა ხელი ძიძამა, გამოაჩინა გრძელი, მსხვილი თითები, ცოტა ნუყრიანი თუ ცოტა დაგრებილი თითები, გამოაჩინა, შემოახვია წამლებსა, გაბრუნდა, გავიდა უთქველად. ახლავე დვინოს მოგვიცუნტულეებსო, შეიხალისა ლეკომა. მაგრამ არ იქნა, არ მიუცუნტულა; რაღას იზამდა, მაშინ არაყი ჩამოისხა, გადაჰკრა და ნეტარადა თქვა, იფ, რა არის, ამისთანა არაფერი დამილევიაო; ახლა ლობიო ნახე, ამისთანა არაფერი მიგემნიაო; ნივრის წნილი! იფ! იფ! იფ, ნეტავ რა არის, რა ხელმა ჩასდრო. ახლოს მოიწი, გულიანად შეეჭეცი გეთაყვა, ვისაც ბედმან რაცა მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდესო, ღმერთმა აცხონოს ამისი მთქმელიო.

მანც ვერ მოისვენა ლეკომა, ცოტა აიტყცია, ცოტა შეჭიკჭიკდა და ველარ მოისვენა, ტაშიც შემოჰკრა, წივილკივილიც ასტეხა, აღარავინ გამოეხმაურა, არავინ გამოჩნდა, მაშინ ჩაახველა მუქარისადა, თავდაჯერებისადაცა, შენ აქ მომიცადეო, თქვა და გავიდა. ესეც უცდიდა, მეტი რა ჯანი ჰქონდა, ფანჯარასთან დაბორიალეზბდა და უცდიდა. მაღალი, აწოწილი ფანჯარა გაჰყურებდა დიდრუსა და გადამწვარ სასახლესა. შავი, გარუჯული კედლები, თაღებმოშლილი სვეტები ატაცებულებო ცის სილურჯეში, კრიალა სილურჯეში. სვეტთა და ჩამონგრეულ კედლების შუამთებიც ლურჯად გამოიციქირებოდა, მთები ანუ კალთები კავკასიონისა. მწვანეც მოსჩანდა, ეს ტყის ქოჩორი გახლდათ ან ჰალეებისა, ან ფლატეებზე

გადაკიდული ბაღებისა, რაც უნდა ყოფილიყო, იყო სიმწვანე, იქნა სილურჯე და შებოლილი სვეტები, შავი კედლები გადაბუფული სასახლისა. მაშინდა იგრძნო ხალისი რომ დალეოდა, მაშინდა იგრძნო სიმარტოვე და მიუსაფრობა, გაქცევა მოუუნდა. მაგრამ არ იცოდა სად იყო, ლეკოც სწორად არაფერს ეუბნებოდა, ისე თავისი რუქა თუ უშველიდა, გაურკვევედა გზასა კავთისიდან ნატბისამდისა, ან სხვა მხრით საითმე გაურკვევდა, ისე რომ რკინიგზას მიახლოვებოდა, გასცლოდა იქაობასა, მთლად იქაობასა, მთლად შიდა ქართლსა, ქართლის ზეგანსა, მთების შუა რომ გადაშლილა ხელისგულივითა, გადაშლილა ისე ნათლად, ისე მკაფიოდ, კანთიელად, ერედვის სერებიდან თუ გადმოიხედე, ჰინაჰველაც არ გამოგებარება. თუმცა ამასთან ვის რა ესაქმება, — ჩემთან ვის რა ესაქმებო, — მაგრამ მაინც დაუძძიმდა გული, მაინც ჩაუგულმოდგინდა თავის რუქასა... ვერ გაიგო თუ როგორ წაადგა ლეკო თათაშელი, იქვე ყურთან ჩაუხველა და მაშინდა აიხედა მგზავრმა, კინლამ თავი თავს მიახალა, ოლონდ მაშინვე უკან დაიხია, რუქაც უნებლიედ მოკეცა და უბეში იტაცა, შიშთანად იტაცა, ისე ცუდლუშტად უბრწყინავდა თვალეში ლეკოსა, ისეთი რისით ახველებდა, ისე გამომწვევდა.

— ეს. — დაბნეულად ამოიძახა ნიკომა.

— სსსს... ტუჩებზე თითი მიიფარა ლეკომა, — არაო, რაღაო... ყველაფერი ვიცი.

— არა...

— ვიცი, ვიცი; მე ლეკო თათაშელს მიძახიან და ეს იმასა გულისხმობს რომ ყველაფერი ვიცი. ეს იმასაცა ნიშნავს, რომ ენაზე არაფერი დამადგება, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერც ვერაფერს გაიგებენ ჩემგანა. ეს ისე... ახლა აი რა უნდა მოგახსენო, ჩემო ყმაწვილო მეგობარო: უნდა მოგახსენო და ის უნდა მოგახსენო, რომა ჩვენი წასვლის



დროა. მალე ისევ შემოდამდგება და მე ლამიან ფეხს აღარ გავადგამ გარეთა, არც გამიღვამს და არც გავადგამ, წუხანდელი რაც იყო, იყო, იყო და არა იყო რა, აღარც იქნება, ასე, რომ ჩვენი წასვლის დროა, მაგრამ ვერც წვეალთ ეფემია თუ არ ვინახულეთ. იმან ვინძლო დიდხანს მოინებოს ჩვენთან საუბარი, შენ უნდა შეახსენო, რომ გვეჩქარება. არა, მეც შევახსენებ, მაგრამ საუბარი ჰო იცი ხანდახან რაგვარად ჩაითრევს ადამიანსა, მეც ეგებ ჩამითრიოს და თუ ჩამითრიოს, შემახსენე, გვაგვიანდებათქო. ვიმედოვნებ, არ დაგავიწყდება.

— არა...

— ძალიან კარგი და დიდებულნი აქამდის სად არის ის ურჯული დედაკაცი? წყუთლიმც ვიყვე თუ ეტყოდა, რომ აქა ვართ, ისე გავვისტუმრებდა, არ ეტყოდა.

— აჯობებდა...

— არ გამოგონო!.. მე ლეკო თათაშელს მიძახიან და მაშ მე უკეთ ვიცი, რაცა სჯობიან, რა აჯობებდა ან რა აჯობებს მერე, მრავალ წელთა მერე რა იქნება საუმჯობესო. ეს მე მომეხსენება და ნურავინ გაირჩება, რამე მირჩიოს. ვერც ვერავინ მირჩევს, ვინც მიცნობს, რჩევასაც ვერ გამიბედავს. შენ ახლა მეცნობი და მიპატიებია. არა, მადლობად არა ჰღირს, ესოდენ მცირეზე ნუ დაიხარჯები, ბევრად მეტის მიტევენაც შემიძლიან, დიდსულოვანი გახლავარ, ლეკო თათაშელს მიძახიან და იმიტომაც გახლავარ დიდსულოვანი. ერთისიტყვით, ვუბრძანე, მოახსენოს, დიახაც ვუბრძანე, მოახსენოს, რომ თან მახლავს ისეთი ვინმე.

— რა საჭიროა... — შეწრილდა ხტუმარი.

წარბები აჰყარა ლეკო თათაშელმა, მოკმუნხა შუბლი და კბილებში გამოსცრა:

— მე ვარ თუ არა ლეკო თათაშელი?

— როგორცა ბრძანებთ... — დადრკა ხტუმარი; რა თქმა უნდა დადრკებოდა, ინანებდა სიტყვა რად ჩავურთიეთ.

— ჰოდა ასედაცა ვბრძანებ, მოახსენემეთქი, თან მახლავს ისეთი ვინმემეთქი... — და მგზნებარედ ჩაახველა ლეკომა, ისე ჩაახველა, კმაროდა რიხისა და სიამაყის გამოსამზეურებლად, კმაროდა, იაგრამ არ იკმარა, ხელი შემართა, შეატყაცუნა თითები, ცერებზეც შეიმართა, ეს მე გახლავართო, ჩემი უმადლესობა ბრძანებს, ძირს ვერავინ დაუშვებს ჩემს ბრძანებასაო.

სხვისა რა გითხრათ, ამჯერად არც არავინ გვეკითხება, იქ მხოლოდ ეს გახლდათ, ეს შესცქეროდა, ეს უსმენდა და ალბათ მართლა ისე მოესმა, რომ მყისვე დაფაცურდა, წამოაპირქვევა ჩანთაი, კოსტუმი გამოათრია, თეთრი პერანგიც გამოაყოლა, შავი საყელური ბაბთაცა. დაკმუჭვნილიყო ყველაფერი, არ ჩაიცმოდა, არ გამოდგებოდა საზეიმო შეხვედრისთვისა, არადა არც ის შეეძლო, წამდგარიყო ელიზბარ ხეთერელის მიერ ნაჩუქარი გაცრეცილი ხალათ-შარვლითა ან გაცრეცილი რა მოსატანია, ახალთ-ახალიცა ყოფილიყო, ვერ გამოჩნდებოდა ისეთი სამოსითა. დამე სხვა იყო, ხნულუმში ბოდიალი, ფლატეებზე ფხოტიალი სხვა იყო, ქალბატონ ეფემიასთან შეხვედრა სხვა იყო რა თქმა უნდა. თუმცა არც იცის; ვინ არის ის უჩინარი ქალბატონი ეფემია, მაგრამ ვინც უნდა იყოს, ისევე აჯობებს, წარუდგეს დაკმუჭვნილი კოსტუმითა, ვიდრე მეკალოესი თუ მხენელ-მთესველის ხალათ-შარვლითა.

დაკმუჭვულობისთვის ბოდიშს მოიხდის, ერთხელ როდი, ათასჯერაც მოიხდის ბოდიშსა, მგზავრს მიეტევენა; მიეტევენა ისედაცა მითუმეტეს ათასჯერ თუ მოიხდის ბოდიშსა. მაგრამ ლეკო სხვასა ფიქრობდა, სამოსი გამოსტაცა ხელიდანა, სკამზე დაჰყარა, დერეფანში გაიტანა სკამი, კარი მიხუ-

ოთარ ჩხიმიძე
ბორიანი



რა და თვალი ჩაუკრა, ახლავე გავი-
გებთ, მიგვიღებს თუ არა ქალბატონი
ეფემიაო. ნიკოს მოენება, ახლა უფრო
მტკიცედ ეთქვა უარი, მაგრამ მონებება,
ან არც არაფერია, თან თუ არ ახლავს
გაბედულება, გაბედულება ვერ მია-
ღევნა, ბაგეს ვერ ამოაცილა სურვილი,
ისედაც ვერ ამოაცილა, ლეკოც არ
აციდოდა ენაწყლიანობდა, ამტკიცებდა,
რომ იყო ლეკო თათაშელი და, რომ ის
იყო, რაც იყო. მერე უცებ ივარაუდა
თუ ჩქამი მოესმა, ყურები დაცქვიტა,
ფეხაკრეფით მიიბრინა კართანა, ფრთხი-
ლად გამოაღო, ფრთხილად უჭრი-
ალოდა, გაიჭვრიტა, გააცურა ხელი და
სკამი შემოითრია. დაუთოვებული
კოსტუმი, დაუთოვებული პერანგი და
საყელური ბაფთა ეწყო სკამზედა. ჩაი-
ცვიო, უთხრა, ჰხედავ, ვბრძანებ, ჩემს
ბრძანებას ვერავინ წაუვაო.

შეძლო კვლავაც განეგრძო ტრაბა-
ხი, გადაჰყოფდა მორჩილ მსმენელსა,
ურჩებსაც არ მოერიდებოდა, არც
ერიდებოდა, ტრაბახით წარუდგა ქალ-
ბატონ ეფემიასაცა, თუმცა მანამდის,
ვიდრე ეფემიას არ მოჰკრა თვალი, ცო-
ტა არ იყოს შეშინებულყო, ემანდ

უცებ გარეთ არ გაგვაცილოს პირში
ჩალაგამოვლებული არ დაგვეტოვოს
ამ არნაუტმა დედაკაცმაო. ასე ეგონა,
ძიძა რომ მიუძღოდა ქვედა დერეფნე-
ბში, ზედაში რომ მიუძღოდა, ასევე
ეგონა, უცებ დაგვქანებს და საღდაც
ბაღში ან დიდრუისპირას ამოვყოფთ
თავსაო. მერე უარე და უძახე, აქ რა
გვინდაო, რა იქენიო, უძახე რამდენიც
გინდა, არავინ გამოგეხმინებაო. თავის-
თვის ეგონა თავისთვისა ფიქრობდა,
ეჭვიანადაც გადაჰხედავდა ნიკოსა; იმას
ეჭვისა არაფერი გაეგებოდა, წელგამარ-
თული მიაბიჯებდა, დერეფნებსა და
დარბაზებში მიაბიჯებდა, თუმცა გამო-
ცარიელებულ დერეფნებსა და დარბა-
ზებში, მაგრამ ეგეც არაფერი,
გადაიხსნებოდა ბრწყინვალე დარბა-
ზიცა, სადაც შეეგებებოდნენ, მოუსმენ-
დნენ, გაუგებდნენ, მოუწონებდნენ, წა-
აქეზებდნენ, დახმარებას აღუთქვამდნენ
და კიდევაც დაეხმარებოდნენ, მაშ რაო,
კაცს თავი გადაედო საერთო საქმის-
თვისა, ბოლოსდაბოლოს უნდა შე-
სდგომოდა, უნდა გამოსჩენოდნენ გიო-
რგი ყანჩაველის საიმედო პირნი, სწო-
რედ აქ უნდა გამოსჩენოდნენ.

გაგრძელება იქნება



მ დ ი ნ ა რ ე ბ ა

ბედნიერება! —

ისევ მივდივართ!

ისევ მივდივართ, სადღაც მივდივართ!

სხვებზე ნაკლები მაინც რითი ვართ?

სხვები წავიდნენ...

ჩვენც ხომ მივდივართ!

რა საჭიროა

თავისმართლება,

ან თქმა, —

სიცოცხლის ძაფზე ვკიდევართ!“

ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ

უცებ გავჩერდეთ...

რომ არ გავჩერდეთ, სადღაც მივდივართ!

„ნახსლზე შემოდგმულ რძესავით“

თ. ღ.

ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით
ჩქარა გადავალ ნაპირებს...

და თუ სიცოცხლე ეს არის,
სიკვდილი ნუმც გაგაკვირვებს.

რა ვიცი, რატომ ვინატრე
სიყრმის ჟამს რაღაც დიდება, —
ნაპირგადასულ სინათლეს
რალა დიდება სჭირდება:

ხან ჩემმა სევდამ მამღერა,
ხან შენმა დარდმა მათრთოლა,

გადაიარა ღრუბელმა...

რა წვიმა იყო, რა თოვა...

რა იყო, ვინ რას ფიქრობდა
ლალი და ქედმოუხრელი, —
ლაბა ხარივით მიმქონდა
მე ჩემი წილი უღელი.

აღბათ ეს არის, რაც არის,
რასაც ვიქმ, რასაც ვაპირებ,
ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით
ჩქარა გადავალ ნაპირებს.

ს ა ს ვ ო რ ი

ან აღმართი, ან დაღმართი,
გზატკეცილი არ არსებობს,
რაც მომეცი, რად წამართვი,
რაც არ მომეც, არ არსებობს.
ან ღმერთი ხარ, ან დემონი,
ანგელოზი არ არსებობს,
სიზმარ-ცხადის წვირზე მწონი,

სხვა სასწორი არ არსებობს.
ან ვიმღერებ, ან ვიტირებ,
სხვა საშველი არ არსებობს,
შენს მკლავებში ჩავიძირე,
სხვა მდინარე არ არსებობს, —
ან სიცოცხლე, ან სიკვდილი,
უკვდავება არ არსებობს!

კ ა კ უ ნ ი

მე ახლაც ფრთხილად ვაკაკუნებ
კარზე, რადგანაც
ვშიშობ, უეცრად არ გაგაღვიძო...
და არ დაგიფრთხო ნამდვილი ძილი,
რაც სიცოცხლეში არ გღირსებია.
მაგრამ ვაი, რომ იმ სახლში, სადაც
შენ მიმელოდი მთრთოლვარე გულით,
არავინაა სიჩუმის გარდა,
რომელსაც უკვე ვეღარ დაარღვევს
ჩემი მოთქმა და
კაკუნი კარზე...

ქარიშხალი და აფრა ეული

ან ყველაფერი, ან არაფერი! —
გემი „დალანდი“
კვლავ აფრებს გაშლის, —
აფრები დარჩეს! მხოლოდ აფრები!
სხვა ყველაფერი ისროლეთ ზღვაში!!!
ძალიან ბევრი ოქრო გვაქვს იქნებ,
ძალიან ცოტა იმედი რჩება, —
დახეხილი აქვს კბილები ზვიგენს,
დაჩონჩხილია ხომალდი ფხებად...
სად არის მიწა? —
ნათელ ნაპირზე
ერთ-ერთი მაინც გააღწევს, მჯერა,
ვიღაც ხომ მაინც აანარგიზებს
იმედის ცეცხლით
გათოშილ კერას.
არა სიზმრებით, არა ზღაპრებით
და არც ოცნების ლამაზი რაშით, —
აფრები დარჩეს, მხოლოდ აფრები,
სხვა ყველაფერი
ისროლეთ ზღვაში!!!

ჩინოვნიკური ელზბია

- აქ ვარ!
- ახლავე!
- ინებეთ!
- ბრძანეთ! —

კვლავ მეორდება ასლიდან ასლი...
ის იმსახურებს ერთადერთ მანეთს
და ზიზღს, რომელსაც არა აქვს ფასი.

- გმადლობთ!
 - ღირსი ვარ!
 - მორჩილად გისმენთ! —
- მორჩილთა ჭაობს მორჩილად ერთვის
და მაინც ერთხელ იყვირებს ისიც:
— მომიფურთხებია, ბატონო, თქვენთვის!

მაგრამ მანამდე ის იღებს მანეთს,
ვით კუთვნილ სასჯელს ცოდვილი ხელით
და კვლავ ტრიალებს ფირფიტა ძველი:

- აქ ვარ!
- ახლავე!
- ინებეთ!
- ბრძანეთ!

ბარემოხვაში

ჩემს უკანასკნელ ლექსს,
ვით უკანასკნელ ტყვიას,
ჩემთვის ვიტოვებ მე!

მე ჯარისკაცი მქვია
და არ ვნებდები მტერს,
ვით არ ნებდება წყვილიადს
სული, სიმღერა, მ ზ ე...
)

ვერ ჩამიგდებენ ტყვედ!

ჩემს უკანასკნელ ლექსს,
ვით უკანასკნელ ტყვიას,
ჩემთვის ვიტოვებ მე!


შენთან ერთად, სიჭაბუკევე

დათვლილი მაქვს თითქმის წლები,
რალა გინდა ნეტა სულელს,
დაცხრი, ველარ დაეწევი
ვარსკვლავებზე გარდასულებს.

სიყრმეც ისე უცებ გაჰქრა,
ვით მზის სხივზე ქრება ფითრი,
კარგად ხედავ, ფიქრის ფანქარს
ძველებურად ველარ გითლი.

დამედალა ფრენით ფრთები,
მზე იკაროსს ზღვაში მაგდებს,
შენ კი მაინც არ ეშვები
სიმაღლეს და სილაჟვარდეს.

დაჭრილი ხარ დარდით უკვე,
მაგრამ მაინც ითხოვ, გულო:
— შენთან ერთად, სიჭაბუკევე!
— შენთან ერთად, გაზაფხულო!



მზესუმზირები

შეგვხედეს და მოიშლიდნენ განა შრიალს?
გაოცებით მიუშვირეს ერთუთოს პირი...
სანგარს ვთხრით და ჩვენი ბინა ყანაშია...
მერე, იცი, რა ყანაა?
მზესუმზირის!

დარღს და ვარამს ვერაფერმა აგვარიდა,
ახლა სხვაა...
ახლა ზმაში სხვა ხმას ვირევთ...

ღამდება და
ყველა ვხედავთ სანგარიდან —
სანგრებისკენ მობრუნებულ მზესუმზირებს.

ტყვიამ, ბოლი წამოიღო აქეთ ფრთებად —
შეცახცახდნენ და მუშტები შეუღირეს...

მითხარ, მითხარ,
ყველა ასე აკვირდება,
სალამოხანს თავჩაქინდრულ მზესუმზირებს?

მაღე, ყანა,
აქაც ცვრებით დასველდება
და გარემო განცდილ სურათს ემგვანება.
ჰო, მე არა, მაგრამ შენ ხომ გახსენდება —
მზის ჩასვლის წინ მზესუმზირის შექანება.

განგებ ხომ არ მოგვიღობეს ეზო მცირე
ამ მიწაზე,
დღემდე უცნობ დელის პირას.
ძირს რომ თავი ჩაუქინდრავთ
მზესუმზირებს...
ნეტა, საით იცქირება მზესუმზირა?!

მე ველარ ვიტან

მე ველარ ვიტან უკვე გზებზე
მარტო ხეტიალს,
ასე მგონია, რომ ისედაც ბევრი ვიარე...
ბევრი ვეფერე ჩემს მდებლობას,
თხმელებს, ფშოარებს.

მე ველარ ვიტან უკვე გზებზე
მარტო ხეტიალს.
რაც ვერ დავწერე და სტრიქონში
ვერ ჩამეტია,
ისე განვიცდი, ვით ჭრილობას
და ნაიარევს.

მე ველარ ვიტან უკვე გზებზე
მარტო ხეტიალს,
ასე მგონია, რომ ისედაც ბევრი ვიარე...



გ ვ ა ლ ვ ა

გზისპირას, მტვერში ჩაწოლილ მქე-
ლავ ნაგავს დიდი სისწრაფით, შხუი-
ლით ჩაუჭროლა ცისფერმა მანქანამ.
გზის თვალსაწიერის დასასრულს მან-
ქანა პერში აიჭრა. ძაღლმა აშკარად
დაინახა, როგორ გაიბრტყვიალეს მან-
ქანის ნიკელებმა მზის სხივებზე, მერე
კი ცისფერი მანქანა ცის ოდნავ ვახუ-
ნებულ სიციფრეს და სიმსუბუქეს
შეერია...

ძაღლმა დაიყვია. უწყლობისაგან
გახევებული სასიდან ყეფის ნაცვლად
ხრინწიანი ხაეილი აღმოხდა. ერთბაშად
თვლების ბადის ჭროლა ქსელს სისხ-
ლი ჩამოეჭვა. ძაღლი დატოვებდა,
ჯაგარა ბალანი აებურძგნა, უკანა ფე-
ხებით ასფალტის პირას ხვინჭა ამო-
ფხოკა, მერე დუქმორეული და თვა-
ლებჩასისხლანებული სოფლისკენ
დაიძრა...

სოფელში კივილი გაისმა. კივილი
ცეცხლივით მოედო აბედივით გამოშ-
შრალ და გახურებულ სოფელს. აჭრი-
აღდა და ახმაურდა სოფელი. ორლობე-
ვებში თოფიანი კაცები გამოვარდნენ.
უმეტესობამ კეტები და მარგილები
მოიშველიეს სახელდახელოდ.

კივილი, სტვენა, ჯადაძახილები და
საქონლის ფეთიანი ზმუილი აირია ში-
ვისგან ალაგდავებულ სოფლის ძაღ-
ლების ხმებში.

ორლობეში ჯაგარაშლილი ძაღლი
მორბოდა უმიზნოდ და უგემოდ.

შიშით შებურვილი, აღტკინებული
ძრწოლვა და თოფის წამლის სუნი მო-
ედო სოფელს...

ძაღლის ირგვლივ საფანტისა და ქვე-
ბის წვიმამ ბული დააყენა. ძაღლი ტკი-
ვილისაგან ყმუოდა, დუქმორეული სი-
სხლიანი ლაშები უცახცახებდა, მაინც
მიიწედა წინ ყვირილისაკენ, ნერვე-
ბადქცეულ, თოფ და მარგილ მომარ-
ჯებულ ცოცხალი ორლობისაკენ.

ერთიანმა ბათქმა ძაღლი პერში შე-
აგდო, დაკლავა და მიძიმედ შეატ-
რიალა...

სისხლის წვრილი ნაკადულები უცე-
რივ შეისრუტა სინედლე მოწყურებულ-
მა მიწამ.

ძალაგამოცლილ ძაღლს ამაზრზენი
სიხარულით დაატყდა თავს ქვებისა და
მარგილების სეტყვა. თუმცა ძაღლი
არაფერს აღარ გრძნობდა, მისთვის
უკვე ყველაფერი სულერთი იყო, ზე-
ცაში აღღვებილი ცისფერი მანქანაც
და სოფელში ავარდნილი სისხლიანი,
მხიარული ყიყინაც კი...

გვალვის მზე უსასოოდ აპრიანებდა
ძაღლის სისხლგამოცლილ გაყინულ
თვალებს...

დაღლილი, მოშვეებული მხერა
მთვლემარე ინსტიქტით ჭოლავდა მან-
ქანის ტალახისფრად ალილოჭრელე-
ბულ ქარსაფარ მინას. გახურებულა,

სიცხისაგან გადადობნილი ასფალტის სიმავე შხუილით ეგებებოდა მანქანას.

მონოტონურ, ძილისნომვკრეულ ერთფეროვნებად ელამუნებოდა თვალებს გზის პირას ჩარიგებული კილომეტრების აღმნიშვნელი საგზაო ნიშნები და ჩაყვითლებული, ალაგ-ალაგ სიმწვანე-შერჩენილი ჭუჭა ხეები.

მომთენთავად ჭრიკინებდნენ საბურავები...

იელვებდა ხანდახან ათასნაირი ფერთა და სტილით შესაღებელი ღობეები და წითელსახურავიანი სახლების მუხლდამუხსლ, სიმაღლის მიხედვით ჩატეხილი რიგი.

მანქანის ღია საქარულიდან შემოჭრილი ჰაერის ცხელი, ბლანტი მასა იჭრებოდა სალონში, აწყდებოდა უკანა სავარძლის თავზე შეყრილ ვაზეთებს: ახმაურებდა, ატყლამუნებდა. ბრუნდებოდა მერე ხმაური ცხელ, თიმთიმა ჰაერთან ერთად, კეფასა და კისერში სცემდა. უსიამოდ ეკვროდა პერანგო ოფლისაგან გაწებულ კისერს...

— ახლა უნდა გადავუხვიო მგონი, არ შემეშალოს... ვიკითხო, ჯობია სადმე. — გზას გადაკრული თვალები ირიალად გადაედგნენ ხვატისაგან გაუკაცრიელებულ სოფლის ორღობეებს ძეხორციელის აღმოსაჩენად.

უმატეს ერთდროულად სიცხისაგან აქაფაფებულ გულრონზე ჭრიკინს მუხრუჭუნაქრავმა საბურავებმა. სტვენის მსგავსი წაკივლებაც გაისმა მერე.

დაატყლამუნა ბომბორა კული მტკერში ზარმაცად ჩაწოლილმა ნაგავმა. გაიქნია დუნედ წითელლაშებიანი თავი.

წამოიწია კაკლის ჩეროში შეყუყუღლმა ბერიკაცმა, ჯოხიან, წენგოსფერ მარჯვენა ხელს ლურჯტოტებად დაებერა ძარღვები.

— გაივლი კიდევ ცოტას, მარცხნივ აუყვები, მერე წარწერაცა...

— გმადლობთ! — აჭრიკინდნენ ისევ საბურავები, აშრიალდნენ სავარძლის თავზე შეყრილი ვაზეთები.

— აჰა, გადასახვევიც, ფუ! რა გზაა!

აკიაფდა მწვანედ ხელსაწყობის და ფაზე მოხვევის სანიშნე ნათურა, აწიპინდნენ ისევ სამუხრუჭე ფილები. შემაკვავდა ოდნავ მანქანა, სიჩქარის გამოცვლის დროს, ღულუნით გაჰყვა ვიწრო, ორმონატეხ გზას.

იმატა შეუშინველად სიმწვანემ და ხეთა სიმაღლემ, მწვანე გვირაბის ჩრდილში მიდიოდა ახლა მანქანა, აგრილდა კიდევ...

ძრავის ხმაურს უსიამო ტკაცანი დამთხვევოდა ხანდახან. უკლებდა მანქანა სიჩქარეს, მატულობდა ხმაური.

გაფაციცდა, ერთ ნერვად და სმენად შეიკრა.

— რა უნდა იყოს? დალახვროს ეშმაკმა, საკისარია ალბათ. ვაი თუ ჩატეხილია...

აიშოტა გზა მთებისკენ, დაიკლანკა კიდევ, კრთებოდა ირგვლივ ოდნავ ყვითელშეპარული ვაზის სიმწვანე, ჟანგისფრად რიალებდნენ მთებში წაბლნარისა და წიწიბოს კორომები. იელვებდნენ ხანდახან მუცელგადმოგდებული დიდთვალემა ბავშვები და პირში ჩადებული თითები, იმატა ვაზის ძირში ჩაყუთილი გლეხების იჭვიანმა, უცხოსადმი მიმართულმა მზერამ...

გათავდა უეცრად ასფალტი. ვიწრო, ხრემშოყრილ ჩარუჩხულ კომშების ხეივანში გამომწყვდეულ გზას დაადგა მანქანა. გადაიარა პატარა დელე ფრთხილად. ორჯერ გამოცვალა სიჩქარე, დაძაბული დასცქეროდა ალაგ-ალაგ ჩამტვრეულ ბოგორს.

— შესაკეთებელია, დიდი მანქანა ვერც გაივლის... რამდენი საქმეა ერთბაშად.

გამოჩნდა ვეება თუთებით და კომშებით ჩამწვანებულ, ჭაობისფრად მოხასხასე ეზო...

რამდენიმე კაცს მარნის პირას ვეება, უხეში საგნები ეჭირა ხელში. შორიდან არ ჩანდა, მერე შეაჩნია გრძელი ფიცრები და ბრეზენტის ფუთები მიჰქონდათ.

— რა უნდა ვთქვა ახლა?... როგორ უნდა მოვიქცე?



შესხმარტალდა კუდით მანქანა, აიქნა შუკის კენჭები. დაიდრპიალეს მუხრუტებმა და ირგვლივ სიჩუმე ჩამოწვა. მანქანიდან გადმოსვლისას კინალამ ჩაიკეტა. ფეხები დაბუყებოდა, ტკიოდა ხერხემალიც... მარჯვენათი მახქანას დაეყარნო, შეიცადა, ნელ-ნელა გამოძვრენ სხეულიდან მობობლიაღე ცხელი ჭიანჭველები.

მიაბიჯებდა ჩახრუკულ ბალახზე, აწევებოდა ზურგის ფრთებს ქვეშ დაუქეცილო, ნაგვემი შიგანი.

ერთი წამით შეჩერდა სუყველა. მანამდე უყურებდნენ. როგორც კი მანქანა გაჩერდა, ერთ-ერთმა აივანზე მდგომ კაცს გასძახა რაღაც.

— გამარჯობათ, — თქვა და შედგა. მობრუნდა მერე მარნისკენ, ჯოჯოხზე დამჯდარ მოხუცისკენ წავიდა. იჯდა ბერიკაცი უცნაური, დიდებული შარავანდით, დარბაისელი და თეინიერი კეთილშობილებით შემკული.

იგრძნო მისმა ხელისგულმა ბერიკაცის ნაჯაფა თუთუნისფერი თითები. მისველე მოაწვა ბერიკაცის ვარდისფრად გაცრიბებულ თვალებს, იყო ამაში რაღაც ერთდროული-მარადიულისა და დასასრულის. თვალი აარიდა, შეეფეთა მისკენ წამოსულ აცრემლებულ ბიძას, უხერხულად მოსიარულეს. დაშორდა ბერიკაცს ფრთხილად. მიესალმა ბიძას, გადააკოცა, ოფლისა და ცრემლის სიმწუთხე იგრძნო. შეაყრეთოლა.

გრილი, დასავლეთის სიო სცემდა ოფლისაგან დასველებულ ზურგზე. ამცივნებდა. თავდაჭერილი, თითქოს კუმტიც კი ესალმებოდა ირგვლივმყოფთ. არავის იცნობდა ორი-სამის გარდა. ჩამოწოლილიყო უხერხული მღუმარება, იგრძნობოდა მოვარდისფრო დაქლაქა სახეებზე, შეწყვეტილი მხიარული საუბრის ნალექი.

— მარტო ჩამოხვედი? — იკითხა ბიძამ.

— ჰო, ისინი ხვალ ჩამოვლენ მატარებლით.

— ავიდეთ ზევით. ველარ შეგეგებება, ბიჭო, ბებიაშენი, — ბიძის ხმაში იყო იმდენი დარდი, რამდენიც უსუსურობა და საცოდაობა. შეიკმუნა, გაჰყვა ფეხთარეული.

— მერე, მერე, როგორ იყო, ჩემო ბატონო? — ჰკითხეს ბერიკაცს-ბაბუამისის ძმას.

— გაჭირვება იყო მაშინ. ნამეტანი გაჭირვება...

ავეჯი გაეტანათ დიდი ოთახიდან. სხვადასხვანაირი სკამები იყო ჩარიგებული კედლების გასწვრივ. შუა ოთახში ტახტი იდგა. თეთრი ზეწარი გადაეფარებინათ მიცვალებულისათვის. ზეწარს უთოს ნაკეცები აჩნდა კვადრატებად. ერთ-ერთ ნაკეცში, სახამებლის ყვითელი ლაქა გახეშეშებულიყო. ბიძა გვერდით იდგა. ტირიდა. უთრთოდა სუსტი, ჩაქნეული მხრები. ოთახში მძიმედ იდგა სპირტისა და ბალზამის მძაღე სუნე.

აივანზე გამოვიდა. მოუკიდა სივარტეს. ერთი წამით გაღიზიანებულ ნესტოებს უსიამოდ შეუღიღინა დამწვარი გოგირდის სუნმა. ჩაახშო მერე თამბაქოს გამაბრუებელმა, თბილმა არომატმა. ეწეოდა ღრმა ნაფაზებით, უყურებდა მთებს ზევით ჩაკიდებულ გახურებულ ღრუბლის ფთილას და მეწამულ საქარე ცას.

— ამინდი მაინც დაგვესწროს კაი. — თქვა ბიძამ, — წამო, ქვევით ჩავიდეთ. თალარში სუფრას აწყობდნენ. დაბალ, ნაადრევად გამელოტებულ ბიჭს ჩაფით ღვინო მოჰქონდა მარნიდან.

— ცხენი კი არა, ადამიანი იყო, ადამიანი, ჩემო ბატონო, — ამბობდა ბაბუამისის ძმა. ისევ ისეთი თბილი და კეთილშობილი ღმილი ჰქონდა.

სანახევროდ გაწყობილი სუფრიდან გემრიელი კერძის სასიამოვნო სურნელი მოდიოდა. ნელი-ნელ, მაგრამ ჯუტად ევსებოდა ყელი ნერწყვით. საფეთქლებში მოწოლილ ტკივილს დაღლი-

ავთანდილ ჩხიკვიშვილი
გვალვას

ლობისა და გამოფიტვის გაბურანება ერთვოდა თან...

უფრო მეტად ამოწითლდა აღმოსავლეთით ცა. მზის ცივი სიყვითლე დაედო ხის კენწეროებს. გაიყო სინათლის ორ ზოლად — ჩამუქდა სოფელი. მელნისფერი დაედო ეზოს. მოწყენილი, პანაშვიდური სევდით აპრიალდა თუთის ხეზე ჩამოკიდებული ნათურის შუქი. უფრო მკაზხედ და მკვეთრად გაისმა სუფრას შემომსხდართა ხმები, სოფლის ძაღლების ყეფასა და საქონლის ზმილში არეული ჩაიხლართა ეს ყველაფერი-ხმაური და ფერები ერთმანეთში, გარდაიქმნა ჩამძიმებულ ყრუ ტკივილად.

მოეშვა, მოდუნდა სხეულის თითოეული ნაწილაკი. გაბრუნდა თითქოს.

ბანცალით გაიკრიფნენ ეზოდან ღვინით ამჩატებული, ფეხარეული ლანდეზი.

იჯდა დიდ ოთახში, კარებთან მიდგმულ სკამზე. ვეღარ აღიქვამდა ისე მძაფრად ბალზამისა და სპირტის გულისამრევ სუნს. უყურებდა სახე-წამოწითლებულ, თვალებდაწირბლულ ბიძას, სუსტ გამაღიზიანებლად უსუსურ სხეულს. იქვე იჯდა ბიძის ცოლი — ჯანმრთელი და ეშხიანი, მაღალი მკერდით, აკვალთული თეძოებით; შავი სამოსი კიდევ უფრო მძაფრად აჩენდა მის სურვილიან ქალღრობას. ქალს ხელში დაკმუტნული ცხვირსახოცი ეჭირა — გულზე მიეკრა. თითქოს მკერდს იჭერდა. მაღალი, ხორბლისფერი ყელი მუქი ფორაჯებით დაწინწკოდა. დიდი, ცისფერი თვალების მოწყენასა და დაღლას ამკვეთებდა თვალის უბეებში ჩაზრდილი ნაოკების სიფრიფანა ქსელი.

ეწეოდა სიგარეტს, ცხელი, მრტკბო კვამლით ევსებოდა ფილტვები, უთბებოდა ყელი. თითებით გრძნობდა უკვე ჩაღეული სიგარეტის სიმხურვალეს. უხეიროდ გამოუვიდა ნაფაზი, დაწვეს აყვა უეცრად მწკლარტე კვამლი. ჩაუდგა ქუთუთოში, მიაწვა თვალს, აუცრემლდა ცალი თვალი, მოჰუტა, ცრე-

მლი ჩამოჰყვა მტერისა და ქარისაგან გახეშებულ ლოყას.

— ტირი ხომ, ბიჭო, ბებიაშენს, ტირი ხომ? — ასლუკუნდა უცებ ბიძა, — იტირე, პო, იტირე! მე რაღა ვქნა, დავობლდი, აღარავინ მყავს, ხომ ხედავ!

კაცის მქავე სლუკუნმა თითქოს სიღარბაისლუ და პანაშვიდური ელფერი დაუკარგა იქაურობას. ამაზრუნად წამოეჩხინნენ თვალში სხვადასხვანაირი რბილი და მაგარი სკამები.

რაღაც ფეთიანი შეუძვრა სხეულში, წამოიძარბა მთელი ტანით, წააწყდა ბიძის ცოლის დამამკვირებელ მზერას-მოყარებულს ზიზღამდე, ბრაზიანი, მომდურავი ისრებით ჭოლავდა იგი მოსლუკუნე ბიძის გაწითლებულ კისერს და მელოტ თავს.

უეცრად სიახლოვე იგრძნო ამ ცისფერთვალა, უტყვი სამდურავით ავსებული ქალისადმი, რომელიც წარბშეუხრელად იტანდა და ატარებდა ვეება, გამოფიტულხავსიან ტვირთს და მკერდზე მიჰქერილი წვრილი, დაკუმშული თითებით იკავებდა ამოვარდნამდე მისულ სულსა და სუნთქვას...

წამოდგა. თავდახრილი გამოვიდა აივანზე. წვიპურტით ისროლა სიგარეტის ნაწვეი. ცეცხლის წერტილი თალარის რკინას მოხვდა და ათას ნაპერწყლად გაიფანტა სიბნელეში.

შუბლით აივნის გრილ სვეტს მიეყრდნო. ქვედა ტუჩზე კბილის დაჭერით შეიკავა თეძოში გაკრული ჭვალი. გააერთიანა ტკივილი, ნელ-ნელა აუშვა მერე კბილი ტუჩს, დაეშაშრა სიმწუთხისაგან ენა და სასა.

ჯიბეშივე ამოაძრო კოლოფიდან სიგარეტი, მოუყიდა, მობრუნდა, მერე ზურგიით მიეყრდნო აივნის სვეტს, ააყოლა თვალი აივნის ჭერამდე, მერცხლის დანგრეული ბუდე ჩანდა ტალახისფრად.

ნელი ყრიალი უვლიდა დაღლილ სხეულს, ბოროტი ყრუანტელი ატოკებდა თვითოეულ ნერვს.

ბიძის ხვრინვა მოესმა უცებ უკანა ოთახიდან, სროტინში გადადიოდა



ხერხეა ხანდახან, წყდებოდა მერე უცებ, აუტანელი შიშისმომგვრელი სიჩუმე ისადგურებდა.

წააწყდა ბიძის ცოლის — გაყინული თვალების სიციხფრეს, რუხ ნაცრისფერში გარდამავალს. ნერვიულად უთრთოდა ლავიწთან ამობურცული ძარღვი თითოეული ამოხვრინების გაგონებაზე.

შეაქცია ზურგი ოთახს, აივნის რიკულზე ჩამოჯდა. კვლავ მიადო თავი სვეტის სიგრილეს...

ლიმონისფერი კედლები თეთრ, უფრო სწორად რუხი ჭერის ქვევით იკვეთებოდა ბრინჯაოს ჩამუქებული ზოლით. საწოლის კიდეებთან კედელს აჩნდა ოფლიანი ზურგის ხშირი მინაკრობი. ჩამუქებულიყო ტალახისფრად ლიმონის სიხასხასე. იწვა, უყურებდა მის ცხენის კუდივით სწორ და გაშლილ თმას, გადაწეულ კისერს, სიფრიფანა ყურის ბიბილოსთან გამობურცულ ლამაზ კობს, აღიქვამდა როგორც სარკე. ის სწორედ სარკესთან იჯდა, ილაგებდა თმას. ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ წამოიღო, მერე მოიქცია ვარდ-ბუხუსა ლოყასა და მხარს შორის, მიიწია სარკისაკენ, აიბუხა ზედა ტუჩი, გაიქნია თავი, წამოღდა. მოიძვინნენ წელისკენ ოვალური მკვრივი თეძოები, ხალათის გაყოლებზე ვარდისფერ წვივებს დააჩნდა დაბალი სკამის ძვირის მოწითალო ზოლები, მიიწია სარკისკენ, შეეფერქვია მთლიანად.

დაიორთქლა წებოვანი ჯანლით თვითონ, შიშმა და ძრწოლვამ დანესტა გოჯი-გოჯ, მიაწია ყელში უკმარისობასავით. გაუცხელდა ნესტოები, გადმობრუნდა კედლისაკენ. აღარ ხედავდა ახლა. გრძნობდა მხოლოდ.

ავი და ძნელი წარმოსადგენი იყო ტალახისფრად შეფერილი ლიმონის სიხასხასე. მოისრისა დაჭიმული ხელის თითები. დამუშტა მთელი ძალით-სახსრის ტვენამდე, შეიკავა სუნთქვა. ჩამოუქდა იგი საწოლზე, არ გადმობრუნებულა, მისი თითების აბლაბუდასავით ნაზი ნაკვალევი აჩნდებოდა ზურგ-

ზე, ყისერთან. გრძნობდა ახლა მას. მოხუჭა თვალები, ამოისუნთქა ნელ-ნელა ტკივილივით. მიიჩოჩა კედლისკენ. მისხელი ეჭირა ახლა იმას, უსვამდა აბუსუსებულ მკლავს, ელამუნებოდა ფრთხილად, ბუმბულოვით, ნელი ჟრუანტელი მოჰყვებოდა ყველა ჩამოსმას, ცახცახებდა, თითოეული ცოცხალი უჯრედი დენგავილილი, იზრდებოდა რალაციის ძლიერი მოლოდინი და თმენა.

იღვენთებოდა ისევ და ისევ შიში, აღტაცება და ძრწოლვა, გროვდებოდა შემფასებლის და მებატრონის ვეება ტვირთად. ვერ უძლებდა ამ სიმძიმეს. გასარესას უბირებდა თითქოს. თავს იჩენდა განცდა-საუნჯის შემთხვევითი, უღირსი მებატრონეობისა. კრთებოდა მარადიულობის შეწყვეტის უხევი სიგნალები, უსიამოდ მტკივნეული სხივებით ავსებდნენ გონებასა და სხეულს იჭვიანობის საშინელი, ღვარცოფად მოვარდნილი ნაკადები.

ეჭვიანობისა არა სხვაზე, არამედ საკუთარ თავზე, შეჭიდებულზე ვნებიან მარადიულ სივრცესთან. იკაფავდა გზას სასაოწარმკვეთი იჭვი — ვერ ამთავსებდა ამ სივრცეს, ვერ გაწვდებოდა მთლიანად...

ცდა იყო მაინც ძლიერი, მბორგავი, ზღვარწამშლელი. თუძოებსა და თხელ ნეკნებს შემორკალური თითებით ცდრილობდა მის ირგვლივ ზვავივით ჩამოწოლილი მოზიზიზიმე ქაოსის შეკავებას.

გრძნობდა ბურანს, ცხადს, გრძნობდა ყველაფერს ერთიანად — სამყაროს გაჩენიდან დღემდე, ერთმანეთში არეულსა და ალუფხულს. ცდილობდა გაესწრო ყველაფრისათვის, გაესწრო დროისთვის, ზვავივით ტკივილისა და სიმძიმის ფასად. ლაგამს აძრობდა საკუთარსა და სხვის ენერგიას, აქცევდა ერთიანად, მთლიანად — განუყოფლად.

ახშობდა თითოეულ ბზარსა და სიცარიელეს, ჩეხდა და ასწორებდა ქაოსს...

ავთანდილ ჩხიკვიშვილი
გვალვა

თითქმის მოერია, დაგმანა თითოეული უჩინარი ნახვრეტი და ბზარი...

წაძოსვლის ხანს ხედავდა მას, — არეულ საწოლში გონმხნდილს, ტკბილ უღონობაში ჩაძირულს.

ხედავდა მას — უკვე დამორჩილებულ და ჩვეულებრივად ქცეულ სილამახეს, საკუთარი ღონიერი თითებით დაფორაჯებულს.

კიბეზე ჩამოდიოდა მსუბუქად, გრძნობდა ერთადერთ სიმძიმეს — საკუთარს, რომელიც ყველა დანარჩენს შიგნით იქცევდა. ქუჩაში ისევ დაეჯახა იქვის ზვავი. ისევ წამოინთო ცხვრის ნესტოებში ლიმონისფერ კედელს შერჩენილი მამაკაცური, ტლანქი ზურგის მძაღე სუნი. ერთბაშად მოკუნტა ნაცრისფერი ქუჩის გულგრილობამ და გაქეილ მტვრიან ნაკადში უსუსურ მწერივით ჩაითრია...

სიმწრისაგან დაწვებზე გაჩენილი ნაკვები იგრძნო. ჯიბეზე ხელი მოისვა, სიგარეტის ცარიელი კოლოფი შერჩა. ფეხაკრეფით ჩამოუყვავა კიბეს, კოჭებზე ცვრიანი ბალახის შეხებამ მოტბო ურუანტელი მოჰგვარა. ფრთხილად გამოაღო მანქანის კარი, ტორპედოს სათავსოდან სიგარეტი ამოიღო, იქვე მოუკიდა, ზურგით დაცვარულ, სველ მანქანას მიეყრდნო. სიცივე ხერხემლიდან მოედო სხეულს და მთელი ტანი ერთბაშად პაწაწინა ბუსუსებით აუხორკლიანდა.

კვამლს ნელ-ნელა, ნება-ნება უშვებდა ნესტოებიდან და წინ გამოწეული ქვედა ტუჩით გრძნობდა თამბაქოს სითბოს.

ვარსკვლავებით მოჭედილი იისფერი ცა ამკვეთარებდა ჩამუჭებული მთების ბლაგვ კონტურებს.

ხევის ძირიდან გვალვისაგან წყალგამეჩხრებული მდინარის მსუბუქი ჩხრიბალი ისმოდა.

ტკბილ ხმაურად ჩაესმოდა ათასგვარი მწერის, ხმაშეერთებული, სოფლის საღამოსთვის დამახასიათებელი მუსიკა.

მოუღუნდა სხეული, გაუშეშდა სიგარეტიანი ხელი... შეაფხიზლა კარგის ქრიალმა. თეთრი, გრძელსაცვლებიანი ბიძის ლანდი მოფარფატებდა სიბნელებში. ჩამოიარა კიბე და მავთულის ღობეს მიადგა, ფოთლებზემკნარ ალუჩის ძირში.

რამდენიმე წამით წყლის შიშხინი დაერთო კრიჭინობელების გაბმულ ზუზუნს.

მობრუნდა მერე ბიძა, ხელი მოისვა ქვედა საცვალზე, შეაჩნია იგი, წელში მოხრილი წამოვიდა მანქანისკენ.

— არ გძინავს? — უსაზღვროდ მადლიერი სითბო გამოკრთა თვლებში, — ღამეს უთევ ხომ ბებიაშენს?

ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა, მოშორდა მანქანას.

— წამოდი, ბიძა, ზევით, არ ვაცივდე აქ, ნიავმა არ დაგვრას.

გაჰყვა. მიდიოდა. ხედავდა ბიძის თეთრ სამოსში გახვეულ სხეულს.

კიბეებთან მოტრიალდა ეს უსიამოთეთრი გორგალი, შემოხედა იგივე მადლიერი სითბოთი, — შენ გიშველა, ბიჭო, ღმერთმა, რომ ჩამოხვედი. მარტო ვარ, ბიჭო, სულ მარტო!

შეჰხარა უცებ მის ირგვლივ შემოსალტულმა დარცხვენილი მადლიერების მძიმე ნაკადმა. მით უმეტეს უკვე ნაცნობსა და უსიამოს მოჰგავდა იგი. ღრმა ნათვაზით ჩაისუნთქა თამბაქოს კვამლი, მოიხედა გონებით ჩავლილისკენ...

მსუბუქად გადაახტა შუა ქუჩაში გათხრილ კანალიზაციის ორმოს. ორმოდან ჭაობის მყრალი სუნი ამოდიოდა. ეს სუნი სადარბაზოდღე მიჰყვავდა. პირველ სართულზე კარტოფილს წვავდნენ, მთელი ბაქანი გაეკვრებინა მოხრაკული ერბოს სურნელს. აღიოდა ნელა და დინჯად. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. სიამოვნებდა, რომ კიდევ ხუთი სართული იყო დარჩენილი. ეზოში ელოდა იგი. კეფით გრძნობდა მის იმედიან მზერას. ძალუნებურად ღიზიანდებოდა. აღიოდა ნელი ნაბიჯით, ისე, როგორც მთაში დადიან ხოლმე. გვერდულად.



არწვოდა მთელი გონებით-ჩავ-
ლილსა და დღევანდელს შორის...

სიგარეტის ცეცხლით მოუქიდა დინა-
მიტის ფითილს, მერე ინსტიქტურად
წელში მოხრილი გამოიქცა. კბილე-
ბით ეჭირა ანთებული სიგარეტა.
ბალახით დაფარულ კოლოხს ფეხი
წამოჭრა და შეიგინა. სიგარეტი გაუ-
ვარდა. დინჯად ჩაცუცქდა, სიგარეტი
აიღო. უკნიდან ფითილის შიშინი ეს-
მოდა, ოდნავ მოუჩქარა ნაბიჯს. ის-ის
იყო პატარა ხევში ჩაწვა, რომ აფეთ-
ქების ხმაც გაისმა. სწორედ მაშინ წა-
წყდა უაზროდ გაშტერებულ თვალებს.
საფეთქლებზე შემოჭერილ გამხდარ,
წვრილ თითებს და მოკუნტულ სხე-
ულს. აფეთქების ტალღამ მათ თავზე
გადააყარა მიწის წვრილი ნაფშვენები.
ქვეები უფრო შორს, მდინარეში ისრო-
ლა. უცბად ვერც კი მიხვდა შიშმა თუ
აფეთქების ტალღამ შეაძაგადა ეს გა-
ჩხიყული, მდინარის ნაპირზე დაგდე-
ბულ ტანსაცმელივით დაგორგლილი
სხეული, რომლის სიცოცხლეს მხო-
ლოდ სათვალის დაორთქლილი მინები
ამკლავებდნენ. უცბად ზიზღისა და
ცოდვის ერთმანეთში გახლართულმა
განცდამ მოიცვა. მეორე აფეთქებამდე
ამის ცქერა აღარ შეეძლო. მთელი ტა-
ნით გადაეფარა. გულმუცელზე გრძნო-
ბდა მის ნერვიულ, აუტანელ კანკალს.
ვეღარ იკავებდა თავს მოწოლილი ზიზ-
ღისა თუ სიბრალულისგან. გონებაში
აჩქარებდა დროს. ითელიდა აფეთქე-
ბებს. დრო ჭიანჭურდებოდა, გრძელდებო-
და. მოვარდნილი ხმაურით და ზურგზე
წყარილი მიწის ნაფშვენებით გრძნობ-
და, რომ იგი მაინც ვადიოდა და სულ
რამდენიმე წამში განათვისუფლდებო-
და ამ გულისამრევად მომჩვარული
სხეულის მეურვეობიდან.

ოფლით დაცვარული შუბლი ხელის
ზურვით მოიწმინდა და წამოდგა. აღარ
უნდოდა ქვევით დახედა. გულგრი-
ლად მოიშორა მხრებზე დაყრილი მო-
წითალო მიწის ნაფშვენები და აფეთ-
ქებული ადგილისკენ ჩქარი ნაბიჯით
დაიძრა.

უცბად იგრძნო, თუ როგორ დაეწია
დაორთქლილი მინებიდან გადმოსულ
დარცხვენილი და მადლიერების სავსე
ნაკადი, რომელიც ერთბაშად დაგროვ-
და, და მომაბეზრებელ მძიმე ტვირთად
ჩამოედგა მხრებზე.

კარვის წინ, გაჩაღებული კოცონის
პირას, ხის მორებზე ისხდნენ. მხრებზე
თბილი ჯუბები მოესხათ. ქვევით მდი-
ნარე ჩქაფანებდა, ცოტა ზემოთ,
მარცხნივ, მეცხვარეების ძაღლების
ყეფა და მწყემსების შეძახილები ისმო-
და.

ნაძვის კვარისაგან გაჩაღებული კო-
ცონი ამოდ ცდილობდა სიბნელის გა-
კვეთას. იჭდა, მუხლზე უბნის რუქა
ედო, მეორე დღის მარშრუტს ადგენ-
და. დაყოჩილი თითები ვეღარ იმორ-
ჩილებდნენ ფანქრის დაკუთხულ
ტანს. დაღლილობისაგან ტენდა მთელი
სხეული. სციოდა ზურგზე და ეს კიდევ
უფრო აძლიერებდა ცეცხლისაგან გა-
ფიცებულ მუხლების სითბოს.

ირგვლივ კოცონისაგან განათებული
მცირე მონაკვეთი ბრჭყვიალებდა. მდი-
ნარის ძილისმომგვრელი ჩქაფანი ერ-
თვოდა ნელი ნიავის შრიალს. იგი კარ-
ვიდან გამოვიდა. ხელში გიტარა ეჭირა.
იქვე ჩამოჯდა. უკრავდა ნელა, საამოდ.
მუსიკა ჯიუტად ბოჭავდა გარემოს.
იმორჩილებდა სინათლესა და ბნელს.
მდინარისა და ნიავის უწყინარ ხმაურს
და როცა მან გახედა შორეთს მიყინულ
ცეცხლისგან აპრილებულ სათვალის
მინებს, სიმებზე მოთამაშე წვრილ,
ნერვიულ თითებს უნებურად ჩამოყვა,
რალაც თბილი და სათნო, მაღალი და
მადლიერი. მხოლოდ ამის შეგრძნება
მოასწრო, რომ მისი მზერაც და დროც
იმ მადლიერებასა და სითბოს მიეყინა...

ეწვოდა და აწუხებდა ქარდაკრულ
კისერზე შემოჭერილი გახამებული სა-
ყელო. უხერხულად ატრიალებდა თავს,
ილიმებოდა ძალაუვნებურად. ბრაზდე-
ბოდა თავის არაბუნებრივ, ყალბ ყო-
ფაზე. ნერვებისმომშლელად მოქმედე-

აბთაწილ ჩხიპიზშილი
გვალმა

ბდა მხიარული ბრბოს ვნისი. მუსკა, ფოტოაპარატების ჩხაკჩხუკი. ამას თან ერთვოდა რაღაც ავისმომასწავებელი, რომელიც მთელ სხეულს უხრავდა. უყურებდა მათ და თანდათან ნერვიული ცახცახი იტანდა. იგი იდგა საქორწილოდ მოკაზმული-თხელი და სუსტი, დაბნეული ატრიალებდა თეთრ შუშებ-გადაკრულ ცისფერ თვალებს. ოფლიანი, წვრილი თითებით სრესდა ცხვირსახოცს. იღიმებოდა მოლოდინითა და სიხარულით სანახევროდ არეული. მისი დაბნეული ქცევა არ ეთანხმებოდა მის გვერდით მდგომ ქალს-ნდომითა და სისხლით სავსეს.

ნერვიულად ისწორებდა მათი შემყურე კისერზე შემოსალტულ პერანგის საყელს. ცდილობდა დაენახა ამ თეთრ სამოსში გამოწყობილ ლამაზ არსებაში ახლობელი, მეგობრის საცოლე, თუნდაც ცოლი. არ ეთანხმებოდა ეს არაფერს. გრძნობდა მხოლოდ ქალს. ეშმაკსა და მაცდურს. ბოროტითა და ისიამოვნო და მამუხტულს. მასზეც გაღადი-ოდა ეს მწყობრი და ერთიანი მუხტი. ძაბავდა მასაც, ავად და ბოროტად-ვნე-ბიანი, მამაკაცური უნდობლობით.

იკავებდა თავს, რომ არ გაქცეულყო აქედან, რომ არ მოშორებოდა ყოველივე ამას. აკავებდა საკუთარ თავს გარდა კიდევ რაღაცა — დამჩაგვრელი, შეურაცხყოფელი.

დაიძრნენ, როგორც იქნა. პირველმა მიაშურა მანქანას, ჩართო ძრავი. ნერვებად ქცეული ელოდა როდის გათიშავდა გადაბმულობას და გადართავდა სიჩქარეს.

იმ დამესვე წავიდა მთაში. ნელ-ნელა იფხიზლებდა ღვინის სმისაგან შეკირხლულ გონებას...

იმავე ნელი, გამოზომილი ნაბიჯით აღიოდა კიბეზე. კიდევ ერთი სართული იყო დარჩენილი. გრძნობდა თავისი მისიის უნაყოფობას. მიდიოდა მაინც. ამძიმებდა უნებურად თავსმოხვეული ტვირთი.

სანამ კარები გაიღებოდა, მთელი სიბრაზით, ცახცახტანილი სხეულით გა-

ნიციდდა უაღრესად გაჭიანჭრებულ დროს. როგორც იქნა, გაიღო კარები წამსვე თვალში მოხვდა და მთელი ტანით შეიგრძნო ზედადილშეხსნილ ხალათიდან გამომხეურებული მაღალი მკერდის სივარდისფრე. წაიბორძიკა ზღურბლზე. ყელი და სასა გაუშრა ერთიანად, შემოეხვია რაღაც დამჩაგვრელი, აბუჩად ამგდები და დამამცირებელი. სავარძელში ჩაჯდომისას ხელებით შეიმაგრა მუხლების ცახცახი. ვერ უსწორებდა თვალს. გაუხურდა უეცრად ყურისძირები და ლაწვები, პირიქით დაემართა შუბლზე—გაეყინა, ერთიანად მოაწვა ცივი ოფლი. ოფლმა დაუსვეს კეფაც და ზურგის თხემიც. ძლივს იკავებდა თავს აუტანელი ქავილისაგან.

ოთახში ავისმომასწავებელმა მოლოდინმა დაიბუდა. ბრაზიანი, ნემსებოვით ნაკადები ცხრილავდნენ სხეულის თითოეულ უჯრედს.

ამაოდ ატანდა თავს ძალას, როგორმე მოეკრიბა გონება. ვერაფრით მოაბა თავი სათქმელს. ისევ იმან უშველა. გამოიცილა მისი მოსვლის მიზეზი. აღაშფოთა, შეურაცხყო ამანაც. უნებური სიძულვილით შეიმართა.

ისმენდა, რომ: არაფრით არ შეეძლო შერიგება მასთან (ქვევით რომ იჯდა), რომ არაფერს ნიშნავდა მისი სიყვარული, რომ კიდევ იყო რაღაც საჭირო, საჭირო და აუცილებელი, რომ ამას მიხვედრა და გაგება სჭირდებოდა.

არ გაჭირვებია მიხვედრა. ამაწ უფრო გააძლიერა ყელში მოწოლილი სიძულვილი და ბოღმა. ვერ აიტანა ასე აბუჩადაგდებული, დამცირებული ყოფა. მით უმეტეს გრძნობდა, რომ მხოლოდ მას არ ეკუთვნოდა ეს აბუჩად აგდება და შეურაცხყოფა, არც იმას, ქვევით რომ ელოდა მოუთმენლად, ეკუთვნოდა ყველას, ვისაც კი დასაბამიდან დღემდე და დღეიდან აწი უნდა რქმეოდა ერთი სიტყვა — „მამაკაცი“. ყველაზე უნდა განაწილებულიყო ეს შეურაცხყოფა და დამცირება. იყვნენ თუ არ იყვნენ ამისი ღირსი, ეკუთვნოდათ თუ არ ეკუთვნოდათ ასეთი ხვედ-



ბი. ეს იყო საშინელი და სამარცხვინო, ძნელი და ბრაზიანი, საჭირო იყო მხოლოდ ერთადერთი პასუხი...

წამოდგა მთლიანად სველი და ერთსუნთქვადქცეული. წკაპუნით დაცვივდნენ იატაკზე ხალათის ღილები. უკვე ბრაზიან ბურანში მყოფს შეეგებნენ ქალის მოლოდინითა და შიმშილით სავეს თვალები და ტუჩები...

— მარტო ვარ, ბიჭო, სულ მარტო, აღარავინ არა ჩემთვის, თავი მაქვს ჩამოსახრჩობი, — ამბობდა ბიძა, — დავკარგე ყველაფერი, არ გამიმართლა, კი, ნამდვილად თავი მაქვს ჩამოსახრჩობი...

შეხედა. არაფერი უთქვამს. იღლიებში შეიწყობ სიცივედანაკრავი ხელები. მარჯვენა ხელის მტევნით გრძნობდა გულის არითმულ ცემას. უყურებდა ცას. ეპარებოდა თანდათან სიბნელეს რიყრახი — ხანძარი გაჩენილად თითქოს მთებს გადაღმა. გაეყინა რამდენიმე წამით მზერა — მოგონების უსიამო სხივით...

გამყოლი წყაროსთან დარჩა, თვითონ აღმა აუყვავა წიფლისა და ცაცხვის ვეება ხეებით დაბურულ მთას. იდგა ირგვლივ ნოტიო და ჯანსაღი სურნელები. მიაბიჯებდა. ღრმად სუნთქავდა სიამოვნებისაგან, მხარიღლივ გადებულ იყარაბინის ლულა ხანდახან წვივზე სცემდა. ხელში ბასრწვეტიანი, მძიმე ჩაქუჩი ეჭირა. ჩაქუჩის სიარულშიც იხმარდა. ფეხი მსუბუქად ეფლობოდა ჩაყვითლებულ ნეშოში. ხანდახან გამეჩხერებულ ხის ტოტებში იეღვებდა მაღალი და სუფთა ცა. მიდიოდა, თან შემხვედრ ქვებს ჩაქუჩის ურტყამდა, გადმოაბრუნებდა, შუაზე ტეხდა; ჩვეულებრივი, სიენიტების და პორფირიტების ნამსხვრევები იყო.

თხემზე შეისვენა. პლანშეტი ამოიღო. რუკაზე ჯგუფს დასამლიბი წერტილები მოუჩინა. ფეხის ხმა შემოესმა, უფრო სწორად ფოთლების შრიალი. სხეულით იგრძნო, ფრთხილი იყო მოძრაობა — შემპარავი. გაუკრთა რაღაც იჭვიანი. შეინაცვლა ჩაქუჩი მარცხენაში, მარჯვენა ააპარა ყარაბინის თასმას,

საჩვენებელი თითითა და ცერით მოსინჯა თოფის საყეტი, მობრუნდა უცებ. ქლალი წვეგრისა და აბურძგნული თმების ქაოსში მოპრიალე თვალებს წააწყდა. მზერა იყო დაძაბული და ფრთხილი.

შეეჩვია აქაურების წესს, მუდამ პირველნი დაასწრებდნენ სალამს. დაელოდა ახლაც. დამშვიდდა, შეუშვა ხელი თოფს. სიგარეტი მოიჩხრიკა შარვლის ჯიბეში.

ხრინწიანი, ლაპარაკს გადაჩვეული ხმით მიესალმა იგი, სულ მთლად მოთელოლი და დაგლეჯილი სამოსი ეცვა.

მიაწოდა სიგარეტი, ვეება ხეშეში თითების კანკალით ამოიღო.

ჩამოკრა სანთიას. მოუეკიდეს. დაარტყეს მადიანად თითო ნაფაზი. არ ჩქარობდა თვითონ საუბრის დაწყებას. არც უნდოდა, მობეზრდა კიდევ, არ ასვენებდნენ აქაურები შეკითხვებით.

— ეძებ? — იკითხა.

— პო, — უპასუხა დიმილით.

— რას? — ხრინწი მიეძალა ხმას.

— ხან რას, ხან რას.

— ოქროს?

— შეიძლება ოქროც იყოს, თუმცა ნაკლები მოსალოდნელია.

მოსულმა დამცინავად ჩაიქირჩილა, გამოაჩინა ცხენივით გრძელი ჩაყამული კბილები. აგდებით შეხედა მერე.

— ოქრო თუ არა სხვა რამის ძებნას რა აზრი აქვს?

— აქვს! — ნაძალადევი სიმშვიდით უპასუხა. გაღიზიანებული იყო უკვე. სიგარეტის კვამლით ცდილობდა მოსულის წვირიანი ტანის საშინელი სუნის დაფარვას.

— მაშ ეგ რაა? — მოსულმა ქურთუკის ჯიბიდან აურუპიგმენტის პატარა ნატეხი ამოიღო, კმაყოფილი მედიდურობით გაუწოდა.

არ გამოურთმევი ისე უპასუხა, აურუპიგმენტიყო.

— რაა? — იკითხა იმან.

ავთანდილ ჩხიკვიშვილი
გვალვა

— ოქრო არაა, სახეცვლილებაა მისი, არაფრად გამოსადეგი.

მოსულის მზერა მტაცებლური და იქვიანი გახდა უეცრად.

— მაშ ოქრო არაა? — დამცინავად ჩაეკითხა კვლავ.

სიბრაზე მოაწვა ყელში, ჩამოართვა სინჯი. ჩამოჰკრა სანთიას, დაუჭირა მერე ცეცხლის აღს, ოქროსფერი მკრთალი ელვარება წამსვე შეიცვალა — მოშავო, მორუხო ფირფიტა დარჩა მხოლოდ.

შედრწუნებული უცქეროდა მოსული ამ ჯადოქრობას, უკან-უკან იწყო მერე დახევა. მოედრიცა ყბა, უცახცახებდა ქღალი ბალნით დაფარული თვალის უბე და ღაწვი. მოწყდა მერე ადვილს, ყვირილით შეერია ტყეს.

მიხვდა გამყოლი ვინც იქნებოდა, უთხრა: გამრჯე, თვინიერი კაცი იყო ერთ დროს. ცოლ-შვილის მოსიყვარულე, შემის დამზადებზე მუშაობდაო, უტბად გამოიცვალა, გულჩათხრობილი გახდაო, აიყარა გული ოჯახზე, თანასოფლელებზეც აიტრუაო გული, გაუბროდაო ყველას, ბავშვი მოუტყვდაო იმ წელს. ცოლიც გაიქცაო მგონი დედმამსთან თუ საღდაც. მას მერე იშვიათად ჩანსო სოფელში. ღამით შეხვედრია რამდენიმე კაცს. ტოპრით მოათრევდაო რაღაცას.

კარავი წყაროსთან ჰქონდათ. ეძინა გამყოლს, თვითონ არ მიეკარა ძილა რატომღაც. შუალამეზე ყვირილი და სტვენა მოისმა სოფლიდან. წამოხტა, გახედა სოფლის დღესავით განათებულ ცას. ხანძარია გაიფიქრა. გააღვიძა გამყოლი. აზრი არ ჰქონდა მათ მიშველებას. დილაზე ვერ ჩააღწევდნენ ასეთ წყვარამში.

მეორე დღეს ჯგუფის მისაღებად ჩავიდა სოფელში — აი, იქ ცხოვრობსო, — გაიშვირა ხელი გამყოლმა. შეცბა უეცრად. ნახანძარალი მოჩანდა სახლის მაგიერ. ეულად აწოწილიყო ბუხარი. ახლაც ჩოჩქოლებდა რამდენიმე კაცი. მიუახლოვდნენ. ნასახლარზე მხოლოდ ნახშირი და დაკვირვებული თვალის-

თვის შესამჩნევი, აურუპიგმენტის მოცრო, ჩამავებული ზოდები ეყრდნობა ბავშვები თამაშობდნენ ნახანძარსთან, დასდევდნენ ერთმანეთს, ნახშირით გამურვოდათ ხელები, კისკისებდნენ უცოდველად და უდარდელად.

კვილი გაისმა უცებ, ეზოში გაშენებულ რცხილნარის მომცრო კორომიდან, მოტრიალდა ყველა. შეშინებული ბავშვი მობროდა. ზაფრანის ფერი ჰქონდა, გათეთრებოდა თვალის გუგები, იშვერდა დაკრუნხულ ხელს რცხილნარისკენ.

გაიქცა რამდენიმე კაცი. გაყვა თვითონაც, შედგა უცებ მონუსხულივით. რცხილის მოზრდილ ტოტზე რაღაც უფორმო მასა კონწიალებდა — ეღალი წვერისა და თმების სიმუქეში პრიალებდნენ უბეებზე გადმოცვენილი თვალები, წვერზე გადმოსული შედედებულ დუქი და თახსირი, ტანსაცემში გახვეული უმწეო ხელ-ფეხი...

— სულ წავიდოდი აქედან, ბიჭო, მაგრამ სად წავიდე? რა ვაკეთო?

უსმენდა კვლავ უხმოდ. ბინდისფერ კვამლში ისევ იჭრებოდა იგივე მოუშობრებელი სხივები...

პირველი, რაც მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე იგრძნო, იყო უსაშველოდ გავარვარებული, სულისშემკმეველი მტკრიანი ჰაერის უმოძრაო ფაფა, რომელმაც ერთიანად შეიწოვა ის და დანარჩენებიც და თავის ცხელ სიმსუბუქეში მოაქცია.

უფროსი მანქანის მოსაძებნად ვავიდა. ისინი ერთხანს თავიანთ ბარგიანად მაზუთით დაწინწკლულ ბაქანზე იღვნენ.

დაბალ, ერთსართულიან ვაგზლის შენობას გვერდიდან ჯუჯა ვაშლებისა და ალუბლის ბალი ეკრა. შენობის შუშაბანდში მორჩილი ზმორებით მიილანდებოდა აძრული მატარებლის სიმწვანე.

შენობის შუშებმა ერთბაშად სასაცილოდ აირეკლეს ბოლო ვაგონის გამცილებლის — ღიბიანი, დაგვაჯული ქალის ფიგურა და მარჯვენა ხელში გაშეშე-



ბული პატარა ალამის სიყვითლე. მერე ჟანგისფერი სივრცე ოთხმა დანისპირივით პრიალა ლიანდაგის ფოლადის სალტემ და დაკუპრულმა განძელებმა შემოქობეს.

ვაგზლის შენობის მარცხენა, ოდნავ გამოღებულ სარკმელი ბაქანზე დღე-ბულ სამ მოზრდილ ზურგჩანთასა და ერთი ხის მომწვანო საკეტიან ყუთს ირეკლავდა, მერე ბარგს რამდენიმე ხელი დაწვდა. ირიბად გამოჩნდა ერთ-ერთის პროფილი და განძელებზე მძიმე ლანჩებიანი ფეხსაცმელები აბრაგუნდნენ.

ნელი-ნელ, ღუნედ გასრიალდნენ თვალწინ აღმურმოდებული ქალაქის უსიცოცხლო ხედები. მერე ყოველივე ეს ალაგ-ალაგ ჩატბორილმა მახუთის გუბურებმა და ხვატით ჩახრუკულმა მინდვრებმა შეცვალეს.

ლაპარაკისას იშლაშნებოდა გახურებული, გამომშრალი სასა, სანერწყვე ჯირკვლები მოღუნებული მორჩილებით ცდილობდნენ სხეულისთვის ნერწყვის მაგიერ ბალღამივით მწარე წებოვანი ლორწოს შენარჩუნებას და მიწოდებას. კბილებს შორის ხანდახან უსიამოდ გაიშრაშუნებდნენ სილის ხორაში ნამცუცები.

სხეულებით იკავებდნენ ცხელი ჰაერის მასას და ფიქრობდნენ — ქვეცნობიერი და აშკარა ცნობიერებით ელაბუნებოდნენ სიგრილესა და ცივ, გემრიელ წყალს.

სალამოთი ერთბაშად აცივდა. იკრუნჩხებოდა თხელ საძილე ტომარაში გახეული, ცდილობდა გადაელახა სიფხიზლის ზღვარი, როგორმე მიეგდო გონება ძილისათვის, კოლავდა მხრის ძირთან დარჩენილი სიცივე. წრიალებდა. მოდიოდა მაინც განაცრებულ ნაპერწყმებად, ძილისმომგვრელი მომთენთავი გაბურანება...

დილითვე როცა სიცივისაგან ჟრჟოლამოვლილი, წელსზევით გატიტვლებული პირს იბანდა, კვლავ გრძნობდა საყლაპავ მილთან შერჩენილი თამბაქოს სიმწკარტეს და ბალღამს, მერე

ეს ბალღამიანი ნაქარვი კბილის პასტის არომატულმა მოტკბო გემომ შეცვალა: ყნოსავდა საკუთარი ოფლისა და წვირეს სუნს — საბნის ფაფუკ სურნელთან გულისამრევად შეზავებულს. გულმოდგინედ იცილებდა სხეულზე აკრულ ქვიშის პაწაწინტელა მარცვლებს. სწორედ მაშინ იგრძნო, რაღაც დაჟინებულო, უცხო, რომელიც მთელ მის სხეულს სჭამდა და ძიძგინდა, ყვლიფავდა სამოსსა და ცივი წყლისაგან გავარდისფერებულ კანს. თავი წყლიან პეშეში ჩამალა, ამოისუნთქა ღრწად, აფრუტუნდა, მობრუნდა მერე, ზურგით დაადგა იმ უსიამო და შემადარწუნებელ სხივებისაკენ.

როცა ქამარზე შემოხვეული ხაოიანი პირსახოციტ ტანს იმშრალებდა, მაშინ უფრო მწვავედ იგრძნო დაჟინებული მზერა და ერთბაშად მობრუნდა.

კარვის კალთა გადაეწია და ისე უყურებდა. ხელში არყის ოდნავ ნაკლები ბოთლი ეჭირა, იდგა, მარცხენა ფეხით სწორად ეჭირა, მარჯვენის მუხლი მარცხენასთვის მიეყრდნო, წვივი გვერდზე გაეწია, ტერფის შიგა გვერდით ეხებოდა მიწას; დიდი თვალეები და მბზინავი თმა ჰქონდა, დიდსავე ხორციან ტუჩებს და გამოციებულ თვალეებს ჰქონდათ რაღაც დამთრგუნველი. მეჩხერწვერიანი კისერი ჩასტკნობოდა, მარჯვენა ხელში ბოთლი ეჭირა, მარცხენათი დონიჯი შემოერთყა, ოღონდ არა ისე, როგორც საერთოდ უჭირავთ — თითებს ჩამოდებენ საქამრზე, არა, თეძოს თავზე ხელის ზურგი ჰქონდა შემოდგმული.

— გამარჯობა! — მერე არყიანი ბოთლი წამოწია — გინდა?

— დილა მშვიდობისა. არა, გმადლობთ.

— ძნელია, აქ ჰირს.

თავი დაუქნია, გასაგებიათ და ბარაკში შებრუნდა. პერანგს ხელი დაავლო, სასწრაფოდ გადაიცვა. ის კი კვლავ იქ

ავთანდილ ჩიკაბიანი

იდეა მომღიმარი და არყის ბოთლს ხელში ათამაშებდა. თვალის უბეებში წვრილი, სიმეტრიული ნაოქები გასჩენოდა. შავი, ხშირი წამწამები კიდევ უფრო ამკვეთებდნენ მოყვითალო თვალბის დამკინავ გამომეტყველებას.

— პირველად ხარ პარტიაში?

— საბი წელია ვმუშაობ.

— ძნელია მაინც აქ, ვაგიტირდება.

არ უპასუხა. თვალი გააყოლა ნაბზარებგაჩენილ, დაშლავზე მიწეულ ვეება კლდეებს, რუხი მოუსაფრობითა და დაკბილული ძვიდეებით შემკულს.

უსიცოცხლო, მოღუწებული იყო გახუნებული ცის ფონზე ბალახჩაბრუქული სივრცე...

კონსერვებით ისაუზმეს. აიკიდეს მერე ხაკისფერი ზურგჩანთები. გრძელი და დამღლელი იყო თითოეული მარშრუტი. ამრობდა სხეულს ქვიშანარევი ცხელი ქარი. სუნთქვისას უგემური, ხრაქუნა სილა უგროვდებოდათ პირში, ცხვირის ნესტოებში, ყურებში. ასე უნდა გაგრძელებულიყო აწი.

ბრუნდებოდნენ ქანცაწყვეტილები, წვირიანები — საკუთარ ოფლში ჩამყავებულები, მიეყრებოდნენ ბარაკში სასომიხილები.

ტეხდა მთელი სახსრები. დაბუებული ჰქონდა კიდურები. წიწკნიდა ყელზე დიდი ხნის გაუპარსავი წვერი. დაღლილი, გაბურანებული შესცქეროდა ბარაკის მორზე გაკრულ მსახიობი ქალის ნახევრადმიშველ სხეულს. ეს სურათი აქ დახვდა, სიმშვიდესა და შორეულ ტბილ-მწარე მოგონებებს აკავებდა მამაკაცის ოფლითა და ნდომით გაბერილსა და დამუნტულ კარავში.

სასოწარკვეთამდე გაღიზიანებული, გრძნობდა სხეულის თითოეული ნამცეცის საშინელ მოქანცვას და მოვლემარე ამბოხს. დაჩლუნგებული, ნაცარწყარილი ინსტინქტი შინაგანად ქექავდა თითოეული ნერვის სიფრიფანა-გაწყვეტამდე მისულ ძაფს.

ბარაკში სამნი იყვნენ — უფროსი ანგარიშს წერდა თავის კარავში, მოყვითალოთვალეებიანი შემას ჩეხდა.

რისხვასავით ატყდებოდა ძილბურანში მიგდებულ გონებას ნახევრად-თოეული შემოქნევა. კრილა სათითაოდ გაწყვეტამდე მისულ ნერვებს, თავის ქალაში ჩაგუბებული ტკივილის ფასად შეწყდა მერე ხმაური.

ჩაიძირა ცნობიერება გამკვირვალ ბინდში, ჩაიყოლია თან მსახიობი ქალის გათქვირული გულ-მკერდი და კანწწვრილა ფეხები.

ამოტივტივდა ერთიანად თვითონ, ამჩატდა ლბილ გემრიელ ჯანღში. ჩამოყვა ხერხემალს დაბურული, უაღრესად ტკივილნარევი სიტკბო. მოიარა წამშისხეულის თითოეული კუნჭული, გაახვია თხიერსა და ფაფუქში.

შეაფხიზლა უცებ გონება დაფარულმა იკვმა. წამოიწია ჯერაც ნახევრად ნებიერი. შეეჩხვა მოყვითალო თვალეები, ქაცახი წვერი, მტვრითა და ოფლით ავსებული თვალის უბეები და კისრის ნაოქები, მის საქამრეზე ჩაფლებული მოკანკალე თითები.

გადაითბა ერთიანად ყველაფერი, ანგარიშმიუცემლად დალანდა, მერე როგორ სწრაფად და ძლიერად გადაეფარა მის მოყვითალო, უაზრო თვალეებს დაკორკლილ ლანჩებიანი მძიმე ფეხსაცმელი. ვერ დააცხრო ამანაც საყლაპავამდე მისული საშინელი ზიზლი, გადაწია ხელი, დაწვდა მძიმე, გეოლოგიურ ჩაქუჩს, მოუქნია მთელი ძალით, მოასწრო იმან შებრუნება ზურგიით, გაისმა უცებ ყრუ ქახანი. გაუვარდა ჩაქუჩი ხელიდან, შეცბა უცებ, დაიმორჩილა შიშვარდნილი სხეული. ეგლო იგი ჩაშავებულ, ლეკერტა სისხლში მოსკრილი — ყბამოდრეცილი. სისხლი მოცურავდა ცხვირტუჩიდან, იბლანდებოდა ქაცახ წვერში, წვრილ ძაფივით ზოლებად ყონავდა მერე კისრის ნაოქებში.

დაიდრიალა მერე. ღრიალებდა ქაობში დასახრობად ჩაფლულის განწირულებით. წაწყდა უფროსის გაცოცებულ შიშით და მოლოდინით გაფართოებულ თვალეებს. მოიკუნტა უეცრად, ჩაჯდა

ერთ ადგილზე, შეიქცა ზურგი და
აყბაცა...
— მიაბიჯებდა ისევ მასუთით დაწინწკ-
ლულ, გახურებულ ბაქანზე, ცალი
მხრით მიათრევდა ზურგჩანთას, გრძნო-
ბდა უფროსის მოკლე ნაბიჯებს.

ნელი, ინერტული ზმორებით მოი-
ლანდებოდა ისევ მატარებლის სიმ-
წვანე, ვაგზლის შენობის მტვრიან ფან-
ჯრებში.

— საბუთებს მერე გამოგივზავნი,
ახლავე ჯობია წასვლა.

ვაგონში ასვლისას ერთი წამით გამო-
ხედა უფროსის მოწყენილ, ერთფეროვ-
ნებას მიჩვეულ, გადაღლილ თვალებს.

— სულ წავიდოდი, აქედან მაგრამ
სად წავიდე? რა ვაკეთო? ყველგან და-
მდევს ჩემი... რა ჰქვია? თან დამდევს
ყველგან... საკუთარი ხელით გამოზრდი-
ლი მოზვერიც დამხვარჩო. მთელი ხურ-
მა გადაეყლაბა, ვერ გადავარჩინე ვერა-
ფრით. არადა, ისეთი მოზვერი იყო,
სეთი...

გაეღმა ერთი წამით, მხიარული გა-
უქრთა რაღაც, გადადევნა მერე ფიქრი
ღმილის მიზეზს. მოიღუშა ისევ.

კარის გაღებისთანავე სუსხისაგან
დამზრალ სახეზე სითბოს გემრიელი
ქავლი ეცა...

ხალხითა და სითბოთი საესე პატარა
მოსაცდელში იდგა ნესტისა და თამბა-
ქის კვამლში არეული, ბოლში გამო-
ყვანილი თევზისა და არყის სუნი.

რამდენიმე წამს კარი ხელით ეჭირა,
გარედან შემოჭრილი სუფთა, ცივი ჰა-
ერის ზოლი იჭრებოდა მოსაცდელში
და ამონასუნთქ ორთქლსა და კვამლს
ჭერისკენ ბულულულებად ზვინავდა.

ვიღაცამ ამოიხრიალა. ვინების თუ
საყვედურის ნამსხვრევი მიწვდა კარებ-
ში მდგომს — კარი დახურეო თუ რა-
ღაც ამდაგვარი.

მზით ალაპლაპებულ თოვლის ცქე-
რას მიჩვეულმა თვალებმა, ძლივძლივ-
ობით გაარჩიეს, სათბურებსა და ტყა-
პუჭებში ჩაფლული რამდენიმე ქალისა
და კაცის სახე: მკერდზე ბავშვმიკრუ-
ლი ღედის დაღლილი მზერა და აფო-

რიაქებული, შფოთიანი გამომეტყვე-
ლება ოთხიოდე ბანქოს მოთამაშისა,
რომელთაგან ერთ-ერთს ეკუთვნოდა
წედანდელი მუქარა.

იქვიანი, უნდო დენი მუხტავდა
ახალშემოსულს. წაპით გაუსწორა
თვალი ბანქოს მოთამაშე წვერგაბურ-
ძგულ კაცებს. უნებურად გაცურდა
მარჯვენა ხელი თქოსკენ. მოსინჯა პის-
ტოლეტის სიგლუვე. მშვიდმა ყრუან-
ტელმა დააცხრო სხეულის ერთიანად
გაფაციცებულ მზადყოფნა. დინჯად
მიხურა კარი. ზედ ბანქოს მოთამაშე-
ებისკენ გაალაჯა, უკვე კარგად ამჩნე-
და თუნუქის ლუმელს, მის გვერდით
გორად მიყრილ ანტრაციტის მბზინავ
სიმქრალეს და დაორთქილლ სარკმ-
ლებს შორის ჩამოკიდებულ, მატარებ-
ლების მიმოსვლის განრიგს. ცარიელ
მერხზე ჩამოვდა ორი ხნიერი მამაკაცის
პბრდაპირ. ჯუბის ელვა შესაკრავი გაი-
ხსნა, გადაიღელა. გამართა მუხლი, მოე-
შვა მთლიანად. ერთხანს სიჩუმე იწვა
აბანოსავით თბილ და თამბაქოს კვამ-
ლით გაცისფრებულ მოსაცდელში,
მერე ბანქოს დასტამ გაიტკაცუნა და
ვიღაცის ამოხვნეშა მოჰყვა.

— რა ბრძანეთ, რა მოხელე ვარო? —
მიუბრუნდა ერთ-ერთი მამაკაცი, მეო-
რეს.

— ფილოსოფოსი. — შუბლზე ბეწ-
ვის ქუდი აიწია, იგი არც ისე ხნიერი
ჩანდა.

— ნამდვილად?! — იკითხა პირველ-
მა, მერე, როცა უნდო მზერას წააწყდა
უხერხულად შეიშმუშნა და დაუმატა —
აი, მე საქონლის მკურნალი ვახლავართ,
ბეითალი. 30 წელზე მეტია მივდევ ამ
საქმეს.

— სასიამოვნოა. — მოკლედ მოუპრა
თანამეინახემ და სათვალე შეისწორა.

— საინტერესო პროფესია გაქვთ.
ფილოსოფოსმა უხმოდ გადახედა.

— იცით, ზომ ვერ მეტყოდით, აი,
იცით რას, ახლა ყოველი დაღუპული

ავთანდილ ჩხიკავიძე
გვალვა

ათი სული პირუტყვიდან შვიდი ან რვა მამრია, როგორ ვთქვა, უწინ თურმე ასე არ ყოფილა, ამჟამად კი მამრის სიცოცხლისუნარიანობა გაცილებით სუსტია. დიახ, დიახ, ეს ფაქტია, მაგრამ რატომ? ხომ ვერ ამისხნდით.

ფილოსოფოსი ყურადღებით მიაჩერდა მკურნალს, თანდათან დაეძაბა სახე, — ნუთუ, მართლა ასეა, ნუთუ, — ჩაილულულა, — სანამდე მივედით... — უცებ დადევნებდა, ვაცვეთილ ჩანთას ხელი დაავლო — გმადლობთ, დიდი მადლობა, — წამოდგა — სხვანაირად არც შეიძლება, იცით, მე ასეც ველოდი. — თქვა და დარბაზიდან კისრისტენით გავარდა.

ოგი იჯდა, ფეხები გაეჭიმა, მთელ ტანში სასიამოვნო სიღბოს გრძობდა, ირონიული ღიმილით შესცქეროდა დაბნეულ, მართოდ დარჩენილ საქონლის მკურნალს, ამ დროს დარბაზში ყვირილი და სილის გატყალაშუნება გაისმა.

ქერა, თხელი ყმაწვილი ფერგამერთაო იდგა, ლოყაზე ხელს ისვამდა, შეშინებულ თვალებს აცეცებდა, სასოწარკვეთილი ეძებდა მშველელს, მის წინ სამი წვერგაბურძენული მამაკაცი იდგა ბოროტად აქოჩრილი.

— ამოყაქე ახლავე! — ერთ-ერთმა დაბალმა და კვადრატულმა, ნაბიჯი გადადგა, — ჩავეიწყო, გენახა რა ჩვენც... ქერამ უკან დაიწია.

— ოხრები! — ჩაიჩურჩულა მკურნალმა და მერხიდან ფრთხილად ჩაცურდა. ბავშვიანმა ქალმა ჩვილი ჩაიხუტა. თევზისა და არყის ჭიქებისკენ გაწეული ხელები ადგილზევე გაშეშდნენ.

გადაიწია ჯუბის კალთა, პისტოლეტის ტარისკენ გააცურა თითები, შეხედდა ქერას, ყბა მოქცეოდა შიშისგან, თვალის გუგუბის ნაცვლად თეთრი გარსი პრიალეზდა მხოლოდ, ნერვიულობისაგან წვინტილი ჩამოდიოდა ცხვირიდან, გადმოკიდებოდა საულეაშეზე. უცბად თვალი აარიდა. გულსამარევი მოეძალა რაღაც. გაუცვივა მთელი სხეული, გაუშეშა წამით პისტოლეტჩაბღუ-

ჯული მარჯვენა, ებრძოდა გონებრივ სხეულს — გაშეშებულს დასძინებულს, დასძლია თითქოს, წაშრიშართა.

განწირული ხავილი გაისმა ამ დროს და ყრუ ბრავგანი. გვიანი იყო უკვე. მის მარჯვენაში შერჩენილ ცივი ფოლადის მრისხანე საგანსაც დაეკარგა მნიშვნელობა.

ერთბაშად გაგლეჯილი კარიდან შემოვარდნილმა სიცივემ და ქარმა კორიანტელი დააყენა დარბაზში. ქერა ძირს ეგდო, ნაშირის გორაზე, ანტრაციტის მბზინვარებას თანდათან ეკარგებოდა ფერი-მეწამული სითხით...

ნელ-ნელა გამოკვეთა ალიონმა მთებისა და ხეების ცვარნაკრავი სიხასხასე. ჩაცმული ბიძა გამოვიდა აივანზე. პატარა მაგიდაზე დადგმული დოქიდან წყალი მოსვა ხარბად. შემოხედა მერე. — არ დაგიძინია, ხომ? არც ერთი წამით, თუმცა რა დაგაძინებდა, — გახედა, საქარე-გვალვისთვის მოწითლებულ ცას — დაწვა, ჩააოხრა ამ მუდრეგმა ყველაფერი, — კვლავ მოსვა წყალი. — რას იზამ: შენ დახვდები იმათ სადგურზე? ეპ, კიდევ კარგი აღრე ჩამოდი, როგორ დავახვედრო აქაურობა, რა ვქნა, რა ვუთხრა? მიდიხარ უკვე?

მხურვალე მზემ რამდენიმე წამში შეიშრო ცვარი, ხეებმა და ბალახებმა ერთბაშად გადაიკრეს სირუხე.

ოფლი ნელი-ნელ ჩამოჰყვა თავ-კისერს, თხელი პერანგი დაუსველა. სარკმლიდან შემოჭრილი ჰაერი საყელოში უძვრებოდა და სველ პერანგს ბერავდა. ცისფერი მანქანა წინ მიმავალი სატვირთოს მტვრის შლუიფში მიდიოდა, სალონში ბული დადგა. ტორპედოს პრიალა ზედპირს თხელ, მჭრალ ფენად გადაეფარა მტვერი. მარცხენა ხელით სარკმელი ჩაკეტა, ზურგთან გამობერილი პერანგი უცბად დაიხუტა და ოფლიან ზურგს მიეკრა.

სავარძელში შესწორდა. სიჩქარე გადართო, თან იდაყვით სიგნალის ფარს დააწვა. ერთბაშად მოწოდებულმა გაზმა მანქანა ოდნავ შეაძაგდა და წინ



გაგაგლო. მარცხენა ხაზურაგები ასფალტის პირას ქვიშას წამოდენენ და ააჩხრიალეს.

წამიერად დალანდა სატვიროთო მიჯდარი მძღოლის გაღიმებული სახე, მერე საჭე გაასწორა და სიჩქარე უკანვე გადმორთო.

სიცხისგან და დაღლილობისგან ტეხდა სხეულას თითოეული ნაკვითი. ხანდახან სარკეში იჭერდა საკუთარ გამოსახულებას, მტვრით ნაოჭებგაგანიერებულს და ოფლით გაბზინებულს.

თვალის თეთრ გარს უძილობისაგან გადაკვროდა სისხლძარღვების თხელი აბლაბუდა.

სიგარეტი ამოიღო. მანქანის სანათით მოუყიდა.

მანქანა წყალგამეხრებულ მდინარის ზეობაში ჩადიოდა.

გზის პირას გაჩერდა. პურანგი მანქანაშივე გაიძრო. მოკლე, გვერდული ნაბიჯებით ჩაირბინა თავდაღმართი, სასწრაფოდ გაიხადა.

წყლის სიგრილის სასიამოვნო ყრუანტელმა ფეხის თითებიდან დაჰკრა მთელ სხეულს.

თვალით მოზრდილი მორევი მოძებნა, ბუსუსებდაყრილი ტანი აიქნა და ფსკერისკენ თავით დაეშვა. სიცხემ წყალშივე შეაყრყოლა. ხელებით ფსკერზე მოზრდილ ქვას მოეჭიდა — ზევით რომ არ ამოცურებულყო. ნელ-ნელა უშვებდა ნესტოებიდან ფილტვებში ჩარჩენილ ჰაერს. ჯიუტი სიამოვნებით უძლებდა ყურების წივილისგან გამოწვეულ ტკივილს. მერე ერთბაშად გულამა ამოტრიალდა, სიამოვნებით ჩაისუნთქა გამაბრუებლად სასიამოვნო ჰაერი. ყვინთავდა, ფრუტუნებდა, ეცელქებოდა წყალს.

ტანსაცმელი სველ სხეულზევე ჩაიკვა. სუნთქვამოსშირებულმა ამოირბინა აღმართი.

დაძრა მანქანა. გაასწორა საჭე. მარჯვენა ხელი შეიკურა სველ თმაში. ირიბად გახედა სარკეს.

დაიორთქლა უცებ წებოვანი ჯანლით,

შიშმა თუ ძრწოლვამ დანესტა გოჯიგოჯ. სარკეში ჩანდა ლიმონისფერი კედელი. საწოლის კიდესთან კედელს წინდა ოფლიანი ზურგის ხშირი მინჯაობი, ქერთან მერცხლის დანგრეული ბუდე ჩანდა ტალახისფრად. წამოენთო ისევ ცხვირის ნესტოებში მამაკაცური ტლანქი ზურგის მძაღე სუნი...

გაისმა უცებ გულისამრევი ხარხარი. ხარხარებდა იგი, უხტოდა ჩამქვნარ კისერზე ხორხი, ავად უბზინავდა მეჩხერწვერიან სახეზე მოყვითალო თვალები, სისხლის ვარდისფერი ზოლები მოცურავდა ცხვირ-ტუჩიდან, იბლანდებოდა ქაცხვ წვერში. მოხია მანქანის სავარძელს შალითა, მოიწმინდა სისხლი, გადახვია ხელები სხვებს — შიშისგან ყბა მოქცეოდა ქერას, იცინოდა მაინც, სისხლი სდიოდა გულისპირიდან, მომცრო ტბორად იღვა მანქანის იატაკზე. იცინოდა მეორეც, უთახთახებდა ჟღალი წვერი და თმა, გადმოკარკლოდა თვალები, შედედებული დუჟი მოდებოდა წვერსა და გადმოცვენილ ღოჯებს. კბილებში სიგარეტი ეჭირა, წამი წამზე აღებდა მანქანის საფერფლეს, ჩაფერფლავდა სიგარეტს. აგრძელებდა მერე სიცილს.

ჩაცხრა მერე ხარხარი. გიტარის ჩუმი ლულუნი ჯიუტად ახშობდა მანქანის ხმაურს. მიმჯდარიყო კუთხეში, აკრობოდა მანქანის კარებს. სათვალეებიდან გამომზირალ თვალებს ჰქონდათ რაღაც თბილი და სათნო, მაღალი და მაღლიერი...

დაიბუდა მანქანაში ავისმომასწავებელმა მოლოდინმა, უნდოდა სუყველა გადაეყარა მანქანიდან, არ ყოფნიდა ძალა — ბრაზიანი, ნემსებივით ნაკადები ცხრილავდნენ სხეულის თითოეულ უჯრედს.

— მარტო ვარ, ბიჭო, სულ მარტო, — ასლუჯუნდა ბიძა, მისმა მეავე სლუჯუნმა სიღარბისლე და პანაშვიდური ელ-

ავთანდილ ჩხიკვიშვილი
გვალვა



ფერი დაუკარგა თითქოს იქაურობას. გაუხურდა უცნაოდ ყურისძირები და დაწვები; პირიქით დაემართა შუბლზე, გაეყინა ერთიანად, მოაწვა ცივი ოფლი, დაუსველა კეფაც და ზურგის თხემიც. ეჭდა იგი გვერდით. აცურებოდა მუხლებზე ხალათი. მთელი ტანით გრძნობდა ზედა ღილებშეხსნილ ხალათიდან გამომზეურებული მაღალი, ჯიშინი მკერდის სისავსეს და სივარდისფრეს.

გადმოიწია, მოხვია ხელი, მაცთური ღიმილით აესვეტა წინ. მოვიცილებო, იფიქრა ერთი წამით, აღარ შესწევდა, უკვე ძალა, დააწვა, რაც შეეძლო გზას... ბრაზიან ბურანში მყოფს შეეგებნენ

ქალის მოლოდინითა და ნდომით სწავსე ტუჩები და თვალები.

შხუილით ეგებებოდა მანქანას ასფალტის გადაღდაბნილი, შავი ელვარება.

გზის პირას უწყლობისავეს გასაფეთებულ ნაგავს ჩაუქროლა. ძაღლმა მზერა გააყოლა მანქანის გეჟურ რბოლას. გზის თვალსაწიერის ბოლოს, სადაც გზა უხვევდა, მანქანა პაერში აიჭრა, ძაღლმა აშკარად დაინახა, თუ როგორ გაიბრწყვიალეს მანქანის ნიკელებმა მზის სხივებზე. მერე კი ცისფერი მანქანა ცის ოდნავ გახუნებულ სიციფრეს და სიმსუბუქეს შეერია...



წიგნიდან: „წუნარი გზის წელიწადი“

გარბალითის ვაკივებელი

ქერჩში დაღუპული ბიჭების სსოვნას

...და მარგალიტი — ხავსიან ფსკერზე
 დამარხულ ძმების ელვარე სული —
 ყველაზე ამაყ გოგონებს ეძებს,
 ყველაზე მაღალ ყელსა და სურვილს...

შენც გეძინება ის — დიდი ძილი...
 მარადისობა, ქცეული ძილად...
 იშლება ძველი ხომალდის კილი,
 იცვლება დილით ცისფერი დილა.

როგორც გაქურდულ უცხო ტაძარში —
 ჩაძირულ გემში შემოდის თევზი...
 გაივლის გემბანს, და გროტ-ანძაში
 ფარფლების რხევით შემოდის თევზი...

გაყვება ბორტის სალტეებს მძიმეს
 და ტრიუმფების ხავსიან ზიგზაგს,
 და ეძებს ერთი ვაჟკაცის ღიმილს,
 შავ მარგალიტად რომელიც იქცა...

ღამის ღარაჯის სიკვდილი

ო, აპატიეთ! —
 მას მხოლოდ ერთხელ,
 მხოლოდ ამ ერთხელ ჩათვლიმა ღამით...
 და ჯავრად ჩაჰყვა მარტივი ფიქრი:
 „გაითუ რამე დაშავდეს ამით...“

●
 არ უჯერებენ ქალები ქალებს,
 არ უჯერებენ ქარები ქარებს,
 არ უჯერებენ ბიჭები თვალებს —
 ბიჭებიანი ამოდის მთვარე!

ფრიტიოფ, რუალ: ბოლოს და ბოლოს
 გადაწვდა თვალი პოლუსს და პოლუსს!
 ბჟუტავს და ბჟუტავს მზისა და მთვარის
 სხივი და სხივი — ბოლავს და ბოლავს...

ველარ აუღის ქვეყანა სტუმრებს —
აღარ ილგვა მომსვლელ-წამსვლელი,
და მარადიულ საძილე ტომრებს
ურიგებს ბიჭებს ღმერთი — ცამსვლელი.

ხომ უსმენთ ღამეს!
ხომ უსმენთ ღამით
გამოუცდელი ჩიტების ჭყლოპინს:
რა გულუბრყვილოდ ახარებთ ჟამი
ბაიასავით ყვითელი ჭკნობის.

მეც მტკივა გული. მეც მიდევს წილი
ამ სიყვითლესი და ყვითელ დარდში.
მე მძინარესაც მერევა ძილი —
ის — დიდი ძილი...
და მირჩევს: „დარჩი“.

რას უამბობენ ქალები ქალებს!
რას უამბობენ ქარები ქარებს!
ვდგავარ ბიჭებში და ვიფშენეტ თვალებს —
ბიჭებიანი
ამოდის
მთვარე!

ქ ღ ი შ ე რ ი

მოულოდნელი მისი სიკვდილი
ჰგავდა დღისით ძილს:
როცა ყველანი შინ არიან;
საუბრობენ სადილის მოლოდინში;
... მას კი ზალაში სძინავს გაუხდელს,
და ახურავს ამ იანვარში
მხოლოდ ზეწარი...

მ მ გ ა ვ რ ე ბ ი

... და გაგიცანი ისე ადვილად...
ვიმღერეთ ბევრი! ბევრი ვიცინეთ!
მე დაბლა მქონდა, მასსოვს, ადგილი!
გავცვალეთ — მაღლა მე დავიძინე.

მე ახლაც მინდა, ლოდინით დაღლილს
შეგიმსუბუქო ხავსის სიმძიმე,
მაგრამ ვაი რომ ვერ ავალ მაღლა
და... იქ... შენს ნაცვლად... ვერ დავიძინებ...

... ხოლო ღამეში შენი უარი
ბზინავდა — ბეწვი იაგუარის...
ჩვენი გათიშვა ძნელი არ იყო —
ქვეყნად რამდენი იაგო არის...

ძაფით — ფერადი მიგაქვს შარები!
გულით — ნაღველი იმ განშორების!
და მიიწვევენ ცისკენ ბურთები —
მსუბუქი, როგორც ქვეყნის ჭორები...

ნეკვა კაფე „აგასალორში“

(ციკლიდან: „ღამით, რადიომიმღებთან“)

ტვისტი და ტვისტი. ჰალი-გალი!
ფიცი და ფიცი. ქალი. ქალი.
ბიჭი და ბიჭი. ქალი. ქალი.
როკი და როკი. ჰალი-გალი!

- ხომ არ გეშინია?
- მეშინია!
- რატომ გეშინია?
- მეშინია!
- კიდევ გეშინია?
- მეშინია!
- გესმის? გერშინია!
- გერშინია!
- კონიაკს დალევ?
- მანგოს წვეწვს!
- უნდა გაკოცო!
- მაკოცე!
- შენ არ მაკოცებ?
- მე არა!
- მაშინ მე ორჯერ გაკოცებ!

ტვისტი და ტვისტი. როკი!
დრო კი, ძვირფასო, დრო კი
მიახრიგინებს ვნებებს,
როგორც პარტიზანს დროგი!

ცისფერი კაფე. ჰალი-გალი!
ცისფერი კაბა. ჰალი-გალი!
ბიჭი და ბიჭი. ქალი, ქალი!
ქალი და ქალი! ჰალი-გალი!

ჰალი-გალი!
ქალი, ქალი!
ჰალი-გალი!
ქალი. ქალი!

მეზუსრე სეფე



ათასი დილა,
ათასი მწუხრი,
ათასი კვამლი ათასი ბუხრის —
დაეძებს სოფლად მეზუსრე სეფეს:
— კაცო, ოსტატი მინდოდა ბუხრის!

კვლავ ისმის სოფლად ყვირილი მამლის,
სოფლად ძაღლები ისევე ყეფენ,
ბუხრიდან ისევ ამოდის კვამლი,
მაგრამ არსად ჩანს მეზუსრე სეფე.

ამაოდ ეძებთ, ამაოდ ელით
ოსტატს ხუმარას და მოიეფეს:
მაღალი ბუხრის ლამაზი ყელით
ცას შეუერთდა მეზუსრე სეფე!..

ჩემი ბავშვები

სარკეში ირა უდიმის ირას —
იზომებს მოკლე შარვალს
(დროს კი აცვია კიდევ უფრო
მოკლე შარვალი...).

სარკეში ნინო უდიმის ნინოს —
იზომებს მოკლე კაბას
(დროს კი აცვია კიდევ უფრო
მოკლე კაბა...).

თ ა ვ ა უ ი

აღარ მოვა ჩემი ბებო
ბუზღუნით და ტუსტუსით,
აღარ გაჭრის პაპას — პაპით,
დამას — დამით,
ტუსს — ტუსით...

მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ
სცადა ბებომ გაგება:
როგორია ერთადერთთან
ერთადერთი წაგება...

სიკვდილი, როგორც შპიონთა შეფი —
შავი სათვალით და შავი კეპით —
ბრმა გასაღებით აწვალავს კარებს.
გაწვალდა ძალი კარებთან ყვეფით.

რისთვის ავეყვი მის მაცთურ კისკისს...
რატომ დავლიე იმდენი ვისკი...
ან მერე რატომ არ მოვერიდე
დაელმეებული თვალების გიზგიზს...

არ გამინელა სასმელი სოდით,
რომ დავებნე შეცვლილი კოდით...
მოულოდნელი სიკვდილი ღამით
თუ არ გინახავთ, იჩქარეთ, მოდით...

ო, სევდა. სევდა — უცნაურ ძალის!
და ცრემლი. წმინდა! — ნამდვილი შალის...
უერთგულესი,
უერთგულესი,
უერთგულესი ღალატი ქალის...

სიკვდილი, როგორც შპიონთა შეფი —
ლურჯი სათვალით და ლურჯი კეპით!..
მოეშვი კარებს. გეყოფა. კმარა.
მე თვითონ. თვითონ.
ჩემივე ნებით!..

ბ უ ს ა რ ი

სევდა! — წარსულში მე არა მყავს სხვა ჩიჩერონე!
მე ერთნაირად მიყვარს ყველა: ნინო. ნერონი.
ნელსონი. თამარ.
წაგებული დიდი ომები.
და სხვა ომებში დაპყრობილი საბალნარონი.

უსმინე ზუმერს — ზომიერი ისმის ზუმერი.
უსმინე წარსულს — ტელეფონთან მოდის შუმერი.
თუ ვერ ვიცანი?
თუ ვერ მიცნო?
თუ არ ინდომა
ჩემი ჯემი და ხელოვნური აბრეშუმები?!

ათასწლეულებს გადმოვცურავ მათი ნავტიკით,
და მათ მიწაზე მოწეული პურის ნატეხით...
ათასჯერ მშობეს, და ათასჯერ მომკლეს ღალატით!
ათასჯერ მომკლეს, და ათასჯერ ისევ ავდექი!

●
და ვუსმენ ახლა — წარსულიდან ისმის ზუმერი!
მედახის პაპის პაპის პაპის პაპა — ზუმერი!
მოიღეთ ღვინო უმჯობესი!
ქადა ნუგბარი!
გადაუფინეთ სტუმარს გზაზე აბრეშუმები!..
... სევდა! —
წარსულში მე არა მყავს სხვა ჩიჩერონე!..

●
„გვეყოფა! კმარა! ვეღარ ვნახავთ! ადე! ადექი!“ —
ისრის წვერივით მომხვდა გულში ეჭვის ნატეხი!..
ვიარე მაინც!
დღისით!
ღამით!
შენთან!
უშენოდ!
და ზღვის მაგიერ — უსასრულო ცას მივადექი!
„გათავდა! მორჩა! მიიწურა ყველა ვადები!“
ავადმყოფ სურვილს მომვლელივით თავზე ვადექი!..
ვეძებდით დიდხანს!
აქაც!
იქაც!
ყველგან!
ყველანი!
და ცის მაგიერ — აღელვებულ ზღვას მივადექით!..
რომ ვნახე, გულზე ვარდის ნაცვლად სევდა ებნია!..
ცახცახა ცაზე ვარსკვლავები პეშვით ებნია!..
და შემოვიდა ისე მშვიდად, ისე უბრალოდ,
თითქო არასდროს
არსად
არვის
არ გვიძებნია!..

●
ჭიანჭველებზეც მიფიქრია:
როგორც ისინი მიმოდიან გაჩქარებული —
მიმოვდიოდეთ ასე ჩვენაც!
და შეხვედრისას ნაცნობი და უცნობი, ყველა —
სალმისა და თანხმობის ნიშნად —
ოდნავ, სულ ოდნავ ვეხებოდეთ ერთმანეთს შუბლით...

ღ ე ე რ თ ი

(იუმორესკა)

შავი ღრუბლების ჭუჭრუტანიდან —
როგორც მსტოვარი გახვრეტილი გაზეთიდან —
გვიყურებს იგი...

შ. ჩ.

... და იყო ღამე თბილი და ბნელი, როგორც იანვრის ღამეში — ნიცმე!
და გვერდით მედგა ის, არყით მთვრალი...
და მე ვფიქრობდი მის ჯვარცმულ ნიჭზე...
ვხედავდი, როგორ დნებოდა იგი, ქალწულის ხელში გამდნარ თოვლივით,
ანდა ოთახის სუსტი ყვავილი, ყრუ და გულმაღვიწყუ ბებრის მოვლილი...
იდგა, მიმზერდა და ირწუოდა მწარე ღიმილით ბაგენადრძობი...
მეც შევცქეროდი შურით, სიბრაზით, სინაზით, ზიზღით და თანაგრძნობით...
შემომანთხია ცისფერი შხამი, ამოწოვილი ბოროტ სითხიდან,
მითხრა რაღაცა — არაყზე მწარე — და ველურივით შემომხითხითა...
მე ერთ რამეზე ვფიქრობდი მაშინ: ბნელ სინათლეზე და ჯვარცმულ ნიჭზე!

... და იყო ღამე თბილი და ბნელი, როგორც იანვრის ღამეში — ნიცმე!

ე ე ი ბ რ ა ნ ტ ი

დაეხეტება უცხო ქალაქში,
როგორც ყველაზე საძულველი ქალის სხეულში
გადანერგილი გული და ტვინი...

ასირეული კოლეჯიონერი

თრმოდაერთი წელია თითქმის,
მთელ ქვეყანაზე ვაგროვებ ეკლებს!

რამდენჯერ უთქვამთ ცოლსა და სიდედრს: „ვინ ეძებს ეკალს ჭკუათამყოფი!
ასანთიც! მარკაც! მაგრამ — ეკალი? ეს სიგიჟეა და არა ჰობი!“
სიგიჟე? არა! ეს — ცხოვრებაა! ცხოვრება, გესმით? და არა ჰობი!
მაქვს ყარაყუმის ეკალი მყიფე, მაგრამ მაკლია კაქტუსი გობის!
ვერა ოქრო და თვალმარგალიტი, ვერც იშვიათი რამე სპეკალი
ვერ გადასწონის ეკალს, მე რომ მაქვს — ქრისტეს გვირგვინის ერთი ეკალი!
სად არის ახლა ის ცელქი ბიჭი, კვლავ გამომიღოს ეკალი ეკლით...
იქ, სადაც ადრე ეკლის ხე იდგა, დგას ახლა მისი მდუმარე ძეგლი!
მის ცრემლმორთულ ღიმილს მაგონებს ეკლით ნატკენი ყველა იარა.
მასაც ეკუთვნის ეს კოლექცია — მე ის ვაგროვებ მის მაგიერაც:
ვარდის, ჩიტვაშლას, ბაძგის, მაყვალის, ქაცვის, ასკილის, ბირკის, კუნელის
ათიათასი მწარე ნაჩხვლეტი, სამარადისოდ განუკურნელი.
მახსოვს, ვეძებდით გზისპირ ეკალას, როცა შემესო მკერდში ეკალი!
ის გლედინიაც თანა მაქვს ახლა, ვით უცხო შუქით საფე სპეკალი...
ეს ლექსიც გულში ეკლად მესობა! ეს ლექსი განა მართლა ლექსია!
თხოვნაა იგი, თხოვნა და კითხვა: „რას მიუმატებთ ჩემს კოლექციას?“

... და სწუხდა მამა: ეს იყო შვილი, მამის კი არა — დედის გენებით!
 ზრდიდა ალერსით.
 ზრდიდა მათრახით.
 ზრდიდა ფერებით. ზრდიდა გინებით!
 და ასწავლიდა, სად, რანაირად და რატომ უნდა შოვნა იარებს:
 „ბრიყვო! მთაწმინდას რას დანახავ, თუ წიწამური არ გაიარე!“
 ... და არა მარტო დედის გენები — შვილს დარჩა მამის „სუპერ-ფილიპსი“
 შვილს დარჩა მამა, როგორც წარსული...
 შვილს დარჩა მთვარე...
 ღამე...
 თბილისი...

და მუდამ, როცა ღიმილიანი ფიქრობს, რომ ქვეყნად ყოფნა მართლა ღირს —
 სულ ენატრება...
 სულ ენატრება...
 რად ენატრება მამის მათრახი...

პრტი სართი კილის წინ

შემოაყარა ფანჯარას თოვლი ხუთი თებერვლის ცივმა ღამემ. ადგა მამა ყველაზე ადრე, და დაგვიწყო ბავშვებს ღვიძება: „აღარ ადგებით, თქვე ჩაჩნებო, აღარ ადგებით!“

ხელში გვიჭირავს ცივი შარვლები, და ქუსლებით მივბაკუნობთ ბუხრისკენ ყველა. დღეს რაგვი უნდა დავუდგათ ჩიტებს. თავს ვიტყუებთ, რომ აღარც ბედურა და არც სკვინჩა არ გვეცოდება. დღემ გაიარა ჩიტის ლოდინში, და არც კი გვახსოვს, როდის დავწყეთ.

დილით ყველაზე ადრე ადგა ცალხელა მამა, დაანთო ცეცხლი, და დაგვიწყო ბავშვებს ღვიძება: „აღარ ადგებით, თქვე ჩაჩნებო!“ ხელში გვიჭირავს ცივი შარვლები, და სოხანზე დავბაკუნობთ შიშველ ქუსლებით. დღეს ისევ უნდა გავმართოთ რაგვი, და შეციებულ ბედურების დაჭერა ვცადოთ.

გათოშილებს გვაწვენენ ადრე, და ძილში ვიჭერთ ღაბუა სკვინჩებს. და დგება მამა ყველაზე ადრე, ანთებს ცეცხლს და გვიწყებს ღვიძებას: „აღარ ადგებით, თქვე ჩაჩნებო!“

რა უზრუნველად გადის დღეები!
 მე შეეუკვეთე მამაჩემის ღონიერ ბუხარს, რომ არასოდეს არ გაქრეს ცეცხლი!

ავდექით ჩვენ შვილებზე ადრე, და დავუწყეთ მამებს ღვიძება:

„აღარ ადგებით, თქვე ჩაჩნებო!
 აღარ ადგებით!
 აღარ ადგებით!“

კ ი ბ ე

ოთხსაფეხურიანი კიბე...
პირველ საფეხურზე წვიმს,
მეორეზე წვიმს.
მესამეზე წვიმს.
მეოთხეზე
გოგო და ბიჭი
ზის...

დაცლიან კალათს ალუბლით სავსეს,
მოიცოლებენ ნიკაპზე ლაქას.
გოგო — ოდესმე იფიქრებს სხვაზე,
ბიჭი — თავის გზას მონახავს ალბათ.

ჯერ კი ტყაპუნობს ოთხი სანდალი.
მშობელი ტუქსავს აბეზარ თითებს...
და გულუბრყვილო წყვილის ტანტალი
გრძელდება
ვიდრე
მოკლეა
კიბე...

ბ ო ლ ო თ ქ ე ა

„ტაში დაუკარიო, მეგობრებო...“
ლუდვიგ ვან ბეთოოვანი

მოდო,
ამაყო მბრძანებელო,
მოდო,
თმებჩამოყრილი,
გამჭირვალე და ფეხშიშველი.
მიბოძე ჩემი კუთვნილება:
მზე,
წყალი,
ლოდი
და ყოველდღიურ საზრუნავისგან მისხენი...

მე ვისმენ მწყურვალ უდაბნოთა
მოთქმას და კვილს,
ოხშივარასულ ულაყების
როკვას და ქშენას.

დამძიმებული
საკუთარი სხეულის ჩრდილით
უკვდავებაში
აკრეფილი ნაბიჯით შევალ..

მოდის,
ამაყო მბრძანებელი,
მოდის,
უკვე დაგცალე,
ამ თითების მონა ხარ, მონა.
ავხარხარდები
სიხარულით
და სიბოროტით
ჩემი სიკვდილი
უტკბილესო
რამ მოგაგონა.

ხედავ,
მიდიან საკრავები რიტმული რხევით.
მე მათ განვაგებ!
საკრავებო, იარეთ მარშით!..
ამინთეთ წმინდა ბალახის ღერი.
ტაში დაუკარით მეგობრებო.. ტაში.

აქტოსაღზურში

იღება კარი,
იხურება,
იღება ისევ.
— მოვიდა?
— არა!
მერამდენედ იგივეს ვისმენ.

მამაკაცები
აბოლებენ
მშვიდად და დიდხანს,
ჩაეჭიდებივარ
ხის ტოტივით
უცნაურ კითხვას.

მობუზულები
უყურებენ
სარკმლიდან ზამთარს.
ხელს იორთქლავენ
(წელს ზამთარი
მკაცრია მართლაც),

ერთი მათგანი,
ერთი კაცი
თუ ამჩნევს მაინც
პატარა ბიჭი
უზრუნველად
მიირთმევს ნამცხვარს,

ხან გაწითლებულ
ცხვირს შეახოცს
გათოშილ მაჯას
და ილუკმება,
აი, მისი
დარდი და ჯაფა...

— დახურე, ბიჭო!
და პატარა
კარისკენ გარბის.
შედგა, ცას უმწერს
სიხარულის
თვალეები, ხარბი.

— დახურე! მესმის,
გარინდებულ
ბიჭუნას ტუქსავს
ხალხი და
ერთად შეკუმშულა
ვეება მუშტად.

გავარდა გარეთ
(შეიშალა
პატარა მართლაც),
გარბის, ეხვევა
ბედნიერი
სიცილით ზამთარს.

მიაწყდნენ სარკმელს,
სველ თვალეებში
გამდნარა დარდი.
გარეთ კი, ღმერთო,
უჩვეულოდ,
ლამაზად ბარდნის.

გულხელდაკრეფილი ორი მოზარე
პირისპირ ვხვდებით.
მან კარგად იცის:
მიმალული, მეორე კაცი

რიყის ქვას დინჯად ასველებს წყალში
და მუხლებშუა მოქცეულ ნაჯახს
გულდაგულ პირავს...
ჩემი სამძიმარი ნოემბრის ტყეებს...

უკრიბს ჩურჩული ღაბით

მდინარის პირას თხილის ტოტებით,
ვწნავ დიდების სათამაშოებს,
ლასტებს და გოდრებს.
სარის ნაჩორკნი ლაპლაპებს ყვითლად
და კაუჭა წალდუნას პირი
კუნძს ადგას მამლის ბიბილოსავით...
მე ვფიქრობ შენზე
ჩემო ჭორიკანა მეზობელო,
ყანის გასწვრივ ბღუჯა-ბღუჯად
მიმოფანტულხარ
და წვერიანი ბუწუწებით ყანას აღვიძებ.
კეთილი, ჩემო უდარდელო
წამოგიწვებით,
იშრიალეთ,
დადლილ სხეულზე
ჩამოაწყვეთ კანკალა ტანი...
ვერძნობ, მხრებზე როგორ უხმოდ მეზრდებით,
უფრო თამამად,
ალქაჯებო,
ამომამბობდით
მამისნატრული ბავშვებივით
და გულისცემა
თვალუწვდენ მინდვრებს გაუნაწილეთ.

მამაპაპური სახლი

მოგონებებზე დავდივარ, როგორც ხმელ ტოტებზე,
მათი მტვრევის ხმა ყურთასმენას მართმევს.
იმსხვრევიან მუხები,
წელში ტყდებიან სუსტი იფნები,
ილეწება ნებიერად გადაზნექილი ყანა.
რჩება მხოლოდ თონი კედელი.
ლამპის შუშით გაბოლილი ჭერი,
ორკაპზე მოქანავე
გალეული ნამგალი,
სხვეწზე ამაველი კიბე
და აბლაბუდის მცოცავი ლაბირინთი.
ჩემო დღეებო
ამ კედლებზე ხართ ამოტვიფრული,
შენ ეი, ბავშვობავ —
თავსოტორა და უდარდელო,
დიდისანია მიატოვეს ხბორებმა მიჯნა
და მწვანე ჯეჯილს შეექცვიან.
ჩემო დღეებო,
მოგიტანთ ფერად-ფერად კანფეტებს,
ნაინაირ სათამაშოებს,

ხილით სავსე წკნელის კალათებს,
ოღონდაც ფრთხილად,
არ შეაშფოთოთ
ბებერი ძვლები.

მ ა რ ტ მ ს ე

ტანდაჯეჯვილო,
გეფერები, სხვებს მირჩევნიხარ,
ბეჭდამსხვრეული და ნაღვლიანი ხე ხარ.
საჩრდილობელო მიწადქცეული მებრისა
მხრებს შლი.
ბორძიკობ.
მაინც იმედად მყავხარ.

მაინც ამაყად ნებიერ ტყეებს მიჰკივი,
ირევა ქარში ძონძობი, ძალის ყეფა...
და სარეველა — ვიწროთვალემა სკვითივით
ცხენის რძის ნაცვლად შენს გრილ ძუძუებს ხვრეპავს.

ჩემო მახარე,
დაგჟანგებია ნამგალი,
შე ღვთისნიერო,
უკვე აისიც კვესავს.
რამ გაგარინდა,
მუხრანთან როგორც დაჰკარი
აგრე დაჰკარი დღესაც.



თვლების დახუჭვას არც ისე ვნატრობ,
როგორც თქვენ მითხარით ბატონო.
მივართვა, რაიც სურს მშვენიერ პატრონს, —
სამშობლოს,
და მერე დავტოვო.

არც მიწის სიგრილე მსიბლავს და მათცებს,
ამხელა სივრცეა მიწამდე.
რად მეპატიუებით ძველ სასაფლაოზე,
რომელიც უზრუნველ სიმშვიდეს მიმზადებს...

ხელების დაკრეფას არც ისე ვნატრობ,
ჯერ გასაზრდელი მყავს უმწეო ყლორტი...
მივართვა, რაიც სურს მშვენიერ პატრონს, —
სამშობლოს.
და მერე მოდი.

ალექსანდრა ივანეკო

ს ა ს ტ ა უ ლ ი

ნატალია ივანეს ასული კვამა კობტა, ცოტა მოკეკლუცო ახალგაზრდა ქალი გახლდათ. მას ძალიან უყვარდა ყვავილები. ვინც არ უნდა მოსულიყო მის ბინაში, ვიდრე თავის მწუხარებას თუ სიხარულს გადაუშლიდა, აუცილებლად ჯერ ფანჯრის რაფებს, მერე კედლებსა და ჭერს შეავლებდა თვალს. დიახ, დიახ, ჭერსაც კი. მთელი აივანი კარებამდე დაფარული იყო ხშირი, მარადმწვანე ზვიარათი. ასეთ სიმყუდროვეს, ასეთ ყვავილებს ზამთარში კი არა, ზაფხულშიც ვერსად ვერავისთან იპოვიდით მთელ იმ ხუთსართულიან შენობაში.

ამასთან, როგორც პირად შეურაცხყოფას, ისე იღებდა იგი მეზობელი ქალების წუწუნს, თავიანთ ახალ ბინას სკას რომ უწოდებდნენ.

— თუ ასეა, თქვენ ფუტკარი იყავით, გეთაყვა, — მშვიდად პასუხობდა მეზობელს ნატალია ივანეს ასული და თან ცდილობდა დაეფარა წყენა. — დიახ, იყავით ფუტკარი. აბა, წამობრძანდით ჩემთან!

— სხვა დროს იყოს. — უარობდა მეზობელი ქალი და ყოველნაირად ცდილობდა თავი დაეჭვრინა სტუმრობის-ვან.

— ან ახლა წამოხვალთ, ან არასოდეს! — ამბობდა ნატალია ივანეს ასული და მეზობელიც, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ საყვედურობდა თავის ქმარს, ასეთ „ჭკვის სკაში“ საცხოვრებლად გადმოსვლის გამო, იძულებული ხდებოდა გაპყლოდა მას. ხოლო როგორც კი ნატალია ივანეს ასულის ბინაში შევიდოდა, ალტაცების შეძახილისგან თავს ვერ იკავებდა. მეზობელს გულწრფელად აოცებდა ის ჯადოქრობა, რასაც კვამინების ბინაში ხედავდა მადლობას უხდიდა მასპინძელს.

— აი ასე. იყავით ფუტკარი და არა კრაზანა. ნუ საყვედურობთ ქმარს სხვების თანდასწრებით, ნუ კბენთ... ფუტკარი ყვავილების გარეშე იგივეა, რაც ადამიანი უპუროდ, — არიგებდა იგი მეზობელს და მერე ღიმილით დასძინდა: — თუ რამე დაგჭირდეთ — თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

— გმადლობთ, გმადლობთ.

უკვე ათი წელი იყო გასული, ნატალია ივანეს ასული ამ სახლში რომ ცხოვრობდა და მისმა ნათქვამმა სიტყვამ: „თუ რამე დაგჭირდეთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო“, — მოიარა თითქმის ყოველი ბინა და ხან აქ, ხან

იქ გაიშალა ყვავილთა ნახვ კვირტებად. ეს ყვავილები კი აღლევებდნენ ადამიანებს, ისინი თითქოს ცოტათი უკეთესნი ხდებოდნენ, უფრო ლამაზები და კეთილშობილნი. ხოლო თავად „ქვის სკა“ ყვავილნარად იყო ქვეული, გვეგონებოდათ, ქალაქის იური აგარინის სახელობის პარკიდან ყველა ყვავილი აქ გადმოსასწებულაო. თვითეულ აივანს ამკობდა მიხაკები, ქრიზანტემები.

მთელს სახლს გარს ერტყა პატარა ბაღები, ხვიარები ეწვნოდნენ პეტუნებს, დანდურებს, რეზედებს...

მნახველს აოცებდა უზარმაზარი გეორგინები, მთელ ამ ყვავილთა სამყაროში რომ ბატონობდა.

ლიმილის მომგვრელი იყო, როცა ბავშვებით გარშემორტყმული რომელიმე პენსიონერი პაპა ან პენსიონერი ბებია ფაცხაფუცხით ურტყამდა ძალაყინს კაყვივით მაგარ ასფალტს და თხრიდა პატარა, ხარისთვალის ოდენა ორმოს, რათა შიგ ჩაერგო მანჯურის ვაზი, ხოლო ზოგი, წარმოიდგინეთ, რგავდა ნამდვილ საშულს.

ახლა ნატალია ივანეს ასული სახლში ბრუნდებოდა კავკასიიდან. ყველაფერი ეს — ყვავილები, „ქვის სკა“ მოაგონდა სწორედ მაშინ, როცა მატარებელი მიჰქროდა ყუბანის პურის ვრცელ ყანებში...

ეჰ, გზები, გზები... თვალი ყოველთვის წინ უსწრებს ფეხს, განა მართალი არ იყო ის ბრძენი, ვინც თავისი ეპოქის გარიჟრაჟზე ამბობდა, უკეთესია ბევრი ნახო, ვინემ ბევრხანს იცოცხოლო.

აღმათ მართლაც ასეა. აბა რა აზრია იცოცხოლო თუნდაც ასი წელი; თუკი შენს ორლობეს არ გასცილებიხარ, არაფერი გინახავს, არაფერი გსმენია, არავისთვის გიკითხავს, თუ საით მიემართებიან ეს გზები?

„ბებიაჩემს, — ფიქრობდა ნატალია ივანეს ასული, — ორთქმავლის ხმაც არ სმენია... დედა კი, ხუნდებში ჩაქედ-

ლი, მამაჩემის კვალდაკვალ ფეხით მივიდა ბაიკალამდე. ხოლო მე? ვინა ვაქმე?“

და ახლა ვინმეს რომ ეკითხა მისთვის, რამდენი ქვეყანა გინახავსო, არ დაიჯერებდა ნატალია ივანეს ასულის პასუხს, იფიქრებდა, ბაქიობსო. ამიტომაც იყო, თავისთავზე არაფერს რომ არ ლაპარაკობდა. სიტყვაც არ დასცდებოდა იმ გზებზე, რომლებითაც უვლია...

ახლაც მიყრდნობოდა ფანჯარას, მზერა მიეშტერებინა სივრცისათვის და გონებაში ადადგენდა მშობლიურ ქვეყანაში თავისი მოგზაურობის სურათებს. და ბედნიერი იყო. ძალიან ბედნიერი!

მან ეს ბედნიერება შეიგრძნო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ლენინგრადში სწავლობდა უნივერსიტეტში და სიხარულით ეგებებოდა ყოველ განთიადს. ბედნიერი იყო, როცა გარბოდა „ავრორასკენ“, ბედნიერი იყო, როცა მუშაობდა ტუნდრაში, სალევარდში, როცა მიფრინავდა ჩუკოტკაზე, ალიტეტთან მთაში, სახალინზე — ნახებთან და მაშინაც, როცა პირველად დაადგა ფეხი იაკუტიის ლენის ყინულიან ნაპირს.

და უცებ მას მოუნდა გამოეხატა იმ ძველი ბრძენი კაცის აზრის საწინააღმდეგო აზრი.

და გამოხატა კიდევ. გამოხატა თამამად, დაჯერებულად, ვინაიდან მისი ეპოქის განთიადი სულ სხვანაირია, ასეთი განთიადი, რასაკვირველია, არ მოსწრებია არც ბებიას და არც დედას. ეს განთიადი მხოლოდ მისია, ნატაშასეულია, ხოლო ასეთ დიდებულ დროს კი, სწორედ უფრო დიდ ხანს უნდა იცოცხოლო, რომ ბევრი რამ ნახო.

„ნეტავი პამირზეც მამყოფა!“ — და მის თვალწინ კვლავ აციმიციმდა კიდევ ერთი ვარსკვლავი მისი უხინჯო ბედნიერებისა.

იგი წავა იქ, უეჭველად წავა.

ალექსანდრა იურიანო
სასაუაღი



უკვე ათი წელია ნატალია ივანეს ასული ყოველ ზაფხულს გზავია. მართო კი არა, როგორც ამჯერად, არამედ თავის ქმართან ვასილი სემიონის ძესთან ერთად. ქმარიც ისეთივე მოგზაურია, როგორიც თვითონ არის.

ნატალიამ ცოტა მოიწყინა, რომ ახლა, გვერდით არ ახლდა თავისი განუყრელი თანამგზავრი, — ქარხანაში მთავრდებოდა ახალი ინსტრუმენტალური საამქროს გამოცდა და ვასილიმ თავისი შვებულება ოქროსფერი შემოდგომისთვის გადასდო.

ვასილი სემიონის ძე ბაქანზე მოვარდა თითქმის ერთი საათით ადრე მატარებლის მოსვლამდე... ღამითაც რამდენჯერმე გამოედვია. სულ ეჩვენებოდა, ვიღაცა აკაკუნებდა კარზე. გაიღვიძებდა, მიაყურადებდა. სრული სიწყნარე იყო გარშემო. მიდი და იძინე ამ სიჩუმეში, იძინე რამდენიც გნებავს, მაგრამ ძილი არა და არ ეკარებოდა. ამიტომაც იყო, ასე ადრე რომ გამოიქცა სახლიდან.

მომცრო კოხტა სადგურში, სადაც გოგოლის ძეგლი იდგა, კაციშვილი არ ჰქანებდა. გარეუბნის მატარებელმა სწორედ მისი მოსვლის წინ მოხვეტა თითქმის ყველა მგზავრი და მშვენიერი დილის მიუხედავად, ვასილი მაინცდამაინც კარგ გუნებაზე ვერ გახლდათ.

ცოლს ისე შეხვდა, როგორც საჭირო იყო: თბილად, გაშლილი მკლავებით. მერე სამხრეთის მცხუნვარე მზით გარუჯულ ორივე ლოყაზე მაგრად აკოცა.

- აბა, როგორა ხართ სახლში?
- სახლში? მშვიდობაა.
- შენ როგორ გრძნობ თავს?
- შენ?
- ო, მე კარგად.
- მე უკეთესად.
- მართლა?
- აი უყურე! — მან ცოლის კალათა ჰაერში მსუბუქად შეისროლა, — გინდა, შენც ამ კალათასავით აგაბურთაო?

- აბა, აბა, აბა!
- და ორივემ ხმამაღლა, მთელი გულგონად გაიცინა.
- ყვავილებს რწყავდი, ხომ?
- ვრწყავდი.
- მარილს ხომ უშვებოდი წყალს?
- ვამარილებდი და წიწაკასაც ყვავლებდი.

- შენ რა, ხომ არ გაგიყვდი?
- ნუ გეშინია. კარგად არიან ყვავილები, იცინიან კიდევ.

ნატალია ივანეს ასულს უცებ თვალები გაუშტერდა.

— არიან-მეთქი რა... სუბითაც ვრწყავდი, ჩაითაც. გეუბნები, იცინიან-მეთქი.

ნატალიამ გუნებაში წყენით გაიფიქრა, ტაქსი რატომ არ დავიჭირეო. „ახლა ხომ უკვე სახლში ვიქნებოდი... მოვეფერებოდი თვითნებულ ყვავილს, თვითნებულ ყლორტს, იქნებ მომეკითხა კიდევ, როგორ გრძნობდნენ ისინი თავს უჩემოდ? იქნება...“

როგორ უყვარდა ნატალიას ეს ყვავილები! არაფერს იშურებდა მათთვის სინაზეს, ალერს არ აკლებდა. ბუნებამ დაჩაგრა ნატალია ივანეს ასული — დედობის სიხარული არ არგუნა. ჰოდა, ყვავილები მისთვის ბავშვებივით იყვნენ. დილიდან საღამომდე მათ დაფუსფუსებდა. ვინმეს რომ ეთქვა, ყვავილები შენთვის გასართობიაო, ნატალია წამსვე მოიქუფრებოდა.

აი სახლიც. ოთახში კარი შეაღო თუ არა, საწყალობლად წამოიძახა:

— სად არის ჩემი ყვავილები?

ვასილი სემიონის ძე დუმდა. სიჩუმე მას ახლა ხელს აძლევდა. ნატალია ივანეს ასული კი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— სად არის ჩემი ყვავილები? თქვი, სად არის?

— განა შენ არ იცი, სადაა? — ბოლოს მოგონილი ხალისით წარმოთქვა ვასილი სემიონის ძემ.

— სად? იქნება თქვა ინსტრუმენტალურ საამქროშიაო?

— ზუსტად იქაა.



- პალმაც წაიღე?
- პალმაც წავიღე.
- ფიკუსიც?
- ფიკუსიც.
- და...
- კაკტუსიც.
- და...
- ცოცხანაც.

ნატალია ივანეს ასულს მთელი სახე აელანდა. წარბები სულ უფრო და უფრო მალა მიიწევენდენ შუბლზე, თვალები კი ისეთს ცეცხლს აფრქვევენდენ, რომ ლამის ოთახს ცეცხლი წაქიდებოდა.

— ეს რა გიქნია? ეს რა გიქნია? — ყვიროდა და უკვე არაფერი აღარ ახსოვდა ქალს.

— დაწყნარდი, ნატაშა. დაწყნარდი, გენაცვალე. იცი, ეს არ არის მთავარი...

— ჩემი ყვავილები... ჩემი ბავშვები...

— ჰო, მართალია, მაგრამ... ინსტრუმენტალური საამქროც ჩემი პირველია. მისი გულისათვის ლამის ეს ხვიარებიც ჩამოვხსენი. კიდევ კარგი, ჰერს მაგრად მიკვრიაან.

— რაო?.. ხვიარები? არა, ეს არ მოხდება! — და ნატალია ივანეს ასული ქუჩაში გავარდა.

„მილიციაში ხომ არ გარბის?“ — გაიფიქრა ვასილიმ და შემფოთებულნი უკან დაედევნა ცოლს.

რომელიმე მეზობელს ეს სცენა რომ ენახა, იფიქრებდა, ეპვიანობის ნიადგზე ხოცოვენ ერთმანეთსო. აი იჩხუბეს და ახლა ორივენი მილიციაში გარბიანო. თუმცა აქამდე მათი ჩხუბი არავის უნახავს.

ვასილი სემიონის ძე უკან მისდევდა ცოლს. არ უნდოდა, ჩამორჩენოდა. ქალმა მილიციას ჩაუბრინა და გზა განაგრძო ქალაქის გარეუბნისკენ, იქ, სადაც მათი ქარხანა „ოქტომბერი“ იყო.

— გასაგებია, — შვებით ამოისუნთქა ვასილი სემიონის ძემ და ცოლს გასძახა: — კარგი ნატაშა, ნუ გარბიხარ ასე. ერთად წავიდეთ. მე მზადა ვარ სასჯელი

მივიღო. ოღონდ ერთად ვიაროთ. გესმის, ნატაშა?

მაგრამ ქალს არაფერი ესმოდა. იგი პირველი შევარდა ქარხნის სამმართველოში, პირველი შეიჭრა საქარხნო კომიტეტის ოთახში.

— თქვენ ბრძანდებით თავმჯდომარე? გამარჯობათ.

— მე ვარ. ვაგვიმარჯოთ.

— იცით რა... — უცებ ენა დაება ნატალია ივანეს ასულს, ტუჩები აუკანკალდა: — იცით რა... იცით რა... — და თითქოს ჰაერი არ ჰყოფნის და იხრჩობაო, ტუჩებს უსიტყვოდ, უხმოდ ამოძრავებდა.

— არაფერი მესმის, — თქვა თავმჯდომარემ გაოცებით და ფრთხილად შეათვლიერა ქალი.

— მე ათი წელი ვუვლიდი ყვავილებს, მან კი — ქალმა მრისხანედ გაიშვირა ხელი ქმრისკენ. — მან კი უცებ თავის ინსტრუმენტალურ საამქროში წაიღო ისინი. გესმით... ყვავილები... ჩემი ბავშვები. მე მათ...

— გასაგებია. გასაგებია, — შეაწყვეტინა თავმჯდომარემ დაბნეულ ქალს — ეს ადვილი მოსაგვარებელი საქმეა. რაც შენი არ არის, რაც არ გეკუთვნის, ცხადია, უნდა დაუბრუნო პატრონს.

შემდეგ ვასილი სემიონის ძე მიუბრუნდა და თხოვა:

— წაიყვანეთ ინსტრუმენტალურში და დაიბრუნოს თავისი ყვავილები. ჩვენი მანქანით წაველეთ სახლში.

— გმადლობთ, დიდი მადლობა. — საჩქაროდ თქვა ნატალია ვასილის ასულმა და ოთახიდან გავიდა.

ინსტრუმენტალურში კი აზრზე არ მოდიოდნენ, რა ხდებოდა.

მუშები მხურვალედ ულოცავდნენ ნატალია ივანეს ასულს შორეული მგზავრობიდან მშვიდობით დაბრუნებას, გულითა და სულით უხდიდნენ მად-

ლობას ასეთი მშვენიერი ყვავილები-სათვის. განცვიფრებული ნატალია ივანეს ასული უცებ დამშვიდდა და ლამის გამხიარულდა კიდევ.

აქ ყველგან პრიალებდა პარკეტი, საამქროს ბოძებზე, ფანჯრის აყურულ რაფებსა და მავთულის საყრდენებზე, რომლებიც სხვადასხვა ფერად შეეღებათ, ეკიდნენ ყვავილები, ყველგან ყვავილები, ყვავილები...

ნატალია ივანეს ასული უკვე არ ანგარიშობდა, რომელი იყო მისი და რომელი სხვისი,

და ღიღხანს, ძალიან ღიღხანს დადი-

ოდა იგი ყვავილებს შორის, ყნოსავდა მათ, ეფერებოდა...

— განა ეს სასწაული არ არის? სასწაულია, ნამდვილი სასწაული. — აღტაცებას ვერ ფარავდა ნატალია ივანეს ასული და ამაცობდა. ამაცობდა თავისი ყვავილებით და სხვისითაც.

— რამდენს არ ვმოგზაურობ, მაგრამ ისეთი სასწაული, რაც თქვენს ინსტრუმენტალურში ვნახე, სხვაგან არსად მინახავს!

ნატალია ივანეს ასული და ვასილი სემიონის ძე ხელიხელჩაკიდებულნი ბრუნდებოდნენ სახლში.



ბატონის დღეობა

ჯერში ბირველი ორსართულიანი სახლი თურ-
მე დიტი აკობის დაუდგამს. საარაკო ვენახი
მას ჰქონია და იშვიათი სიმინდის ყანებიც. ხო-
ლო ახალშექმნილი კოლმეურნეობაში დიტის რომ
ხარები შეუყვანია, იმ ხარების ფერი და რქე-
ბი დღესაც ახსოვთ თანასოფლელებს.

დიტი აკობია სოფელში კარგი მოსახლე,
წელგამართული, მშრომელი გლეხკაცი ყოფი-
ლა. დემრის მისთვის ვაჭი არ მიუცია, ორი ქა-
ლიშვილი ჰყოლია. ერთი ომის დროს გარ-
დაცვილია და იმ დღიდან თავდაღმართზე
დაშვებულა აკობის დიდი მახორბა. ჯერ უფ-
როს ქალიშვილს რუსულანს დატყდომია ღვთის
რისხვა, — ქმარი ომში წაუყვანიათ და იქ და-
ღუპულა. ბედამწვარ ყმაწვილ ქალს დიდხანს
უგლოვია ქმარი, შემდეგ გათხოვილა კიდევ,
მაგრამ სხვა ქმარს ვეღარ შეპყვებია. უბე-
დურება უბედურებას დამატებია: თვითონ დი-
ტი გარდაცვილია. ოჯახი ქალების ამარა დარ-
ჩენილა.

ასე იგონებენ ჯვარელები დიტი აკობის,
როცა სიტყვა ჩამოვარდება მის ნაშვირზე დოდო
ჯვარელებზე. დოდო რუსულანის ქალიშვი-
ლია, დიტის შვილიშვილი. ვაჭი რუსულანსაც არ
ეყოლა, შამას დაემგვანა. სიმწირი გამოზარდა
ორი ქალიშვილი. უფროსი ადრე გაუთხოვდა.
ლუწინგარადში წაიყვანა ქმარმა და იქ ცხოვ-
რობენ. დოდო-ლა შერჩა იამანის თვალივით და
მისი იმედით ცოცხლობს ამ ქვეყანაზე.

დიტი აკობის ღონიერი მახორბიდან თით-
ქმის აღარაფერი დარჩა. დიტის მეუღლემ ქალ-
ბატონმა აგრადინამ და რუსულანმა სახლ-კარს
ვეღარ მოუარეს, ერთ მშვენიერ დღეს გაყიდეს
და პატარა დიეტულ ქოხში შეიყუტენ. ქალ-
ბატონი აგრადინა მოხუცია, ავადმყოფი, რუ-
სულანიც ხშირად ავადმყოფობს. ხომ ამდენი
უბედურება დაატყდათ თავს, მაგრამ, როგორც

თვითონ ამბობენ, დემრთმა მანაც არ გაიმეტა
ქალები — პატრონად და იმედოდ დოდო გაუ-
ჩინა.

— დოდო კიშკარში რომ გადავა, ჩვენთვის
ლამდება, რომ შემოვა, თენდება, — ქალბატონ-
მა აგრადინამ აფორისტული ლაკონურობით
დამიხატა მათი დღევანდელი ყოფა, — რო-
გორც ფუტურთ ხის ფესვზე ამოყრილი სიმე-
ლო ყლორტი — განაგრძო მოხუცმა — დიტის
ქვარზე დოდო დარჩა საწმომხონოდ.

საწმომხონო პირი უჩანსო აქ ისეთ ადამიან-
ზე იტყვიან, ვისი იმედითა აქვთ, ვისი მომავ-
ლისაც სჯერათ.

როცა დოდომ ჯვარის საშუალო სკოლა და-
ამთავრა, აგრადინა და რუსულანი ერთმანეთს
შეშფოთებულნი ეკითხებოდნენ: რა ელონათ,
როგორ ეზრუნათ ბავშვის მომავლისათვის. წა-
სულიყვენ თბილისში და უმაღლეს სასწავლე-
ბელში ეცადათ ბედი, ამისთვის არც ფული
ჰქონდათ და არც ნაცნობ-მეგობრები ჰყავდათ.
მარტო დოდოს იმედით კი თბილისში წასვლა
არ ღირდა. ბავშვები წლობით ემზადებოდნენ
უმაღლესში შესასვლელად, ზოგს შინ მოსდიო-
და სამი, ოთხი მასწავლებელი, ზოგი აკვნიდან
იწყებდა ინგლისურისა თუ რუსულის სწავლას,
ამ ბავშვებთან კონკურსში დოდო ვერ გაიმარჯ-
ვებდა.

რა ექნათ, რა გზას დადგომოდნენ?

— ჩვენ პატიოსანი, მშრომელი ხალხი ვართ,
შვილო, — ეუბნებოდა რუსულანი ქალიშვილს, —
შეუბოვარი, ყოველდღიური შრომით თუ მივაღ-
წვეთ რაიმეს ცხოვრებაში, სხვა გზა ჩვენ არა
გვაქვს.

ეს შეგონება დოდოს აკვნიდან ესმოდა.
ჩანდა, რომ დედა ხანგრძლივი დაკვირვებისა
და პირადი მწარე გამოცდილების შედეგად მი-
ვიდა ამ დასკვნამდე. როცა დოდოსაც დაუდგა

განცხისა და დასკვნათა გამოტანის ეპი, დედის კვალზე ეს ერთადერთი გზა ამოიჩინა: პატრონანი შრომის გზა. „ვიმეშვევებ, თან ვისწავლო“, — შტიკედ გადაწყვიტა გოგონამ. მისი თანატოლები თბილისისავე რომ დაიძრნენ, წალენჯიხის კომკავშირის რაიკომს მიაშურა და რაიკომის პირველ მდივანს მელორ ზარქუას გაუმელაღნა განზრახული. მდივანმა მას ენგურპეტის კომკავშირული საჯურთი მისცა და გზა დაულოცა.

ასე უბრალოდ, უმტიკივეულოდ დაიწყო დოლო კვარაცხელიას ახალი ცხოვრება.

კახალაშვილის ყოფილმა უფროსმა, ცნობილმა ჰიდრომშენებელმა მირიან ებრაღიძემ დოლო კვარაცხელიას მზრუნველი თვლით შეხედა: ოპერატორობა შესწავლა და კაბელური ამწის მუშაობაზე მიიღო.

შორიდან მიკერალისთვის თითქმის არაფერია კაბელური ამწის ოპერატორობა — მაინა და ვირას ბუტბუტი ყველას შეუძლია. დოლოსაც ასე ეგონა, მაგრამ როცა პირველად დადგა რადიოგადამცემთან, მაშინვე მიხვდა, რომ ეს „მაინა, მაინა“ ძალზე დავიწყებულ, დამაბულ შრომას მოითხოვდა.

წულისა და ინიკონის მთებს შორის, უფსკრულივით ღრმა ხეში, სადაც ენგური ზართი და ზათიტი მოედინება, კახალაშვილებმა თითქმის ამ ბუნებრივი მთების ტოლა ბეტონის მთა უნდა აღმართონ. ბეტონის მთა ენგურს გზას გადაუღობავს, დააგუბებს, ენგურის გრძელი ზღვა ფოცხო-ეწერიდან ხიშამდე გადაიქიშება. როცა ზღვის დონე სასურველ სიმაღლემდე აიწვეს, წყალი გრძელი გვირაბით დაიწყება დენას ჰესისაკენ.

სათქმელად ადგილია, სამუშაო კი გასაოცარი მასშტაბის და მოცულობისაა. 271,5 მეტრის სიმაღლის, ოთხი მილიონი კუბური მეტრი მოცულობის ბეტონის მთის აღმართვა ათასობით მუშახელს, ათასობით მანქანას, ბეტონისა და ცემენტის ქარხნებს, საბაგირო გზებსა და საპაერო ხიდებსაც კი მოითხოვს თურმე.

ამგვარ ზღაპრულ, თითქმის ფანტასტიკურ მშენებლობაში ასობით ლანდსვერგების, ექსკავატორების, ბელანების, გაზებისა და მანების, თვით ბეტონის ქარხნების შრომა ამოა თურმე, თუ კი სამშენებლო პოლიგონზე რადიოგადამცემით ხელში კაბელური ამწის ოპერატორი არა დასა და ბეტონს უზნებს არ აწოდებს.

დოლო კვარაცხელიამ როცა პირველი „მაინა“ თქვა, მაშინვე იგრძნო ეს პასუხისმგებლობა.

• • •

მაინი, კახალაშვილი დღეა. ენგურის ხეობაში უზარმაზარი ქვაბული ამოუთხრა, ენგური გვირაბით სხვაგან გადაუდგამს და ნაენგურალზე კახალის „საძირკველს“ აბეტონებენ, ერ-

თლორულად რამდენიმე სამშენებლო უბანი მუშაობს ქვაბულის ძირში, მთების ფერდობებსაც შესევანი ექსკავატორები და ბულდოზერები, რკინის არმატურების ხარაჩოები აღუმართავთ ჯვანაშვისა და ცხენსაბუჯის მისადგომებზე.

სამშენებლო პოლიგონზე ყოველწუთს შემოდინ ბეტონით, არმატურით, ხრეშითა და ფიცრებით დატვირთული მანქანები.

დიდი ამწით ერთი უზნიდან მეორისაკენ დინჯად გადაიტო ბულდოზერი.

ამ გოლითი მანქანებისა და ავტომატური ამწეების ფონზე, ძირს ქიანველებივით მოჩანან აღამიანები, იქ რადიოგადამცემით ხელში დგას დოლო კვარაცხელია. ის უკვე გააფუძულა ოპერატორობაში და ისტატურად იძლევა ბრძანებას.

— მაინა, მაინა, ურკა წინ, განაგრძე მაინა!.. ჰერში ნელა მოცურავს ბაღია, ის ავტომატურ კაბელურ ამწეს მოაქვს.

დოლოს ცისფერი შარავლი და წითელი სიფთვანა პერანგი აცვია, ღღეს მთებიდან ქვები არ ცვივა და ამიტომ სამუშაო ჩაჩქანის ნაცვლად, მზისგან დასაცავად ჩალის ქუდი დაუხურავს. შავკომბინეზონიანი წელს ზევით მიშველი, მუშეში გარჯული ბიჭების წინგოსფერი ზურგების, ნაცრისფერი ბეტონის, მანქანებისა და დაენგული არმატურის ფონზე, ქალიშვილი თავისი ფერადი სამოსით უცხო მინდვრის ყვავილსა ჰგავს უადგილო ადგილას ამოსულს. ეს უცხო ყვავილი ანდამატივით იზიდავს ბიჭებს და ყველა აქ, მის ახლოს, უნდა მუშაობდ. დოლო ამას ამჩნევს და ცდილობს მათ ზომიერად გაუღიშოს, დინჯად მიესალმოს. როცა ბეტონს ღებულობს, მაშინ კი არავისთვის არა სცხება.

— მაინა! ცოტა უკან, მაინა, ჩამოუშვი!.. სდექ!..

ბაღია მიწას შეხებო თუ არა, მძლოლმა ბეტონით დატვირთული მან-503 უკანსვლით მიყენა, კაბინიდან თავი გამოჰყო და მანამ აჩოჩა უკან მანქანა, ვიდრე ზედ ბაღიის პირს არ დაადო ძარა, ბოლოს ძარა ასწია, მაგრამ ძარის ძირი ბაღიის ძვიდეს დაეჭინა და მანქანა „აიეცკდა“. მძლოლმა ძრავა ჩაქრო, გადმოვიდა, ჭერ ბაღიას შეხედა, შემდეგ ძარის ქვეშ შეიხედა და დოლოს უთხრა:

— ბაღია ცუდად დგას, ბეტონი არ ჩამოცულებდა.

მძლოლი კაბინაში შეხტა და მანქანა წინ გასწია. შემდეგ ოპერატორს უჩვენა ის ადგილი, სადაც უნდა დაედგა ბაღია.

დოლო რადიოგადამცემი მომიარვეა და ბაღია მალეა ასწია.

— ვირა! ვირა! განაგრძე ვირა!.. სდექ!.. აქ დაედეგა? — ჰკითხა მძლოლს — აქ არ დაიღებმა... დაიწყეთ მაინა! — ჩასძახა რადიოგადამცემში — ურკა წინ, კიდევ წინ!.. მაინა! მაინა!.. ჩამოუშვი!..

ბაღია კვლავ ძველ ადგილს დაეშვა, ოღონდ



ცოტა დაქანებული. მძლოლმა მანქანა მიაყენა, მაჩა ბოლომდე მიიწვი ვერ ასწია, ბადაიმ შეუშლა ხელი, ბეტონი ან ჩამოიცილა.

მძლოლმა მანქანა დიდხანს აწვალა, ჯერ „სტოსიგნალი“ გაუტყდა, შემდეგ ამწის შლანგი, ვანერვიულდა, აბუზღუნდა.

ამასობაში ბეტონით დატვირთული მანქანების გრძელი რიგი გაიქიმა ბადაისთან. გამოუცდელი ოპერატორი შიშმა შეიპყრო. მძლოლებიც აყაყანდნენ: ახალია, არ იცის მუშაობა.

დოღო ვერაფრით ვერ მიხვდა მიხეხს — მთელი დღე ვმუშავებოდა მუშაობდა და უცებ... ბადაის ვერსად ვერ დავიხს. „სხვა ადგილი აქ არ არის“ — მესადდ მოზომა თვალთ იქაურობა. წინ კლდეს ანგრევენ, გვერდით ხრამია გადასავარდნი, გზის პირას ხელისგულის ოდენა მოვლანია, ეს არის და ეს, ბადაის ყოველთვის აქ დგამდა, ახლა რა ჯანდაბა დავმართა?... „ვირა, მიანა“, — უცვე თითქმის სასოწარკვეთით გაიძახის გოგონა და... უცებ გაუნათდა გონება, გაეცინა: თურმე სულ უბრალო, უმნიშვნელო მიხეხის გამო არ იცლება მანქანები.

— ბიჭებო, — დაუძახა დამხმარე მუშებს — მოიტანეთ ნიჩბები და ეს ადგილი აფხიკეთ...

იმ ადგილას, საცა ბადაის დგამდა, ბეტონი დაცვენილა, დაბეკენილა და თვალისთვის შეუძნეველად, რამდენიმე სანტიმეტრით ამალღებულა.

— დაწყევლოს ეშმაკმა, რამდენი დრო წაგვართვა, როგორ ვერ მიხვდით... — ჩაიღუღუნა დოღომ და გვერდით გადაგა.

ბიჭებმა ხელთ აფხიკეს ბეტონი.

— მიანა! მიანა!.. — მარჯვდ ჩასძახა რადიოგადამცემში და ბეტონით სავსე მანქანები ხელთ დაცალა.

უკან დარჩა პირველი სიძნელები, დოღოს ხომ დიდი მშენებლობა მხოლოდ კინოში ენახა მანამდე. და მინც მუშაობა არ გაჭირვებია, როგორც ცურვის არ მცოდნეს, ღრმა წყალში შეავადებენ ხოლმე, ისიც ინსტიტუტრად მოუსვამს ხელებს და ცურვას ისწავლის, იმდაგვარი ალღოთი და გამპრობობით, რამდენიმე დღეში აუწყო ფეხი გოგონამ დიდ მშენებლობას.

მალე კვარაცხელიას გოგოს ბერე მუშაობაზე მშენებელთა გაზეთში გამოქვეყნდა წერილი.

— როცა ღამის ცვლაში ის გოგო მუშაობს, შინ მშვიდად მივიდვართ, — ალაპარაკდნენ თათბირებზე უბნის უფროსები.

ახალი ოპერატორის გამო ცილობაც კი შეიქმნა უბანთა შორის, არა ჩვენთან იმუშაოს და არა ჩვენთანო.

წარმატებამ ქალიშვილს ფრთები შეასხა, შეუყვარდა თავისი საქმე, მთელი გატაცებით ჩაება კაშხალმშენებელთა ცხოვრებაში, მათი სული და გული გახდა.

გვიან ღამით ჯვარში ენგურაქისის მანქანა შემოვიდა, სოფლის ცენტრი გაიარა და დოღო კვა-

რაცხელიას კომპარტან დააპიზინა. დოღოს არ ეძინა, მიხვდა ვინც იქნებოდა, კარი გამოაღო და კომპარტისკენ გაემართა. მძლოლმა სიბნელეში შორიდან დაუძახა: ოპერატორი ავად გახდა და შემცველი ვერცინ ვიშოვეთო.

— აღბე ეთქვათ დალოცვილებს, დღეს მთელი დღე ვმუშაობდი, — აბუზღუნდა დოღო, მაგრამ სწრაფად შებრუნდა შინ და საშუალო ტანსაცმელი გადაიცვა.

— ვინ არის? — იკითხა რუსუდნამ; ძილღეიძღში, ჩაესმა მანქანის ხმა.

— ჯემალია, ჩენი, — მიუგო დოღომ და ოთახიდან გავიდა.

ღამის ცვლაში მუშაობას დიდხანს ვერ ეგუებოდნენ რუსუდანი და აგრაფინა, ეშინოდათ ქალიშვილი ხიფათს არ გადაეყაროსო. დოღომ მალე დაარწმუნა ისინი, რომ კაშხალზე საშიში არაფერია, კაშხალმშენებლებისთვის არ ღამდება, დიდი პროექტორებით მზესავითაა განათებული ენგურის ხეობა და მუშაობა ერთი წუთითაც არ წყდება. რა თქმა უნდა, ხიფათისაგან დაზღვეული არავინაა, მით უფრო ქალიშვილი; ღამე მინც დამეა და კლდე-ღრე რამდენიც უნდა ანათო პროექტორით, მინც კლდე-ღრე რჩება. კაშხალზე ღამეების თვეა და ათასი ჯუჯრისა და ხსიათის ადამიანებთან ურთიერთობა ადვილი ვერ არის.

დოღო კვარაცხელია მტკიცე ხასიათის გოგო აღმოჩნდა, მან შეძლო ეს ურთიერთობა ახალგაზრდებთანაც, უფროსებთანაც, ჩამოსულებთანაც და ადგილობრივ გოგო-ბიჭებთანაც საერთო ენა გამოიხატა, მათი ნდობა და სიყვარული დამისახტრა. ამას დიდი შრომით მიალწია. თავი არ დაზოგა, ყველას უჩვენა რომ ენგურაქსში სალოზანდაროდ კი არა, სამუშაოდ ჩამოვიდა. ზედღივდ ორ, სამ ცვლაში კი იმუშავა, კაშხალმშენებლებს კვარაცხელიას გოგო გაჭირვების ტალკვესად მოველინა. აქ ასეც ხდება; უცებ ატყდება ხოლმე განგამი, ოპერატორი არ არის! — ავად ვახდა, ან რაღაც შეემთხვა... რა ექნათ? — ბეტონის მიღებას ხომ ვერ შევაჩერებთ? — არიქა, შემცველი!..

მანქანა ჯვარისკენ, დოღო კვარაცხელიას სახლისკენ მიფრინავს და... მოჰყავთ ბეტონის დედოფალი!..

— ვირა, მიანა! — შეულოცავს დედოფალი და გაჩერებული მშენებლობა ამოძრავდება: მანქანიდან ბეტონი ბადაიში ჩაეშვება, ბადაის ამწე აწევს, და სადღაც მთებს გაღმა მიაწოდებს. იქ ბადაის ვაცლიან და უკან გამოგზავნიან.

მღელვარება დაცხრება, შეშფოთება გაქრება, გეგმის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება.

დღეს ბეტონის დედოფალს მთელი ენგურაქისი იცნობდა. კომკავშირის კომიტეტში თავს

ნოდარ წულუისპირი
ბეტონის დედოფალი



ურჩევნიათ, რასაც დააეღებენ, ყოველთვის ზუსტად და კარგად ასრულებს, სპორტსმენიც არის, ენგურპესის ახალგაზრდობის ინტერესის დასაცავად გინდათ სროლაში გამოვა და გინდათ ხტომაში.

აქტივის კრებებსა და რაიონულ შეკრებებზე უკვე პრეზიდენტში ზის სოციალისტურ შრომის გამორება და ორდენოსან მუშებს შორის. მის ქების სიგელებს ახლახან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სიგელიც მიემატა. რაც მთავარია, დოდო უყვართ ენგურპესში და დოდოსაც შეუყვარდა მშენებლობა.

— იცით, ყველაფერი ეს ასეა, — მეუბნება დოდო — მაგრამ... არ მაქმყოფილებს, მეტი მინდა, — გაეცინა, — რაღაც დიდსა და არაჩვეულებრივს მოველი ცხოვრებისაგან, პატარაობიდან გენერლობა მინდოდა, ჯარების მხედართმთავრობა იყო ჩემი ოცნება. დღეს, რასაკვირველია, ჩემი გენერლობა ღიმილს იწვევს, მაგრამ საინჟინროზე უსათუოდ ვისწავლი და უსწრებლად. ენგურპესს ალბათ ვეღარ მოეშორდები, სწორედ აქ, ამ რკინის არმატურების ხარაჩოების ქვეშ უნდა გაეკეთო ის „არაჩვეულებრივი“. იცით, ეს ენგურპესი ჩვენია, ჩვენ უნდა ავაშენოთ იგი, ჩვენ უნდა დაესახლდეთ

აქ, ენგურის პირას, და ჩვენ უნდა ვაშენოთ რონოთ აშენებულს. მე ეს მტკიცედ ვიწყობა რწმენა კი სახადივით ვადამდებია, — კვლავ გაეცინა — მე მოვიყვანე ენგურპესში იზო ესართია, ნანა და ციცა აკობიები, ისინიც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები არიან, ჩემი თანატოლები, ენგურპესში კი ჩემი მოწაფეები. ყველანი კარგად მუშაობენ, ერთგულად და სიყვარულით ემსახურებიან საერთო საქმეს. მათაც ღრმად სწამთ, რომ ენგურპესში მოსვლა და მუშაობა დიდი პატრიოტული, სამშვილიშვილო საქმეა.



ღამეა. პროექტორებით განათებულია ენგურის ხეობა. აქ მუშაობა წამითაც არ წყდება, უზარმაზარი ბელაზები გუგუნით ამოდიან აღმართზე, ბეტონი მოაქვთ. სამშენებლო პოლიგონზე რადიოგადამცემით ხელში ღვას ბეტონის დედოფალი და თავისი წკრიალა ხმით იძლევა ბრძანებას.

„ვირა! ვირა! განაგრძე ვირა! ურკა წინ!.. სრული სვლით!.. მიილე ბეტონი!.. დიდი ბეტონის მიღება გრძელდება.“



საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ
— იცოდა — სპორტსმენი

მზია კობახიძე

თ ა ვ რ ო ბ ა ნ ი

მთიულეთის ხეობაში, მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირას ერთ ტყიან ქედს სალალო ჰქვია. წლის ყველა დროს მომხიზლავია იგი. გაზაფხულზე რაღაც სხვანაირი აფეთქება იცის ამ ტყის ფოთოლმა და იმ მცირე-მცირე ველე-ბის მინდვრებმა; ზაფხულში ისეთ საამო ნიავსა და სიგრილეს ინახავს, სხვაგან სად შეხვდები. შემოდგომა კი, შემოდგომაზე სალალოს ფერებს ვინ დაითვლის! ერთი ხე რომ მწვეანდ ხასხა-სებს, მეორეს თითქოს ცეცხლი წაჰკიდებიაო; მესამეს კიდევ სიყვითლე შეჰპარვია, იქით სულაც გაყვითლებულა, კიდევ იქით მწიფე შინ-ღის ფერი მოძალებულა...

არა, სალალოს ფერებს ვინ დაითვლის! ლელასა და ღამარს არც უცდიათ ამ სილამა-ზის საიდუმლოს ამოხსნა. ისინი ცალ-ცალკე ამოიბრუნდნენ ხოლმე ტყიან ბილიკებს, ერთი—საქერედან, მეორე—ვაშლობიდან, სალ-ლის ნაცვლად ერთმანეთს მორცხვად გაუღი-მებდნენ და შორიახლო ჩუმად ჩამოსხდებოდ-ნენ.

ცხვარი სალალოს რძიან მწვანეს შეექცეოდა. როდის, როდის დუმილიც დაირღვეოდა...

— ლელა, ნუღარ წახვალ თბილისში. თუ მოხვდება უნდა, აქაც კარგად მოგხედავს ბიძა-შენი. დედა მარტო უნდა დატოვო?

— არსადაც არ წავალ, ცოლია დედა.

— ვაშლობში არ გადმოსახლდები?

— მაშინ არ იქნება ცოდო დედაჩემი?

— მაშინ არ იქნება.

დუმილი რომ მომებზრდებოდათ, ისევ თავი-დან დაიწყებდნენ.

— ლელა, ნუ წახვალ თბილისში...

ვეღარ მოითმენს ლელა და ამდენი ხნის ნა-ფიქრს ერთბაშად მიახლის:

— თუ ასე არ გეთმობი, ადექ და შენაც იქ წამოდი.

— მენა? იქ რა გავაკეთო? — ფიქრი. ნად იტყვის ომარი და ერთხანს გაჩუმდება. მერე მოულოდნელად შესთავაზებს:

— გინდა პაპაჩემის ზღაპარს ვაიმბობ.

პასუხს აღარ უტღის.

— იყო და არა იყო რა...— იცინის. ლელასაც ელიძება. — ჰო, მართლა იყო პაპაჩემი პეტრე. მთიელები ხომ საერთოდ საწყალი ხალხი ვართ, პაპაჩემი მთლად ბეჩავი კაცი ყოფილა. ცხრა შვილი ჰყოლია. სულს იქით მეტი არა ებადა რა თურმე. დღემუდამ ჭაპანწყვეტას არა-ფერი მოჰყოლია. მერე ხერხი უხმარია, ამდ-გარა და ერთი მდიდარი ქვრივი ქალი ნათლი-ად მოუკიდებია. ხერხს გაუჭრია, იმ ქალს თი-თოსთვის თითო ცხვარი უჩუქნია, თითო ცხვა-რს თითო ბატკანი უშვია. ასე შექმნილა და გა-ზრდილა ფარა. მას შემდეგ ჩემი მამა-პაპა ცხვარს არ მოშორებია.

ამასობაში ფერდები აუცხია ფერდობზე გა-ფანტულ ცხვარს, მზეც თავის დაღმართს დას-დგომია.

მეზღაპრენიც ცხვარს მოაგროვებენ და ისი-ნიც სწრაფად დაუყვებიან, ერთი საქერესაკენ, მეორე — ვაშლობისაკენ

— შენ კი მეუბნები, ქალაქში წამოდიო. — ღიმილით დაადვენებს ომარი.

• • •

მას შემდეგ წლები გავიდა. ამ წლებს გაჰყვა მეცხვარის ხიფათიან გზებსა და ბილიკებზე სი-არულით გამოწვეული პირველი სიხარული თუ გულის-ფრიალი.

საიმედო მეგზური ჰყავდა ომარ კედელა-შვილს ამ გზებზე. ჯერ კიდევ მოსწავლეს დაა-ტარებდა მას აქ მამამისი. ცნობილი მეცხვარე სიმონ კედელაშვილი ბაღრატობიდანვე მეცხვა-რედ ზრდიდა შვილს. თვითონ სიმონს კი უკა-

ნასენელ ამოსუნთქვამდე არ უღალატია საყვარელი საქმისათვის. ბოლო დროს თავს კარგად ვერ გრძობდა, უღალადო მინც ვერ გასძლო, მაინც ყიზლარისაკენ გაჰყავა ცხვარს.

ერთ დღის მკვდარი ჩახეხა ეკა მწყემსებმა. გულში ბატკანი ჰყავდა ჩახტებულნი.

მაშინ სავალდებულო სამხედრო სამსახურში ისრულებდა ომარი მამის ხელში დაწყებულ წრობას. კარგადაც ვერო. ფიზიკურად გაძლიერებული და სულწარად ამაღლებული დაუბრუნდა იგი მშობლიური ჭარბის კოლმურნობას. ერთი თვეც ვერ გასძლო შინ. მამის ფარას გაჰყავა მწყემსად, რომელსაც მამის მამის უახლოესი მეგობარი ვალიკა ქათარაძე თავჩანობდა. ახლა ერთად არიან ვალიკა და ომარი, მხოლოდ თავჩანობი ახლა ომარია, უკვე გამოცდილი მწყემსი, სიტყვა-გაუტეხელი ვეჯაკი.

— ის როგორ იყო, მოხუცი მწყემსები რომ გვევადნენ და ყველას მაგიერად რომ შენ დაქვანობდი? — გაახსენებს ხოლმე ომარს მამის მეგობარი.

— რაღა მაგას იხსენებ. რატომ იმას არ იტყვი, ცხვარში წამოსვლას რომ არ მანებებდი, სწავლა თუ გინდა, მეცხვარეობა და სწავლა ერთად არ იქნებაო, — უბასუხებს ომარი და ისედაც ნათელ სახეზე ღიმილი დაეფინება.

ღიახაც, რომ ძნელი შესათავსებელია მწყემსობა, მომთაბარეობა და სწავლა. მწყემსობის სიძნელეს მწყემსი ან ნამწყემსარი თუ გაიგებს მხოლოდ. თუ არ გამოსცადე, შორიდან ყოვლად შეუძლებელია მიხვდე, რა ჯანი და სიფხიზლე სჭირდება ცხვრის ღვენას.

სამმა ცხვარმა შეიძლება მთელი ფარა გაგიფანტოს, ან მოგიბრუნოსო, ამბობენ გამოცდილი მწყემსები.

მეცხვარის ძილი კი რა სახსენებელია! სამ საათს თუ ძინავს მეცხვარეს. სულ ფარას თუ არ დასტრიალებს, ზიფათი ელის მასაც და მის სამწყსოსაც.

ერთი თვალის მოტყუება, ერთი უდროო მიწოლა ნაბაღზე და მერე მშვიდობით, შეიძლება მთელი ღამე ამაოდ იხეტილო უტუნეთში გაფანტული ცხვრის ძებნაში.

მეცხვარის ზიფათიან ცხოვრებაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. მისი ძნელსავალი და ძნელსამყოფელი კაცს მართლაც იოლად ააღებინებს ხელს სწავლაზე, მით უფრო უმაღლეს სასწავლებელზე ოცნებაზე.

ომარს პრობლემად არ უტყვივია ეს საკითხი. უბრალოდ, მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ესწავლა. არა, ბოლოს კი არ გადაუწყვიტია, თავიდანვე, სკოლიდანვე ემზადებოდა საამისოდ. არც სამხედრო სამსახურის დროს დაუნებებია თავი მეცადინეობისათვის. მერე ცხვარს გაჰყავდა და გზად მწყემსისათვის აუცილებელ სხვა საგნებთან ერთად აბავით წიგნებიც გაიყვანდა. ძნელი როგორ არა, მაგრამ შეუძლებელი რომ

არ იყო, ეს კარგად დაამტკიცა ომარმა. მერე წელსვე ჩააბარა მისაღები გამოცდები. დაახლო იგი საქართველოს ზოტეკნიკურ-საქვეყნობის ინსტიტუტის დაუსრულებელი განყოფილებას მესამე კურსის სტუდენტია.

— ეს მარტო ჩემი კარგი ბეჭობა არ არის, — ამბობს თავჩანობი, — მეგობრებიც მეხმარებიან და კოლმურნეობაც ხელს მიწყობს. ახლა თოხლი ჩამაბარეს. დედაცხვარს რომ მეტი ყურადღება უნდა, ეს ჩემთვის ახალი ამბავი არ არის. ჰოდა როგორ შემიძლია არ დავინახო ეს და არ დავაფასო.

აფასებს, ძალიანაც აფასებს ომარი ამ მზრუნველობას. ამიტომაც არის, რომ მის ფარას უყურადღებობით, მოუვლელობით ერთი ცხვარიც კი არ დააკლდება, რომ წლების განმავლობაში ყველა სახელმწიფო დავალება პირნათლად და გადაჭარბებით სრულდება.

აფასებს, თავს არ იზოგავს და ამ ვეჯაკურმა ხელგარჯილობამ, საზრიანობამ და საერთო საქმისათვის თავდაუზოგავობამ თავადაც საერთო დაფასება და სიყვარული მოუტანა.

ასე რომ არ ყოფილიყო, ოცდაოთხი წლის ჰებტეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატად ვინ გაგზავნიდა.

ომარ კედელაშვილი მეროდე აირჩიეს დუშეთის რაიონული საბჭოს დეპუტატად.

წელს კიდევ, აგერ ახლა, სექტემბერში, უღარესად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ომარის ცხოვრებაში.

მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ახლა კი მარჯვედ გამოატარა მან ცხვარს და მეცხვარეს ექვსსაკლომეტრიანი ტრასა და უკვე ნაცნობ, მშობლიურ ტრამალებზე გაშალა ფარა ყიზლარში, ბორჯომისაკენ.

„მარჯვედ გამოატარა“ სათქმელად ადვილია, საქმედად არის ძნელი. ომარს რომ ჰკითხოთ, ეს ტრასა ძალიან ცუდია და უყურადღებოდ არის მიტოვებული. რაც მთავარია, ვიწროა. კოლომეტრამდე ვანი უნდა ჰქონდეს, მეტიც, ტრასა კი ახლოვდება 50 მეტრიც არ არისო. დარიალის ხეობაში საძოვრები არ არის და მშვიდ ცხვარს უჭირს სიარული. თანაც, ბოროტ და ოხერ კაცს რა გამოიღვეს. მანქანებით იხელთებენ დროს და ცხვარს იბარავენ. იშორას იქით (იშორის ზიდი თერგზეა, ტრასას შუაზე ჰყოფს) ვანიერი ტრასებია და უკვე აღარ უჭირს ცხვარს, ესე იგი არც მეცხვარეს უჭირს.

თუმცა ვასაჭირო რა სახსენებელია. კომუნისტი ომარ კედელაშვილი, კომუნისტისათვის ერთი რიგითი მებრძოლი, პოსტზეა. პოსტზე კი ყოველგვარი სიძნელისთვის უნდა იყოს კაცი მზად. მზად არის, როგორ არა, ხმალამოლებულ მომხდურს არ შეუშინდება ომარი, მაგრამ გულგრილობას ვერ ეგუება. ისევ ეკლებივით ხვდება თვალს თვალდამშტარი ელემენტრობები, რომლებსაც ჯერ ერთი ანთებული ნათურაც არ

ღირსებით, ისე ალბეზათ ძირები. ბიბლიოთე-
კაში კვლავ ძველისძველი წიგნები, მაღაზიაში
კვლავ ყველასაგან მოძულეებული საქონელი,
კვლავ უვარგისი სპეცტანსაცმელი...

მეცხვარე არაფერს იტყვისო.
მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ცხვარი ცხვარია,
თუ გაცხარდა ცხარეაო.

იტყვის, უთუოდ მკაცრად იტყვის ამას რა-
იონული საბჭოს დეპუტატი ომარ კედელაშვი-
ლი.

ბარშიც დარჩა საქმე გასაკეთებელი. წამოსვ-
ლის წინ თბილისში, პარტიის ცენტრალურ კო-
მიტეტში გაჰყვა ფასანაურის საავადმყოფოს
მთავარ ექიმს ნინო ჩოხელს და სახელოვან
მწყემსებს ყარამან გაგაძესა და გოგი მოთიაშ-
ვილს. საავადმყოფოს შენობა უვარგისია. კი-
დეც იყო საჭირო მისვლა, მიკითხვა, მაგრამ
ცხვარს არ ელაღატება, ნინო ჩოხელი კი ისე-

თი ვაჟკაცი ქალაი, უჩვენოდაც მოუვლის საქ-
მესო.

... ნეტავ როგორ არიან შინ. შვილები საქ-
მეზე მიმოეფანტნენ დედას. თავად ოჯახში
ტრიალებს და ალბათ ყოველ წუთს მათი კარ-
გი ამბის მოლოდინშია.

ხედავს, ცხადად ხედავს ომარი.

... ბილიკზე სწრაფი ნაბიჯით, მოხდენილად
ამოდის ლელა. — მოდი, დედა, მოდი, შვილო!
ბიჭების ხომ არაფერი იცი, ყიზლარიდან წე-
რილი ხომ არ არის? — ეგებება მოხუცი.

უკუნ ღამეში საამო ფიქრი აინთება.

ჰო, მართლა, ქვემოთ გეტყვი-მეთქი ომარის
ცხოვრებაში მომხდარ „მნიშვნელოვან ამბავს“.
ეს იყო და მეტი არაფერი — ლელა მათი ოჯა-
ხის წევრი გახდა. აგერ ახლა იყო ეს, სექტემ-
ბერი.

საამო ფიქრებს უღიმის ვაჟკაცი.



კარლო ქობაჩიძე

ვიდრე ბალი დამწიფდება

გორში დილით ჩავედი — მეც მაქვს ჩემი გეგმა და ვჩქარობ — დღეს საქმეც უნდა მოვათავო და თბილისშიც დღისსულზე დავბრუნდებ; ოღონდ, აი, ხარისხზე მაშინ ვიფიქრებ, ტელევიზორის დიქტორი რომ დამემშვიდობება და ლიფტსაც გამოროთავენ. იმ დროს ქალაქი უკვე ძილშია წასული, ჩემს უბანში კი ერთი სხვა კაციც ფხიზლობს — სასურსათო მაღაზიის დარაჯი. ცა ღრუბლიანია თუ უღრუბლო, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მხრებზე მაინც საწვიმარს მოუსხამს; ილიაში კეტი ამოუნჩრია და კუჭრიან მორში გამრუდებული ბირდაბირივით ნელა გადი-გამოდის. დარაჯი ხანდახან ყასიდად ჩაახველებს ხოლმე. მაშინ მაღაზიის კართან დაყუჩებული ძუქნა ჯაჭვის ჩხრიალით წამოდგება და დაცქვეტილი მიაყურადებს ზღვიდან გამობარული ნესტიანი ნიავის შრი-ალს.

ის დარაჯი გამახსენდება და გუნებაც მიმძიმდება — ათასი კითხვითი ნიშანი ერთბაშად წამოიშლება, წამოიშლება და სასიყეთო საქმისაკენ მიბრუნებას აღარ მანებებს. რატომღაც ამ კითხვითი ნიშნების ლაბირინთებიდან გამოსვლა უფრო ძნელი მეჩვენება ხშირად, ვიდრე მთვარეზე ვასაფრენად მომზადებული კოსმონავტის ფიქრისა, როცა ღმილით ემშვიდობება ცოლ-შვილს, ნაცნობ-ნათესავეებს, დედამიწას და კაბინისაკენ ღინჯად მიყვება კიბეს. ღინჯად-მთქი, ვამბობ, რაკი დამძიმებული სკაფანდრი და დედამიწის დატოვებით დამძიმებული სული ნაბიჯის აჩქარების უფლებას არ აძლევს. ეს აუჩქარებლობა ის მაღლი და სიციფია, რის გარეშეც არაბოა იქნებოდა ადამიანის ყოფა...

ფიქრში ჩამოიპარცვლება ამ კითხვითი ნიშნების უთვალავი მწკრივი და ერთადერთილარჩება წვალეზად, აფორიაქებულ საათებად, საფერფლეში ჩაჭყლელბო სიგარეტის ნამწვეზად — ის ბერიკაცი რატომ უნდა იმწარებდეს ძილს? საოცარია, ღმერთმანი! — თავი მოგაქვს

განსწავლელობით, ნაირ-ნაირი იდეებით, იქამდე კი ველარ მიგვიღწევია, სამსახურში რომ მოგეჩვენება, მგონი ღია დამარჩა სახლის კარით, დაუკითხავად არ გავარდებ შიშნარევი ეშვის შესამოწმებლად. რამდენს ენერგია, ძალღონე, თანხა იხარჯება იმის დასაცავად, რაც ჩვენ გვეკეთენის — ყველას, და ვალდებულნი ვართ, დავიცვათ. უცნაური კურიოზია — ისე გამოდის, თითქოს ერთმანეთს არ ვენდობით, აქედან: ერთმანეთსა ვდარაჯობთ! ბუნებრივია, ეს საკითხის უბრალო, თეორიული მხარეა, პრაქტიკულად კი სულ სხვა ამბავთან გვაქვს საქმე.

ერთხანს ისე ჩაგვაგონეს და გავსწავლიდნენ, ვითომც ადამიანის ხელმრუდობა მხოლოდ და მხოლოდ ნაკლებულობის ბრალი იყო. მეგრე და მეგრე აღმოჩნდა, რომ ამ ხელმრუდობას პროფესიულობის ელფერი დაედო და აშკარადაც გამოიკეთა; ერთი სიტყვით, მოთხოვნილებად იქცა, რა თქმა უნდა, ამგვარი, უკაცრული პასუხია, ადამიანების მიმართ, უღობველია კანონი და აკი შეაკრადაც უსწორდება მათ, ვინც ტყვიდან უთვალთვალებს ყანისპირზე მოზალხე ძროხას, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვები იკავებენ იმ უხსენებელთა ადგილს და დამის დარაჯის შტატიც გერჯერობით არ მცირდება.

ვინ არ დაფიქრებულა ამ სავალალო მდგომარეობაზე? უფიქრია, უფიქრია და ერთადერთ, სწორ დასკვნამდე მისულა: ახალგაზრდული წამხედურბობაა მიზეზი. აი, ეს მიზეზი განსაკუთრებით მისთვის არის ნათელი, ვინც ბავშვობისას და ეფიგია პაპიროსის წვეას და ახლა, მიუხედავად ეფიგების დაქინებებით რჩევისა, ვერაფრით ველარ მიუტოვებია. საინტერესოა, როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ვინ დაგვარწმუნებს, თითქოს გამოსავალი არ არსებობდეს?

ყოველთვის, როცა ასეთ ან ანალოგიურ საკითხზე ჩამოვარდნილა საუბარი, უმეტესობა



ოჯახს აღნაშაულებს, უმეტესობა — სკოლას, ზოგჯერ საზოგადოებაც წამოწეულა წინა რიგში, რაც, თქმა არ უნდა, აშკარა შეცდომაა. მთავარია ოჯახი, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახი! ცნობილი ქეშმარიტებაა, ბავშვი ოჯახის სარკვეა. საერთოდ: ხალხი არ ცდება. ამ სიბრძნესაც, თავს არ გამოვიდებ და, მეც ვერაფერს მივუმატებ.

შედავინა ყველაფერზე შეიძლება. ამიტომ, ალბათ, ვინმე გამოჩნდება და ახლაც შეეცდება რაიმე საწინააღმდეგოს მტკიცებას:

— ყველა ქურდის შვილი არა მგონია ქურდი იყოს.

— მაგრამ ოჯახში რასაც ლაპარაკობენ, ბავშვს ხომ ის ესმის? ბავშვი ხომ უფროსებს ბავშვს? სწორედ აქედან წარმოიშვა: ხელოვანთა ოჯახი, მედიკების ოჯახი, ინჟინერთა ოჯახი... ხოლო ამ ინჟინერთა ოჯახიდან რომელიმე მწერლობისკენ თუ გაიწია, ეს უკვე მისი სულიერი მოთხოვნაა და წინ ვეღარაფერი დაუდგება. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ქურდი განსაკუთრებითი სიჭიქტით მოუწოდებს შვილს პატიოსნებისკენ, რაც უმეტესად მარცხით მთავრდება. ეს აქსიომა ჩემი მოგონილი არ არის — ცხოვრებამ დაამტკიცა ესეც.

— ხომ შეგხვედრია პატიოსანი კაცის ქურდი შვილი?

— მოდი, ჭერ იმაზე ვილაპარაკოთ: რა იგულისხმება პატიოსნებაში?

— სიტყვა „პატიოსნება“ უქანასკნელ ვიგინდარასაც აკერია პირზე და შენ, პატიოსანი რომ გეგონა მავანი და მავანი კაცი, უპირველესი მექრთამე, გამფლანგველი, კომბინატორი კი ყოფილა, სააშკარაოზე გამოტყენილი მისი საქმენი საემპრონი და, აქ ვითომც არაფერიყო, მეორე დღეს ჩვეულებრივი სიმშვილით მისალმებია მეზობელს. ეს სამსახურიდან გამოვლდებული გვამი, საჩივრით იცლებს ქვეყანას, არიქა, მიშველეთ, უღანაშაულო ვარ და მჩაგრავენო — სამსახურში დაბრუნებას მოითხოვს, თითქოს ის სამსახური ანდერძით ვადალოცილი შემკვიდრებოდა იყოს! ვაგიგონია, ადამიანო, ჩემია და მართმევენო?..

— მერე, შე კაიდელმამიშვილო, რომელ პატიოსნებაზეა მელაპარაკები?!

— ეს ურთულესი საკითხია და სხვა დროისათვის გადავლოთ. ახლა, იმ ნამდვილად პატიოსანი კაცის გზასაცდენილი შვილი მაინტერესებს: თუ მართლაც ოჯახია მთავარი, იმას რა-ღა ჩემი ღმერთი გაუწყრა, ბარძაყი რომ დიეფვა ყომარის გავორებით?

— პატიოსან კაცს საქმემ არ ააღებინა თავი, ან არ მოელოდა შვილისგან, ანდა ერთხანს ყურადღება მოაკლო და სანანებლად ექცა. მაგრამ ასეთი შვილის საჩვენოში მობრუნება რთული არახოდეს ყოფილა. შემთხვევით გზასაცდენილი სულ ადვილად უბრუნდება, სპორტის

ენაზე რომ ეთქვამთ, საწყის მდგომარეობას. ამიტომ დაბეჭივებით ვიმეორებ — ოჯახია მთავარი!

— იქნებ პატიოსანი სიღარიბის დროს?

— როგორ გვკადრებთ! კეთილი გარჯით მოპოვებული სიმდიდრე აღამაინის ხასიათს არასოდეს არ ცვლის, არც ოჯახისას. თუმცა პატიოსნებაზე რომ ვლაპარაკობთ, ქონება მხედველობაში არა გვაქვს, ვინიდან ჩვენი ქონება ჩვენი შვილების სწორად აღზრდა. ერთთავად საშობლოს სიყვარული ვაკვირია პირზე და უმეტესად ერთს ან ორ შვილს კი დაგვანაკლებთ. არ ვაგიგონია ჩვენებური ნათქვამი — ის ოჯახი ოჯახი არ არის, სადაც ბავშვის ტირილი გამოილევიაო...

ავტობუსში ქალი ამოვიდა: ხელში ძუძუთა ბავშვი ეჭირა, — ხუთი-ექვსი წლის ბიჭი კი კაბის კალთაზე ძებლუქებოდა.

— სად მიბრძანდებით? — ჰკითხა შოფერმა.

— გორში.

შოფერი წამოდგა, მოტრიალდა და სკამებს გადახედა:

— უკან ადგილებია, იქ დაბრძანდით.

ისევ „მცხეთის ჭვარა“ გახედე.

— მოთმინეთ! — ვილც წამოდგა გვერდით, მეორე რიგიდან, — მე გადავალ უკან, ქალბატონო.

ქალმა მალღობა უთხრა, კალთაში ჩისკვა ბავშვი, ის მეორე კი ფეხზე იღვა გასასვლელში.

ჩემს გვერდით ორმოცდაათს მიტანებული კაცი იყო ჩასვენებული და პიტნის კამფეტით იქცევდა თავს — ხრამახურშით მომდევნა დიდმის გაჩერებლან.

დიღმის გაჩერებაზე ხენშით ამოალაჯა ავტობუსში და კარებთან გაიხირა.

ქალაქს რომ გამოვცდით, მაშინ ჰკითხა შოფერმა:

— მცხეთაში მიდიხართ?

— ზესტაფონში.

— ბილეთი გაქვს?

— არ აიღია.

— რატომ არ აიღე, აღარ იყო? — ეწყინა შოფერს.

— არ მგონია თუ გეწყინებოდა, — დამკინავად უთხრა.

შოფერმა წაუყრუა:

— ვითომ არ იცი რა ამბავია! გამაბავენ და შენ მიშველი?

— ოჰ, მე ხომ ვიცი, გული ამოვარდნაზე გაქვს შიშით!

ამ დროს, ჩემს გვერდით რომ იჯდა, ის ბიჭი წამოდგა და პაპიროსის მოსაწველად უკან, ცარიელი სკამებისკენ წავიდა. ამ უბილეთო მგზავრმა კი ამ ბიჭის პორტფელი ზემოთ, თა-

პარლო კობარიძე

ვიღრე ბალი დაწვიფდებოდეს

როზე შეავლო და არხინად მიესვენა სკამის სახურავზე...

მუხლზე დალაგებული გაზეთები ავიღე, წამოვღექე, უბილეთო მგზავრს მოვუბოდიშე, ძლივს გამოვატეი ფეხები და ბავშვი მოვატროილე:

— მოდი, შეილო, დაჯექი.

ბავშვის ღეღამ ღიმილით შემომხედა.

და ვიდრე ბავშვს ავიყვანდი ხელში, იმ უბილეთო მგზავრმა ჩემს ადგილზე, ფანჯარასთან გადაინაცვლა.

ალმური მომედო, მაგრამ ხმა არ ამოიღია. ვღვავარ ასე გამშრალი, უზაროდ გააყურებე გზას და გაზეთებს ვაწვალბე ხელში.

ამ პოულოდნელობის ალმურმა და მისის მზემ პერანგის საყელის ზედა ღილი გამახსენებინა, მაგრამ ჰაერი მაინც არ მყოფნის — ვედარ მომიბრუნებია სული. ვიფიქრე, იქნებ გულისიდან რამენაირად ვაღაფივლო-მეთქი, შოფერს ვეკითხები:

— მაღე ჩავალთ ვორში?

— ძალიან მაღე.

— ერთ წუთში?

— ერთ საათში, — სარკედან მიღიძის, — მანამდე ვაგივლის კიდევ:

მე კი მეგონა ვერვინ შეამჩნია.

ახლა გამახსენდა, გაზეთები წასაკითხი რომ მქონდა და უკანა სკამებისაკენ დავაპირე წასვლა, თან გაზეთსა ვშლი.

— ერთი წუთით გაზეთი მათხოვე, — ხელი გამომიწოდა უბილეთო მგზავრმა.

„კომუნისტი“ მივაწოდე.

ვიფიქრე, სპორტზე იქნება გადარეული და მეოთხე გვერდს შეაწუხებს-მეთქი, იმ ოხერმა, ოთხად მოკეცა და არ მოიჩრდილა?!

ამან მთლად გამახევა.

მთელი ავტობუსი მე მომჩრებია.

შოფერი სელას უკლებს — მშვიდად, გამოზომილად მიუყვება გზას. იქით არ ვიხედები, მაგრამ ვიცი, თვალ-ყური ჩემკენ უჭირავს.

დავიბენი: ველარც თვალებს მოვუქებნე ადგილი და ველარც ხელებს.

ღმერთმა დაავაცაოს, იმ პატარა ბიჭმა არ გამომიყვანა ჩიხიდან?!

— დედა, ფანჯარასთან მიხდა! — მე კი მომჩრებია.

— შენ ჩემად იჯექი! — დატუქსა დედა.

უბილეთო მგზავრმა ყურიც არ შეიბერტყა.

ბავშვი გაიუტდა:

— ფანჯარასთან მიხდა! — ხმას აუწია.

ახლა კი ველარ მოვითმინე:

— თუ შეიძლება, აქეთ გადმოიჯექით.

ზედაც არ შემომხედა.

— შენ ვეუბნებია! — ვუყვირე.

— რა გნებავთ? — მშვიდად მეკითხება.

— გადმოიჯექი აქეთ! — გაზეთი წავგლიჯე ხელიდან, — ადე!

— აქაც მშვენივრად ვზივარ, თუ ფულმა არ ვაღადავებ!

ბავშვინა ქალს ადგილი რომ სწვდა საყლოში და მოქანა:

— შე იდიოტი!

ადრე ჩემს გვერდით რომ იჯდა, ახლა ის მივარდა:

— გამიშვით! — ხელი მიმიძედა და ჰალსტუხში ჩააფრინდა, — ადე, მე შენი!

ავტობუსი გაჩერდა.

პატარა ბიჭმა ღრიალი მორთო.

ქალები ავივლდნენ. კაცები აბუხუნდნენ.

ვიღაცა უბილეთო მგზავრს ზურგიდან დააკრა და სკამის სახურავზე დაარტყმევინა თავი.

— ამოკოცათ! — ჯიბეზე იტაცა ხელი უბილეთო მგზავრმა.

შოფერმა ავტობუსის კარი გახსნა:

— დაბლა ჩავდეთ ეს სახედარი!

ღედაკაცებმა წვილი შეწყვიტეს.

უბილეთო მგზავრი შეშინებული ვაემართა კარისაკენ. როცა კიბეზე ჩაეშვა, შოფერმა მთელი გამეტებით ამოკრა აბრაგანი და მოწყვეტით გაისროლა თხრილისაკენ.

ავტობუსი დაიძრა.

პატარა ბიჭი ფანჯარასთან იჯდა და მუქით იმშრალებდა ცრემლებს.

— რა ძნელია, — თქვა იმ პატარა ბიჭის დედა, — ვამოდიხარ ვარეთ, ქვეყანა შენი გგონია, ამ დროს კი შეგვხვდება ვინმე რეგენი და იმ ბედნიერ დღესა და ღიმილს ჩავამწარტბს.

— მეც ეგ არ უნდა მეთქვა! — ნერვიულად ვაბოლა სივარტი იმ ბიჭმა, ადრე ჩემს გვერდით რომ იჯდა, — გორის ინსტიტუტში ვკითხულობ ლექციას, მეცნიერებათა კანდიდატი ვარ. პირველკურსელებთან პირველ ლექციას ვიდრე შევალ და გამოცნობენ, ისე შემომხედავენ ხოლმე, აშკარად მაგრძნობინებენ, აქ ვინ შემოუშვა, ეტყობა ნაღდი ხულიგანიაო. ორივეს მოზრდილი ნაკლი გვაქვს! კაცს კი ჰგავდა, მათხოვარი!

— აბა, კაცო! — მეცინება, — ახლანდელ ქალებს კაცის სიფათი უფრო აინტერესებო, ვიდრე მისი სულიერი ავლა-დიდება.

— ის დინახეთ? — თქვა შოფერმა.

— რა ის? — ვეკითხები.

— ავტობუსის ნომერი ჩაიწერა. დამემუქრა და ალბათ მიჩივლებს კიდევაც.

— შენ მაგაზე არ იღარდი! — ეუბნება მეცნიერებათა კანდიდატი, — ეგ ისე ვიჩივლებს, როგორც ახლა მე მივდივარ ბრაზილის ქუჩელებში კაუჩუკის თესლის მოსაპარად...

ცოლად გატეხილი სჯობია: ვერც მე წარმოვიდგენდი ეს დავალული ბიჭი მეცნიერებათა კანდიდატი თუ იქნებოდა.

მეცნიერებათა კანდიდატმა ავტობუსის შოფერს ქაღალდის ფურცელი გადააწოდა:

— ჩემი მისამართა, თუ რამე მოხდეს, ვა-



მაგებიან. დარწმუნებული ბრძანდებოდე, მართო მეც ვეყოფი.

შოფერმა ღიმილით გამოართვა ქალადღი.

გორში მომხამულ გუნებაზე ჩავედი. შინ რას არ ვფიქრობდი, საქმეს ასე და ასე გვაეკეთებ-მეთქი, ვილაც გადაგვარებულმა კი ყველაფერი ყირაზე დააყენა ერთბაშად. საკონსერვო კომბინატს რომ მივკითხვო, თურმე იქ უარები ამბავი მელადა — სეზონი დასრულდა და ქარხანას ვარემონტებთოქ რაკი სეზონი დასრულდა იყო, იმხელა ტერიტორიაზე ორიოდ კაციღა დანაღიჩობდა — სხვა არავისთვის მომიტრავს თვალად.

ქარხნის პარტიფორის მდივანმა, ჯუმბერ ქელოძემ, დინჯად, ფორიანად მოისმინა ჩემი გასაკვირი და მერე მითხრა, თქვენ ვისაც ეძებთ შემთხვევით ქარხანაშია და ახლავე გამოვუძახებო — ტელეფონის ყურმილს დასწვდა მაშინვე.

ეს უკვე სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჩემთვის!

იქნებ ჩემი არჩევანი სწორი არ არის-მეთქი, გავიფიქრე და დირექტორთან საუბარზე ვაღაპურკარი სიტყვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დირექტორის არ ეცალა. მეც ეს მოკლილი შეწერალი ვიჭექე და ილია ბერძინაშვილის ბროშურას „გორის საკონსერვო კომბინატს“ ვათვალისწინებდი.

რამდენი ხანია ვამბობთ, „ოქჩართო, ქარხნების სატორიები დაეწერათ, თორემ თაობები მიიღის და ბევრ რამეს დაიწყებებს ჩრდილი ეცემო. აქაიქ, სხვათა ენაზე ასეთი წიგნები გამოჩნდა კიდევაც, ჩვენ კი საამისოდ მგონი კალმის შეწუხებას გერჩავრბობთ არ ვაპირებთ.

ვინმე გამოიღვბს თავს, ამგვარ წიგნს დასწერის და ის წიგნი რაღაც მიზეზით საკანდიდატო დისერტაციის კონსპექტად იქცევა ხოლმე, იმ კონსპექტად, ინტერესის გულისათვის თუ დისერტანტის ხათრით რომ ვკითხულობთ კათედრაზე ოპონენტების გადმოღვამის წინ.

და, მიუხედავად ამისა, ზოგადი წარმოდგენა მინც გვექმნება ამა თუ იმ საკითხზე. მაგრამ ზოგადს ზოგადი იმიტომ ვთქმის, რომ კონკრეტულობასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო.

მერე ტირავს არ იკითხავთ? — სათქმელადაც არ ღირს! ეს იმ კოლმეურნეობისა და მოზრდილი ქარხნის მრავალტორიან გაზეთისა ჰკავს, სოფლის მიჯნებსა და ქარხნის ორმეტრიან ვალანგებს რომ არ სცილდება. ამას რაღა, კარნაქტილი ოჯახის ელფერი დაპკრავს, როცა რძალ-დედათილის წაყინულავების საქვეყნოდ გამოქვენება კიდევ ერთ, ახალ დავიდარაბის მიზეზად იქცევა ხოლმე.

ილია ბერძინაშვილის ნაიუქარი წიგნი მათხოვეს, გამოვადგებო. კიდევ კარგი, თორემ ამას წიგნის მაღაზიის ვიტრინამდე ვინ მიუშვებდა — დაცოტაებულები ტირავის წყალობით, მგონი

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებსაც ახალი საზრუნავი გაუჩნდათ პროტექტორის ძებნაში, რამე-ნიარად ხელში ჩაგდება რომ მოეხერხებინათ. მოგესხენებათ, მატარნე მაინც სხვაა, მით უმეტეს ის მატარნე, რომელიც შენს თვალწინ იქმნება და მის ნაკლსა და ღირსებაზე საკმაო წარმოდგენაც გაქვს სალაპარაკო თემის გასამდიდრებლად.

ჰო, გამოვადგებო, მითხრეს. გამოვადგა რო-მელია? — უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი. ეს ბროშურა რომ არა, ვინ იცის, რამდენჯერ მომიწვედა გორში ჩასვლა და იმ ადამიანების შეწუხება, ვინც, საერთოდ, არაფერ შუაშია — ეტყვიან, ესა და ეს საბუთი მოძებნეთ, ამა და ამ წლის გვეყვების ფურცელს გადააკლემ მტყურობი და, იქნება ერთი გაქცევა-გამოქცევა, ბუზ-ლუნი, ჯახირი... ამ დროს კი შენ ხარ დამნაშავე, მაგრამ იმ სხვებმა უარმოკვრითაც არ იციან, რომ შენც ისეთივე მაძიებელი და მესრულეებელი ხარ, როგორც ისინი! თუმცა ყველანი ასე ვართ — ყველანი ერთის საქმეს ვაკეთებთ და ამ ერთს სამშობლო ჰქვია. აქ შემთხვევაში დიდ-პატარა თანამდებობა აღარ არსებობს თუ, რა თქმა უნდა, მოვალეობას გავითვალისწინებთ და კიდევ სხვასაც — შემთხვევით დაწინაურებული კაცის დაბოვებულ ხმას. იმ კაცისათვის სამშობლო საკუთარი კეთილდღეობაა. გული ნუ გაგოტყდება: შემთხვევითობა ისეთი ცნებაა, ათასიდან მხოლოდ ერთს რომ გულისხმობს. ბოლოს და ბოლოს ამ ათასიდან ერთი აუცილებელიც კია, თორემ ისე, კაცმა რომ თქვას, ერთფეროვნების ნალექი შემოგვაწვებოდა. ესეც არ იყოს, როდის გამოლულა ფარაში კოჭო!..

შენ აგამინდა ღებრთმა, კი მშვენიერი ამბავი არ გავიგე! — „1919 წელს გორში ჩამოვიდა საკონსერვო საქმის სპეციალისტი ვესევი სოლომონის ძე ბერიტაშვილი. იმავე წელს მისი ინიციატივით გორის ვარუდბანში (ცხინვლის გზატკეცილზე) დაარსდა პატარა პრიმიტიული ქარხანა“. ეს ბერიტაშვილი ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის ამაყოფილა — ესეც მშობლების, ოჯახის სიკეთეზე მიგვანიშნებს.

მოკლედ: ჩვენი საკონსერვო წარმოებას ევსევი ბერიტაშვილმა დაუღო სათავე. და თუ დღეს ჩვენი რესპუბლიკა ასე, საქვეყნოდ ცნობილია კონსერვის წარმოებით, უპირველესად იმ სახელგანთქმული მამულიშვილის დამსახურებაა.

ასეთი ადამიანის სახელი დაეწვეებას არ უნდა მიეტყოს. შეიძლება სპეციალისტების ვერროწრისათვის ჩრდილში არასოდეს მოქცეულა, მაგრამ ამჟამად მხედველობაში გვყავს უთვალავი ადამიანი, ვინც დაგემოვნებით მიირთმევს ხოლმე ჩვენი მიწის მაღლით ჩამტყპარ,

კარლო კობახიძე

ვიღარი ბალი დამწიფებოქმდის

მანუაუტ

ნაირ-ნაირი ხილის კონსერვბ... სამწუხაროდ, სადღეგრძელოს თქმა ან შესანდობარისა კომპოტიაც კი არ შეიძლება.

საბედნიეროდ ნორა ბერიაშვილი იმ დღეს ქარხანაში დაგვხვდა. ასე მითხრეს, შემთხვევით, ალბათ შემთხვევით გამოიარათ. ეს, შეიძლება ისე, სიტყვის მასალად მოაყოლოს, თორემ საყოფარ გამოცდილებას თუ ვადავხედავთ, დღი ყოყმანი არ დაგვიკირდება: არასად, არაფერი ხდება შემთხვევით. როგორ უნდა აკადრო სანატრულ, მაგრამ შორს მცხოვრებ ნათესავს, აქეთ შემთხვევით მოგვხვდი და შენთანაც შემოვიარეთ. შეიძლება შევბუღებში ხარ, შეიძლება — ავადმყოფობამ გაიძულა, ანდა მივლინებიდან აღრე დაბრუნდი და შენს სამსახურში შეიარე, გენატრებოდა და შეიარა. უცებ გვსმის კოლეგების საუბარი, დღეს შემთხვევით შემოიარათ! დარწმუნებული ვარ ეს დღე, ის მშვენიერი დღე ჩამგვარდება. ისე კი, გულახდილად რომ ითქვას, სიტყვა — „შემთხვევით“ — აუტანელი, გვერდასავლელი სიტყვაა.

გორის საკონსერვო ქარხანას ახლა არემონტებენ და ნორა ბერიაშვილმაც აღრე გამოიკეტა სახლის კარი — ქარხნისაკენ გადმოუხვიდა, უნდოდა გაეგო, როგორ მიდიოდა საქმე. ამჟამად ნორას, ასე ვთქვათ, ორმაგად აინტერესებდა ეს ამბავი: როგორც ამ ქარხნის მუშას და, როგორც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს.

ნორამ 1949 წელს დაამთავრა ჩხარის საშუალო სკოლა; მაშინ აბჯანდამედ იცნობდნენ. დაამთავრა სკოლა, რვა და-ძმანი იყვნენ; ომის უბედურების კვალი ჯერ ისევ შეკვთილად იგრძნობოდა და ხელმოკლეობის ბრალი იყო, მამით ობლობისა თუ რა იყო, მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე შედგომამაც ვერ მოასწრო, მაშინვე გარკაში ჩაება.

ვინც სკოლის მერხიდან პირდაპირ დამოუკიდებელი ცხოვრების ჭაბანწყვეტის გზას შესდგამია, მისთვის დღესავით ნათელია, რასაც ნიშნავს გაუმარებელი ძვლების კენესა, ერთბაშად მოვარდნილი წუხილი, ვატეხილი ძილი და დაბრუნებელის ნატრია: სკოლაში მისვლის პირველი დღე — მხიარული, მომავლის იმედით სავსე, უზრუნველი დღეების დასაწყისი. მაგრამ ამ ბურუსიან დღეებს მალე ეპარება სინათლე: თანდათან ეჩვევი უცხო გარემოს, იმათაც, ზუსტად შენნაირი გზა რომ აურჩევიათ. გაეცნობი სახელოვან, ცხოვრების ჭირვარაში გამოვლილ ადამიანებს და აღმოაჩენ: თურმე მართო არ ყოფილხარ. აი მაშინ ეს სიმართლის ნაღველი მოგცილდება და შორეული, ერთხანს მიუწვდომელი რომ გეგონა, იმ მათათა კონტრებიც გამოიჩნდება. მეორე ამას სხვაც მოსდევს — ის, რაც სიამაყის სიკეთით გავსებს: პირველი ხელფასი!

პირველი ხელფასი პასპორტის ადგმას გვავს, საბუთია იმისა, რომ სრულუფლებიანი მოქალაქე ხარ. უკვე გაიარა იმ დრომდე, რამდენადაც იყო ვალდებული ხელი წაეშველებინა შენთვის, რათა გამართული სიარული გესწავლა. ახლა, მუშაობის დაწყების პირველ ხანებშიც, გამოცდილები ვალდებულნი არიან შეგაწიონ სიტყვა, მაგრამ ვანსხვავებაც დიდია — პასუხისმგებლობა გაქვს მეტი. უნებურად გახსენდებიან შენი თანატოლები, ისინი ვინც ისევ მშობლებს უყურებენ ხელგებში. თუმცა ისიც სათქმელია: ამხე საყვედურს არ ამბობენ მშობლები, რაი შევლისადმი მიწოდებული ულუსუ ბეგრს არაფერს ავლებს ოჯახის ბიუჯეტს. ამ დროს ყურადღების მისაქცევა არა მშობლიური მოვლენობა, არამედ მათი ნაშვირის არასწორი აღზრდის გზა — განებივრება, რასაც უმეტესად სავალალო შედეგამდე მივყავართ.

ბევრი პირველი ხელფასითი სამხსილო სარჩუქარს ყიდულობს, ისეთს, არასოდეს რომ არ მოშორდება ოჯახის ჭერს და დალხინებისს მიძინებულ ფიჭურებს წამოშლის: ვინდა თუ არ ვინდა, ახალგაზრდობა გახსენდება და უმეცოდლად მოგვაძვლება სინანული. სინანული ხომ, საერთოდ, კეთილი ადამიანის კეთილი ბუნებაა...

ნორა ბერიაშვილი გორის საკონსერვო ქარხანაში რომ მოვიდა სამუშაოდ, ომი ორიოდ წლის დამთავრებული იყო და ისევ პური იწონიდა ყველაფერს. ბეჭითმა, უღალატო გარკამ მალე მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. რგული უნდა გქონდეს, ხედავდე, კაცი თავს არ იზოვავს, მაგრამ ნათესაურობისა თუ შინაურულობის ადლით მიუღდა და ღირსეულთა უკან რომ დგას, ის დააყენო თავში. ასეთი რამეც მომხდარა — ალბათ იშვიათად, ალბათ — ხშირად, ამჟამად მნიშვნელობა არა აქვს, მთავარს სხვა: არ უნდა მომხდარიყო, არ უნდა ხდებოდეს, თორემ პატიოსანი შრომითი ეშვის თვალთ შეხედავს ყველაფერს, მომავალსაც და ხელს ჩაიქნევს, ნახშირიცა და ბამბაც — ორივე თეთრიაო.

გულისხმიერი ხალხი სხვაგან სად დალევულა, არც ნორა ბერიაშვილს მოკლებია მათი ყურადღება. დაინახეს როგორ ირებოდნენ, დაინახეს და მიხედნენ: ამ გოგონას სიამისო არაფერი ეტყობოდა, ცნობისმოყვარე მგზავრივით შემოველო ქარხანაში. ასეთი მუშა კი ვის გაყვირებოთ: გაიგებს, ამა და ამ ქარხანაში ორიოდ გროშით მეტია ხელფასი, ის ხელობი იცის თუ არ იცის, დაადებს თავს და ვარბობს. ეს უკვე წერილმანი ანგარებაა და, საეჭვოა, თავმოყვარეობის შელახვად ღირდეს. ავიწყდება, რომ ამგვარი ადგილმონაცვლეობა უპირველესად თვითონ მას ენებს — ნლობა უკარგავს ადამიანებში. და თუკი ასეთი გაქცევა-მოქცევის მიზნია მისი თავდაპირველი სამუშაო ანდა კონკრეტულად ვინმე, თუნდაც ხელმძღვანელი ამხანაგი, საამისოდ არსებობს მარ-



თალი ხალხის ამაყი მეგობარი — კანონი და სამართალი

ნორას მუყაითი შრომით ჯერ კიდევ მაშინ უნდა მოემკო ნაყოფი, მაგრამ მოჭლოდნელად წამოყო თავი ოჯახურმა პირობებმა; რამაც აიძულა, დროებით მიეტოვებინა სამსახური.

ღიასახლისის საქმიანობა ერთი შეხედვით უბრალო და მსუბუქი ჩანს, თითქოს მასზე ყურადღების გამახვილება არც ღირს. დაუქვირდები — ვითომც არაფერია: ბავშვები, მეუღლე, წამსვლელ-მომსვლელი, სამზარეულო, სარეცხი, საერთოდ — ოჯახის სისუფთავე. ეს ყველაფერი როცა ერთ წერტილში მოიკრის თავს და დაწმენილი გონებით დაკვირდები, ლოდვივით დაგაწყება მისი სიმძიმე: რა ძალა და ნებისყოფაა საჭირო, ერთმა ქალმა რომ ასწიოს ეს უმძიმესი ტვირთი.

1951 წელს ნორამ მიატოვა ქარხანა და ახლად შექმნილ ოჯახს დაუბრუნდა. გამოუცდლობა ცალკე, ცალკე — ბინის მშენებლობა და დრო საკმაოდ გაჟანჯრდა. აი, დღეს დაეუბრუნდები ქარხანას, აი — ხვალეც, ამ ხვალე-ხვალაობაში კი თითქმის ათი წელი გავიდა.

ბოლოს და ბოლოს 1960 წელს დაუბრუნდა ნორა გორის საკონსერვო ქარხანას.

ისევ რიგითი მუშის საქმიანობას შეუდგა. მუშების უმეტესობას დიდი ხანია იცნობდა. შეხედეს ნორას ნაცნობებმა და თქვეს, დროს მაინც თავისი გაუტანია, ცოტა გამოცვლილია.

დრომ თავისი ვაიტანა მართლაც — ათი წელი ცოტას არ ნიშნავს — დადინდა, ცხოვრებისეული ფიქრი მოეძალა: მეუღლე, ორი შვილი, დაუმთავრებელი სახლი... მაგრამ მუშაობის ხალისი ისევ ახალგაზრდული მოსდევდა...

ვახუშტი ბაგრატიონმა უდიდესი ამაგი დასადა სამშობლოს. იმ ყოფნა, არ ყოფნის ეამს, როცა საკუთარი არსებობის შენარჩუნება იყო უმთავრესი, წიგნისთვისაც მოიცალა და ამით შთამომავლობას შემოუნახა იმდროინდელი, ფერადი საქართველო. არ დარჩენია ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საკითხი, მისი ყურადღების მიღმა რომ დარჩენილიყო. ვახუშტის საქართველოს სხვა რომელი კუთხე-კუნძული გამოჩნდა და არც ქართლის სანახები დაუტოვებია გზათაუკან; სხვა სიკეთესთან ერთად გორული ხილთა ქებაც გვიბარა.

ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, რა სისხლიან-ცრემლიანი, თაობების მომცველი წლები უნდა გაველო ჩვენს ქვეყანას, ბოლოს უდაბნოაქცეული ქართლი რომ შეგვრჩენოდა.

ამ ყვავებულ კუთხეს, ეტყობა, მართლაც მოაკლდა ხეების მაღლიანი სიმწვანე, რაკი ქართლის შუაგულში მეხილეობის განახლების ერთ-ერთ პიონერად ჩვენს რაზმს თვით რაზიკაშვილიც ითვლება. სიტყვამ მოიტანა და ბარემ ამასც ვიტყვი: თედო რაზიკაშვილის მაგალითი, მართლაც მაგალითი უნდა იყოს ჩვენი იმ მწერლებისათვის, რომელნიც მხოლოდ თბილისის ბაზრების მიხედვით აფასებენ წლის მოსავლის ბარაქასა და უბარაქობას. თავისთავად სხვანაირად არც იქნება, მაგრამ საშუალება რომ გავქვს, ამოუწურავი საშუალება და მაინც ბაზარზე სიარულს ამკობინებ, არა გვეგონია მართკ დროს დაზოგვის საბაზით ხდებოდეს. ჰიგიენის დაცვა მშობიხოვს, ბაზარში ნაყიდი ხილი ვაზაზე დაწყობის წინ ცხელ წყალში გავალო. ჩვენს გლეხობას ვენდობით, გვეჭრა მისი სუფთა ხელებისა, თუმცა ექიმს უფრო დაეჭვრება. ცხელ წყალში გარეცხილ ხილულს სიამოვნების მაღლი და გემო სავარძობლად აკლდება. ის სულ სხვაა, შენი ოფლით მოწეულ ვაშლს ხელს რომ შეაწოდებ, მკლავზე გაისვამ და ყვავილობიდან გამოყოლილ ბუსუსს მოაცლი...

გორის საკონსერვო ქარხანა ძირითადად გორისა და ცხინვალის რაიონების ხილ-ბოსტნეულით მარაგდება.

ქართლის ხილეული ოდითგანვე ცნობილი იყო თავისი კეთილი თვისებებით — გემოთი, არომატით, გამძლეობით... მგზავრობასაც შედარებით ადვილად იტანს. უმთავრესი სწორედ ეს არის, ეს გამოარჩევს გორის საკონსერვო ქარხნის ნაწარმს რესპუბლიკის სხვა საკონსერვო ქარხნების ნაწარმისაგან. მოთხოვნილებაც ამით იზრდება...

ნორა ბერიაშვილი ისე უყურებს თავის სამუშაოს, ქარხანას, როგორც საკუთარ ქერს. საქმარისა რაიმე ნაკლებ ვადაუტყვ სიტყვა და მაშინვე მოიღუშება, ორიოდვე სიტყვით დაამტკიცებს, რომ მის ქარხანას საამისო არაფერი სჭირს. ხვდავ, მართალია და შენც აღარ ამოგვლება ხმა.

სხვათაშორის ნორამ კარგი ღიასახლისივით იცის ქარხნის ყოველი წვრილმანი; კარვ დღიასახლისს ხომ არასოდეს შეეშლება სად რა აქვს, მომდევნო დღისათვის რა საზრუნავი გაუჩნდა; ერთ ბავშვს ფეხსაცმელი დაუძველდა, მეორეს — პალტო... არაფერი არ ავიწყდება და ამიტომაც არის ტელევიზორის საყურებლად ვერ მოიცალა და ის მრავალსერიანი ფილმიც ვერაფრით ნახა ბოლომდე.

— მთავარია ნედლეული, — ამბობს ნორა, —

კარლო კომპარიძე

მიღწერილია ბაღი დამწიფდებამდე

მშვენიერი ბალია და იმ მშვენიერი ბლიდან კომპოტიც მშვენიერი გამოდის, მუტრაბაც.

— ვითომ? — განგებ ვეკითხები.

— დიახ, ოღონდ ამ საკითხში ქალები უფრო ნათლად ვერკვევიან.

— ჩვენ რაღა ვქნათ, კაცებმა?

— უნდა დავვიჭერით.

— შე კი სხვანაირად მეგონა!

— მაინც, როგორ?

უცებ ხუმრობის გუნებაზე დავდექი — გამეცინა. მოვუბოდიშე, ამ საუბარმა ერთი ზღაპარი გამახსენა და სიცილად ის ზღაპარი ამოტივტივდა-მეთქი.

— გეთხარო, არც ჩვენ გვეუცხოვება სიცილი...

პატარაობისას ამ ზღაპარს ბებია მიყვებოდა ხოლმე. მაშინ ზღაპრის ეროვნული ნიშნები არ არსებობდა ჩემთვის, საქართველოს იქით ვერსად იპოვიდით მისი დაბადების ადგილს. მეგონა, მე რომ ზღაპრები ვიცოდი, მთელ ქვეყანაზე აქედან იყო მოღებული. მერე წამოვიზარდე და სხვაც ბევრი რამე გავარკვიე. მაგრამ ბებიას მოყოლილი ეს ერთი ზღაპარი კი არ გამხდომია ტვინის საკულტ პრობლემად, რაკი მესხიერება არ იმეტებდა მზის გულზე გამოსატანად. ერთხელაც „რუსულ ზღაპრებს“ ვკითხულობდი და იქ წავაწყდი, თუმცა ოდნავ მესხეაფერა. სიხარული ერთი იყო, გაცემა — მეორე: ბებიას საიდან უნდა სცოდნოდა ეს ზღაპარი! ალბათ ვინმე ნასალდათარმა ჩამოიტანა. ბავშვობის შთაბეჭდილება უფრო ნათელია, უშუალო, ხანგრძლივი, ამიტომ ახლაც ბებიას მოყოლილი ვამჯობინე:

— თოვს, ყინავს. სალდათი ბრუნდება ომიდან. ისეთი მხიარულია, ნუ იტყვი! მხიარული რატომ არ იქნება რა! — ზღვა ხალხი ვაწყდა ომში, ეს კი სალსალამათად არის — კოდოსაც არ უკბენია, იმასაც არ წაიღია ერთი ამოღება სისხლი...

მოდის სალდათი, მოდის, მაგრამ გზა აღარ იღევა. მოსალამოვდა.

შიმშილმა მუხლში ძალა გამოთვლია და სოფელშიც შევიდა.

შევიდა სოფელში და პირველსაცე სახლზე დააკვუნა.

ქალმა გამოიხედა. შეხედა სალდათმა — ღამე გამათევინო. ვერაო, ქმარი შინ არა მყავსო. შენს ქმარს რას დავეძებ, კაცი ვიყინებდი, მადლი მოიხსი, მარტო ერთი ღამე გამათევინეო.

შეეცოდა ქალსა, მობრძანდით.

შევიდა სალდათი სახლში, მიეფიცხა ლუმელს. შეატყა სალდათმა, ქვაწვიდა ქალი: ერთი არ უთქვამს, ხომ არ გშიაო. სხედან და ერთმანეთს ზედაც არ უყურებენ. ქალი წინდასა ქსოვს, კაცი — ლუმელს ეხუტება, ორთქლად ადის კერში.

სხვა რაღა არ არის მოსაწყენი და ბოლოს დუმლიც მოსწყინდათ — საუბარი აკვეთდა.

— სადა გყავს ქმარიო? — ეკითხება სალდათი.

— გამექცაო.

ეხლა ქალი ეკითხება:

— საითა ყოფილხარო!

— ომში ვიყავიო.

— რას აკეთებდიო?

— საკმელსაო, მზარეული ვიყავ და საკმელს ვაკეთებდიო. აბა, ომში სხვა რა უნდა მეკეთებინაო?

— როგორ საკმელსაო? — დანტერესდა ქალი.

— ისეთ საკმელსაო, რომაო, შიგ სულ თითებს იკვენტდნენ პორუჩიკებით, — მიიხედ-მიიხედა სალდათმა: კართან ნაჯახია მიყუდებული, — მაგრამ ომშიო, — თავს აქნევს, — ომში თოხი არ იშოვებოდაო და წარმოგიდგენია, ისევ ნაჯახის შეკამადის ვაკეთებდიო?

როგორც ახლახან ვთქვი, წუწურაქი იყო ის ქალი, იფიქრა, მე თუ ნაჯახის, შეკამადის ვაკეთება ვისწავლე, ავშენდი და ეგ არისო.

— ეხლაც ვაკეთებ ნაჯახის შეკამადსაო?

— რატომაც არაო, შენ ოღონდ კარგად გარეცხო.

ქალს რაღა ეწინდ-ექსოვებოდა, ნაჯახს ეცა მაშინვე, გარეცხა, გაასუფთავა და ეკითხება სალდათს:

— ეხლა რაღა ვქნაო?

— ჩადე ქვაბში და წყალი დაასხიო.

ჩადო ნაჯახი ქვაბში, დაასხა წყალი და შემოდგა ლუმელზე. წამოდულდა წყალი და ეუმნება სალდათი:

— იქნებ ხახვი და ქონი გეშოვებო?

— მეშოვებო? — ორივე მიუტანა.

კარტოფილია საჭიროო — კარტოფილი გამოუჩინა, უხორცოდ რა გემო ექნებო, თურმე ღორი დაუკლავს, ღორი — მთელ სოფელს ეყოფა! ბრინჯიო? ბრინჯზე მეტი რა მკვსო.

კარტოფილი რომ მოიხარშა, ბრინჯიც და ხორციც, სალდათმა ამოიღო ქვაბიდან ნაჯახი, მააწოდა ქალს — ეს ისეთი დღაღაცევილი რამეა, კარგად შეინახე სადმე, მერეც გამოგადგებაო. მარილი გაუსწორა, გადმოიღეს დიდ-დიდ ქამებში და შეექცნენ დიდ-დიდი კოვზებით. გაცოცხლებულია ქალი, ეკეთი საკმელი ჩემს დღეში არ მიკვამაო, თან თვალები უყუყუტუნებს. მაშა, მაშა, ეცივება სალდათს, არც ეხლა და იჭერებ, ჩემისანა მარჯვე მზარეული რომ მთელ დუნიაზე არ იქნებო...

— და მაინც ნედლეულია მთავარი, — ეღიმება ნორას.

— რაღა თქმა უნდა! ეს ისე, სახუმაროდ გავიხსენე...



რა აღარ მზადდება გორის საკონსერვო კომბინატში: ნაირ-ნაირი ბოსტნეულის წვენი, მაჩინად, მურაბა, კომპოტი... ყველაფრის ჩამოთვლა მართლაც შორს წავიყვანდა. მარტო გასულ წელს კომბინატმა 36 მილიონი პირობითი ქილა კონსერვები გამოუშვა. როცა ასეთ წარმატებაზე ჩამოვარდება სიტყვა, ანდა ორატორი ეფექტისათვის მოიშველიებს ხოლმე — მაშინ, ვაიფრავებ ასეთ რიცხვებზე ვერც იოცნებებდნენ — ხშირად უადგილო პარალელად გვეჩვენება, ვინაიდან იმდროინდელი შედეგი იმდროინდელი ტექნიკის შესაბამისი იყო. 1919 წელს გორის საკონსერვო ქარხანამ მხოლოდ 32 ათასი პირობითი ქილა კონსერვები აიპროდუქტა. 36 მილიონსა და 32 ათასს შორის მე მგონია სხვაობა, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყვიდეს ისიც, რომ დასაწყისს ყოველთვის თან ახლავს აუარაბელი შეფერხება, რაც გამოუვლლობით, საბუღალტროების ნაკლებობით და რეორგანიზაციებით... სამიჯვრის ჩამყვრლთა გაცვრით ხსენება ანუ დაუფასებლობა, ვერაფერი თავმოსაწონარი შედარებაა მისთვის, ვინც იმ წინაპართა ჩაიკრულ ფუნდამენტზე დამყვრლთა სახლის ბოლო სართლის აივანზე გადმოდგარა. გორის საკონსერვო კომბინატში ეს ამბავი ნამდვილად კარგად იციან და მიკრძალუბითაც იხსენიებენ ეგსევი ბერიტაშვილს. ნუ დაგვაიწყვიდება, რომ ხის კავის გაშიგონებელს უფრო მეტი სიკეთე მიუძღვის კომპარტობის წინაშე, ვიდრე იმ კავს, რომელმაც მოიფიქრა: ხე შეცვალა რკინით და გუთანი დაარქვა...

კომუნისტი ქალი ნორა ბერიკაშვილი სამავალითო მუშაა — ასე ამბობენ კომბინატში. შეიძლება ერთმა ვითხრას და ყურადღებაც არ მიაციკო — წინდახედული, დადინებული კაცი უცხო ვინმესთან სხვანაირად არც იტყვისო. მაგრამ მთელი კომბინატი რომ დაემოწმება იმ ერთის ნათქვამს, მაშინვე უნდა ირწმუნო. სხვაც არა იყოს რა, ვის რა უფლება აქვს ასეულებს შეხედოს უნდობლად.

სადაც საქმე მოითხოვს, ნორაც იქ არის. მისთვის არ არსებობს მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო — რაყი აუცილებლობამ გამოიწვია, ეს იმას ნიშნავს, უკან დახევა არ შეიძლება. მერე მიმბაძველი უნდობა და ყოველგვარი ჩონჩქის, გაქცევა-გამოქცევის გარეშე წინ მიიწეხს საქმე. აი, ეს გულმოდგინება, ერთმანეთსაღმდეგ ნდობა საწინდარი ვახდა იმისა, რომ ბოლო ოთხი წელი კომბინატი ყოველგვარი ზარუნებულობით ასრულებს გეგმას. ხოლო გასული წლის მესამე კვარტალში საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროსა და ფულადი პრემია მიიღო.

ცნობილია: ადამიანი თვითონა ჭედს თავის ზედსაო. სხვა სიტყვებით უკეთესად ვერ გამოიხატება ეს, მართლაც და, ქეშპარიტება. სიზარმა-

ცე არასოდეს ყოფილა არც მისაბამი და არც დოვლათის დაგროვების წყარო. ირავებოდა ნორა ბერიკაშვილი და ნელა, მაგრამ თანდათანობით მიიწევადა წინ — მოწინავეთა შორის მოწინავეთა რიგებისაკენ. კომბინატის ხელმძღვანელობამ ყურადღება არ მოაქლო — ეს ასეც უნდა მომხდარიყო. და როცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები მოახლოვდა, კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა უყოყმანოდ დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატად.

ეს უკვე ნორას თავდადებული შრომის, მთელი კომბინატის საქმიანობის დაფასებას ნიშნავდა.

დეპუტატი ხალხის მსახური — ყველასათვის ცნობილია ეს მართალი ლოზუნგი, მაგრამ ისიც მართალია, რომ დეპუტატს მეტი თუ არა, შრომა უორკეცდება, უფრო მეტი მოთხოვნელობით უნდა მოეკიდოს საკუთარ თავს.

როცა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი მოწვევის სესიაზე გაემგზავრება ნორა ბერიკაშვილი, მაშინ ის ხალხის რჩეულია, ერთს კი აღარ წარმოადგენს — პიროვნებას, არამედ მთელი კომბინატის მუშა-მოსამსახურეების ინტერესების გამომხატველია: ამდენად მათი ინტერესების დამცველიც.

მეტი ნდობა აღარ არსებობს...

მაგრამ, როცა კომბინატში ეწვევით, ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ეს მორიდებული ქალი, რესპუბლიკის რჩეულითა სკამს იკავებს ხოლმე და მონაწილეობას იღებს რთული საკითხების სასიკეთოდ გადაჭარაში.

კომბინატი მუშაობისას არ მინახავს ნორა — ეს ამბავი სხვამ გადმოცა, მათ გულწრფელობაში ეძვირ არ შემპარვია, რაკი ორი დღის წინ არ გავიცივნა ერთმანეთი. ერთბაშად მივენდე ჩემი მეგობრის ნათქვამს და ნორა ბერიკაშვილის დეპუტატის მანდატს!

ჩვენი საუბარი უპირველესად კომბინატს უტრიალებდა, კომბინატსა და ნორას საქმიანობას. ხან ესა ვთქვით, ხან — ის და ბოლოს კავლის მურაბაზე შეეჩერდით:

— შინ რომ ვაკეთებთ, ის კაკლის მურაბა, ალბათ სხვაა?

— თავისთავად, — გაელიმა ნორას. დაფიქრდა: მგონი ისე ვერ ვთქვი, როგორც დავაპირე.

— არა, მე გემო კი არ მაქვს მხედველობაში — ვიცი, ორივე ტკბილია — ხარშვის ტექნოლოგია მაინტერესებს.

— მეც ასე ვავივი, — დაფიქრდა და მერე განავრძო, — საერთოდ ყველაზე საძნელესა ხარშვა, მხოლოდ ბაღს უნდა ერთი ხარშვა;

კარლო კობახიძე
ვიღრამ ბალი დამწიფდებოდას

ყველა დანარჩენი სამჯერ იხარშება. ასეა კაკლის მურაბაც. თავდაპირველად შაქრის ხსნარს დავასხამთ და დიად ასე დავაჩრჩენთ 5-6 საათი. შემდეგ დავამატებთ ხსნარს და მხოლოდ ნახევარ საათს ვაძლულებთ. მეორე ხარშვა ოცი წუთი გრძელდება. მესამე ხარშვა თითქმის ასევეა. სამჯერვე აუცილებელია გაცივება, ამიტომ თითო ხარშვას მხოლოდ თითო ცვლაში ვასწარებთ... შინაც ასე აკეთებთ?

— მართალი ვითხრათ, არ დავინტერესებულვარ. როგორც კი შინ დავბრუნდები, მაშინვე ვკითხვავ დედაჩემს. თუ ჩვენი კაკლის მურაბის ხარშვის ტექნოლოგია საზიანოდ განსხვავდება კომბინატის ტექნოლოგიისაგან, იძულებითი წესიც რომ დამპირდეს, არც ამაზე დავფიქრდები, უეჭველად დავნერგავ შინაწარმოებაში.

— საინტერესოა!

— მაგრამ ერთიც ვნახოთ, თქვენი კაკლის მურაბის ხარშვის ტექნოლოგია გასაიდუმლოებულია, მაშინ?

— ამ მხრივ არაფერი გაქვს სადარდელი. ოღონდ გირჩევ, აქაური კაკლის მურაბა იყიდო, შინაურსა სჯობია, თანაც ორმაგად იაფი დავიჯდება. იქნებ არ გჯერა?

— პირიქით — სამმაგად: ვენდობი დეპუტატს, კომბინატის მუშუს და გამოცდილ დიასახლისას...

ნორას ერთ-ერთი დაც ამ კომბინატში მუშაობს — ისიც კომუნისტია. ნორას გოგონამ, თამარ ბერიაკაშვილმა საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ისიც დედას ამოუდგა მხარში. ერთად შრომობენ დედა-შვილი, და ვინ იცის, იქნებ შრომა უფრო მეტს ვაკეთებდა შეძლოს, მით უმეტეს, მაგალითის ასაღებად შორს არ მოუწევს წასვლა. მომავალი წინა აქვს და სწავლა-გარჯის წლებიც. მშობლებსაც სწორედ ის უნდათ, მათზე უკეთესი ბენდი რომ ჰქონდეთ შეიღობენ...

ვინმესგან მწარე ან უწამურ სიტყვას გაიგონებს კაცი და ჩაილაპარაკებს ხოლმე, ეტყობა შაქრის ქარხანაშია ნამუშევარიო. მურაბის ქარხნული წესით დამზადებას შედარებით მცირე ხნის ისტორია აქვს, თორემ ეს დამკინავი სიტყვები არამც და არამც იმ მისამართით არ წვივიდალა. შესაძლებელია ადამიანმა ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ რაღაც ნიუანსს მიაგნო ტკბილეულთან სიახლოვესა და ტკბილ ენას შორის და შაქრის ქარხანაც იმიტომ გაახშაურა. ძნელი სათქმელია, ერთხელ ხუმრობით ნათქვამი ასე დავაწინებულებო ყოველდღიურ ცხოვრებაში...

გორული კონსერვი ცნობილია მთელ სამბუოთა კავშირში. მაგრამ სასაიპოვნოა, სახლგარეგართაც რომ მოიპოვა აღიარება: იცნობენ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩეხოსლოვაკიასა და ფინეთში, შვეიცარია და კუბაში, ირლანდია და ირანში... საერთა-

შორისო გამოფენების მონაწილეც ხშირად ყოფილა და ყოველთვის ერთნაირია მისი შეფასება: საუკეთესოა, აღმოჩენაა ჩვენთვის იყო დალი ძნელი მოქებუნება...

ამ წარმატებასა და ქებაში ნორა ბერიაკაშვილის საგრძნობი წვლილიც არის.

საკონსერვო კომბინატის შთაბეჭდილებათა წიგნი თავს იქებს: ამერიკელი სპეციალისტი, ვინმე კოლტიცი აღტაცებას ვერ ფარავს — თეთრი ბრინჯა და კაკლის მურაბა ჩვენთვის იყო რაღაც ახალი და უაღრესად სასაიპოვნო პროდუქტო.

ამ ჩანაწერებმა ერთი ძველი ამბავი გამახსენა: დაახლოებით ამ ოცი წლის წინ თბილისის „დინამო“ ინგლისის გუნდთან (თუ არ ვცდები „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“) დიდი ანგარიშით წააგო შეხვედრა. ჩვენი „დინამო“ არც მაშინ იყო ფორმაში და არც მაინცაღამინც ინგლისელებს დასდგომით ჯაფა. თამაშის დამთავრების შემდეგ ერთმა ჩვენმა სახელგანთქმულმა ფეხბურთის ვეტერანმა თამაშის შემდეგ ინგლისის გუნდის მწვრთნელს ჰკითხა, როგორ მოგეწონათ ჩვენი გუნდიო. მწვრთნელი ერთხანს დაიბნა, მერე კი სტუმარ-მასპინძლურმა თავაზიანობამ აიძულა მოჩვენებითი სიმტკიცით ეთქვა — მშვენიერიო. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ამ საუბარს ჩემდა უნებურად შევესწარი. მაშინდელი უხერხულობა ამდენი წელია მომდევს და რამდენი გამახსენდება, უსაიპოვნოდ შემაყრეოლებს ხოლმე. ამ კითხვა-პასუხმა ბევრი დააფიქრა, რაკი ფეხბურთის მიმოხილველებმა გასათვალისწინებელი ვერ გაითვალისწინეს და დასამალ-დასაფარი პრესაში გამოამხუტურეს.

ბუნებრივია, გორის საკონსერვო კომბინატი არაფერ შუაშია, ადრეც დავფიქრებულვარ ამაზე და ვინაიდან ახლა გამახსენდა, დროულად ჩავთვალე და მხოლოდ იმიტომ ვამბობ: შთაბეჭდილებათა წიგნს, გულახდილად ვაღიაროთ, ხშირად ძალით ვაჩეჩებთ სტუმარს — „როგორ მოგეწონათ ჩვენი გამოფენა?“ — „როგორ მოგეწონათ ჩვენი ნაწარმი?“ გემოვნების ამბავია და, ეთქვას, არ მოეწონა, როგორ მოიქცეს? გაახსენდება, რომ სტუმარია და სწორედ სტუმარის თავაზიანობა უკარნახებს აუგის სათქმელად თავი შეიკავოს. ზოგი დაფიქრდება, შეწყყმანდება, ზოგი ამდენსაც არ ვაგრძნობინებს, აიღებს კალმას და ორიოდ სიტყვით სწერს ფიქრის, შთაბეჭდილების საწინააღმდეგო სიტყვებს. უხერხულ მდგომარეობაში რომ ვაყენებ ჩვენი შეკითხვით, დავუშვათ — ეს არაფერია. იქნებ არასოდეს უკადრია ტყუილი და ვიპოვებთ ახლა იკადროს, რაკი ოფიციალურად თუ არაოფიციალურად სტუმარია ჩვენი? აჯობებდა, დავფიქრებულიყავით ამაზე და „საიჭერისა და წინადადებების წიგნისა“ არ

იყოს, მხოლოდ მაშინ მიგვეწოდებინა, როცა დაბჭივებით მოიხზოდნენ?..

ადრე ვთქვი, გორში რომ ჩავედი, საკონსერვო ქარხანას არემონტებდნენ-მეთქი. ცუდ დროს მოგწია სტუმრობამო, მითხრეს, ჩვენი მუშაობის პროცესს ვერ ნახავ და დიდად საწყყენიაო.

რა თქმა უნდა, საწყყენი იყო, მაგრამ ვამბობარლებული საბუთი მეც მქონდა, — ჩემთვის ახალი ხილი გახლდათ ასეთი ქარხნით დაინტერესება და ბუნებრივია გამოცდილება დამახრევიებდა თავს. მიუხედავად ამისა, ქარხნის დათვალვარებაზე უარი გულშიაც არ გამიძლია, თუმცა, რა გამოვიდა? — გაჩერებულმა მანქანებმა ვერაფერი მითხრეს, ნათელი წარმოდგენა რომ მქონოდა ავტომატური დანადგარების რიტმულ მუშაობაზე.

ძნელია გაჩერებულ ქარხანაში შეხედვა. მიღხარ და მხოლოდ შენი ნაბიჯის ხმა გვისმის. უკაცრიელი გარემო მძიმე, სიმპარტოვის ნაღველს ბადებს და შენდაუნებურად გეხურება გული. და მაშინ უფრო ნათლად გრძნობ, რა საშინელება უნდა იყოს, შენს გარდა, ახლომახლო არავინ ჩანდეს არსად.

უცებ მოგენატრება, ძალიან მოგენატრება ის აღმანიებო, ვინც ამ მანქანა-დანადგარებს ახმურებენ. ხმაურსა და გადაძახება-გადმოძახებაში ვერ გრძნობ იმ სიკეთეს, მომბეზრებელი დემონის დროს რომ გენატრება — სიცოცხლის მოძრაობას!

გამოდინხარ დაცარიელებული ქარხნიდან, გაიხედ-გამოიხედდა, შენთვის უცნობ აღმანიებს გაყოლებ თვალს და მათზე ფიქრობ, ვისაც ბევრი ერთგული მეგობარი ჰყავს. ასეთ აღმანიანს ნათელი სული აქვს და კეთილი, მოსიყვარულე გული. ამ შემთხვევაში გამოჩნდის არ გველისხმობთ — ანგარებით მეგობრობას ანდა ქურდებისა და ავაზაკების რაღაც გაერთიანების მაგვარს, როცა დაცარიელებული, გამოთვრებული სულის პატრონების დაჭკუდება პატიოსნებს უძილობის წამალს აყიდვინებს ხოლმე...

როცა საკონსერვო ქარხანას არემონტებენ, იქაური მუშები გორის ბამბეულის კომბინატს ეხმარებიან, მანამდე მუშაობენ იქ, ვიდრე კაკალი არ დაიმსხვილებს წენგოს, ვიდრე ბალი არ დამწვივდება.

ასეა მაშინაც, როცა სეზონი მთავრდება. სეზონის დამთავრება კი დაკავშირებულია ნედლეულის, ხილ-ბოსტნეულის დამთავრებასთან... დამთავრდა სეზონი, დაიწყო ქარხნის რემონტი და მუშახელმაც გადაინაცვლა ბამბეულის კომბინატში.

ბამბეულის კომბინატს მუშახელი უჭირსო და ნორა ბერეკაშვილმაც იქით მიაშურა.

ნორამ ერთ კვირაში ათთვისა მხვეველის პროფესია: მივიდა თუ არა, დაზვა ჩააბარეს.

უტრიალა დაზვას, უტრიალა — ეს ასეაო, ის — ისეო და ერთ კვირაში ისე ათვისა ახალი პროფესია, გაოცება ვერ დაფარეს.

აღლო ის დიდი, მაღლიანი ცოდნა, რასაც წიგნი ვერ იძლევა.

— დაზვამ მოულოდნელი ჰირვეულობა იცის, — ამბობს ნორა, — ძუძუთა ბავშვისა არ იყოს, ენა არა აქვს და სათქმელს ვერ გეუბნება, ამიტომ ერთადერთი იმედოვან დაგრჩენია — ალლოთი უნდა მიუხედე. მერე და მერე დააკვირდები მის მოძრაობას და ყველაფერს ადვილად მიუხედე... ემუშაობ, კარგიაო. წუწუნის გამოშვება იგივე არააო. რა საქმესაც მოეცილებ ხელს, მიუხედე რა აქვს იმედიო. ამან ცუდი შედეგიც გამოიღო — ეცინება, — იქნებ აქედან აღარც გავიშვითო?!

— თვითონ თუ ხარ კმაყოფილი?

— ძალიან! კარგი ხალხია იქაც.

— სადაც კარგი ხალხია, შრომას რომ დაგიფასებენ ისეთი, მათთან მუშაობას რა სჯობია!

— არ მისცე საყვედურის საბავი და ყველაფერი რიგზე იქნება. აღმანიის მოწოდებაა გარჯა. სხვათადაც ცხოვრებას არც მიზანი აქვს, არც — ფასი. ჩვენს ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, ქვეყანას თავი მოვაწინოთ. მე იმ აღმანიისა არაფერი მწამს, ქვეყანას რომ იკლებს წუწუნით, ბუზლუნით, საჩივრით, გილოდოს არ მაძლევსო! პატიოსანი, გამჩრე აღმანი გერქვას — რომელ გილოდოვებ ნაკლებია!..

ნორა ბერეკაშვილი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრია. ქარხანაში — პარტიურის წევრი. ესეც შრომას მოითხოვს, საპატიო შრომას.

როგორც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ქალაქის აღმასკომში გამოყოფილი აქვს თოხანი და კვირაში ერთ დღეს, ხუთიდან რვა საათამდე ამომჩრეულებს იღებს — დინჯად, გულისყურით უსმენს — უმეტესობა შუამდგომლობას თხოულობს: შუამდგომლობა სამსახურის თაობაზე, შუამდგომლობა ბინის მიღების თაობაზე... ძნელი ჩამოსათვლიელია. მაგრამ ის ერთი ყველაზე რთული და დამაფიქრებელია: ვერასდ, ვერასოდეს მოიქნებით ისეთ ნაპატრონო კაცს, ეთქვათ დამნაშავე ვიყავი და კარგადაც დამემართათ. როგორ გეკადრებათ? — თურმე მამა აბრამის პატკანი ყოფილა და სულ ტყუილებურად აღწავლეს. წარმოგიდგენია?! ამ ამბის წაყრუება არამც და არამც არ იქნება!.. ჩემი შვილი მაგის ჩამდენი იყო — სხვა ცრემლს არ იშურებს — მოუწყეს, გააბრეყეს, ჭიანჭველას ფეხს არიდებ-

ბარლო კოშკიძე

ვიღრთ ბალი დამწვივდებოდას

და და მაგას როგორ გახედავდაო... შენი ჭირი-
მე და შენ გენაცვალე, გააგებინე ზევითაო.

ყველაფერი უნდა აწონ-დაწონოს ნორამ და
თუ დარწმუნდება მართლა გაუგებრობით იჩაგ-
რება ვინმე, გაუგებრობით ან დაუდევრობით,
მაშინ არც ძალას იშურებს და არც ენერგიას...

დღეები ერთმანეთსა ჰგავს დაღამებითა და
გათენებით. მართალია ზოგი წვიმიანია, ზოგი
ქარიანი, ზოგი თოვლ-ჰყავიანი და ზოგიც უღ-
რუბლო, მაგრამ ერთმანეთსა ჰგავს მაინც ადა-
მიანის საზრუნავითა და იმედით — უკეთესი
მერმისის იმედით.

ყოველი დღე ოჯახიდან იწყება და ოჯახით-
ვე მთავრდება.

მომქანცველი დღე მთავრდება და ნორა ბე-
რიკაშვილი შინ ბრუნდება. დაღლილია, დაღ-
ლილია და კმაყოფილი, რაკი მისი ყოველდღი-
ური საქმიანობა სიკეთეა, სიკეთე, რომელიც
ოჯახს იქითაც რჩება და სხვებისათვის ზრუნ-

ვა. შინ დაბრუნდება და ახლა უკვე სხვა საზ-
რუნავი ჩნდება, — საზრუნავი ორბ-
ქალ-ვაჟისა; საზრუნავი მეუღლისა — ისიც
ახლახან დაბრუნდა სამუშაოდან. ეზო-ყურეს,
სახლ-კარსაც მისი ხელი სჭირდება.

დღეა და ყველაფერს ასწრებს.
ოჯახში არასოდეს არ იტყვის დაეილალო,
ვინაიდან იცის — დედები არასოდეს ილღუ-
ბიან.

ისიც კარგად იცის, რომ ქალის უბირველ-
სი ღირსება დედობაა!..

სხვათაშორის, იმ დღეს ავტობუსისაკენ არც
გამიხედავს — გორიდან მატარებლით დავბრუნ-
დი თბილისში და იმ დროს ჩამოვედი, როცა
ჩემს უბანში სასურსათო მაღაზიის დარაჯს გარ-
და ყველას ეძინა.

ლიფტი უკვე გამორთული დამხვდა და მეშ-
ვიღე სართულზე ფეხით ავედი.



რატომ ჩამოვარდნით?

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხს, კადრებისა, რომლებიც საფუძვლიანად დაეფუძლებიან თეორიულ ცოდნას და ამავე დროს თავისი მსოფლმხედველობით, ქცევითა და შეგნებულობით თვისობრივად განსხვავებულნი იქნებიან ყველა სხვა ეპოქის სპეციალისტისაგან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ თანდათანობით, წლების განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა უმაღლესი განათლების ისეთი სისტემა, რომელიც სრულად შეესაბამისება მრავალდარგოვანი, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური დონის სახალხო მეურნეობის და კულტურის მოთხოვნებს. უმაღლესი განათლების დარგში მოპოვებული წარმატებები, რომლის უშუალო და ლოგიკური შედეგია საბჭოთა კავშირის მოწინავე პოზიციები მსოფლიოში მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში, ნათლად ლაპარაკობს იმ სწორ მიმართულებაზე, რომლითაც საბჭოთა უმაღლესი სკოლა ვითარდებოდა.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ კვალიფიციური სპეციალისტის მომზადების პრობლემა უფრო რთული და მრავალმხრივი გახადა. დღეს უკვე აღარ შეიძლება სახალხო მეურნეობის მაღალგანვითარებული დარგების გაძლიერება, განათლებისა და კულტურის მზარდი მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება სპეციალისტის მაღალი კვალიფიკაციის, იდეური და ინტელექტუალური მომზადების სრულყოფის გარეშე. რაც მთავარია, ყველა ეს კომპონენტი ერთ მთლიანობაში უნდა იქნას განხილული,

ორგანულად უნდა გამომდინარეობდნენ ერთმანეთიდან და ავსებდნენ ერთმანეთს.

სკკ XXIV ყრილობის მასალები, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე 1971 წლის 19 ოქტომბერს, სკკ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 ივლისის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“, კანონი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ ახალ ვაზრდილ მოთხოვნილებებს აყენებს საბჭოთა უმაღლესი სკოლის წინაშე. ეს ამოცანები ნათლად და ლაკონურად არის ჩამოყალიბებული ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში სტუდენტთა საკავშირო შეკრებაზე: „... ორიენტირი სწავლაში უნდა იყოს ის მოთხოვნები, რომელთაც დღეს უყენებს ცხოვრება საბჭოთა სპეციალისტს, კომუნისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილეს.

საბჭოთა სპეციალისტი დღეს — ეს არის ადამიანი, რომელიც კარგად დაეუფლა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრების საფუძვლებს, ნათლად ხედავს პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ მიზნებს, აქვს ფართო მეცნიერული და პრაქტიკული მომზადება, ზედმიწევნით ფლობს თავის სპეციალობას.

საბჭოთა სპეციალისტი დღეს — ეს არის მარჯვე ორგანიზატორი, რომელსაც უნარი შესწევს პრაქტიკულად გამოიყენოს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპები. მას შეუძლია იმუშაოს ადამიანებთან, დააფასოს კოლექტიური გამოცდილება, ყურად იღოს აზრანავეების აზრი, კრიტიკული თვალთ შეხედის მიღწევებს.

და, რასაკვირველია, თანამედროვე სპეცია-

ლისტი — ეს არის მაღალი კულტურის, ფართო ერულდიის ადამიანი, ერთი სიტყვით, ეს არის ახალი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილი ინტელიგენტი“.¹

საბჭოთა უმაღლესი სკოლის განვითარების ისტორია ცხადყოფს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხებს, მიიხედვდნენ რა ამ საქმეს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური წინსვლის მნიშვნელოვან ფაქტორად. ყველა პარტიული თუ სახელმწიფო გადამწყვეტილება, დადგენილება წარმოადგენს არა მხოლოდ ამ დარგისადმი ზომიერად განვითარების ზოგად დებულებებს, საკითხისადმი პრაქტიკულ ან ორგანიზაციულ მიდგომას, არამედ მეცნიერულად დამუშავებულ, კონკრეტულ ვითარებიდან გამომდინარე, საპროგრამო მითითებებს უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარების ყველა ძირითად საკითხებზე; მის შინაარსზე, მეთოდურ მხარეზე, სწავლების ფორმებსა და საშუალებებზე, სასწავლო გეგმებზე და პროგრამებზე, უმაღლესი სასწავლებლის სტრუქტურაზე და ქსელის მოწყობის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებზე და მიმართულებებზე.

ბუნებრივია, თვისობრივად ახალმა მოთხოვნებმა, რომლებიც უმაღლესი სკოლის წინაშე ცხოვრებამ დააყენა, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება, განვითარების შემდგომი მიმართულების მეცნიერული განსაზღვრა და პრაქტიკული განხორციელება მოითხოვა. სწორედ ამით აიხსნება ის ინტენსიური ყურადღება, რომელიც ჩვენი ქვეყანაში უმაღლესი სკოლის შემდგომი სრულყოფის საკითხებს ექცევა.

სკკ XXIII ყრილობის რეზოლუციაში აღინიშნა: „შრომელთა საერთო კულტურისა და ტექნიკური ცოდნის ზრდა განუყრელად დაკავშირებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის შემდგომ განვითარებასთან. ახლანდელ ეტაპზე. მათი პირველხარისხოვანი ამოცანაა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება“.² ამ ამოცანის განსახორციელებლად საჭირო გახდა უმაღლესი სკოლის მდგომარეობის მეცნიერული შესწავლა, მისი ღრმა ანალიზი, იმ აუცილებელი და აქტუალური პრობლემების ჩამოყალიბება, რომელთა განხორციელებას უნდა უზრუნველყო უმაღლესი სკოლის საქმიანობის შემდგომი სრულყოფა და ყრილობის მოთხოვნის შესაბამისი გარდაქმნების გეგმარება.

საბჭოთა უმაღლესი სკოლის ისტორიაში

მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სკკ XXIII ყრილობის შემდგომი განუყოფელი ნაწილი. ამ პერიოდში უმაღლესი სკოლის საქმიანობის გეზისმიმდევში დებულებები ჩამოყალიბებული იქნა სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის დადგენილებაში „სპეციალისტების მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებზე ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“. შემდგომში სკკ XXIII ყრილობისა და აღნიშნულ დადგენილებაში მოცემულმა დებულებებმა თავისი სრულყოფა და დაკონკრეტება პოევის სკკ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 აგვისტოს დადგენილებაში „საზოგადოებრივი მეცნიერებების შემდგომი განვითარებისა და მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ კომუნისტურ მშენებლობაში“, 1967 წლის 16 სექტემბრის დადგენილებაში „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ“ და სხვა დოკუმენტებში.

სკკ XXIII ყრილობაზე ა. ნ. კოსიგინი მოხსენებაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესახებ აღინიშნა: „საჭიროა ავამაღლოთ სპეციალისტთა მომზადების დონე. ამას დაბეჭდვითი მოთხოვნის ცხოვრება, წარმოების განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმიები თავიანთი აღსაზრდელებს უნდა აიარაღებდნენ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნით. ჩვენი ქვეყანა უმაღლესი სკოლისაგან მოელის კარგ სპეციალისტებს, წარმოების უნარიან ორგანიზატორებს, რომლებმაც საფუძვლიანად იციან ეკონომიკა, მართვის მეთოდები, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპები“.¹

სკკ XXIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ხასიათდება უმაღლესი სკოლის ინტენსიური განვითარებით, მისი მართვის მეცნიერული პრინციპების შესწავლისადმი ყურადღების ამაღლებით; საერთოდ, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საკითხისადმი ახლებურად მიდგომით.

1966 წლიდან 1970 წლამდე სსრ კავშირში 61 ახალი უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა, მათ შორის 9 უნივერსიტეტი: კალინინგრადის, ჩუვაშეთის, გომელის, კუბიშევის, კრასნო-იარსკის, ჩრდილო-ოსეთის, კალმუკეთის, ყუ-

¹ ლ. ი ბრეჯნევი, ლენინური კურსით, თბილისი, 1973 წ. გვ. 466.

² სკკ XXIII ყრილობის მასალები, თბილისი, 1966 წ., გვ. 236.

¹ სკკ XXIII ყრილობის მასალები, თბილისი, 1966 წ., გვ. 201.



საქართველოს
წიგნების
კავშირის
საბჭოთაო
კავშირის
საბჭოთაო

ბანისა და იაროსლავის. ფერგანში და ტოლი-
ატში ვაისხნა პოლიტექნიკური ინსტიტუტები,
მოსკოვში — ელექტრონული ტექნიკის ინსტი-
ტუტი და ა. შ. ბუნებრივია, ახალი უმაღლესი
სასწავლებლების შექმნამ, არსებულებში მისა-
ღები კონტიგენტის რაოდენობის თანმიმდევ-
რულმა ზრდამ სტუდენტთა საერთო რაოდენ-
ობის მატება გამოიწვია, ამასთანავე სათანადო
ყოფრადლება ექცევა სწავლების ფორმებს
შორის არსებული დისპროპორციის მოწეს-
რიგების საქმეს.

ცხოვრებამ ნათელყო, რომ საღამოსა და
დღუსწრებელი სწავლების ფორმა გაუმარ-
თლებელი იყო რიგ სპეციალობებზე. რეალუ-
რად დაისვა საკითხი წარმოებიდან მოუ-
წყვეტელი სწავლების ძირითადი კვალიფიკა-
ციის ამაღლების საშუალებად გამოყენების
შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლებში
1965 წელს 857,7 ათასი სტუდენტი იყო მიღე-
ბული, 1970 წელს კი — 911,2 ათასი. თუ 1965
წელს დღის განყოფილებაზე 378,4 ათასი სტუ-
დენტი იქნა მიღებული (საერთო რაოდენობის
44,3%), 1970 წელს ეს რაოდენობა 500,7 ათასამ-
დე გაიზარდა და 55 პროცენტს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ მერვე ხუთწლიურში
2. 617,4 ათასმა სპეციალისტმა დაამთავრა
უმაღლესი სასწავლებელი, რაც 151,1 პრო-
ცენტით აღემატებოდა უმაღლესდამთავრებულ-
თა რაოდენობას 1961-1965 წ. წ. თუ 1965 წელს
უმაღლესი განათლება 403,9 ათასმა მიიღო, 1970
წელს — 630,6 ათასმა. ამავე დროს უმაღლეს-
დამთავრებულთა რაოდენობრივი ზრდა შეიმჩ-
ნევა თითქმის ყველა ძირითადი სპეციალობის და
დარგების მიხედვით. 1965 წელთან შედარებით
1970 წელს საინჟინრო სპეციალობებში უმაღ-
ლესდამთავრებულთა რაოდენობა 152,7 პრო-
ცენტით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის
დარგის — 142,8 პროცენტით, ეკონომიური (სა-
ქონელმცოდნეთა ჩათვლით) — 179,4 პროცენ-
ტით, ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური
კულტურის — 143,6 პროცენტით, საუნევერსი-
ტეო სპეციალობების — 159,9 პროცენტით,
პედაგოგიური და კულტურის დარგის მუშა-
კების — 149,6 პროცენტით, ხელოვნების —
166,7 პროცენტით. ბუნებრივია, წლების გან-
მავლობაში საგრძნობლად იმატა სტუდენტ-
თა რაოდენობამ 10 ათას სულ მოსახ-
ლეზე. თუ ომისწინა 1940-1941 სასწავ-
ლო წელს სსრ კავშირში ყოველ 10 ათას სულ
მოსახლეზე 41 სტუდენტი სწავლობდა, ეს მო-
ნაცემი 1960-1961 სასწავლო წლისათვის 111-
მდე გაიზარდა, 1965-1966 სასწავლო წელს
უკვე 166 იყო, ხოლო 1970-1971 სასწავლო
წელს — 188. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესა-
ხებზე, რომ სტუდენტობის ზრდის ტემპები გან-
საკუთრებით შეიმჩნევა შესაბამისად სომხეთ-

ში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და ლიტვაში. თუ
ამ მონაცემების მიხედვით საქართველო 1940-
1941 სასწავლო წელს მეორე ადგილზე იყო პირველ-
ზე, ის 1970-1971 სასწავლო წელს მეოთხე-
მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა უზბეკეთთან ერ-
თად სომხეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის საბ-
ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შემ-
დეგ.

განსაკუთრებით ჩამორჩა საქ. სსრ საშუალო
სპეციალური განათლების მქონე კადრების
მომზადების საკითხში. თუ 1940-1941 სასწავ-
ლო წლისათვის 10 ათას მცხოვრებზე საშუა-
ლო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა
რაოდენობით პირველ ადგილზე იყო,
1950-1951 სასწავლო წლისათვის მეექვსე ად-
გილზე გადაინაცვლა, 1960-1961 სასწავლო
წელს მეთორმეტეზე, ხოლო 1970-1971 სას-
წავლო წელს — უქანასწავლ, მეთხუთმეტე ად-
გილზე. საერთოდ, უმაღლესი და საშუალო
სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა
რაოდენობით 10 ათას მცხოვრებზე საქართვე-
ლო მეთორმეტე-მეთორმეტე ადგილზეა. ამ-
ჟამად ყირგიზეთის სსრ-სთან ერთად და წინ
უსწრებს მოლდავეთის, ტაჯიკეთის და თურ-
ქმენეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლი-
კებს. ბუნებრივია, შესაბამისად მნიშვნელოვ-
ნად იკლო საქართველოში უმაღლეს და საშუა-
ლო სპეციალური სასწავლებლების კურსდამ-
თავრებულთა რაოდენობამ ათი ათას მცხოვრებ-
ზე. 1965 წელთან შედარებით, როდესაც საბჭოთა
კავშირში საქართველოს პირველი ადგილი
ეკავა გამოშვებულ უმაღლესდამთავრებულ
სპეციალისტთა ოდენობით, 1970 წლისათვის
მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა სომხეთის,
რუსეთის უზბეკეთის, აზერბაიჯანის საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკების შემდეგ.
ხოლო ერთად აღებული უმაღლესი და საშუა-
ლო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულთა
რაოდენობით ერთ-ერთ უქანასწავლ ადგილ-
ზეა ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის
სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთად 1970
წელს გამოშვებულ სპეციალისტთა ოდენობით.

როდესაც რესპუბლიკაში უმაღლესი და სა-
შუალო სპეციალური სასწავლებელდამთავრე-
ბულთა მომზადების ტემპებზე ვლასარაკობთ,
ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ხარვეზე-
ბი წლების განმავლობაში დამკვიდრებული
კვალიფიკაციური კადრების მომზადებისადმი
არამეცნიერული დამოკიდებულების შედეგია.
ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში არ არსებობს
სახალხო მეურნეობის მდგომარეობის და გან-
ვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით
შედგენილი მეცნიერულად მოფიქრებული კვა-

30300 ფანჯულშიძე
რატომ ჩამოვრჩიეთ?

ლოფიკაციური კადრების მომზადების რეალური გეგმა, მნიშვნელოვნად განაპირობებს აღნიშნულ ნაკლოვანებებს. შეუსაბამოა და ნაკლოვანებები უფრო ნათელი და ხელშეახლები ხდება, როდესაც სპეციალისტთა მომზადების საკითხს უფრო კონკრეტულად, დარგებისა და სწავლების ფორმათა მიხედვით განვიხილავთ.

საქ. კვ. ცენტრალურმა კომიტეტმა 1973 წლის 17 აპრილს განიხილა საკითხი: „რესპუბლიკის მრეწველობის უმაღლესი განათლების სპეციალისტებით უზრუნველყოფისა და მათი მომზადების დონის ამაღლების დონისძიებათა შესახებ“ და მიიღო შესაბამისი დადგენილება. დადგენილებაში იმ გარკვეულ მიღწევებთან ერთად, რომელიც რესპუბლიკაში მრეწველობის უმაღლესი განათლების სპეციალისტებით უზრუნველყოფის საქმეში, მათი მომზადების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში ვაგვაჩინა, ნათლადა ნაჩვენებია და მეცნიერულად გაანალიზებული ჭერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები და სერიოზული ხასიათის ხარვეზები. აქვე აღნიშნულია, რომ რესპუბლიკაში სრულყოფილად არ სრულდება სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებები უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის საკითხებზე.

ჩვენი მიზანია, ზოგიერთი ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად ძირითადად შევცხოთ წინორდ იმ ვალდებულებებს, რომლებზეც სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებიდან გამომდინარეობენ.

სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის დადგენილებაში აღნიშნულია:

«Учитывая, что подготовка специалистов с высшим и средним образованием при дневном обучении и отрывом от работы, как показала практика, имеет коренные преимущества как по качеству подготовки специалистов, так и по экономическим соображениям... Госплану СССР, Министерству высшего и среднего специального образования СССР, советам министров союзных республик, министерствам и ведомствам СССР, имеющим учебные заведения, при разработке планов подготовки специалистов предусматривать дальнейшее преимущественное развитие дневного обучения в высших и средних специальных учебных заведениях:

а) определить перечень специальностей, по которым должна проводиться подготовка специалистов с высшим и средним спе-

циальным образованием в системе вечернего и заочного обучения...»¹

ანალოგიური დავალება, სპეციალისტთა მომზადების თვალსაზრისით, რომლებიც უნდა მზადდებოდნენ წარმოებრიდან მოუწყვეტლო, ჩაწერილია სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 ივლისის დადგენილებაში.

გაუმართლებელი ტენდენცია რესპუბლიკაში საღამოსა და დაუსწრებელი განათლების ინტენსიური ზრდისა აღრეც შეინიშნებოდა, განსაკუთრებით არანორმალური, რეალური მითხოვნილებებთან შეუსაბამო ზრდა სწავლების აღნიშნულ განყოფილებებზე პედაგოგიურ ინსტიტუტებში შეიმჩნევა. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა კადრების მომზადების დაგეგმვის რესპუბლიკაში არ გააჩნია მეცნიერული საფუძვლები და კანონზომიერება, ის დამოკიდებულია არა სახალხო განათლების მდგომარეობაზე ან განვითარების პერსპექტივებზე, არამედ არაარსებით, ზოგ შემთხვევაში სუბიექტურ მოსაზრებებსა და სურვილებზე. ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის პედაგოგიურ უმაღლეს მასწავლებლებში მკაცრად განსაზღვრული არ არის მისაღები კონტინენტის გენერალური გეგმა, დიდ უხერხულობას და გაუგებრობას ქმნის თანამედროვე მითხოვნილებების შესაბამისი, უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა კადრების მომზადების საქმეში. უფრო მეტიც, ზნირა შემთხვევაში უმაღლესი მასწავლებლებისათვის ცნობილი არ არის მისაღები კონტინენტის ზუსტი ოდენობა და სპეციალობები მისაღები გამოცდების დაწყებამდე 2 თვით აღრეც კი. რასაკვირვებელია, ასეთ ვითარებაში ძნელია მიზნობრივი კონტინენტის მოზიდვისათვის ზრუნვა. მოსამზადებელი კურსების შექმნა, სკოლებთან ურთიერთობა, რომ არაფერი ვთქვათ სხვა მეტად აქტუალურ და საჭირობოროტო საკითხებზე, რომლებიც უმაღლესი სკოლაში მასწავლო-აღმზრდელიობით პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის არის საჭირო.

საბჭოთა კავშირში, თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, უკანასკნელ წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის, სახალხო მეურნეობის მრავალდარგოვანი სისტემის განვითარებისა და მითხოვნილებების შესაბამისად მნიშვნელოვანი დონისძიებები გატარდა უმაღლესი სკოლების ქსელის მოწესრიგების თვალსაზრისით, ბევრ პედაგოგიურ ინსტიტუტს შეეცავა პროფილი, მოხდა მათი დამსხველვა, პერსპექტიული დარგებისათვის კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად შეიქმნა ახალი უმაღ-

¹ Вопросы идеологической работы КПСС, Сборник документов, Москва, 1972, стр. 361—362.



ლესი სასწავლებლები. როგორც ცნობილია, სსრ კავშირში 1970-1971 სასწავლო წელს უმაღლესი სასწავლებლების საერთო რაოდენობა 1960-1961 სასწავლო წელთან შედარებით 739-დან 805-მდე ე. ი. 66 ერთეულით გაიზარდა, ამავე პერიოდში პედაგოგიური ინსტიტუტების რაოდენობა 34 ერთეულით შემცირდა, ამგვარად, ცხოვრების მოთხოვნის, კონკრეტული ვითარებისა და პირობების შესაბამისად 100 ახალი უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა. ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ საერთო ტენდენციად პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების შემცირებისა, არამედ იმის, რომ სკვპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი დადგენილებების შესაბამისად უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის საკითხებზე ხდება უმაღლესი სკოლის ქსელის რეორგანიზაცია, მისი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მოთხოვნილებების შესაბამისად მოწესრიგება. მართლაც, რაც მოკავშირე რესპუბლიკებში (უზბეკეთში, ყაზახეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში) უკანასკნელ ხანებში ახალი პედაგოგიური ინსტიტუტება გაიხსნა, რაც ადვილებზე სახალხო განათლების მოთხოვნილებებით არის გამართლებული.

ცხოვრებით ნაკარნახევი მსგავსი ღონისძიება ჩვენს რესპუბლიკაში საერთოდ არ განხორციელებულა აღნიშნულ პერიოდში. უფრო მეტიც: სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ ორჯერ მიუთითა იმ აშკარა შეუსაბამობის შესახებ, რომელიც რესპუბლიკაში შეინიშნებოდა: 1965 წელს 1 აპარტის სამინისტროს კოლეგიამ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მეურნეობა და სახალხო განათლება უზრუნველყოფილია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით, ადვილი აქვს საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე დიდი კონტინენტის მიღებას (60,2%), კუსტადაა დაყენებული მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და გამოყენების საქმე. 1971 წლის 1 იანვრისათვის უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა რიცხვი, რომლებიც არასპეციალიზით მუშაობენ, ან თავს არიდებენ სამუშაოს, რესპუბლიკაში აღემატება 3 ათას კაცს, მათ შორის 2,2 ათასი ქალაქ თბილისშია.

მასწავლებელთა კადრების მომზადების პერსპექტიული გეგმა (40 ათასი), მომავალ ათწლეულისათვის საშევრ აღემატება რესპუბლიკის სახალხო განათლების რეალურ მოთხოვნილებებს.

ამ შეუსაბამობის შესახებ არაერთჯერის აღინიშნა საკავშირო და რესპუბლიკური პრესაში 1970-1972 წლებში „უჩიტელსკაია გაზეტა“-ში, „გეჩერნი თბილისში“, „ახალგაზრდა კომუნისტი“-ში, მაგრამ ამას რაიმე რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში მასწავლებელთა კადრების დაგეგმვის დრუს ანგარიში არ ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ამა თუ იმ სპეციალისტის მომზადებისათვის აუცილებლად საჭირო პირობების შექმნას. რაც მთავარია, გაუმართლებელია ის პარალელიზმი, რომელიც კადრების მომზადების საქმეში გვახასიათებს. საეკონომიკური აღნიშვნის, რომ 1971-1972 სასწავლო წელს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს 7-ეე პედაგოგიური ინსტიტუტი ამზადებდა, ასევე — ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის და ისტორიის მასწავლებლებს. ინსტიტუტში მზადდებოდნენ ფიზიკოსები, გეოგრაფები და ბიოლოგები. ამის გამო იგეგმება მეთოდისათვის ჩვეულებრივი წესები, ნაკადები, მნიშვნელოვან იზრდება სპეციალისტის მომზადებაზე დახარჯული თანხის ოდენობა და, რაც მთავარია, არ ხერხდება სრულფასოვანი სპეციალისტის მომზადება. ამ პერიოდისათვის რესპუბლიკაში მომუშავე 278 პრფესორიდან, მეცნიერებათა დოქტორიდან 250, ხოლო 1623 დოცენტიდან და მეცნიერებათა კანდიდატიდან 1278 თბილისის სამ უმაღლეს სასწავლებელში: უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში მუშაობდა (მონაცემები აღებულია მხოლოდ საქ. სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემაში შეყვანილი უმაღლესი სასწავლებლებიდან). უფრო დიდი შეუსაბამობა და მძიმე მდგომარეობა ცალკეულ სპეციალობებში, ამ შეუსაბამობის შესახებ კონკრეტულად აღინიშნა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 10 ივლისის დადგენილებაში, რომელიც რესპუბლიკაში რუსული ენის სწავლების მდგომარეობას და მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს მიეძღვნა. ამ დადგენილების მომზადების პერიოდში რესპუბლიკურ პრესაში გამოიქვეყნა სემინარი. მეცნიერული სწავლობის დროს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების წამყვანმა სპეციალისტებმა.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით არანორმალური ვითარება შეიქმნა მასწავლებელთა კადრების წარმოებიდან მოუწყვეტლოვ სწავლების გზით მომზადების საქმეში. ეს მით უფრო გუუვებარია, რომ სწორედ უკანასკნელ ხანებში, კერძოდ, 1965 წლიდან, დაბეჭდვით გამოიქვეყნე მოსაზრებას საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების მოწესრიგების, მისი კადრების მომზადებაზე მოთხოვნილებების შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. სწორედ ამ პე-

**ვიზი შანჩულიძე
ნატონ ჩამოვრჩიძე**

როლიდან მკვეთრად მცირდება საღამოს განყოფილებაზე პედაგოგიურ ინსტიტუტებში მიხედვით კონტიგენტი, საერთოდ, თანდათანობით უქმდება ეს განყოფილება. ასე მოიქცა ა. ი. გერცენის სახელობის ლენინგრადის პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც დაუსწრებელ განყოფილებაზე მხოლოდ სახალხო განათლების სისტემაში მომუშავე პირებს იღებენ, ხოლო საღამოს განყოფილება საერთოდ ლიკვიდირებული იქნა. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყველა პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა რესპუბლიკებში. სწორედ ამიტომ საკუთარი სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სასწავლო გეგმები პედაგოგიკისათვის წარმოებიდან მოწყვეტილ სწავლების ფორმაზე დროის ბიუჯეტის მინიმალურ ოდენობას ითვალისწინებს. ეს გარემოება სხვა რესპუბლიკებისათვის ნორმალურად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან იქ, როგორც წესი, სტუდენტთა გადამწყვეტი უმრავლესობა სახალხო განათლების სისტემაში, პროფილით მუშაობს და თავის პრაქტიკულ პედაგოგიური საქმიანობის შესაბამისად იმავლებს კვალიფიკაციას, იღებს უმაღლეს განათლებას, თეორიულ ცოდნას. ჩვენს სინამდვილეში კი 2-3 გაკვეთილის ნუცბათევად მომზადების და გადაცემის შედეგად ახალგაზრდა, რომელსაც სკოლასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მისი დამთავრების შემდეგ, მზადდება პედაგოგად და ისეთივე უფლებები და პრეტენზიები გააჩნია იყოს სკოლის მასწავლებელი, როგორც დღის განყოფილების კურსდამთავრებული.

რესპუბლიკაში საღამოს განყოფილებებზე სტუდენტთა გადამწყვეტი უმრავლესობა არ მუშაობს სწავლების შესაბამისი პროფილით; ე. ი. საფუძველშივე დარღვეულია სწავლების ამ ფორმით უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტის მომზადების აუცილებელი და განმსაზღვრელი პირობა. დღეს, როდესაც რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა კადრების სახალხო განათლების ორგანიზაციების რაოდენობრივი უზრუნველყოფის საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანას სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლება წარმოადგენს. შექმნილ ვითარებაში კი ამაზე ლაპარაკი კი ზედმეტია.

1971-1972 სასწავლო წლის მონაცემებით რესპუბლიკის პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში დაუსწრებელ განყოფილებაზე 10, 081 სტუდენტი სწავლობდა. მათგან მასწავლებლად ან საერთოდ, სახალხო განათლების სისტემაში 3.243 მუშაობდა. გაცილებით უარესი მდგომარეობა არის ამ თვალსაზრისით საღამოს განყოფილებაზე.

როგორც ცნობილია, საღამოს განყოფილება

ემსახურება ქალაქისა და მისი მომიჯნავე რაიონების მაცხოვრებლებისათვის უმაღლესი განათლების მიცემის საქმეს, თავის ფუნქციონირებაში რთულბული იყო ის მასშტაბები და ტემპები, რომლითაც საღამოს განყოფილების განვითარება ხასიათდებოდა. უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ საღამოს განყოფილება ამოწურა მიზნობრივი კონტიგენტის რეზერვი. აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ თუ 1960-1961 სასწავლო წლისათვის სსრ კავშირის 74 პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებობდა საღამოს განყოფილება, 1971-1972 სასწავლო წლისათვის ეს რაოდენობა 26-მდე შემცირდა. საღამოს განყოფილება ამ დროისათვის არა აქვს უკრაინის, ყაზახეთის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, თურქმენეთის და ესტონეთის არცერთ პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელთა საერთო რაოდენობა 60-ია, ბელორუსიაში, უზბეკეთში, ლიტვაში, ტაჯიკეთსა და სომხეთში მხოლოდ თითო უმაღლეს სასწავლებელთან არსებობს ძალზედ შეზღუდული სპეციალობებით და კონტიგენტით. ჩვენს რესპუბლიკაში კი 1960-1961 სასწავლო წელს 8 პედაგოგიურ ინსტიტუტთან იყო საღამოს განყოფილება და დღემდე ყველა არსებობს.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ყველა უწყების უმაღლეს სასწავლებლებში საღამოს განყოფილება 1950-1951 სასწავლო წელს შეიქმნა. მაშინ სტუდენტთა რაოდენობა 200-ს არ აღემატებოდა, 1960-1961 წლისათვის საღამოს განყოფილებაზე უკვე 6. 300 სტუდენტი სწავლობდა, 1964-1965 სასწავლო წელს კი 10. 300, 1971-1972 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა საერთო რაოდენობამ საღამოს განყოფილებაზე 18. 800-ს მიაღწია.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში საღამოს განყოფილება 1954 წლიდან არსებობს, აქ იმ დროს 30 სტუდენტი იქნა მიღებული. 1963-1964 სასწავლო წლისათვის საღამოს განყოფილებაზე უკვე 854 სტუდენტი სწავლობდა, 1971-1972 სასწავლო წელს კი 2. 123. საღამოს განყოფილებაზე სტუდენტთა კონტიგენტის ასეთ ინტენსიურ ზრდას არავითარი გამართლება არ გააჩნია, რაც მთავარია, ის სრულებით არ შეესაბამება სახალხო განათლების მოთხოვნილებებს, ინსტიტუტის შესაძლებლობებს, მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებს სასწავლო პროცესის თანამედროვეობის მოთხოვნილებების შესაბამისად წარმართვას.

განსაკუთრებით დამფიქრებელია ის მდგომარეობა, რომ საღამოს განყოფილებაზე იშვიათი გამოარკვლავი განხა პროფილით მომუშავე აბიტურიენტის, სტუდენტის, 1971-1972 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის პედაგოგიურ



უმაღლეს სასწავლებლებში საღამოს განყოფილებაზე 7.382 სტუდენტი ირიცხებოდა, მათგან მასწავლებელი 0,5%-ი კი არ იყო, ხოლო საერთოდ, სახალხო განათლების ორგანიზებთან რაიმე კავშირი 548 სტუდენტს ჰქონდა. აქ მხედველობაში გვაქვს სკოლების საქმის-მწარმოებლები, დამალავებლები, სამეურნეო მუშაეები და ა. შ. ეს იმ ვითარებაში, როდესაც 1972 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებებში აღიციხებაზე მყოფ მასწავლებელთა რიცხვი 3. 000-ს აღემატებოდა. ამ დროს ა. ს. პუშკინისა და ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიკურ ტექნიკურ საღამოს განყოფილებაზე, დასახლებული ინსტიტუტების დღისა და დაუსწრებელ განყოფილებებზე შეუსაბამობა კადრებზე მოთხოვნასა და მათ მომზადებას შორის მაინც საკმაოდ დიდია.

ცნობილია აგრეთვე, რომ ის პირები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებს წარმოებიდან მოუწყვეტლივ სწავლების გზით ამოვარებენ, არ ნაწილდებიან ისემა კითხვა, როგორ უნდა განხორციელდეს სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა სამსახურის 1972 წლის 18 ივლისის დადგენილებით გათვალისწინებული ახალდამთავრებულთა ერთწლიანი სტაჟირების აუცილებელი მოთხოვნა ამ კატეგორიის სპეციალისტებზე.

ამავე დროს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ცალკეული სპეციალობის მასწავლებელთათვის დაუსწრებელი სწავლების გზით უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობის საკითხს. დაწყებითი განათლების, სკოლამდელი აღზრდის, შრომის, მუსიკისა და სიმღერის, ზავისა და ხატვის, ზოგიერთი სხვა სპეციალობის მასწავლებელთა შორის ჭკრ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან საშუალო სპეციალური ან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლადამთავრებულები, სწორედ მათთვის არსებობს დაუსწრებელი განყოფილება და მაქსიმალურად უნდა მოვიზიდოთ ისინი უმაღლესი განათლების მისაღებად. ცალკე შესწავლის საგანია რუსული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის მდგომარეობის და მისი ამაღლების საკითხი დაუსწრებელი სწავლების გზით. ასევე საყურადღებოა და სპეციალური შესწავლის საგანად უნდა გახადეს პროფტექნიკური მასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე.

ყოველივე აღნიშნული ნათელყოფს, რომ მასწავლებელთა კადრების დაგეგმვის და მომზადების საკითხის იმ მდგომარეობაში დატოვება, როგორც დღემდეა, შეუძლებელია. წლების განმავლობაში ამ საქმეში დამკვიდრებულმა შეუსაბამობამ და არსებულმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა თავისი ლოგიკური-უარყოფითი გამოხატულება სკოლებში არსებული სწავლების დონეში, მასწავლებელთა კვალიფიკაციის საქმეში ბოვა, მომავალში კი, თუ ვადა-პირელი, მეცნიერულად მოფიქრებული ღონისძიებები არ განხორციელდა, უარესი შედეგებითა მოსალოდნელია.

თუ როგორი ხარისხის მასწავლებლები მზადდება წარმოებიდან მოუწყვეტლივ სწავლების გზით, ამაზე მხოლოდ ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მაგალითით ვჭარბა. უკანასკნელ 10 წელიწადში ინსტიტუტი 2.000-ზე მეტმა სპეციალისტმა დაამთავრა, მათ შორის 8 ათასზე მეტი საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები იყვნენ, მათ შორის წარჩინებით დიპლომი მხოლოდ 40-მდე სპეციალისტმა მიიღო. ანალოგიური მდგომარეობა (თუ უარესი არა) რესპუბლიკის სხვა პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში.

რესპუბლიკის სკოლებში ახალგაზრდობის სწავლების საქმეში არსებულ სხვა ნაკლოვანებებთან ერთად თავისი ლოგიკური გამოხატულება მასწავლებელთა მომზადების ხარისხმა და მათში პროფესიონალური ჩვეუების აღზრდის საქმეში არსებულმა ნაკლოვანებებმა პოვეს, საქართველოში დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში 1970-1971 სასწავლო წელს მასწავლებელთა საერთო რაოდენობიდან 66,4 პროცენტი უმაღლესი განათლებით იყო, ხოლო 12,9 პროცენტს სამასწავლებლო ინსტიტუტი ან მასთან გათანაბრებული სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. ეს მონაცემები საუკეთესოა სამშობლო კავშირში.

ამ დროს სკოლებში სწავლების მდგომარეობა, მოსწავლე ახალგაზრდობის მეცნიერებთა საფუძვლების ცოდნით აღჭურვის საქმე სერიოზული ხარვეზებით ცხაიათდება. მისაღები გამოცდების ანალოგი დასავლეთს, რომ სკოლადამთავრებული ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ცოდნის დონე ძალზე დაბალია და მინიმალურადაც ვერ პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნილებებს. ის ფაქტი, რომ აბიტურიენტთა 70 პროცენტზე მეტი დადებითი ნიშნის მიღებასაც კი ვერ ახერხებს და აბსოლუტურ უცოდინარობას იჩენს, ნათლად ლაპარაკობს სკოლებში სწავლების დონეზე, სკოლის მასწავლებელთა ფაქტიურ კვალიფიკაციაზე, დაქირებულ მოვალეობისადმი დამოკიდებულებაზე. საკითხით დანიტერესებულ ეველა პირისათვის ნათელია, რომ მხოლოდ სკოლაში შექმნილი ცოდნით ახალგაზრდობის ძალზე უმნიშვნელო ნაწილს თუ შეიძლება ჰქონდეს იმედი, გაიმარჯვოს საერთაშორისო გამოცდებში. კურობია, მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ სკოლა 10-11 წლის განმავლობაში მოსწავლეს ფაქტიურად რეალური ცოდნის იმ მარაგსაც კი ვერ აძლევს, რომლითაც მას იმედი ექნება,

გივი შანუაშვიძე
რატომ ჩამოვრჩიო?



მისაღები გამოცდები ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებლებში. ამით არის გამოწვეული ის ვარემობა, რომ შეიძლება მთელი რიგ ინსტიტუტებზე, განსაკუთრებით პედაგოგიურ ინსტიტუტებში, შეუძლებელი ხდება ცოდნის მოთხოვნის აბსოლუტური, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამის შესაბამისი კრიტერიუმის დადგენა, რადგან ასეთი კრიტერიუმის განუხრებლად გამოყენების შემთხვევაში ძალზედ გაძნელებლა დაგვიძლიო კონტიგენტის მოგროვება.

ვასულ სასწავლო წელს ა. ს. ბუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე 14 საკონკურსო ადგილზე 500 აბიტურიენტი აბარებდა, მიმდინარე წელს კი 600. როგორც ვასულ, ისე მიმდინარე წელს, აბიტურიენტთა ძალიან დიდმა პროცენტმა არადაამკაყოფილებელი შეფასება მიიღო, ჩარიცხულთა შორის კი არცერთი არ აღმოჩნდა მაღალი ნიშნებით, ფაქტურად ასეთი წარმოუდგენელი კონკურსის დროს დადებითი ნიშნებიც კი საკმარისი აღმოჩნდა ჩასარიცხავად.

ტრადიციულად მისაღები გამოცდების შემდეგ რესპუბლიკურ პრესაში აღინიშნება აბიტურიენტების ცოდნის დაბალი დონის შესახებ, უმაღლესი სკოლის, სახალხო განათლების მუშაკები გულსიტკვივლით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ სკოლა მოსწავლე ახალგაზრდობას არ აძლევს საფუძვლიან ცოდნას, მოკაყოფთ კონკრეტული მაგალითები, ციფრები, მოითხოვენ საქმიან და დროულ რეაგირებას სათანადო ორგანოების მხრიდან და თითქოს ამით მთავრდება ყველაფერი.

როგორც ვხედავთ, ციფრობრივი მონაცემები და საქმის რეალური მდგომარეობა არ შეესაბამება ერთმანეთს.

ამ შეუსაბამობის დროული დაძლევა კი ცხოვრების უშუალო მოთხოვნას, დიდ პოლიტიკურ და ეროვნულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ახალგაზრდა მომავალი თაობის თანამედროვეობის მოთხოვნილების შესაბამისად სწავლა-აღზრდის საქმის აუცილებელი და მკვეთრი გაუმჯობესება.

არანაკლებ აქტუალური პრობლემა უმაღლესი სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესის სწორი ორგანიზება, მისი მეცნიერული მართვა, იმ ახალი მიმართულებების, ფორმების და მეთოდების გამოყენება, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა უმაღლესი სკოლის სინამდვილეში უკვე დამკვიდრდა ან ეწეა ინერგება.

საბჭოთა უმაღლესი სკოლას თავისი განვითარების ისტორია აქვს, მართვის პრინციპები, სწავლების მეთოდის და ორგანიზების თავისებურებები ახასიათებს. ამ თავისებურებებზე, საბჭოთა უმაღლესი სკოლის მართვის

პრინციპებზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე მონოგრაფიები და გამოკვლევები კიდევ 30-იან წლებში გამოჩნდა. შეიძლება დავასახელოთ მოსკოვის უნივერსიტეტის პედაგოგიის კათედრის წევრები: ი. გ. ავტუხოვის, ი. ტ. ოგოროდნიკოვის, ი. ა. ხაიტის კოლექტიური ნაშრომი „უმაღლესი სკოლაში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდია“, რომელიც 1934 წელს გამოიცა მოსკოვში, თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიის კათედრის გამგის კ. კუუსელის 1934 წელს თბილისში გამოცემული ნაშრომი „სასწავლო პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციისათვის უმაღლესი სკოლაში“, ცალკეული სტატიები, მეთოდური წერილები. შემდგომში მუშაობა ამ მიმართებით ერთგვარად შეფერხდა და უკვე 60-იან წლებში იწყება ინტენსიური საქმიანობა თანამედროვე უმაღლესი სკოლის აქტუალური პრობლემების დამუშავების თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმიანობას უკვე კოორდინირებული და გეგმაზომიერი ხასიათი აქვს და თანდათანობით ფორმდება როგორც ახალი მეცნიერება — უმაღლესი სკოლის პედაგოგია და მეთოდია. 1966 წლის ბოლის სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან იქმნება უმაღლესი სკოლის პედაგოგიისა და მეთოდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. აღნიშნული სამინისტროს ყოველთვიურ ჟურნალში „უმაღლესი სკოლის უწყება“ 1966 წლის დეკემბრიდან იწყება შემდგომში უკვე ტრადიციული რუბრიკა „ფიქრები უმაღლესი სკოლის პედაგოგიისა და მეთოდიაზე“. სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს ჩამოყალიბება, აღნიშნული რუბრიკის შემოღება სსრ კავშირის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებში, ცალკეულ რესპუბლიკებსა და ქალაქებში უმაღლესი სკოლის პედაგოგიის და მეთოდის საკითხებზე მეცნიერული კვლევის ინტენსიურმა განვითარებამ და კოორდინირებულმა საქმიანობამ განაპირობა. 1967 წელს ლენინგრადის ა. ი. გერცენის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა უმაღლესი სკოლის პედაგოგიის კათედრა, ასეთი კათედრა ადრე 60-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როსტოვის უნივერსიტეტში. უმაღლესი სკოლის პედაგოგიისა და დიდაქტიკის საკითხებზე მუშაობის კოორდინირების მიზნით უნგრეთში 1967 წელს შეიქმნა უმაღლესი განათლების პედაგოგიის კვლევითი ცენტრი.

სსრ კავშირში უმაღლესი განათლების პედაგოგიის საკითხებზე გამოიცა რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის საყურადღებოა პროფ. ს. ი. ზინოვიევის მონოგრაფია „სასწავლო პროცესი საბჭოთა უმაღლესი სკოლებში“, რომელიც 1968 წელს გამოიცა.



საინტერესო კრებული „უმაღლესი სკოლის პედაგოგია“ გამოცდა 1969 წელს ვორონეჟის უნივერსიტეტმა. ამ კრებულში პროფესორების პ. მ. გაბონოვის, ვ. გ. შორინის, რ. ე. ნიმიანის, ბ. ი. პახომოვის და სხვა ავტორების ის ლექციები იქნა შეტანილი, რომლებიც ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხეს მათ 1969 წლის თებერვალში. პროფესორ პ. მ. გაბონოვის განმარტებით:

«Педагогика высшей школы есть наука об обучении и коммунистическом воспитании студентов, о формировании личности специалиста высшей квалификации.»

Предметом педагогики высшей школы является исследование особого вида педагогической деятельности, направленной на раскрытие закономерностей и рациональных путей обучения и формирования советского специалиста высшей квалификации».²

1969 წლის 27-30 ოქტომბერს ტომსკის უნივერსიტეტის კომპიუტერის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიმდინარეობდა უმაღლესთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიის საკითხებზე. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოსვლის 500 მსურველმა გააკეთა განაცხადი, აქედან 150 მოხსენება იქნა შერჩეული, რომლებიც შეეხებოდნენ უმაღლესი სკოლის პედაგოგიის საერთო საკითხებს, უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმებსა და მეთოდებს; სტუდენტობის კომუნისტურ აღზრდას; სწავლების ეფექტურობის ამაღლებას და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის საკითხებს უმაღლეს სასწავლებელში; სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზებას. როგორც ვხედავთ, კონფერენციის ყურადღების ცენტრში იდგა ყველა ძირითადი და აქტუალური პრობლემა, რომლებიც თანამედროვე უმაღლესი სკოლის განვითარებისათვის არის დამახასიათებელი. იმავე წელს კონფერენციაზე მოსმენილი საუკეთესო მოხსენებები კრებულიის სახით ცალკე წიგნად გამოიცა.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში 1971 წლის დასაწყისისათვის მუშავდებოდა 745 თემა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული იყო უმაღლეს პედაგოგიურ განათლებასთან; ამ საქმიანობაში პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების 2.500 წარმომადგენელი მონაწილეობდა. 745 თემიდან 6 — სადოქტორო, 42 კი საკანდიდატო დისერტაციისათვის იყო ვითვალისწინებული. საქმარისა აღინიშნოს, რომ 1966-1970 წლებში სსრ კავშირში 47 უმაღლესთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, რომლებიც

ბიც უმაღლესი პედაგოგიური განათლების სწავლებებს მიეძღვნა.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირში დღეს და წაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს უმაღლესი სკოლის პედაგოგიის საკითხებზე, ასევე დიდი ყურადღება ექცევა უმაღლესი სკოლის აქტუალური პრობლემების მეცნიერულ შესწავლას სოციალისტურ ქვეყნებში. უმაღლესი სკოლის პედაგოგიისა და მეთოდოლოგიის, უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის საკითხებზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში.

სკკ XXIII ყრილობაზე, პარტიისა და მთავრობის შემდგომ დადგენილებებში უმაღლესი განათლების საკითხებზე ხაზგასმით აღინიშნა სასწავლო პროცესის ორგანიზების, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისა და შედეგების ცხოვრებაში დანერგვის აუცილებლობის შესახებ. უმაღლესი სკოლის პედაგოგიის საკვანძო საკითხების შესწავლაზე მიუთითებდა ა.ნ. კოსიგინი თავის მოხსენებაში პარტიის XXIII ყრილობაზე: „ანაიროს უნდა გავუკეთოთ უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმებს, სტუდენტებისა და მასწავლებლების სამუშაო დროის ბიუჯეტს, რაციონალურად გავანაწილოთ სტუდენტთა დრო ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკუმებზე, ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიებში დამოუკიდებელი მუშაობისათვის და შევექმნათ ყველა საჭირო პირობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მასწავლებელთა და სტუდენტთა შემოქმედებითს მუშაობას“. სწორედ ამ მოთხოვნის განხორციელების ლოგიკური შედეგია ის აქტივობა, რომელიც უმაღლესი სკოლის პედაგოგიისა და მეთოდოლოგიის აქტუალური საკითხების კვლევის საქმეში შეიმჩნევა სსრ კავშირში.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიისა და მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის ორგანიზების სრულყოფის, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწის, უმაღლესი სკოლაში შრომის მეცნიერული ორგანიზების საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას პედაგოგიის, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრების მხრიდან მოითხოვს. სამწუხაროდ, ის დიდი პოტენციალური შესაძლებლობები, რომლებიც რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს გააჩნიათ მიზნობრივად, საქმის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სრულყოფილად არ არის გამოყენებული. ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ აღ-

¹ Педагогика высшей школы, Воронеж, 1969, стр. 12.

ნიშნული პრობლემები შემთხვევით კვლევის საგნად არიან ქცეული და მათზე გეგმაზომიერი, კოორდინირებული და ეფექტური მუშაობა დღემდე არ წარმოებს. სამაგიეროდ, წლიდან წლობით ერთფეროვან, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ ვალისმოხდის მიზნით, არაერთგზის შესწავლილი და ცნობილი თემები მუშავდება, რომლებიც კათედრებზე საორიენტაციო განხილვის შემდეგ უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების საცავების თაროებზე ხელუხლებლად აწყვიბა.

საქ. კ. ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში: „პედაგოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიება შესახებ“ ჯერ კიდევ 1969 წლის მაისში აღნიშნა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მეცნიერების ყურადღების გარეშეა დარჩენილი უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხების შესწავლა. ამ დარკში ჩამორჩენაზე აღინიშნა აგრეთვე საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის 13 იანვრის დადგენილებაში, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მუშაობას შეეხებოდა. აქ ხაზგასმულ იქნა, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონე ხშირად ჩამორჩება კომუნისტური შვენილობის თანამედროვე ეტაპს. ცოტა მუშავდება ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების პედაგოგიკას. ამასთან გაუმართლებელია ის გარემოება, რომ ძალზე დიდი ყურადღება ექცევა სახალხო განათლების ისტორიული წარსულის სისტემის შესწავლას.

უმაღლესი სკოლის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის საკითხებისადმი უყურადღებოთბით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ ფაქტურად დღემდე ფეხ ვერ მოიკიდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიზაციის მუშაობის პერსპექტიულმა დაგეგვამ სწავლების მთელ პერიოდზე, რომელიც მიჭირო და ორგანიულ კავშირში იქნება სასწავლო პროცესთან, კვალიფიკაციის სპეციალისტის ყოველმხრივი მომზადების ამოცანებთან. თანამედროვეობის მოთხოვნილებებს არ შეესაბამება აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკის ორგანიზაცია, საზოგადოებრივი პროფესიის ფაქულტეტების საქმიანობა და სხვა ისეთი ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც მტკიცედ დამკვიდრდა სსრ კავშირის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში.

მნიშვნელოვანად აღნიშნულით არის გაპირობებული ის გარემოება, რომ სერიოზული ხარვეზები ახასიათებს სასწავლო გეგმებს, სტუდენტთა ახალგაზრდობის სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის, სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნ-

ველყოფის საკითხებს. ის ფაქტი, რომ სტუდენტობა მინიმალურადაც კი არ არის უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, დაფიქრებას და რადიკალური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ამ ვითარებაში თითქმის წარმოუდგენელია სპეციალისტების დაუსწრებელი სწავლების გზით მომზადება, რომლებსაც, როგორც ცნობილია, საუნივერსიტეტო მეცნიერებაზე დროის ბიუჯეტის მინიმალური რაოდენობა აქვთ გამოყოფილი და ძირითადად დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად უნდა შეისწავლიდნენ მეცნიერებებს.

ძალზედ მწვავედ დგას რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტაბილური სასწავლო გეგმებით უზრუნველყოფის საკითხი. ამის ნათელი მაგალითია პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ცენტრალიზირებული წესით საკავშირო სამინისტროს მიერ შედგენილი სასწავლო გეგმები თუ რომელიმე სპეციალობაზე საკითხებს ვადაქმუნებას და რესპუბლიკის თავისებურების გათვალისწინებას, ეს პირველ რიგში პედაგოგიურ სპეციალობებს შეეხება. ცალკეული საგნების სწავლების გათვალისწინება, მათი მოცულობის განსაზღვრა, სპეცურსების და სტესტინგების დადგენა ზოგ შემთხვევაში სუბიექტურად, არა არსებითი მომენტების გათვალისწინებით ხდება, ის არ არის რესპუბლიკის მასშტაბით კოორდინირებული და ყველა პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებელი თავისი სურვილისა და შეხედულების მიხედვით ახდენს კორექტირებას; რაც მოთავსა, ყველა ცვლილება არ არის მეცნიერულად და მეთოდურად დასაბუთებული, არ შეესაბამება და არ გამომდინარეობს მოცემული დარგის სპეციალისტის მომზადების ხარისხის გაუმჯობესების ამოცანებთან. აღნიშნული ერთ-ერთი ნათელი მაგალითია რუსული ენის სწავლების მდგომარეობა რესპუბლიკის პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში. ის, რაც რესპუბლიკაში დღემდე არსებული სასწავლო გეგმებით არის დაკანონებული, ნათეს ხდის საკითხისათვის არაკვალიფიციურ, ფორმალურ მიდგომას, უფრო მეტიც, გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის 1964 წლის 19 მაისის ბრძანება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს და საშუალო სპეციალური სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად დიდი შეუსაბამებანია დაწყებითი განათლების სპეციალობის სასწავლო გეგმებში. ამის შესახებ არაერთხელ აღინიშნა პრესაში, არსებობს ა.ს. ბუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბჭოს, შესაბამისი ფაქულტეტის საბჭოს, ცნობილი სპეციალისტების და



საბჭოთებელი აზრი, საკითხი მრავალგზის დაისვა სათანადო ორგანოების წინაშე, მაგრამ რაიმე დადებითი, რეალური შედეგები დღემდე მიღწეული არ არის.

ახალი, გაზრდილი მოთხოვნები კიდევ უფრო ნათელყოფს იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, რომლებიც უმალესი განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების საქმეში გავავანია. აღიარებული ფაქტია და არა ერთხელ აღნიშნულა, რომ საქართველო ათას სულ მოსახლეზე უმალესდამთავრებულ სპეციალისტთა რაოდენობით პირველ ადგილზეა და ა. შ. აგრეთვე ყველასათვის ცნობილია ის მიღწევები და მოწინავე პოზიციები, რომლებიც ქართველ მეცნიერებს უკავიათ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ, სამწუხაროდ, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ის დიდი პოტენციალური შესაძლებლობები, რომლებიც ციფრობრივ მონაცემებით გამოიხატება, ზოგჯერ არ შეესაბამება საქმის რეალურ მდგომარეობას.

რესპუბლიკის სინამდვილეში უკანასკნელ ხანებში გაშლილი აშკარა და უკომპრომისო ბრძოლა არსებულ ნაკლოვანებებთან, რაც მთავარია, მდგომარეობის რეალური, მეცნიერული შეფასება ნათელყოფს, რომ სერიალური ხარვეზები გავავანია კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში, რაც მთავარია, მათში კომუნისტური რწმენის ჩამოყალიბების მიმართებით. სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ჩვენი უმალესდამთავრებულები პასიური მეთვალყურენი იყვნენ ყველა იმ სერიალური ნაკლოვანებებისა, რომელთა შესახებ სამართლიანად აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში: „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. სამწუხაროდ, ამავე დროს ისევე ჩვენ უმალესდამთავრებული სპეციალისტთა გარკვეული ნაწილი აქტიური მონაწილე აღმოჩნდა დამნაშავეთა, კომპინატორთა, მწკრთამეთა, გამომძალველთა, კომუნისტურ ორგანიზაციასთან, აღზრდასთან შეუთავსებელ სხვა დამარღვევთა „საქმიანობისა“. ეს ის სპეციალისტებია, რომლებმაც უმალეს სასწავლებლებში 4-6 წელი დაჰყვეს, გაიარეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები, მათ შორის საზოგადოებრივი მეცნიერების დისციპლინები და რადგან დიპლომიც მიიღეს, ცხადია, მათი ცოდნა ყველა საგანში დადებითად, თუ უფრო მაღალ ნიშანზე არა, შეფასებული იყო. ეს ასწავლიდა მათ, როგორ ასწავლიდა დარისთვის ასწავლიდა სკკპ ისტორიას, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, პოლიტიკონო-

მიას, მეცნიერულ-კომუნისტურ, ეთიკას, ესტეტიკას და სხვა ისეთ დისციპლინებს, რომელთა დანიშნულება სპეციალისტის მსოფლმხედველობის ფორმირებაა, როგორ მუშაობდნენ მათთან წლების განმავლობაში პარტიული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აღზრდის რა ფორმები და მეთოდები იყო გამოყენებული სწავლის პერიოდში. აი, საკითხთა ერთი წგუფი, რომლებიც ლოგიკურად წამოიჭრებოდა მოვლენათა ანალიზის დროს. ის უღმრთებელი ბრძოლა, რომელიც მატერიალურ ფასეულობის მომხვეჭველთა წინააღმდეგაა გაჩაღებული, უფრო მძაფრი და ქმედითი უნდა იყოს მათ მიმართ, ვინც სულიერი, ინტელექტუალური, გონებრივი მონაცემები დაავლო, შეიძლება ითქვას, მოპარა ახალგაზრდობას. და რომ დაავლეს, მოპარეს, ეს ნათელია ყველასათვის. რესპუბლიკაში, რომელიც პირველ ადგილზეა უმალესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობით ყოველ ათას სულ მოსახლეზე, სადაც სახალხო მეურნეობაში 1970 წლის ბოლოსათვის 185,4 ათასი უმალეს დამთავრებული სპეციალისტი იყო დასაქმებული, კვალიფიკაციური, საქმის მცოდნე და ორგანიზატორული ჩვევების მქონე კადრების ნაკლოვანებებზეა ლაპარაკი. ამის შესახებ გულისტკივილით, მაგრამ ნათლად და პრინციპულად აღინიშნა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის ივლისის პლენუმზე.

საქმის მეცნიერული, რეალური პოზიციებიდან შესწავლა, რესპუბლიკაში უმალესი სკოლის განვითარების მდგომარეობის ანალიზი ლოგიკურად ცხადყოფს, რომ ხარვეზები და ნაკლოვანებები სერიალური გავავანია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ საბჭოთა უმალესი სკოლის მოწინავე გამოცდილება, მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე ჩამოყალიბებული უმალესი სკოლის გაძლიერების და მართვის პრინციპები, რომლებიც მოცემულია სკკპ XXIV ყრილობის მასალებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მიდვისლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში 1971 წლის 19 ოქტომბერს სტუმრებთან სრულიად საკავშირო შეკრებაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 ივლისის დადგენილებაში, კანონში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის შესახებ, თუ უნარიანად და ქმედითად იქნება გამოყენებული, რესპუბლიკის ყველა აუცილებელი პირობა გააჩნია, რომ ჩამორჩენა დროულად დაძლიოს, კვლავ ღირსეულად და რეალურად დაიკავოს მოწინავე პოზიციები უმალესი განათლების მქონე თანამედროვე სპეციალისტების მომზადების საქმეში.

მკრანე თაქლიზილი

ქართული ფოლკლორის ზოგიერთი მოტივი პოლო იაშვილის პოეზიაში

ქართული პოეზიის გამოჩენილი ოსტატის პოლო იაშვილის შემოქმედებაში ფოლკლორული მოტივების ძიება თითქოს შეუძლებელია. ამ თვალსაზრისს წარმოშობს პ. იაშვილის, როგორც პოეტის უკიდურეს სიმბოლისტად მიჩნევა. ხშირად ჰკონიათ, რომ პ. იაშვილის შემოქმედება თითქოსდა შორსაა ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებისა და ფოლკლორისტული მოტივებისაგან. სინამდვილეში მისი პოეზიის ზოგიერთი ქმნილების ანალიზი საწინააღმდეგოს გვეუბნება. ამ მხრივ ყველაზე ნათელი მაგალითია „წითელი ხარი“. „წითელი ხარი“ პ. იაშვილის სიმბოლისტური პერიოდის ნაწარმოებია. მასში თავმოყრილია სიმბოლისტური სახეები და მეტად რთული, ერთი შეხედვით გაბუნდოვნებული ფრაზები, რომელთა ახსნაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მისტიკურისა და რეალურის თანაფარდობა ამ ლექსში, განისაზღვროს პოეტის კავშირი ქართულ პოეტურ ტრადიციასთან, ფოლკლორთან.

ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში ამ ლექსის გამო გამოთქმულია მოსაზრებანი.

გ. გაფრინდაშვილი წერდა: „პოლო იაშვილის მზის ბოგემას „წითელ ხარების ხედა მებრეობა“. მისი წითელი ხარი, ფარშავანგები არის პეიზაჟი უქულმა და არსად მზეს არ მეთლია ისეთი ლეგენდარული სახე, როგორც ამ ლექსებში. ეს ლექსები ნიღბიანი მზის აკივლებია“.¹

ეს ისეთი ზოგადი მსჯელობაა, რომელაც არაფერს კონკრეტულს არ გვეუბნება იმაზე მეტს, რასაც თვით ლექსი. უფრო მეტიც, ამ მსჯელობაში კიდევ უფრო გაბუნდოვნებულია „წითელი ხარის“ გაცემა.

გულისხმობს რა „ფარშავანგებსა“ და „წითელ ხარს“ ამ სიტყვების ავტორი გვერდს უვლის კონკრეტულ ახსნას და ზოგადად მსჯე-

ლობს. მაგრამ აქ საყურადღებოა ის, რომ მზე თითქოსდა პ. იაშვილის შემოქმედებაში იყოს რღვევისა და დაშლის სიმბოლო, თითქოს მზე უარყოფითი ფენომენია პოეტის აღქმისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ პ. იაშვილს მზე დაახლოებით 50 ლექსში აქვს გამოყვანილი, მათ შორის მზე, როგორც უარყოფითი ფენომენი გვხვდება მხოლოდ ორ ლექსში: „ფარშავანგებში ქალაქში“ და „უქანსკენელი მოვიხსენი ტანსაფარავი“. პოეტისათვის მზე „უცილებელია. ავტობორტრეტში იგი წერს: „შევხარი მზესია“. პოეტისათვის უმზეო დღე არის მგლოვიარე (ზამთარში). ამდენად, მზეს პ. იაშვილის პოეზიაში არ დაუყარავც სიჯანსაღის, სინათლისა და სიახლის ის გაცემა, რაც მომდინარეობს ქართულ პოეზიაში ტრადიციულად.

„წითელი ხარის“ პასაჟების კონკრეტულად ახსნა უნდა მიმდინარეობდეს ერთის მხრივ, თვით ტექსტობრივი მასალის საფუძველზე და, მეორე მხრივ, პოეტის მთელი შემოქმედების შესწავლის გზით. აქ სახელმძღვანელო პრინციპად უნდა რჩებოდეს კონკრეტული ნაწარმოების როლი, მთელი შემოქმედების ავთოგონისწინება კონკრეტული ნაწარმოების გახსნისათვის. ეს ურთიერთგანპირობებულობა გვაძლევს საშუალებას კონკრეტული მასალის სწორი გაცემისათვის. ამასთანავე, როცა ვიკვევით სიმბოლისტი პოეტის ნაწარმოებებს, უნდა გვახსოვდეს, რომ „Символизм, как искусство, всегда двойственен; Каждый символ всегда соединяет собой два элемента, во-первых, то, что символизируется, и во-вторых, то, через что последнее символизируется“.²

და რადგანაც სიმბოლიზმის სპეციფიკა სწორედ, ორჯერადი სიმბოლოს გამოყენებაში მდგომარეობს, მას ხშირად ახლავს ბუნდოვნება, ზოგჯერ მისტიკა. ხოლო ამა თუ



იმ პოეტის თავისებური ფსიქიკური არსების გამო ჩვენ სიმბოლისტ პოეტებში ვხედავთ ნაკლებბუნდოვან და მეტად ბუნდოვან შემოქმედებს. მაგრამ აქ საჭიროა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სიმბოლისტ პოეტთა ბუნდოვანება და მისტიკა, რადგანაც მისტიკა სრულიადაც არ უდრის ბუნდოვანებას და პირიქით. საქმე ისაა, რომ სიმბოლიზში, როგორც მიმდინარეობა და როგორც ლიტერატურული ხერხი სრულ თავისებურებას აძლევს პოეტის, როგორც პიროვნების სუბიექტურ მხარეებს. ამ დროს, ბუნდოვანი სწორედ ის სიმბოლისტი პოეტია, რომელიც გამოსახატავ აზრს სიმბოლიზმის სრულ ხერხს ვერ დაუშორჩილებს. მისტიკოსი კი თავის აზრებს აყალიბებს ახალი მხატვრული აზროვნების ფორმით, ამასთანავე ვერ ეტყევა ამ ფორმათა სფეროში, რაც არსებობდა მკვეთრ ინდივიდუალურობამდე დაყვანილი (ამდენად მეტად თავისუფალი ყოველგვარი შეზღუდვისაგან). და შემოაქვს ქვეცნობიერი, რწმენითი ელემენტები, გარე ძალებისადმი ნდობისა და გაგების ელემენტებიც. მხოლოდ როგორც ხეჩხი და არა აზრი, როგორც ფორმა და არა შინაარსი.

ყოველივე ამის გათვალისწინებისთანავე, უნდა დავემყაროთ იმ პრინციპს, რომ არც ერთი პოეტი, რაც არ უნდა ბუნდოვანი და მისტიკური იყოს იგი ერთი შეხედვით, არასოდეს არ წერს სტრიქონებს აზრის გარეშე, რადგან სოციალური ჩამოყალიბება სტრიქონებად, მინიჭება მათთვის გარკვეული ფორმისა იმას ნიშნავს, რომ ამ ფორმის მიღმა რაღაც აზრი არსებობს, ამის წინააღმდეგ წასვლა ნიშნავს დაუშვად ფორმის არსებობა შინაარსის გარეშე, რაც შეუძლებელია.

რადგან სიმბოლისტი პოეტის შემოქმედებაში არსებითად სუბიექტურის რეალიზებასთან გვაქვს საქმე, ამდენად არა მარტო მისი შემოქმედების მთელისა და ნაწილის ურთიერთგანპირობების ხერხით უნდა ვიკვლიოთ მისი შემოქმედება, არამედ მისი ფსიქიკური არსის გაგებაც. ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ლიტერატურის მკვლევარს მთლიანად და ამომწურავად არ შეუძლია გამოიყენოს, მაგრამ რამდენადმე მაინცაა შესაძლებელი პოეტის ცხოვრების მომენტთა შესწავლით, მისი ქარაქტეროლოგიური პორტრეტის რამდენადმე მიახლოებითი დადგენით.

ჩვენს მიერ წამოყენებული პრინციპები საშუალებას გვაძლევს ორივე ასპექტში განვიხილოთ პ. იაშვილის „წითელი ხარი“. ჯერ ერთი — გასიმბოლოების პირველი სტადიისათვის კონკრეტული აღქმავატების დადგენით და მეორეც — გასიმბოლოების მეორე სტადიის აზრობრივი მიმართებების დადგენით.

„წითელი ხარის“ ანალიზისას საკვანძო საკითხებს წარმოადგენს დადგენა სიმბოლისტური სახეებისა და ცნებებისა: წითელი, წითელი ხარი, ცეცხლი და ალი, შუადღე, ნაღიმი, მზის ქორწილი, ყვითელი სიკვდილი, ყვითელი რქა.

პ. იაშვილის შემოქმედების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მის პოეტურ აზროვნებაში გაბატონებულია წითელი ფერი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა პაოლო გახეთ „კოლხიდის“ ნომერში ბექდავს „წითელ დღეს“. ლექსში „ფარშავანგები ქალაქში“ მოცემულია წითელ ფერთა გრანდიოზული სურათი. პოეტის სიყვარული წითელი ფერისადმი აგრეთვე გამოვლინდა „წითელ ხარში“. საერთოდ სიმბოლისტურ პოეზიას ახასიათებს წითელი ფერის გამოყენება, მისი დაშლა ან გაძლიერება. ამის მიხედვით გვაქვს: სინათლე, ნათელი, ცეცხლი, მეწამული, რიერაჟი, ალისფერი.

წითელი ფერის კონკრეტული მნიშვნელობა პ. იაშვილის შემოქმედების მრავალ ნიმუშთა გათვალისწინებით დგინდება. იგი პაოლო იაშვილის პოეტური აღქმისათვის კავშირშია სიჭანდაღესთან, მხიარულებასთან, განახლებასთან; ამ მნიშვნელობათა მატარებელია ანდა სინონიმი:

სლუმან ოქროს და წითელ ღვარებად
კვირა დღეებით შენი ქუჩები.

ზოგჯერ წითელი ფერი ყველაზე ლამაზ ფერადაა მიჩნეული:

და ქალებს წითელ თავსაფრანავებს,
როგორ უხდებათ მწკრივებში დგომა.

პოეტს ახარებს, რომ „ცისფერი ოთახი წითლად იფარჩება“.

ყველაზე ზუსტად წითელი, როგორც ჯანსაღი ფერი გამოვლინებულია ლექსში „ყურათი“, სადაც პოეტს ახარებს სოფლის ნახირის ჯანსაღი ფერი:

ეს ხომ სოფლის ნახირია,
სულ წითელი ფერის.

მრავალ, ლექსში აქვს პოეტს გამოყენებული წითელი ფერი. იგი თავის პოეზიაში წითელ ფერს აძლევს ყველაზე მეტ სასიცოცხლო ძალას. ლექსში „ღირსი მისამართიდან“ პოეტი წერს:

ოცდაჩვიდმეტი წელიწადი ისე გაცურდა,
როგორც მხატვარს მეგობრობა საყვარელ ფერთან.

უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტის საყვარელი ფერი წითელი ფერია, ამრიგად, წითელი ფერი

მუშაობა თავიშვრილი
ძარბაზული ფოლკლორის ზოგიერთი მოტივი პაოლო იაშვილის პოეზიაში

პ. იაშვილის პოეტური ხედვისათვის არის დადებითი ფენომენი, სინათლისა და სიჭანის სიმბოლო.

ხარის, როგორც ძლიერი, შემოქმედებითი არსების სახე პ. იაშვილის მოგონილი არ არის. ეს ცნება საუკუნეთა მანძილზე იხევეწბოდა ხალხურ სიტყვიერებაში. ხალხური სიტყვიერების მკვლევარი თ. ოქროშიძე წერს: „შუა აზიასა და საქართველოს საუკუნეებით უტარებია ხარის კულტი“.³ ამას ამტკიცებს ისიც, რომ „ხარის თავის გამოსახულება სვეტიცხოვლის და ბოლნისის ტაძრებზე“.⁴ სხვადასხვა ხალხის წარმოდგენებში ხშირადაა ხარი გააღამიანებული და პირიქით. ხარ-კაცის ცნება მრავალი ხალხისათვის ჩვეულებრივია. ხარისა და ადამიანის გაიგივებას ვხვდებით „იგორის ლაშქრობაში“: „დიდება — იგორს, სვიატოსლავის ძეს, მრისხანე ხარსა“.⁵ (სიმონ ჩიქოვანის თარგმანი).

ამგვარი მომენტები ხშირია თვით ქართულ ფოლკლორშიც:

ლაშარს მოიდა თილამე,
დიდგულად დაჭდა ხარია.⁶

ხალხურ ლექსში მამუკა ქალუნდაური შედარებულია ხართან:

გორდი-გორ ჩამოიღოდა, მობუტუნებდა
ხარია.⁷

ამგვარი გააზრებით ხარი გვხვდება პ. იაშვილის პოეზიაშიც. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პოეტს უყვარს ხართან თავისი თავის შედარება. გ. ქიქოძე იგონებდა თუ როგორ ეუბნებოდა პაოლს თავის მამას სუფრაზე: „შენ ხუთ ფეიშვილში მე იმით გამოვიჩიევი, რომ მსხვერპლად შესაწირავ მოწვევს გვაჯობ“.⁷ ხარის ადამიანთან შედარებისას პოეტს მხედველობაში უპირველეს ყოვლისა აქვს უზარმაზარი ძალა რეალურად არსებული ხარისა და არა მისტიკურ-მიოთლოგიური ცნება ხარისა. ერთ ლექსში იგი მშრომელებს ადარებს ხარებს:

როდესაც ხალხის ხორცი და ძვალი
გადაქცეულა მშრომელ ხარებად.

სხვა ლექსში იგი წერს: „რომ ამ დღეებში მე მიტაცებდა მუშაობაში ხარვით ჩაბმა“.

ხარის ამგვარი გაგება იგულისხმავს ს. ცირეკიძემ თავის წერილში „პორტრეტები“, რომელიც დაიბეჭდა 1924 წ. ვახ. „ბარბიკაის“ პირველ ნომერში. იგი წერს: „ქართულ პოეზიას ყავს წითელი ხარი — პაოლი იაშვილი, მისი გაქანება არაა მიატნიკის, რომ იყოს მოზომილი. იმას არა აქვს ორბიტა. მისი ხაზი შემოქმედებაა ყოველთვის“.⁸

ამის შემდეგ გავრცელდა აზრი, თითქოს წი-

თელ ხარში თვითონ პოეტი — იგულისხმებოდეს. ასეთივე გააზრებით ხსნიან ტ. ტაბიძის სიტყვებს პ. იაშვილისადმი:

წითელი ხარის გამძლება მაგარი ჯიში

და იალაღზე შენ იქნები მუღამ
წინამძღვრად.

რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ მცდარია. დღესაც ხარი პოეზიაში ესმით, როგორც პოეტი. მ. ლებანიძე ტ. ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსში წერს:

გამწვევი ხარის ვენაცვალე ქედს და
ძალ-ღონეს.⁹

როგორც ვხედავთ, პ. იაშვილის ლექსში „წითელი ხარი“ გულისხმობდნენ და გულისხმობენ თვით პოეტს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გაგება მცდარია. წითელი ხარი არ უდრის თვითონ პოეტს.

წითელი ხარი, როგორც სახე, პოეტს აღებული აქვს ქართული ზეპირსიტყვიერებიდან ისევე, როგორც უბრალოდ ხარის სახე.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ერთი-ორი მაგალითი როდია ცნობილი, რომ ხარის ღვთაებრივი ცნების დადასტურებასთან ერთად გვხვდება წითელი ხარის სახეც. თამარ ოქროშიძე მიუთითებს, რომ სევანურ თქმულებაში იღორის ხარის შესახებ ნათქვამია, რომ სამსხვერპლო ხარს თავზე წითელი ქული ეხურა“.¹⁰ ხოლო ე. ეირასალაძის გამორკვევით „წითელი ძოწეული შეიძლება იყოს აგრეთვე წმინდანის სიწმინდის მაჩვენებელი“.¹¹ ასევე შ. ამირანაშვილის მტკიცებით წითელი ვადასფარებული ცეცხლის, მზისა და აღდგომის სიმბოლო იყო.¹²

ამრიგად, წითელ ხარში ჩვენს ზეპირსიტყვიერებას მოუხდენია ორი ცნების კონტამინაცია და წმინდა ხარის სახით წითელი ხარი წარმოადგინა. ასევე, პ. იაშვილის ლექსში წითელი ხარი მიჩნეულია წმინდა ცხოველად. ახლა ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს ლექსის ბოლო სტროფის მესამე სტრიქონი:

და მზის ცხოველს, ყვითელ რქებით
ქვეყნად ცეცხლის ფრთით რომ დაღის,
ჩვენ ვადიდებთ წმინდა ქებით
და ვუჩქარით ალურ ნაღის.

მაგრამ ჯერ ჩვენ მანც არ ვიცით წითელი ხარის კონკრეტული მნიშვნელობა. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ წითელი ხარი წმინდა არსებია, რომელსაც წმინდა ქებით უნდა ვუმღეროთ. მიგმართოთ კვლავ ზეპირსიტყვიერებას, საიდანაც პოეტმა აიღო ეს სახე: „საქართველოში, ხარის უძველესი კულტის სამშობლოში „წიქარას“ სახელით ჩვენს წინაშე წარმოსდგა წითელი ხარი, რომელიც ფერით მითოლოგიაში ცეცხლის ფერს ეხმაურება. ზღაპრის მიხედვით ეს ხარი არის პოეზიის, სიმღერის მომტა-



ნი ამ ქვეყნად.¹³ ჩვენთვის ცნობილია ამბავის განვითარება ზღაპარში, რომელიც თ. რაზვიაშვილის მიერ ფშვეშია ჩაწერილი: წიქარას მიპყავს ვაჟი ტრიალ მინდორზე, სადაც ალვის ხე იდგა, შესვა ზედ და მისცა ორი საღამური, ერთი საქარო, ერთი ხალხინო.¹⁴

ზეპირსიტყვიერების ამ ნიმუშში მკაფიოდ ჩანს წიქარას დამოკიდებულება პოეზიასთან, მუსიკასთან, ხელოვნებასთან ზოგადად. რაც შეეხება სახელის ეტიმოლოგიას, ჩვენთვის ძნელი არაა წიქარა-ში დავინახოთ წითელი ხარი: წიქარა—წიქარა—წითელ—ხარა. ამის პარადიგმულ მაგალითად მოგვყავს წიფლა-შღრ: წიფლა—წითლა—წითელ+თლა.

ამრიგად, შეიძლება გადავრით თქვათ, რომ წიქარა — წითელი ხარი არის პოეზიის სინონიმი ზღაპრის მიხედვით. ამგვარი გავებით აქვს პ. იაშვილს აღებული იგი ხალხური სიტყვიერებიდან. გვაქვს თუ არა ამის დამამტკიცებელი საბუთები თვით პოეტის შემოქმედებაში?

1918 წ. დაწერილ ლექსში „თორმეტი წლიდან...“ პოეტი შესჩივის ბედს პოეტური კრიზისის დღეობაზე. ემდურის „ბრაზიან კაცს“ ანუ მუზას ამ კრიზისის მოვლინებისათვის. შემდეგ კი ამბობს:

გაღამეშენდენ დღეს წითელი ჩემი ხარები.

ეს ფრაზა მრავლისმეტყველია. ჯერ ერთი, ამტკიცებს, რომ წითელი ხარი არ უდრის პოეტს. მეორეც, გასაგებად გვეუბნება, რომ წითელი ხარები ლექსებია, პოეზიაა საერთოდ. წითელი ხარი რომ ლექსს უდრის და წითელი ხარები ლექსებს, ამას ამტკიცებს „წითელი ხარიდან“ სიტყვები:

ხარსა ხარი მისდევს მუხსთან,
ვის დაითვისს წითელ ხარებს?

ამრიგად, წითელი ხარები უთვალავნი არიან, როგორც პოეზიის შვილები — ნამდვილი ლექსები. წითელი ხარი რომ კონკრეტულად პოეზიას და ლექსს გულისხმობს, ეს ჩანს ე. ლეონიძისადმი მიძღვნილ ლექსშიც:

შენი ლექსი წითელ ძროხის ჭოგია.

ამ შემთხვევაში ძროხა არ უდრის ფურსს, იგი ზოგადი ტერმინია საქონლის მნიშვნელობით. „ძველ საქართველოში ძროხასა და ხარს ერთ ტერმინში „ზროხა“ აერთიანებდნენ.“¹⁵ ეს გავება, დაკულია დღევანდელ ინგლოურში „ზროხა“. ამგვარი გავება არაა უცხო ლიტერატურული ქართულსათვისაც: „წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი“ ან კიდევ: „მერე მე ძროხა ვის ჩავებარო?“ („კაკო ყაჩაღიდან“).

ამრიგად, ყოველგვარი საფუძველი გვაქვს გადავრით განაცხადოთ, რომ პ. იაშვილის პოეტური წარმოსახვისათვის წითელი ხარი უდრის ლექსს, პოეზიას. ახლა, როცა წითელი ხარის

ცნების საკითხი გარკვეულია, ჩვენ შეგვეძლოს ამ საკითხზე წერტილის დასმა, ერთი გარემოებაზე რომ არ იყო.

„წიქარას“ ვარიანტებით ცნობილია, რომ წიქარაზე ამხედრებულ ვაჟს მამა მისდევს მოსაკლავად, აქ წიქარა არის მსხნელი. იგი ვაჟთან ერთად გაურბის რეალურ სინამდვილეს ვაჟის მამის სახით რომ წარმოსდგა. ეს მომენტი ზუსტადაა დაკული „წითელ ხარში“. ამდენად, ჩვენთვის გასაგებია უნდა იყოს პ. იაშვილის წითელი ხარის ქროლოგიკენ, არამოწიერ სამყაროსაკენ: „ცისკენ მიჰქრის კვენსით ხარი“. ხოლო ამავე დროს ზღაპრიდან ცნობილია, რომ წიქარა გაუტბის რა ვაჟის მამას, ქმნის დებრკოლებებს უკან. ეს მოტივი ლექსში ასე არის რეალიზებული:

ცისკენ მიჰქრის კვენსით ხარი,
მიწა რქებით მონათხარი ნაკვერცხლებად
სცვივა პაერს.

სიტყვაში „კვენსით“ ჰვენ გვემის წიქარას თავამეტებული და თავანწირული სიბრძოლი — ვაჟის ვადასარჩენად. ხოლო მიწის ნაკვერცხლიანი ბელტები წარმოგვიდგება როგორც დაბრკოლება, შექმნილი ხელოვნურად. წითელი ხარი აჩენს სხვა სიძნელესაც. მაგალითად, ტევრს: „ხარის ლანი გაჩნდა ტევრში“. ზღაპრის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით წიქარა ვაჟს აძლევს სავარცხელს. როცა ღორზე ამხედრებული მამა წამოეწევა წიქარას, ვაჟი ამ სავარცხელს გადააგდებს და მათ შორის აღმოცენდება ძნელი დაბრკოლება — ტყის ტევრი გაუვალა.

ამრიგად, ლექსში მოცემული ქართული ზღაპრის მოტივები, რაც ბუნებრივად უკავშირდება რეალური სამყაროდან გაქცევის სიმბოლისტურ გავებას. რის შედეგადაც ვლბულობთ სტრქიონებს:

მიწის სუნთქვა აქ ფრთებს ვერ შლის
ვერ შლის სურვილს ათასნაირს

და შემდეგ კი ცნობილ სიტყვებს: „ყველა მზის-კენ! ყველა მზეში მიწა ველარ გავგაზარბეს!“ ამრიგად, შეიძლება გადავრით ვთქვათ, რომ ლექსის საფუძველი წმინდა ეროვნულია. რაც შეეხება ლექსში ზღაპრის გადაღრას, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს პ. იაშვილისათვის არაა მოულოდნელი და უჩვეულო. ალი არსენიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი წერს:

გვეჩვენებოდა ეს იმერეთი
არაბულ ზღაპრის დამოლოებად.

წითელი ხარის სახის უკეთ გამოკეთისათვის საქაროა გავსნათ ლექსში მოცემული სხვა ეპი-

მუზიან თავდოშილი
ქართული ფოლკლორის ზოგადი მოტივი
პაოლო იაშვილის პოეზიაში

თებებიც. „ცხელი და ჩქარი“, „ყვითელი რქები“, „ცხელი ცახცახი“, „ჭვეყენის ცეცხლი“, „ყვითელი სიკვდილი“, „ცეცხლის ფრთები“, „მზის ნაღიმი“, „ცეცხლი და ალი“, „მზე“ და სხვა.

ცეცხლი და ალი პ. იაშვილის შემოქმედებში უმეტესად ნიშნავს პოეზიის ცეცხლსა და ალს. მაგალითად:

მაგრამ ყოველთვის მირჩევნია **ცეცხლის**
ანთება,
ჩემი ოცნების **ნაპერწყალები** ხალხს
გაღვუფანტე.

არტურ რემბოსადმი მიძღვნილ ლექსში წერია:

ცეცხლით ავსილს! პოეზიის მძიმე ჩვენება...

აქ ცეცხლით ავსილად იგულისხმება პოეტი ა. რემბო.

ლექსში „ვერპარან“ — ვერპარანის „ივილი მკვეთრია ვით **ცეცხლის** შურდული“, რადგან აქ ვერპარანის კვიცილი პოეზიის კვიცილთანაა გაიგივებული. სხვაგან პ. იაშვილი პირდაპირ მიუთითებს პოეზიის ცეცხლში პოეტის ტვინის გახვევის ამბავზე:

მაგრამ ვინ იცის, რა **ცეცხლშია** გამოხვეული ეს ჩემი ტვინი, დასაქცივი, ტვინი ვერანი.

რადგანაც, პოეტისათვის პოეზიის სუნთქვა არის ცეცხლი, ამდენად გასაგებია წითელი ხარის ეპითეტი „ცხელიც“, რომელშიც, რაღა თქმა უნდა, იგულისხმება პოეზიის სითბო. ეპითეტი „ჩქარი“ კი თავისთავად გასაგებია. მზისკენ მჭრალავი წითელი ხარის დასახსიათებლადაა მოხმობილი. ამრიგად, ლექსის მიხედვით წითელი მოჩვენების ანუ წითელი ხარის ცხელი ცახცახი იგივეა, რაც პოეზიის სუნთქვა, პოეზიის სითბო. ცეცხლის ფრთიანი ცხოველი — წითელი ხარი დაქრის. ამიტომაც გასაგებია, რომ „გაგაფდება ალით მხარე“ ე. ი. პოეზიის სუნთქვით, ცეცხლით აივსება გარემო.

ახლა გასარკვევია რას უდრის სტროფი: „ჭვეყენის ცეცხლი რკალში სახლობს, ის რაც ცოცხალს შავად ახმობს, რაც ტყეების დასანგრევად, ცხელ ზაფხულში ჩვენსკენ იღტის“. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფიზიკურისა და სულიერის დაპირისპირებასთან. ცნობილია, რომ სიმბოლოსტი პოეტების უმეტესობა უპირისპირებდა ფიზიკურსა და სულიერს ერთმანეთს; ხოლო ზოგი შესაძლებლად თვლიდა სულიერი ცხოვრების ფიზიკურისაგან დამოუკიდებელ არსებობასაც. მაგალითად, ა. ბელი. აი, რას სწერს ამის შესახებ აკაკი გაწერელია: „კანტი, ყველა ყაიდის მისტიკოსები და, ბოლოს, რუდოლფ შტაინერი, რომლის თეოსოფიური მიძღვრება სხეულის გარეშე სულის არსებობის თავისებურ დამტკიცებას ლამობდა და რომლის უერთგულესი აღებტიც რუსეთში ბელი

აღმოჩნდა — — აი, ვინ იყვნენ **პოეტურ ბურგის** ავტორის მასწავლებლები“.

პ. იაშვილი აქამდე არ მისულა. „ორივე ფეხებით მიწაზე მდგომ პოეტს“ აქ მოცემული აქვს დაპირისპირება მომავლად, მიწიერ, ქვეყნის ცეცხლისა და პოეტური, უვცლავი ცეცხლისა. პოეტი არ ცდილობს საგნების (საყაროდან გავიდეს მის მიღმა. მიწიერ ცეცხლს არ შეუძლია გაქცეს მიწას, გავიდეს მიწის რკალიდან და მოთაროს სხვა, ვთქვათ, ირაციონალური სამყარო. იგი შეზღუდულია და შემოსაზღვრული რკალთ: „ჭვეყენის ცეცხლი რკალში სახლობს“. ეს ცეცხლი არაა დადებითი ფენომენი, ისეთი რამ, როგორცაა პოეზიის ცეცხლი, წითელი ხარის ცეცხლი. ეს ცეცხლი არის ის, რაც ჩვეულებრივ „ცოცხალს შავად ახმობს“, ე. ი. წვევს, ანახშირებს, ანადგურებს. ეს ცეცხლი არაა ამადლებული საწყისის ცეცხლი. იგი წითელი ხარის მიერ საშველად აღმოცენებულ ტყის ან ტევრის „დასანგრევად“ ქვეყნის ცხელი ზაფხულის დროს იღტის ჩვენკენ. იგი არ ეხმარება სიკეთის საწყისის, „ოქროს მტვრიანი ტყის“ აღმოცენებასა და სიკეთესს. ამიტომაც, თავისი არსებით ჩვენ „ყვითელ სიკვდილს“ გვიგზავნის. ამ სტროფს წინ უძღვის სიტყვები: „ყველა მზისკენ ყველა მზეში! მიწა ველარ გაგახარებს!“ ე. ი. მაშინ, როცა პოეტი აქებს მზის ცეცხლს, რომლისკენაც მიჰქრის წითელი ხარი თავისი ცხელი სუნთქვით, უარყოფს მიწის ცეცხლს, რომელიც „რკალში სახლობს“. ყოველდღიური ცხოვრება, მიწიერი წვრილმანი საქმეები, ანუ ქვეყნის ცეცხლი წვევს პოეტის სულს, უგზავნის „ყვითელ სიკვდილს“, რომელშიც იგულისხმება პოეტის სულიერი, პოეტური სიკვდილი.

მზე არის ყველაზე მძლავრი ფენომენი ამ ლექსის რეალიზების იგივე კუთხეს რომ ანათებს. რას ნიშნავს იგი კონკრეტულად?

პოეტის შემოქმედებაში მზის ყულდი, საერთოდ და ძირითადად, ქართული ეროვნული პოეზიის ტრადიციის გაგრძელებაა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამოჩაყლის „ფარშავანგები ქალაქში“, მზე მისი პოეტური წარმოსახვისათვის არის პოეტური ვნებისა და წვის წყარო. სწორედ იმ თავისებურებად გაგებული ცეცხლისა და ალის ანდა ნაპერწყლების წყარო. ხშირად იგი პოეტური განწყობილების წყაროცაა:

რომ ანთებულმა ცაში ბუხარმა,
მზემ — ჩემს გუნებას შეუწყო ხელი.

ზოგჯერ მზე არის დამხმარე ფაქტორი პოეტური აღმადგენის გასაძლიერებლად:

მაგიდას პარანას ყვითელი მტვერი,
მზის ოქროს წვერი, ხვრელიდან ესობა...
და გლის კარნახს კალამის წვერი.



ლექსში „ბაღის ამბავი“ მზე არის გამოყვანილი, როგორც „ლექსის დასაწყისი ქარის“ ამომობრავებელი, ხოლო ლექსში „მწვერვალებში“ მზე მიჩნეულია „ლექსის გერბად“.

მზეს შეუძლია გამოსცვალოს ყველაფერი. იველისხმება სულიერ სფეროში.

ლალის კომკები, სიდიადე ზღაპრულ სახლებს,

რაღ გვაწვავლებდა ყველაფერი
მზემ გამოსცვალა.

ამავე ლექსში ვ. გაფრინდაშვილს, როგორც პოეტს იგი მიმართავს:

მაგ თვალთა ცქერას უხარია
მწველი სახე მზის,

სხვა ლექსში იგი, როგორც პოეტი, საკუთარ თავს თვლის მზის თანასწორად:

შენთვის ვოცნებობ მე სონეტით
მაღიბებელი,
და შენით ელლი, ანთებული მზის
თანასწორი.
(სონეტი ელლის)

ხოლო ვერპარნის სიკვდილი მისთვის არის „მზის დაბნელება“, პოეზიის წყაროს სიკვდილი.

ნ. ლორთქიფანიძე პოეტია, ხელოვანია. ამიტომაც იგი ემორჩილება მზეს და იაღონს“, ხოლო ა. რეშბო პოეზიის მზეა: „მაკადამებში ჩაიტანე მზე უნახავი“, ანუ ის ლექსები, რომლებიც სიკვდილის გამო დაიღუპნენ. მზე რომ პოეტის გააზრებით პოეტური ენების წყაროა, რომ მხოლოდ მას შეუძლია პოეტს მოკვდაროს „ზაფხულის ჯოგი“ ანუ ლექსები, ამას ადასტურებს ლექსი „დატრიალება“: „მოდის ფარნებით მზის არღანით ზაფხულის ჯოგი, მჭერა ლექსები კიდევ თავზე დამესხმებინა“.

საგულისხმოა, რომ ეს ლექსი 1915 წელსაა დაწერილი და პოეტის მიერ მზის აღქმის ნამდვილ სურათს წარმოგვიდგენს. მზის ამგვარი აღქმა გაპყვა პოეტს ბოლომდე. უკვე 1926 წ. დაწერილ ლექსში „პოეზია“ კვლავ ამგვარ გააზრებასთან გვაქვს საქმე:

გაგიყვება სჯობს თუ გათავდა სიტყვის
მაღანი,
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით
ვეღარ დახვებდი.

ამრიგად, პოეტისათვის მზე წარმოადგენს პოეტური აღმფარების წყაროს. ამიტომაც გასახებია წითელი ხარის ლტოლვა მზისაკენ.

ბ. იაშვილისათვის ყვითელი ფერი ავადმყოფობის, საშინელებისა და სიკვდილის ფერია. იგი მხოლოდ იქ გვხვდება, სადაც, ჩვეულებრივ, არასასურველ სიგნებსა და მოვლენებსა საუბარია. პოეტის შემოქმედების შესწავლისას ირ-

ვევს, რომ ყვითელი ფერი უარყოფითი ფერია. მაგალითად, იგი არის ციების ფერი:

ყვითელ ორპირში ყანჩების კვალზედ,
დადის პოეტი, შიშით, ციებით.

ყვითელს, როგორც ავადმყოფური ფერის გააზრება გვხვდება ლექსში „კოლხიდის პირველ მოსახლეს“:

სახე ყვითელი და მოზაფრანო
და თითქოს გულიც მოხარულია.

პოეტი ყვითელ ლექსებად მიიჩნევს არაჯანსაღი სულით განწყობილ ლექსებსაც. ტ. ტაბიძის ქალღეაზე დაწერილ ლექსებს იგი ყვითელს ეძახის, ხოლო მათ მკითხველს სწეულს:

მეც შემომხედე შენი ყვითელ ლექსებით
სწეულს.

ზოგან პოეტისათვის ყვითელი ნიშნავს მკვდარ პოეტს, ან ძველ პოეტს; მკვდარ ვერლენს ყვითელი თმები აქვს:

მე მორიდებით მის ყვითელ თმებს
სხივს დაგაფენდი.

ხოლო დანტე ძველი პოეტია: „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე“.

წმირად ყვითელი საშინელების ფერია:

შენს სასახლეში ყფეს ყვითელი
საშინელება.
(ვერპარნი)

ამრიგად, ბ. იაშვილისათვის ჩვეულებრივი სახეა: „ყვითელი ფერი“, „ყვითელი სიკვდილი“, „ყვითელი მასწავლებელი“. ლექსში „წითელი ხარი“ წითელ ხარს აქვს „ყვითელი რქები“ — რქების გააზრება აქ ასეთია, როგორც იარაღისა, რომელიც მომავლიდან მომავლი ნების სიმბოლოა ყვითელი ფერი. ბ. იაშვილისათვის ყვითელის ანტიპოდი წითელია. თუ ყვითელი სიკვდილის ფერია, წითელი სიცოცხლის ფერია. თუ ყვითელი სიძველის ფერია, წითელი მზიარულის, ცინცხლის, ახლის ფერია. ხშირად ახალ, ჯანსაღი ლექსები პაოლოსათვის წითელია, ან სისხლის ფერია ყვითელისაგან საწინააღმდეგოდ:

შენს ალყაფთან მსურს დეაღლაგო
ლექსები, როგორც სისხლის წვეთები
(თბილისი).

გ. ლეონიძის მშვენიერი ლექსები მის „წითელი ძროხის ჯოგად“ მიანია, მაშინ, როცა გ. ტაბიძის ქალღეუბი ლექსები ყვითელ ლექსებად წარმოუდგენია.

მურმან თავაღვივილი
ქართული ფოლკლორის ზოგირითი მოტივი ბავლო იაშვილის კომპოზიცია

ყვითელი ფერის ეს გავება დასტურდება „წითელ ხარშიც“. ამის შემდეგ ჩვენთვის გასაგებში უნდა იყოს, თუ რატომაა „მიწა რქებით მონათხარი“ და არა ფლოკეებით. წითელი ხარის იარაღი, მომავლდინებელი სიმუხლებია არის „ყვითელი რქები“, ამიტომაც მივიღეთ „მიწა რქებით მონათხარი“. მაგრამ როგორია დამოკიდებულება პოეტისა „ყვითელი რქებისადმი“, ამ თავისთავად უარყოფითი საგნისადმი? რატომ აქვს პოეტი ყვითელრქიან ცხოველს და, ამდენად, ყვითელ რქებსაც?

ყვითელი რქებით
წითელი ხარი
ცხელი და ჩქარი
ვადიდოთ ქებით.

საქმე ისაა, რომ წითელი ხარი თავისი ყვითელი იარაღით, პოეზიის ცეცხლს რომ აფრქვევს პოეტის სხვა ხარების მსგავსად, დაპირისპირებულაა მიწიერ, „ქვეყნის ცეცხლთან“, იმ ცეცხლთან, რომელიც ჩვენ, პოეტებს, გვიგზავნის „ყვითელ სიკვდილს“. ამიტომაც პოეტი აქვს ქვეყნის ცეცხლთან დაპირისპირებულ ამალაბულ ძალას, რომელსაც აქვს თავისი ყვითელი შურისძიება — ყვითელი რქები“.

ლექსში გვაქვს სტრიქონები: „ქვეყნის ამღერება იქნება მზის ნადიმი შუადღის მშვენიერება“.

„სანადიმოდ მოსაწყევად, ჩვენ გვიგზავნის ყვითელ სიკვდილს“.

და ვუჩქარით ალურ ნადიმს.

სიტყვა „ნადიმი“ პირველად პ. იაშვილს შე-
მოაქვს ლექსში „მეორეს“. (1913 წ.) აქ ნადიმს
ლხინის, ღრეობის მნიშვნელობა აქვს:

ჩვენ ამ ნადიმს რას დავეძებთ,
სხვების ღზენას რას ვუყურებთ?

ლექსი იმითაცაა საინტერესო, რომ მას მიწე-
რილი აქვს უცნაური თარიღი. 1913 წ. კვირა,
შუადღე. რომელი თვის კვირაა არ ჩანს. მაგრამ
აქ საინტერესოა „შუადღე“.

შემდეგ, 1915 წ. დაწერილ ლექსში „ქორ-
წილი“ გვაქვს ნადიმი. აქაც იგი ნიშნავს ლხინს,
ქორწილს.

მოსწყინდა ნეფეს ეს ნადიმი და სილამიზე.

ე. ი. ნადიმი ყველგან ღრეობას უდრის.
„ალურ ნადიმში“ ჩვენთვის ალურიც გასაგებია.
იგი პოეტურს უდრის. ამდენად, „ალური ნა-
დიმი“ ნიშნავს „პოეტურ ნადიმს“. ეს გასაგებ-
ბიკაა: „ალური ცხოველს“ ვადიდებთ და ვუჩქარ-
ით „ალურ ნადიმს“ ანუ პოეტურ ნადიმს,
ხოლო თუ „ქვეყნის ამღერებაში“ დავინახავთ
მიწის პოეტური ძალების აღზევებასა და
ლტოლვას მზისაკენ, როგორც პოეტური წვის
წყაროსაკენ და თუ გავიხსენებთ რომ ქართუ-

ლი ფოლკლორის მიხედვით მზე შეჩქარდება და-
ქორწინდეს და თუ მოვიგონებთ მისი მნიშვნელობის
სტროფის: „მზის ქორწილის დროს შენ დავექცევი
მზისფერ სილაზე“ (პირამიდებში), მაშინ გასა-
გებია იქნება „მზის ნადიმის“ მნიშვნელობაც,
ანუ მზის ღზენი ქვეყნის ანუ მიწის პოეტური
ძალების მზესთან, პოეტური ვნების წყაროს-
თან დაქორწინების გამო, რომელსაც ასე მოუთ-
მენლად ელის პირველი შუამავალი მზესა და
მიწის ძალებს შორის — წითელი მოჩვენება
წითელი ხარი (ლექსი).

„მზის ნადიმის“ არსს უფრო ნათელს ხდის
„შუადღის მშვენიერების“ ახსნა.

სხვადასხვა ლექსებიდან ირკვევა, რომ პ.
იაშვილისათვის შუადღე ნიშნავს პოეტურ ძალ-
თა აღზევების, სიმწიფის ხანას, პოეტურ მწიფო-
ბისთვის, შუადღეს.

ზემოთ ჩვენ საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ
ლექსს „მეორე“ მიწერილი აქვს თარიღი, რომ-
ელშიც დომინირებს „შუადღე“. პოეტი სიმ-
ბოლურად მიგვიითებებს თავისი პოეტური აღ-
ზევების დროზე, ღღის იმ ნაწილზე, რომელიც
ყველაზე მეტად აღიზიანებს მის პოეტურ ძა-
ლებს. სხვა ლექსში „დატრიალება“ (1915) მი-
თითებულა იმაზე, რომ მისი პოეტური სიტყვა
მხოლოდ შუადღეში მიჰქრის ხანჭლად. აქ რომ
„სიტყვა“ პოეზიას უდრის ეს უამკველია.

თუ ჩემი სიტყვა შუადღეში ხანჭლად
მოჰქროდა,
ისევ ცხენზე ვარ და ვაგრძელებ ქროლავს
ღეზიანს.

ისევ ვაგრძელებ პოეზიას ოქროს ხმებიანს.

შუადღის ამგვარ ახსნას მხარს უჭერს უფრო
გვიან დაწერილი ლექსი „თორმეტი წლიდან...“
(1918). აქ პირდაპირაა მითითებული იმაზე,
რომ „მზიან პოეტს“ ღამე „უპირებს ჩათრე-
ვას“, ამიტომაც იგი „ხანჭლიან შუადღეს ვერ
იხედება“. აქ იმავე სახესთან გვაქვს საქმე. შუ-
ადღე ხანჭლიანაა — ე. ი. პოეზიის აღზევების
დრო არის ხანჭლივით მჭრელი სიტყვებით სავ-
სე. ამავე ლექსში პოეტი სწუხს, რომ „ვედარ-
უმდერის შუადღის შადრევანს“. შუადღის შად-
რევანი იგივე ლექსების თავსხმაა, პოეტური
აღმაფრენის შადრევანია — ჩვენს ლექსში
„შუადღის მშვენიერების“ სახით რომაა მოცე-
მული.

გამოდის, რომ წითელი მოჩვენება მოუთ-
მენლად ელის იმას, რომ ქვეყნის (მიწის) პოე-
ტური ძალების ამღერება იქნება მზის ქორწი-
ლი ანდა ნადიმი — შუადღის მშვენიერებით
სავსე ანუ ხანჭლიანი ლექსებით, ჭანხალი პოე-
ზიით სავსე.

ამრიგად, საბოლოოდ „წითელი ხარი“ ასე
უნდა წავიკითხოთ:

1) წითელი ხარი ანუ პოეზია, რომელსაც

აქვს მომავლინებელი იარაღი ყვითელი რქების სახით — უნდა ვაღიღოთ, შევქაოთ.

2) წითელი მოჩვენება, იგივე წითელი ხარი, რომელიც პოეტისთვის მოჩვენების სახით არსებობს, როგორც სინთეზი მომავალი კეთილი საწყისისა, მოუთმენლად ელის იმას, რომ ქვეყნის, მიწის პოეტური ამღერება იქნება მზის ლხენა, ნაღიმი. მზე — პოეზიის წყარო შეუეროდება თავის შვილსაც, პოეტურ ძალებს მიწის ლექსების სახით და ეს იქნება პოეზიის ზემი, და მზის ქორწილი, ნაღიმი.

3) პოეტური ალით განათლება მიწა — „გაგიუღბა ალით მხარე“. ხოლო ამის შემდეგ წითელი ხარი, როგორც პირველი შემავალი მზისა და მიწის პოეტურ არსებებს შორის მიქრის მზისკენ. წინ ყოველგვარ დაბრკოლებას ანგრევს „ყვითელი რქებით“ ანუ მომავლინებელი იარაღით, ანგრევს ყველადერს, რაც ხელს უშლის პოეზიის ბედნიერებას. იგი ისევე ანგრევს კლდეებსა და კედლებს რქებით, როგორც ზღაპრული წიქარა. დაბრკოლების, ტევრის გავლისას აღმოჩნდა, რომ „მიწის სუნთქვა“ ანუ მიწიერი არსება აქ „ფრთას ვერ შლის, ვერ შლის სურვილს ათასნაირს“. მაშინ, როცა ამაღლებული არსება, მზიური არსი პოეზია — ცეცხლის ფრთათა სუნთქავს, ზეიმობს, გაურბის მიწიერ ტევრს და გადის მის საზღვრებს მიღმა, მზისკენ.

4) ხარები ანუ ლექსები მრავალია. მაგრამ მათი პირველი გზის მანგინებელი არის „წითელი ხარი“ (შეგვიძლია ვთქვათ პაოლის ლექსი), რომელსაც სხვა ხარები მიჰყავს მზისკენ, რომელიც სხვებს წინამძღოლობს. გავიხსენოთ ტ. ტაბიძის ლექსი:

წითელი ხარის გამძლეობა მაგარი ჯიში
და ილაღზე შენ იქნები მუღამ
წინამძღვრად...

ეს სიტყვები იმას კი არ ნიშნავს, რომ პ. იაშვილი არის წითელი ხარი, არამედ იმას, რომ როგორც წითელი ხარი არის ხარების წინამძღოლი, ისევე შენ, როგორც პოეტი, ჩვენს შორის, პოეტებს შორის იქნებიო წინამძღვრად.

ხარები, როგორც ვთქვით, მრავალია. „ხარსა ხარი მისლევს მზესთან, ვინ დაითვისს წითელ ხარებს?“ და რადგან მზისკენ ლტოლვა არის პოეზიის ბედნიერება, ამიტომაც მოუწოდებს პოეტი ყველა ლექსს ანუ ხარს: „ყველა მზისკენ! ყველა მზეში მიწა ქელარ გაგვაზარებს!“

5) ლექსში ერთმანეთს უპირისპირდება ქვეყნის, მიწიერი ცეცხლი და პოეტური ცეცხლი. პირველი არის უბრალო ჩვეულებრივი, ის, რაც წავს და ანადგურებს, ანახორებს, ანგრევს ტყეებს და თავისი მიწიერებით პოეტებს, ჩვენს „ყვითელ სიკვდილს“ გვიგზავნის.

6) ამიტომაც, მზის ცხოველს, ყვითელრქო-

სანს, ქვეყნად რომ სხვაგვარი ცეცხლის ფრთოდ დაქრის, ჩვენ ვაღიღებთ „წმინდა ქებით“, როგორც პოეტურ, ამაღლებულ არსებას და მშობიარეობა პოეტურ ანუ ალურ ნაღიმს.

ლექსში აუხსნელი დაგვჩა მხოლოდ ერთი ფრაზა: „ზღვა აღარ ჩანს ოქროს მტვერში“. ამ ფრაზის ძირები პ. იაშვილის შემოქმედების სხვა ნიმუშებში არ იძებნება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოცემულ ფრაზაში არ იყოს რაიმე აზრი. ამას ამტკიცებს ა. ბელის პოეტური პროზის ნიმუში „არგონავტები“ წიგნიდან «Золото в лазурі». „არგონავტების“ მიხედვით დიდი მწერალი მიდის მზისათვის, როგორც არგონავტები — ოქროს ვერძისათვის. მწერლის „ოქროს ისარსაც“ არც ჰქვია. როცა არგონავტები ზღვაზე არიან, მათ წამოეფარებათ ბერძნული კაკალი ანუ მზე, რომელიც თვალბს უბრძანებს მზისკენ მიმავალ არგონავტებს. «Над морем повис золотой гречий орех, заливающий солнечнось».¹⁸ რის შედეგად არგონავტები ზღვას ევლარ ხედავდნენ. „წითელ ხარში“ ეს ფრაზა ა. ბელისაგან წამოღებულ სახედ უნდა მივიჩნიოთ, რადგან მათ შორის სხვაობა მხოლოდ მზის სახეობრივ დახატვაში იჩენს თავს. ა. ბელის მზე არის «Золотой гречий орех», მაშინ, როცა პ. იაშვილის მიხედვით „ოქროს მტვერია“. მაგრამ ეს ფრაზა ამხუერებს დიდ და არსებით განსხვავებასაც ა. ბელის „არგონავტებსა“ და პ. იაშვილის „წითელ ხარს“ შორის. ჭერ ერთი. ა. ბელისა და არგონავტების ლტოლვის მზისკენ ხელმძღვანელობს დიდი პოეტი, ე. ი. ადამიანი. პ. იაშვილის პოეტური ლტოლვის მზესთან მიტანა კი დაავლებული აქვს წითელ ხარს, ლექსს, პოეზიას. ამ შემთხვევაში წითელი ხარი დაცლილია სხვა შინაარსისაგან ვარდა პოეზიისა, ხოლო ფორმის მხრივ იგი წიქარა და ამდენად ეროვნული, ქართული. ამიტომაც შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „წითელი ხარის“ შინაარსის გამოხატულებას პლანი რეალურია (მზისკენ ისწრაფვის ლექსი, პოეზია), მაშინ, როცა ა. ბელის „არგონავტების“ შინაარსის გამოხატულების პლანი არარეალურია, მოჩვენებითა (მზისკენ ისწრაფვის პოეტი, რაც შეუძლებელია).

ისმება საკითხი. რით განსხვავდება პ. იაშვილის სიმბოლიზმი ა. ბელის სიმბოლიზმისაგან, კერძოდ, „წითელ ხარში“?

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული მაგალითები ამტკიცებენ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აპრიორულად მიღებულ დებულებას პ. იაშვილის ჯანსაღ სიმბოლისტობაზე, რის

მუხრან თავიფილი

ქართული ფოლკლორის ზოგიერთი მოტივი პაოლო იაშვილის პოეზიაში

არგუმენტებით დამტკიცებასაც ჩვენ ქვემოთ შევეცდებით.

შხისკენ სწრაფვის მომენტი ახასიათებს მთელ სიმბოლიზმს. იგი რუსმა სიმბოლისტებმა მეტისმეტად განვიადებულ ფორმებში წარმოგვიდგინეს. კ. ბალმონტის წიგნში უსასრულოდაა განდიდებული მზე და ცა — როგორც შხის საუფლო. ბალმონტთან შხისკენ ისწრაფვის მერცხალი (ლონეტი «Ласточки»), სადაც ერთგვარი დამთხვევაა ა. ფეტანა, რომელსაც აგრეთვე მიაჩნია თავისი „მე“ ილინ შხის პატარა ნაწილად. მაგრამ ა. ფეტისა და კ. ბალმონტის შემოქმედებაში ჯერ ერთი იდუმალი განზრახვაა შხისკენ ლტოლვისა. ამ სწრაფვას გარკვეული კონსტრუქციით ვხვდებით ა. ბლოკის „თორენტში“, სადაც ა. ბლოკმა რელიგიური შეფერილობა მისცა შხის. შხისკენ ლტოლვა ვნებიან მოწოდებად გადაიქცა ა. ბელის პოეზიაში, რომელთანაც გარკვეული ფილოსოფიური თეორიის ამოკითხვაც არ გვიძინებდა; მთელი ქვეყანა და ამიტომ პოეტის „მე“-ც ოდესღაც წარმოადგენდა შხის ნაწილს. შემდეგ მისგან გამოყოფის გამო შხის ერთი სხეულის ორმა განფენილობამ ცალ-ცალკე არსებობისათვის მიიღო ერთმანეთის საწინააღმდეგო სულოერი დამუხტვა, რის გამოც პირველს აკლია მეორე და მეორეს პირველი. მათი ლტოლვა ერთმანეთისაკენ არის მოცემული როგორც ერთის, იხე მეორის პოტენციაში ქვეცნობიერად, იდუმალად. ამ ლტოლვის რეალიზება შეიძლება მხოლოდ ოცნებაში, რადგან სინამდვილეში ეს წარმოუდგენელია, შეუძლებელია უკვე სუბიექტის ფორმადელი ამაღლებული „მე“ სინამდვილეში შეუერთდეს თავის საწყის პირველ არსს — მზეს როგორც მარადიულს. მაგრამ ადამიანისათვის ბედნიერება არის ამ ლტოლვის, როგორც უმაღლესი სურვილის რეალიზება. ამიტომაც ა. ბელის წინააღმდეგობას ქრის მისტიკით. ეს მისტიკა კი ფრ. ნიქშეს „ზეკაიის“ ფილოსოფიით სუნთქავს. საქმე ისაა, რომ არვის მეთაურს სურს ვაიკეთოს ზეადამიანური საქმე. ამ საქმედ მის მიაჩნია ხალხის დაიმედება საბოლოო ტყუილით. რაც იქნება უცვლელი იმედის წყარო; რომელიც აჯობებს ყველაგვარ რელიგიას, ყოველგვარ საზოგადოებრივ წყობაზე იმედის დამყარებას და ა. შ. მან იცის, რომ იგი მოკვდება, მაგრამ ისიც სჯერა, რომ ხალხს ჩააგონებს შხისკენ არსებული გზის იმედს. და აი, მიწის პირველი ელჩი შხისაკენ მიდის: «Мой Арго-золотая стрела, пушенная с земли к солнцу. Довольно солнечности разгуливать по гостям. Теперь принимай ты, солнце сам дорогий гостей...»

არგონავტების მეთაური კი ასე ამართლებს არგონავტთა მოსალოდნელ სიკვდილს მზეზე: «Еще не было на земле никого, кто бы мог придумать последний обман, навсегда избавляющий человечество от страданий».¹⁹

ამგვარი ფილოსოფიური საკითხი აქვეყნის „წითელი ხარის“ ავტორსაც. მაგრამ ამ ლტოლვის საგანი მზე მაგიური ძალის მქონე, როცა პ. იაშვილისათვის მზე სიცოცხლისა და ამდენად პოეზიის წყაროა, მისთვის ენერჯის მიმცემი და განწყობილების შემქმნელი ფენომენია და მისი შეილება არიან ლექსები. ზოლო, შხის, როგორც პოეტური თავისუფლების ძიება ორივესთან ერთნაირია: «За солнцем, за солнцем, свободу любя» Золото руно».²⁰ ზოლო პ. იაშვილთან: «ყველა შხისკენ ყველა მზეში მიწა ვეღარ გავჯახარბეს!»

მაშინ, როცა „შხის ცხოველი“ პ. იაშვილისათვის, რეალურად არსებული ხარია, ა. ბელისათვის იგი კენტავრია, დანტასტიკური არსება, რომელსაც პოეტი ძმის უწოდებს, რადგან იგი შხის ელჩად მიაჩნია მიწაზე: «О где ты, кентавр, мой исчезнувший брат — С тобой, лишь стобою я встретиться рад». ამ ძახილის შემდეგ «Кто-то... Копитамы землю сырую взрывал» ეს კენტავრია. იგი ეუბნება პოეტს: «Здорово товарищ.. Я слышала твой зов... к тебе я примчался из безднх веков».²¹

ამის შემდეგაც პოეტი აღტაცებული და ბედნიერი: «Я счастья не мог позависть своего».²²

როგორც ვხვდებით ეს ფილოსოფიაც მისტიკითაა შეფერილი. ძახილი, გაგონება, იდუმალი ქვეყნიდან კენტავრის გამოცხადება და ა. შ.

ა. ბელის ეს ლექსი „კენტავრი“, გვიდასტურებს ჩვენს ასსნას ერთი სტროფისა „წითელი ხარისადა“. „მიწა რქებით მონათხარი ნაკვეთილებად სცივდა პერს“. შევადართ ა. ბელის: «Копитыми землю сырую взрывал». კენტავრი ფლოქვებით თხრის მიწის. წითელი ხარია კი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ — რქებით, რადგანაც რქები არის „შხის ცხოველი“ მომავკენიანებელი იარაღი, რის გამოხატვაც სიმბოლურად „ყვითელ“ ფერის დაევალი. პოეტის ფსიქიკაში ყვითელი ფერი ჩამოყალიბდა როგორც უარყოფითი ელემენტი და ამით საზრდოობს ახლა „ყვითელი რქების“ გაგება „წითელ ხარში“. ამას შემდეგი მომენტიც ამტკიცებს: შეუძლებელია პ. იაშვილი არ იცნობდეს ა. ბელის სახეს ლექსიდან,

«Не тот». «Над тополем и в небе, и в воде горит кровавый рог».²³

ამავე ლექსში კვლავ მეორდება ეს სახე: «Над тополем погас кровавый рог». მიუხედავად ამისა, პ. იაშვილი „ყვითელ რქებს“ ამჯობინებს. ეს ფაქტი ამჟღავნებს აგრეთვე პ. იაშვილის, როგორც პოეტის იმ თავისებურებასაც, რომ იგი ვრდიდება მისტიკურ სახეს, მაგრამ მხატვრული სახეების გრანდიოზული და არანეულობრივი წარმოსახვით აჯარბებს ა. ბელის. სხვაგვარად რომ ვთქვათ ა. ბელის მის-



ტრია ფერმილულია. მაშინ, როცა პ. იაშვილის ლოკუბწითელა სიმბოლიზში ნათელი, მხიარული სტრაქონებითა ხავსე. მაგალითისათვის შევადაროთ ერთმანეთს ორი მსავას სტრაქონი. ა. ბელის «Копытами землю сыруу взрываа». ეს სახე პ. იაშვილთან დიდებულ ცეცხლოვან სურათს ემსგავსება იმის გამო, რომ მონათხარი მაშა წარმოდგენილია ნაკვერცხლის ბელტეზად:

მიწა რქებით მონათხარი ნაკვერცხლებად სცვივა ჰაერს.

წითელი ფერი ა. ბელისთან ყოველთვის იღუმალი, გამოუცნობი ფერია:

«Сквозь туман горит пара красных глаз». (Пригвожденный ужас).

ანდა კავშირშია მისტიკურ ჩვენებებთან, ვამპირებთან და ა. შ. პ. იაშვილთან წითელი ფერი მუდამ მხიარულ, სიცოცხლის ან სიხალისის სინონიშია (გარდა გამონაკლისისა: «ფარშავანგები ქალაქში»). ამავე ვაგებითა იგი «წითელ ხარში», როგორც ეს ზემოთ იყო ნახვენი.

ა. ბელისათვის ნადიმი ლექსიდან «Пир» არის ბოროტებისა და სიკეთის მისტიკური ლხინი. ამ ნადიმზე ატროფირებული სახითაა წარმოდგენილი სიკეთეც და ბოროტებაც და ამიტომაც მათ შორის სრული თანხმობა სუფევს. ეს ნადიმი მიწიერ არსებათა, ჩონჩხთა და მგლოტ გიგანტთა მისტიკურია, მაშინ, როცა «წითელ ხარში» ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება ორი ძალა, ქვეყნიური ცეცხლი და ამაღლებული, პოეტური ცეცხლი. პ. იაშვილი უარყოფს ბოროტ ცეცხლს და აღიდავს კეთილ ცეცხლს. ამ მხრივაც პ. იაშვილი მკვეთრად გაემიჯნა ა. ბელის და უკეთეს, უფრო რეალურ პოზიციებზე დადგა.

ა. ბელისათვის კენტავრი არაა პოეტური ძეღა. იგი პოეტის მიერ ყურით მოთარეული «პეგრის სონაეია». ამიტომაც კენტავრი ტეხს ლირის: «Он лиру разбил» (Песнь Кентавра), მაშინ, როცა წითელი ხარი თვითონ არის ლირა, პოეზია, ლექსი. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა წითელი ხარისა და კენტავრის განსხვავება, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს «წითელი ხარის» ფოლკლორულ ძირებზე წიქარას ზღაპარში.

ეს სხვაობა ა. ბელისა და პ. იაშვილის პოეზიას შორის შეიძლება სხვა ლექსების ანალოგიურ თემათა და პასაჟთა შედარებით კვლავ გაიზარდოს, მაგრამ მოცემული ლექსის მიხედვით ესეც საკმარისია ზოგიერთი დასკვნის გამოსატანად.

«წითელი ხარი» ქართულ ეროვნულ ნაიდაგზე აღმოცენებული სიმბოლისტური სახეებით გაწყობილი ლექსია, რომელშიც ცნებებში: მზე, წითელი, ცეცხლი და სხვა, ძირითადად ეროვნულ ტრადიციებს უკერძ მხარს, რასაც ვერ ვიტყვი ლექსზე «ფარშავანგები ქალაქში».

«წითელი ხარის» მიხედვით ადვილად მტკიცდება ის, რომ პ. იაშვილისთვის უცხოა ავადმყოფური სიმბოლისტური ვარჯიშობანი. ამ მტკიცების ერთ-ერთ ძლიერ საფუძველს წარმოადგენს პოეტის მჭიდრო კავშირი ქართულ ფოლკლორთან.

«წითელი ხარის» სახეთა სისტემის ჩვენეული გაზრება იძლევა ვასალებს პ. იაშვილის მრავალ სხვა ნაწარმოებთან სწორი ვაგებისათვის. განსაკუთრებით კი ლექსისათვის «ფარშავანგები ქალაქში». თავისი ფილოსოფიური არსებით «წითელი ხარი» «მერანისა» და «ლურჯა ცხენების» კვალს მისდევს.

შ ე ნ ი ვ ე ნ ბ ი :

1 გ. ვაფრინაშვილი, «პეიზაჟი უკუღმა», ვაზ. «ბარბიკადი», 1922 წ., № 5.
 2 Элис, Русские символисты «Мусагет», М., 1910, стр. 227.
 3 თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 131.
 4 იქვე, გვ. 157.
 5 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1960 წ., გვ. 134.
 6 ავ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, 1931 წ., გვ. 11.
 7 გ. ქიქოძე, რჩეული თხზ., ტ. I, თბ., 1963 წ., გვ. 311.
 8 ს. ცირეკიძე, პორტრეტები, ვაზ. «ბარბიკადი», 1924 წ., № 1.
 9 მ. ლებანიძე, ერთობეული, თბ., 1972, გვ. 353.
 10 თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 139.

11 ე. ვირსალაძე, ბარბოლ-ბარბარი ქართულ ფოლკლორში, საქ. მეცნ. აკ. შობამე, ტ. 5, 6, № 2, 1955, გვ. 165.
 12 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1968 წ., გვ. 89.
 13 თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969 წ., გვ. 143.
 14 რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 173.
 15 თ. ოქროშიძე, ქართული ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები, ქართული ფოლკლორი, III, თბ., 1969, გვ. 133.
 16 იქვე, გვ. 133.
 17 ავ. ვაწყრელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1962 წ., გვ. 251.
 18 А. Белый, Золото в лазури, М., 1904, გვ. 198.
 19 იქვე, გვ. 199.
 20 იქვე, გვ. 7.
 21, 22 იქვე, ლექსი «კენტავრი».
 23 იქვე, გვ. 26-30.

მისანე კვიციანი

ნიკოლოზ ზაბოლოცკი და ქართული პოეზია

„პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა ჯერ კიდევ ომამდე გამაცნო საქართველო, მისი ისტორია და კულტურა. ჩემი ყურადღება მიიპყრო ქართულმა ლიტერატურამ“. — მადლიერების გრძნობით იგონებს ნიკოლოზ ზაბოლოცკი.

ქართველი პოეტებიდან, ზაბოლოცკის ყველაზე ახლო ურთიერთობა სიმონ ჩიქოვანთან ჰქონდა. მათი პოეტური ნატიურის სხვადასხვაობა ხელს არ უშლიდა ყოფილიყვენ ახლო მეგობრები, გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის აზრები, წლების მანძილზე ერთად განეხილათ ქართული პოეზიის თარგმანის საკითხები.

პირველად ერთმანეთი გაიცნეს ლენინგრადში, მწერალთა სახლში, ქართული პოეზიის საღამოზე. ზაბოლოცკიმ გაცნობისთანავე მორიდებით უთხრა: მე ქართული პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი ვარ. მართალია, დიდი ხანი არაა, რაც დავიწყე მისი შესწავლა, მაგრამ უკვე მოვასწარი რამდენიმე ქართველი პოეტის შეყვარება.

ერთი წლის შემდეგ ზაბოლოცკი და სიმონ ჩიქოვანი ერთმანეთს შეხედნენ მინსკში, მწერალთა კავშირის პლენუმზე, რომელიც მიეძღვნა პოეზიის საკითხებს. აქ მათი მეგობრობა კიდევ უფრო გაღრმავდა. ზაბოლოცკიმ სიმონ ჩიქოვანს წაუკითხა ახალი ლექსები: „ჩრდილოეთი“, „შემოდგომა“, „ზამთრის დასაწყისი“.

მისი შეხედულებები პოეზიაზე, ხელოვნებაზე, — იგონებს სიმონ ჩიქოვანი — გამოირჩეოდა მეცნიერული სიზუსტით. მის სულიერ სამყაროში საოცარი სიანებები ჩნდებოდა. მას პოეზია სისხლსა და ძვალში ჰქონდა გამჯდარი.

ბუნება ზაბოლოცკისათვის არა მარტო თვალთახედვის ობიექტი, არამედ პოეტური ანალიზის თავისებური სივანია. ამიტომაც, რომ მის პოეზიაში ყველაფერი ახლად და მეცნიერულად შემოწმებული გვეჩვენება.

ნ. ზაბოლოცკის — „გორის სიმფონია“ და ს. ჩიქოვანის „გორი“ დაიწერა მათი თავისებური შემოქმედებითი ურთიერთშეთანხმების შედეგად, 1936 წლის ზაფხულში ცნობილ უკრაინულ პოეტ მიკოლა ბაჟანთან ერთად გორში ყოფნის დროს.

ასევე დაკავშირებული არიან ნ. ზაბოლოცკისა და სიმონ ჩიქოვანის გაცილებით გვიანდელი ლექსები „გომბორის ტყე“ და „გომბორზე გადასვლა“, რომლებიც შთაგონებული იყო 1957 წლის შემოდგომის განუყოფელი სურათებით; აქ თვით გარეგანი, ჰერეტითი მასალა მოითხოვდა ერთი და იმავე ხასიათის გამოსახველობით ფორმებს, მაგრამ მაინც ნიშნდობლივია, რომ ორივე ლექსის ავტორმა აირჩია პოეტური ამოცანის არსებითად ერთგვარი ფერწერული გადაწყვეტა.

ნ. ზაბოლოცკისა და ს. ჩიქოვანის პოეზიაში ხშირია ასეთი ხასიათის შეხვედრები. ორი პოეტის მრავალწლოვანი შემოქმედებითი სიახლოვე გამოვლინდა ისეთ კონკრეტულ მხატვრულ თვისებებშიც კი, როგორცაა, მაგალითად, გარეშე სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენის პოეტური აღქმა. აქ შეიძლება დავასახელოთ ზოგი სახე, რომელიც ყურადღებას იპყრობს საოცარი მსგავსებით. მაგალითად, ნ. ზაბოლოცკის ერთ-ერთ ლექსში „წვიმა“, „ცისა და დედამიწის შორის ათას ძაღვად გაბმული წვიმის“ პოეტური სახე, რომელიც „საკუთარ სიმებზე უკრავს და მღერის“, უნებლიეთ მოგვაგონებს სიმონ ჩიქოვანის ლექსს „წვიმაში“, სადაც „ქარიშხალი ადერის სიმებს მოაშრიანებს, თითქო პანგია წვეთთა ხმებით შესრულებული“. უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ნ. ზაბოლოცკიმ თავის დროზე თარგმნა ს. ჩიქოვანის სხენებული ლექსი.

აქ საჭიროა გაითვალისწინოთ კიდევ ერთი



საყურადღებო თემაზე, რომელიც ამ ორ პოეტს აახლოებს — გარკვეული ნათესაობა თვით პოეტური გამოხატვის საშუალებათა სფეროში.

როგორც ნ. ზაბოლოცის, ისე ჩ. ჩიქოვანისთვისაც პოეტური იდეის ზორცშესხმის რჩეულ ხერხს სახეების ფერწერული ვაზარება წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, რომ ზაბოლოცის ცნობილი სტროფი:

Любите живопись поэты,
Лишь ей единственной дано,
Души изменчивой приметы
Переносить на полотно.

ენმარება სიმონ ჩიქოვანის სიტყვებს: ხელთაწერი ჰგავს ბაღარს და დაღარს ვგონებ, ფერაა მშვენიერა ლექსის. სიმონ ჩიქოვანმა, გრძნობდა რა, რომ ზაბოლოცი დიდად ჩაწვდებოდა ქართულ პოეზიას, სთხოვა გაცნობოდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას და მისი პოემების თარგმანა ეცადა. «აუცილებლად შევეცდები, — მიპასუხა ნიკოლოზ ზაბოლოციმ, — მე უკვე ვიცნობ «სტუმარ-მასპინძლის» მწერელ თარგმანს და აღტაცებაში მოვედი, მაგრამ ახლა უნდა დავამთავრო გრიგოლ ორბელიანის ლექსების თარგმანი» და მან წაგვიყიბნა თავისი შესანიშნავი, უკვე კარგად ცნობილი «საღდეგრძელის» თარგმანი». — წერს ს. ჩიქოვანი.

ამ დღიდან მოყოლებული სიმონ ჩიქოვანსა და ნიკოლოზ ზაბოლოცის შორის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. «მეჩვენება, — იგონებს სიმონ ჩიქოვანი, — თითქოს მისი სამუშაო მაგიდა დგას ჩემი ფანჯრის ახლოს და მე თვალყურს ვაღწევებ საყვარელი მეგობრის ამღვლელებელ შრომას, ვხედავ, როგორ თარგმნის ქართველ კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარმოებებს და როგორ ამოწმებს თავისი სმენით ამ მაგიდიდან აფრენილი სტრიქონების მუსიკალობას».

პოეტს საქართველო უსაზღვროდ უყვარდა. მან, თავისი მეგობრების წყალობით, ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებები, ადათ-წესები, ქართული ბუნების სიდიადე და ქართული სტუმართოვეყარობა აგავო და შეიყვარა. ზაბოლოცი სტუმრებს ღია გულით ხვდებოდა, ღრმად და ქართული წესების დაცვით.

პოეტმა შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე — საგურამო, ქვიშხეთი, კახეთი, ქართლი, ჩარკალი.

ზაბოლოცი საუკეთესო ლექსებს წერს საქართველოში. მას ქართული ბუნება წარმოუდგება, როგორც წარსულის პოეტური სულებით დასახლებული, მათი მარად ცოცხალი გულის ძვრათა და უკვდავი სიმღერით აქღერებული სამყარო.

ლექსში «საგურამო» პოეტი მიმართავს პატარა წყაროს:

Я твой родничок, Сагурамо,
Наверно, вовек не забуду,
Здесь каменных гор панорама
Вставала, подобная чуду.

ლექსებში «ღამე ფასანურში», «მე ვეხებოდი ეკალიბტის ფთოლებს» პოეტი უმღერის ქართულ ბუნებას, რომელიც ამ დროისათვის მისი მეორე პოეტური საშობლო ხდება. ბუნების სურათებში მას, ერთი მხრივ, ინდუსტრიული შრომის, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ისტორიის სახეები შეაქვს. ასეთი რამ ახასიათებს ქართველი ლირიკოსების მრავალ ლექსს, რომლებიც პოეტმა გადათარგმნა აგრეთვე, ზაბოლოციმ თავისი ზეგავლენა მოახდინა მათზე.¹

შესანიშნავ ლექსში «მე ვეხებოდი ეკალიბტის ფთოლებს» ქართული ბუნების (აჭარის) სახეები ერწყმის მოგონებებს მოსკოვის ტყეზე, «где нежная волга стонет над светлым видением луга».

1958 წელს, მოსკოვში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში, ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ განხილვაზე ზაბოლოცი ამბობს: «Связи наши с грузинской поэзией неисчислимы. Когда начинаешь вспомнить об этом, каждая мысль ветвится, на каждой ветке висит золотой плод, каждая ветка покрывается яркой зеленью, вот я и заговорил метафорами в духе грузинской поэзии».²

რუსი პოეტი არა მარტო ბევრს აძლევს ქართულ კულტურას, არამედ თვითონაც ბევრს იღებს.

ნ. ზაბოლოცი, როგორც ქეშმარიტი მეგობარი, სულითა და გულით შეჰხაროდა ყოველ ახალ ელსადგურს ქართულ მდინარეებზე, ყოველ ახალ ქუჩას თბილისში და ქართველ პოეტებთან ერთად აღტაცებული სიტყვით ხვდებოდა ჩვენი ცხოვრებაში მომხდარ დიად გარდატეხებს.

1936 წლის შემოდგომაზე პოეტი ქალაქ გორს ნახულობს და ერთი თვის შემდეგ აქვეყნებს ლექსს «გორის სიმფონია», რომელშიც თავის ღრმა სიყვარულს გამოხატავს ქართველი ხალხისადმი. ზაბოლოცი გორის სიმარგრების მომაჯადოებელ სურათებს მაღალფარდოვანი სტრიქონებით გადმოგვცემს. პოეტი გორის შემოდგომას მუქი საღებავებით გვიხატავს. პოეტის თვლი, მიჩვეულია რა სამხრეთის ბუნებას, ქართული ბუნების სიდიადესა და მშრობელი ხალხის კეთილშობილებას თავისებურად აღბეჭდავს.

ცისნანა კვიციანიძე
ზაბოლოცი და ქართული კომიზი

Привет тебе, мой брат имеретин,
Привет тебе, могучий карталинец,
Мегрел задумчивый и храбрый осетин
И с виноградной чашей кахетинец.

ზაბოლოცი ლექსში «Тбилиские ночи» ქართველი ქალის პატივსენებასა და სიწმინდეს უმდრის, მის შვიდ ხასიათს აღიარებს ქალის სილამაზის გამომხატულებად.

საქართველოს სინამდვილემ რუსი პოეტის შემოქმედებაში ბიძგი მისცა არა მხოლოდ ამ განწყობილებათა წარმოშობას, არამედ სპეციფიკური პოეტური სახეების შექმნასაც. ზაბოლოცის «ქართულ» ლექსებში თავისი ბრწყინვალე განხორციელება პოვა, კეჩიოდ, მთელი მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელმა მისწრაფებამ ეპიური საწყისისაყენ. თავის ცნობილ ლექსებში «გრემის კოშკი», «ხრამპისი», «ღამე ფსანაურში» და სხვ. რუსმა პოეტმა შექმნა მთელი რიგი რეალისტური სახეებისა, სადაც საოცარი სიღრმითა და ორგანულობით ისახა ქართველი ხალხის წარსულისა და აწმყის თავისებური ეროვნული სული. აქ განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ის კეთილისმყოფელი შემოქმედება, რომელსაც რუს პოეტმა ახლენს არა მხოლოდ საქართველოს სინამდვილე, არამედ ქართული პოეზიის ცნობილი ტრადიციებიც. ზაბოლოცის მიერ შექმნილი ეპიური ხასიათის სახეები ამჟვე დროს გამოთბარი არიან შინაგანი ღირებებით, რაც ახლობელსა და გასაგებს ხდის მათ მკითხველის თვალში.

ქართულ ფოლკლორულ სტიქიასთან ზიარება, მისი ღრმად ჰუმანური სულის შეთვისება წარმოადგენს ერთ-ერთ იმ მიზეზთაგანს, რის შედეგად ზაბოლოცის ლექსი იქნეს თავისებური სიტბოსა და უშუალობას. მართალია, ნიკოლოზ ზაბოლოცის პოეტური ხმას ბოლომდე შერჩა ვეჟაკური თავშეკავების ინტონაცია, მაგრამ «ქართულ ლექსებში» იგი მეტად გულითადობითა და სიწრფელით გამო-
არჩევა.

უბრალო, გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვებით წერს რუსი პოეტი საქართველოს მიეზზე:

С тех пор мне братьями сделались горы,
И нет мне покоя, когда на трубе
Поют в сентябре золотые Гомборы,
И гонят в просторы и манят к себе.

ნიკოლოზ ზაბოლოციმ დიდი მთარგმნელობითი მუშაობა ჩაატარა. მას სამართლიანად აკუთვნებენ იმ ბრწყინვალე მთარგმნელების რიგს, როგორცაა მარშაკი, პასტერნაკი, ტიხონოვი, მარტინოვი, ლაპინა, ლაბინსკი და სხვ.

1946 წელს მოსკოვში, მწერალთა კრილო-

ბაზე ზაბოლოცი ამბობს: «Я не ученый, а художник и перевод мой не претендует на научную точность. Я стремился к тому, чтобы он легко запомнился, но в то же время я не хотел бы, чтобы он был воспринят как вольное переложение «Слова».

ზაბოლოციმ ააქცერა რუსულ ენაზე ქართული პოეტური კლასიკის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ქმნილება — რუსთაველი და გურამიშვილი, გრ. ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. რუსი მკითხველი მისსავე თარგმანში გაიგნო ქართული ფოლკლორის შედეგებს და ქართული საბჭოთა პოეზიის რიგ ნაწარმოებებს (ტ. ტაბიძე, კ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, გრ. აბაშიძე, კ. კალაძე, ი. ნინეშვილი, მ. ქელიძე).

ზაბოლოციმ თავისი თარგმანებით საშვილი-შვილი საქმე გააყეთა და მეგობრობა ქართველ და რუს ხალხს შორის კიდევ უფრო განამტკიცა. ქართული ენა არ იცოდა, მაგრამ წაიხიზვა შედეგი და ქართული ლექსის მუსიკალურ ძღერადობას შესანიშნავად გრძნობდა. ზემარად იცოდა სტროფები «ვეფხისტყაოსნიდან», აგრეთვე ზოგერთი სტრიქონი გურამიშვილის «დავითაინიდან». «ღლიღლი და», «ღიღბა, სახით მზეთა მზეო», — გურამიშვილის ამ სტრიქონების ხშირი ვამეორება უყვარდა. ამასთანავე შენიშნავდა, რომ თარგმანში შეუძლებელია შეინარჩუნო ლექსის მუსიკალობა. მისი აზრით, მთარგმნელმა უნდა იცოდეს ის ენა, საიდანაც თარგმნის.

ქართველი პოეტებიდან ზაბოლოცის დ. გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა უყვარდა. თუ მის მიერ თარგმნილ ვაჟა-ფშაველას პოემებში გმირების დამაბული მოქმედება შედარებით წყნარი ინტონაციითაა გადმოცემული, სამაგიეროდ პეიზაჟი მთელი სისუხტითაა აღწერილი. გურამიშვილის თარგმნისას პოეტმა შეძლო შეინარჩუნებინა ხალხური პოეტური მეტყველების ბუნებრიობა, აფორისტული, პოეტური გამოთქმები, მრავალრიცხოვანი მეტრულრიტმული შესაბამისობანი აბოვა და მთელი მუსიკალობით შექმნა პოეზია რუსულ ენაზე. ასევე დაიცვა ღირიკული ინტონაციის სრული ღირსება და პლასტიკური სახეების სიმდიდრე გრიგოლ ორბელიანის თარგმნისას. პოეტმა თბილისური, ხალხური კოლორიტი, პოეტური მეტყველების გაქანება და თავისუფლება შეინარჩუნა.

ზაბოლოცი დიდი მონღომებით სწავლობდა ძველ ქართულ ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, საქართველოს მიწაზე შენახულ არქიტექტურულ ძეგლებს.

ზაბოლოციმ თარგმნა ქართველი ხალხის საუნჯე — შ. რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი». რუსთაველმა იმდენად მოიხიზლა ზაბოლოცი, რომ პოეტმა ორჯერ თარგმნა «ვეფხისტყაოსანი». ამასვე ადასტურებს მისი ტიციან



ტაბიძისადმი მიწერილი წერილი. ეს ნაწყვეტი მოგვეავს უფრო ვრცლად:

«Ленинградский Детиздат поручает мне сокращенный перевод и обработку для детей — Руставели. Инициатива этого дела исходит от меня. Кажется, это нужное дело. Во всяком случае, современный русский массовый читатель и особенно школьник переводом Бальмонта пользоваться не смогут. Обработка, которую я затеваю, послужила бы делу популяризации Руставели в широких массах современного русского читателя.

Я понимаю, что это трудное и ответственное дело, тем более, что нужно выполнить в течение года с тем, чтобы в самом конце юбилейного года книжка уже вышла из печати».³

მართლაც, ზაბოლოციმი რუსთაველის პოემის შესანიშნავი ტრანსკრიპცია ვააქეთა ბეჭდვებისათვის. მთელი რუსი ახალგაზრდობა მოუთმენლად ელოდა ქრუნალ «კოსტიორის» მორიგ ნომერს, სადაც 30-იან წლებში გაგრძელებებით იბეჭდებოდა «ვეფხისტყაოსანი». ამ თარგმანმა დიდი როლი შეასრულა და მილიონობით მკითხველს შეეყვარა უკვდავი ქმნილება.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზაბოლოციმი უდიდესი მუშაობა ჩაატარა ქართული კლასიკის თარგმნის დარგში, იგი, ამ გამოცდილებით გამდიდრებული, კვლავ დაუბრუნდა «ვეფხისტყაოსანს», ამჯერად სრულად თარგმნა «რუსთაველის პოემა» (1957).

აკადემიკოსი ალ. ბარამიძე წერს: «მკითხველი საზოგადოების მოლოდინი არც ვამტყუნებულა: ჩვენ მივიღეთ საბავალითო პოეტური სიფაქიზითა და ოსტატობით აღბეჭდილი თარგმანის ტექსტს. ზაბოლოციკის თარგმანი გამართულია მშვენიერად, ლაღი, გამომეტყველო და მოქნილი რუსული ენით. ეს თარგმანი მკითხველს აგრძნობინებს რუსთაველური პოეტური სიტყვის სიღარბისულსა და სინარჩარს, აზრის სიღრმესა და სიძლიერეს, თხრობის დინამიკურობას, ლექსის სინატიფეს; თარგმანში თითქმის დაცულია ორიგინალის მეტრული საზომი (მონაცვლეობს თექვსმეტ და თხუთმეტმარცველიანი საზომი), სტროფული სისტემის ხასიათი, რიტმი, კატრენული რითმა; მალაღი და დაბალი შიორების ნაიროსახეობანი საზოგადოდ მინიშნებულია ვაჟური და ქალური რითმების გამოყენების საშუალებით»⁴.

ზაბოლოციკისათვის უსაზღვროდ ახლობელი და გასაღები იყო «რუსთაველის სიბრძნე» (იგი ასე უწოდებს თავის შესანიშნავ წერილს რუსთაველზე). მის სულში გამოძახილს პოულობს ის ლირიკული პარამონიაც ადამიანსა და ბუნებას შორის, რომელიც მღერალი ავთან-

დილის სახით არის გამოხატული და თითქმის 600 წლის შემდეგ ვაჟა-ფშაველამ საფუძვლად დაუდო მთელ თავის პოეტურ მსოფლშეგრძნებას. ავთანდილი ბულბულზე უტყებულ მღერის და მთელი გამოღვიძებული ბუნება — მხეცნი და ქვანი — უთანავრობს მას:⁵

მიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ დასწყევდლის
 ცრემლთა რუსა,
 მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა
 ჰვეანდის ბუსა.
 რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი
 მოვიდიან,
 მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა
 ვამოსხდიან,
 ისმენდიან, გაკვირიდიან, რა ატირდის,
 ატირდიან;
 იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ
 ცრემლნი სდიან.

ვანა ამასვე არ ამბობს ზაბოლოციკის ლირიკული გვირი ამ სტრიქონებში?

Сияла ночь, играя на пандури,
 Луна плыла в убежище любви,
 И снова мне в садах Пасанаури
 На дух Арагвах пели соловьи.
 И я лежал, схватившись за камня,
 И надо мной, сверкая, выл поток,
 И камни шевелились в иступленьи
 И бормотали, прыгая у ног.

ვეფხისტყაოსნის არც ერთი გვირი არ იყო ავთანდილივით საყვარელი და სულიერად ახლობელი ზაბოლოციკისათვის. მას ავთანდილი მიანიჭდა რუსთაველის რენესანსული, ჰუმანიტური კონცეპციის ყველაზე აქტიურ მატარებლად. პოეტი სწორედ ამას ვულისხმობს, რომ წერს წერილში «რუსთაველის სიბრძნე»:

«რუსთაველი თავისი დროისათვის უადრესად განათლებული და მოწინავე ადამიანი იყო. ევროპულ რენესანსამდე დიდი ხნით ადრე მან ადამიანებს აუწყა ახალი ჰუმანისტური მორალის საწყისები. მისი იდეალები წარმოვედგება არა ვანყენებულ მსჯელობათა სახით, არამედ ცოცხალი, ადამიანური განსახიერებით, მისი გმირების — ვაჟებისა და ქალების სახეებით; ეს სახეები რთული, ხშირად წინააღმდეგობრივი არიან და ოდნავდაც არ გვანან ამა თუ იმ იდეის აბსტრაქტულ მატარებლებს».

ავთანდილის სიბრძნე აქტიურია, ამაშია მისი განმასხვავებელი ნიშანი. ავთანდილის მიზანია ბოროტების დაძლევა და მასთან ბრძოლა. ამიტომ იგი მამაცია, უშიშარი, ჭირთა ამტანია. «წესი არის მამაციის მოჭირებება, ჭირთა თმე-

ცინსანა კვინტრამპი
 ზაბოლოციკი და პარატული პოეზია

ნა; არვის ძალუტ ხორციელსა განგებისა გარდაელენა“ — ამბობს და ამ წესს საქმით ასრულებს.

ამრიგად, ზაბოლოცკიმ ავთანდილში დაინახა ქართული რენესანსის დიდი ადამიანი, აქტიური მეტროპოლი, თავისი ლირიკული გმირის შორეული წინაპარი.

ზაბოლოცკიმ თავის წერილში „რუსთაველის სიბრძნე“ განაზოგადა მთელი თავისი მთარგმნელობითი მუშაობის გამოცდილება და პიეთხელებს კიდევ ერთხელ ამცნო თავისი თაყვანისცემა ქართველი ერის პოეტური გენიის მიმართ.

ზაბოლოცკი დიდ ინტერესს იჩენს მე-13 საუკუნის დიდი შვილის, განმანათლებლისა და დიდაქტიკოსის, პოეტისა და მეომრის, სკოლოგორდის მეგობრისა და ლომონოსოვის სულეობის მომამის — დ. გურამიშვილის პოეზიისადმი. საინტერესოა, რომ ზაბოლოცკი თავისი შემოქმედების ადრინდელ პერიოდში დაინტერესებულა დიდი უკრაინელი განმანათლებლის სკოლოგორდის პიროვნებით, რომელთანაც გურამიშვილის კავშირის შესახებ მან ჯერ კიდევ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა. ზაბოლოცკის ლექსში «Вчера о смерти развышляя» გვხვდება ასეთი სტროფი:

И голос Пушкина был над листвою слышен,
И птицы Хлебникова пели у воды.
И встретил камень я. Был камень неподвижен.
И проступал в нем лик Сковороды.

ზაბოლოცკი შესანიშნავად იცნობს გურამიშვილის ეპოქას, იმ პერიოდის სიმკვლეებს, რასაც ადასტურებს მისი სტატია გამოჩენილ ქართველ პოეტზე⁶ დ. გურამიშვილი თავის ნაწარმოებში გამოხატავს საუკეთესო ჰუმანურ და პატრიოტულ იდეალებს, რომლებიც დამახასიათებელია მისი შემოქმედებისათვის.⁷

დ. გურამიშვილი პოემაში „ქართლის ქირი“ ოცნებობს ბრძენ, განათლებულ და სამართლიან მონარქზე, რომელიც, მკაცრად დაიცავს რა კანონებს, ხალხს ბედნიერებას მოუტანს. დ. გურამიშვილი სახელმწიფოს ასეთ იდეალურ მეთაურად ხატავს პეტრე I-ს.

ვიდრემდის იყო ცოცხალი,
რუსეთზე გარდამწვარაი;
ბრძენ, უხვი, მართალ, მოწყალე,
სამართალ დაუმცდარია...

Он при жизни неустанно
Об отечестве радел;
Мудрый, щедрый, справедливый,
Он блюсти закон умел.

გურამიშვილი ამ სტროფში რამდენიმე ადგილას ხმარობს ერთნაირი მნიშვნელობის ეპი-

თეტებს: „ბრძენ, უხვი მართალ, მოწყალე, სამართალ დაუმცდარია“. ისინი ზაბოლოცკის თარგმანში ისევე ქვდრენ, როგორც დედნის, ავტორისეული ეპითეტების მნიშვნელობას არ კარგავენ.

«Правда, в поэме «Бедствия Грузии» он еще не поднялся до уровня художественного обобщения и создания характеров,— როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ზაბოლოცკი,— он еще остался в роли летописца событий, участником и свидетелем которых был сам, и дидактором-патриотом, но и эта позиция была глубоко прогрессивна, а ее общетсвенная роль не вызывала сомнений».⁸

ნ. ზაბოლოცკი დიდ შეფასებას აძლევს დ. გურამიშვილის ჰუმანურ, შემოქმედებით პროგრამას.

«Манифест Гурамйшвили является ярким документом в истории грузинского общественного самосознания и новой странницей в истории грузинской поэзии. Порабощенный народ устами своего поэта заявлял о своем национальном бытии, о своей воле к жизни и утверждению своего национального искусства».⁹

გურამიშვილის თარგმანებზე მუშაობის გამოცდილება დაეხმარა ზაბოლოცკის ილია ჭავჭავაძის პატრიოტული ლირიკის გაგებაში. პოეტი ცხოვრობდა საგურამოში, ილიას ყოფილ სახლში, 1947-49 წლებში და ქართველი კლასიკოსების ქმნილებებს თარგმნიდა. სამწუხაროდ, ზაბოლოცკიმ ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ნაწარმოები თარგმნა და ა. წერეთლის მხოლოდ 5 ლექსი. ეს თარგმანები ყურადღებას იმსახურებენ, რადგანაც შერჩეულია საუკეთესო ნაწარმოებები.

ილიას შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსს „მუშა“, რომელშიაც პოეტი მუშის სახეს გვაძლევს. ზაბოლოცკი იცოდებდა რა ილიას ამ გმირს და დიდი უშუალობით გადმოგვეცემს სცენებს მისი მძიმე ცხოვრებიდან.

აი, ტვირთქვეშა მოკაკულხარ, საბრალოე შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან შებლოთ
მეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქმენა,
მისვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლ
გელვრება,
გაეცემა.

Низко ты согнулся под мешком бедняга!
Хриплое дыхание сотрясает грудь,
Прилипают к телу потная рубаша,
Подкосились ноги, шагу не шагнуть.



ზაბოლოცი ყურადღებით ეკიდება თითოეულ სტროფს, თითოეულ სტრიქონს, სადაც გადმოცემულია მუშის მიმე, გამოუვლი ზღვარივითა. მხოლოდ ილიას პატრიოტული ლირიკის ღრმა ცოდნა აძლევს საშუალებას ზაბოლოცის ასე ფაქიზად თარგმნოს „საწყალო“ გვირის ისტორია.

«Если ты равнодушен, переводя строку за строкой, почему ты думаешь, что читатель будет читать твой перевод с волнением?» — ზაბოლოცი წერს სტატიაში «Заметки переводчика».¹⁰

ილია ჭავჭავაძისა და ქართული კლასიკური პოეზიის წარმატებით თარგმნა მიწმობს ზაბოლოცის სწორ მთარგმნელობით მეთოდზე. ზაბოლოცის ჭეგრინა კიდევ 30-იანი წლებიდან აინტერესებს გრ. ორბელიანის შემოქმედებას. პოეტის სწორმა მიდგომამ თარგმნის პრობლემისადმი, ქართული ლექსის თარგმნის სამართლიანმა ექსპერიმენტმა განსაზღვრა გრ. ორბელიანის პოეზიის თარგმნის წარმატება.

„საღვთაგან“ წარმოადგენს სხვადასხვა თემზე წარმოქმულ საღვთაგანოთა გაერთიანებას და გამოხატავს ჩვენი ქვეყნის წარსულისადმი პატივისცემას, სამშობლოს სიყვარულს, აგრეთვე სხვა მძაღლ პუნანურ იდეებს.

სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანთა დეალო, მათი გვირობა პოეტში იწვევს კანონიერი სიამაყის გრძობას. პოეტს სწამს, რომ მათ სახელს შთამომავლობა არასოდეს არ დაივწყევს, რომ მათი მოგონება ახალგაზრდობაში მუდამ შექმნის საბრძოლო განწყობილებას:

გვირონ, მიმულის მდიდრო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
 თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა
 თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუც ცრემლ-მოედინება,
 მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალია მიასწვდება!

თარგმანი:

О бесстрашных героев,
 Наша гордость и слава!
 Поколения не забудут
 Ваших подвигов и сеч.
 Услыхав о ваших битвах,
 Прослезится старец слабый,
 Пылкий юноша в восторге
 Грозно схватится за меч.

როგორც ვხედავთ, ზაბოლოცი ძალიან ფრთხილად ეპყრობა ნაწარმოების შინაარსსა და მის ზუსტ თარგმანს გვაძლევს. ეპითეტების გამოჩენა «старец слабый», «пылкий юноша»

და «грозно схватится» შემთხვევითი არაა. პოეტი, ნათელ კონტრასტებს ქმნის ჩვენს ხაზს უსვამს სოციალურ-პოლიტიკურ ფიქრს, გრ. ორბელიანის სიტყვებში დაფარული „მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალია მიასწვდება“.

გრ. ორბელიანის ლექსი „მუშა ბოქულაქ“ დაიწერა 60-70-იანი წლების ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის საერთო გავლენით. გრ. ორბელიანმა ბოქულაქის სახით საკმაოდ მკვეთრ ფერებში დაავსაბა ცხოვრების უკუღმართობით დასჯილი, დაბეჩვებული, ლუქმაპურის შოენისათვის გამწარებული მუშის სახე.

უიმედოდ, უნუგეშოდ დარჩენილ ბოქულაქს ცხოვრების ორომტრიალში გარკვევით ამოუკითხავს თავისი ხვედრი: „ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუქმისა“. ბოქულაქმ იცის, რომ იგი თვითონაც ადამიანია, გრძობა აქვს და განცდა შეუძლია, მაგრამ მასში ადამიანს ვერ ხედავენ. იგი თავის თავზე ამბობს:

ნუ მიყურებ ასე გამწარებულსა
 სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა
 მე ვმუშაობ... სხვანი კი იღვრიან!
 ბედნიერნი, გულთა უზრუნველნი!

О, не смотри так долго на меня!
 Мне нелегко мириться с нищетою,
 Но я тружусь... Другие же поют —
 Счастливые сердца... Не знающие скорби!

როგორც ცნობილია, ზაბოლოციმ თარგმნა ვეპა-ფშაველას ლექსები და პოემები. ზაბოლოციმ სწორედ იმიტომ მიმართა ვეპას და განსაკუთრებით დიდი შრომა მონადრობა მისი პოეზიის თარგმნას, რომ მასში აბოვა ბუნების ისეთი წვლამა და მხატვრული ფორმით გადმოცემა, რისკენაც თვით ისწრაფოდა. ასეთ აზრს გამოთქვამს ზაბოლოცის შემოქმედების მკვლევარი ტურკოვი.

«Действительно, Важа-Пшавела был ему необычайно близок своим высоким гуманизмом, напряженными раздумьями и тяготением к философской поэзии Гёте и Баратынского. Герой поэмы Пшавела «Змеед» Миндия испытывает едва ли не те же чувства, которые передал Н. Заболоцкий в одном из своих довоенных стихотворений:

«Небеса с благоволеньем
 Вдруг посмотрели на него.
 Сознание новое вселялось
 В него и некий новый дух.
 И зренья сердца прояснилось,
 И отворился к миру слух.»

ციხნაბ კვიტრაძე

ზაბოლოცი და ქართული პოეზია

И понял он пернатых пенье,
И рев зверей, и шёпот трав,
И в думы каждого растения
Проник, душой затрепетав.

(«Змеесд»)

Сам Н. Заболоцкий писал в стихотворении «Вчера, о смерти размышляя...».

...И в этот миг
Все, все услышал я — и трав
вечерних пенье,
И речь воды, и камня, мертвый
крик».¹¹

ნიკოლოზ ზაბოლოცკის ტიციან ტაბიძისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ:

«Посылаю Вам перевод «Алуды Кетелаури» Важа Пшавела. О качестве перевода сам судить не берусь. На всякий случай, проверял его здесь, в Ленинграде, на довольно многочисленной аудитории, и отзывы получил самые благоприятные. Прошу Вас просмотреть перевод и сообщить мне о всех недостатках, дабы я мог их исправить своевременно».¹²

ბუნება ზაბოლოცკის თარგმანებში, როგორც ვაჟისთან, ცოცხლობს, სუნთქავს, მოძრაობს და მოქმედებს.

შპშ

ღაბნელდა, წყალნი ტირიან,
კალთა გვეზურვის ღამისა;
დროა ვარსკვლავთა ფიციკის;
მცვრევა ბალახუნდ ნამისა,

მეცდართ სულთ საფლავით გამოვლენ
დრო მათ სიმღერის წუნარსა
ღეგნი გამოვლენ კლდისა,
ხეე-ხეეში ეხეტებიან.
ყველამ ივხაშმა და ახლა
საძილედ ეშაღებან.

Уже стемнело. Тихо плачут воды:
«Ночь покрыла нас своею ризой».
Время звездам заблестать на небе,
Время росам пасть в ночные травы,
Время душам грешников усопших
С тихой песней выйти из могилы.
Вот уж девы, со скалы спускаясь,
На ложбину медленно выходят.
Кончив свой неприхотливый ужин,
Спать ложатся сонные хевсуры.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს გათვალისწინებული აქვს ვაჟის ენობრივი, მხატვრული და სტილისტური თავისებურებები და ცდილობს მეორე ენის საშუალებით მათი შინაგანი კანონზომიერების დაცვას.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. ვაჟაფშაველა მრავალ სპეციფიკურ, ხშირად დიალექტურ და ფარგონულ სიტყვა-გამოთქმას ხმარობს. ამ მხრივ მისი ლექსიკური ფონდი პირდაპირ ამოუწურავია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზაბოლოცკის ასეთი სიტყვა-გამოთქმებიც ზუსტად აქვს გადმოთარგმნილი და, ბუნებრივია, მის თარგმანში ბევრი მივიწყებული სიტყვაა ვაცოცხლებული, რის წყალობითაც ლექსის განწყობილება, კილო, სახივანი თხრობა ძირითადად შენარჩუნებულია.

შენიშვნები

¹ ზაბოლოცკისა და სხვა რუსი პოეტების ლექსებში მოცემულ ქართველთა სახეები მოთავსებულია კრებულში «На холмах Грузии. Грузия в русской поэзии» (Составил В. В. Гольцев. Тбилиси. 1953). См., в частности, стихи о храмъс Тихонова (1948), Антокольского (1947), Межирова (1949).

² Сб. «Летопись дружбы грузинского и русского народов с древних времен до наших дней», т. II, Тбилиси, 1961, стр. 386.

³ Литературная газета, 1962, № 2. Слово — поэтам (по архивным материалам).

⁴ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისი, გამომცემლობა «მეცნიერება», 1964, გვ. 47.

⁵ გ. მარგველაშვილი, ნ. ზაბოლოცკი და ქართული პოეზია, მნათობი, 1959, № 5, გვ. 108.

⁶ Н. Заболоцкий. Давид Гурамишвили «Новый мир», 1955, № 10, стр. 237—243.

⁷ Николай Заболоцкий. Гурамишвили и его время. См. журнал «Дружба народов», 1955, № 10, стр. 172—173.

^{8,9} Н. Заболоцкий. Д. Гурамишвили «Новый мир», 1955, № 10, стр. 239.

¹⁰ «Молодая гвардия», 1956, № 3, стр. 197.

¹¹ А. Турков. Вступительная статья к сборнику стихотворений и поэм Н. Заболоцкого, М. Л., 1965, стр. 39—40.

¹² Литературная газета, 1962, № 2. Слово — поэтам (по архивным материалам).



კარგი წიგნი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა პროფესორ ვასილ ჩანტლაძის წიგნი „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები“.

სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს; იგი მოცემულ მეცნიერულ დისციპლინაში პირველი ორიგინალური სახელმძღვანელოა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ქართულ ენაზე.

სახელმძღვანელო, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს თავისი მეთოდოლოგიით. მასში საფუძვლიანად შესწავლილი და ნაჩვენებია ფინანსურ კატეგორიათა ადგილი კ. მარქსის ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემაში. სახელმძღვანელოში მარქსის ფინანსური მოძღვრება წარმოდგენილია, როგორც მისი ეკონომიკური მოძღვრების ნაწილი, შესწავლილია ფინანსურ კატეგორიათა კონკრეტულობა და დასაბუთებულია, რომ მარქსის მეთოდოლოგიის მიხედვით ფინანსური კატეგორიების გაშუქება შესაძლებელია რენტისა და ნაციონალური შემოსავლის კატეგორიების განხილვის შემდეგ; — გარკვეულია, თუ როგორ უნდა ხდებოდეს მარქსის მეთოდოლოგიის მიხედვით თვით ფინანსურ კატეგორიათა თანმიმდევრული გადმოცემა. ამასთანავე განხილულია რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში, ფინანსურ კატეგორიათა გადმოცემის საკითხი.

სახელმძღვანელოში პირველად არის ვაკრიტიკებული მრავალ ბურჟუაზიულ ფინანსისტთა და მათი ეპიგონების შეხედულებები, რომ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თითქოს არ შეუძლებელია ფინანსური მოძღვრება. ამ პრობლემას პროფ. ვ. ჩანტლაძე შეეხო ჯერ კიდევ 1929—1930 წლებში (იხ. მისი „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის საფინანსო მოძღვრება“, „საქართველოს ეკონომისტი“, 1930 წ. № 7). ეს იყო საბჭოთა ლიტერატურაში პირველი სტატია ამ საკითხზე. ამავე საკითხს მიეძღვნა მისივე სტატია —

„ფინანსური კატეგორიების ადგილი მარქსის ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემაში“, (ოსტრუმები XXIX, 1946 წ.).

სახელმძღვანელოში ნაჩვენებია, რომ ბურჟუაზიული ავტორები ფინანსურ კატეგორიებს გადმოგვეყვანეს ისეთი დალაგებით, რა როლსაც ისინი ასრულებდნენ ისტორიულად სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციებში, რაც მეცნიერულად გაუმართლებელია. კ. მარქსის მიხედვით კაპიტალისტურ ეკონომიკურ კატეგორიათა თანმიმდევრობა განისაზღვრება იმ დამოკიდებულებით, რომელშიც ისინი იმყოფებიან ერთიმეორისადმი კაპიტალისტურ საზოგადოებაში. პროფ. ვ. ჩანტლაძის მიერ დახასიათებულია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსების არსი და ორიგინალურადაა გაშუქებული ფინანსური მეცნიერების საგანი.

მეცნიერული კომუნიზმის კლასიკოსების შრომების საფუძველზე სახელმძღვანელოში გარჩეულია ტერმინი ფინანსების ორგვარი მნიშვნელობა — ვიწრო გაგებით და ფართო გაგებით, დასაბუთებულია სახელმწიფოს ბიუჯეტური ფინანსების არაგაცვლითი, არაექვივალენტური ბუნება. ავტორი მიდის იმ სწორ დასკვნამდე, რომ ფინანსური მეცნიერების საგანია ფინანსური ურთიერთობანი ანუ სპეციფიკური წარმოებრივი ურთიერთობანი და ამის საფუძველზე დასაბუთებულია დებულება, რომ ფინანსური მეცნიერების საგანი მიეკუთვნება ბაზისს და არა ზედნაშენს. ფინანსისტები დიდხანს ფიქრობდნენ, რომ ფინანსების საგანი მიეკუთვნება ზედნაშენს, ვინაიდან ბიუჯეტური ფინანსები არის სახელმწიფოს ფინანსები, სახელმწიფო კი ზედნაშენია, ამდენად მისი ფინანსებიც ზედნაშენს ეკუთვნის. ზოგი ფიქრობდა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები ზედნაშენს მიეკუთვნება, ხოლო სოციალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები — ბაზისს. სარეცენზიო წიგნში დამაჯერებლადაა დასაბუთებული,

რომ ფინანსები ეკონომიკის ნაწილია. ამასთანავე, ცნობილია, რომ ყოველი საზოგადოებრივი ფორმაციის ეკონომიკა — ბაზისია. მასმასალაზე, ფინანსები ყველა შემთხვევაში ბაზისის ელემენტია. მართალია თვით სახელმწიფო ზედნაშენია, მაგრამ მისი ჩარევა მეურნეობრივ საქმიანობაში ეკონომიკურ ურთიერთობებს ეკონომიკურ ხასიათს არ უკარგავს. ფულის მოჭრა სახელმწიფოს, ე. ი. ზედნაშენის საქვე. ქალაქის ფულის სახელმწიფო უშვებს. ქალაქის სიმბოლო ფულის ნიშნისათვის დამახასიათებელი იქნებოდა საზოგადოებრივ მნიშვნელობას „ძულეებითი კურსის მეობებით იძენს“ (კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 167) და აქ „სახელმწიფოებრივი იძულება ვლინდება როგორც ეკონომიკური ურთიერთობა“ (იხ. სარცენზიო წიგნის გვ. 17).

ამგვარად, ფინანსების საგანი, სპეციფიკურა წარმოებრივი ურთიერთობანი, ბაზისის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ ფინანსების კერძი ამასთანავე შეისწავლის „ფინანსურ ორგანიზაციას, ფინანსურ პოლიტიკას, ფინანსურ სამართალს, ფინანსურ თეორიებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ზედნაშენს და ასახავენ ბაზისს, როგორც თავის შინაარსს“ (იქვე, გვ. 21).

საბჭოთა ფინანსურ ლიტერატურაში ეს დებულება პირველად დასაბუთა პროფ. ვ. ჩანტლაძემ (იხ. მისი „ფინანსური მეცნიერების საგანი“, „საქართველოს ეკონომისტი“, 1958, № 6 და მონოგრაფია, „ფინანსური მეცნიერების საგანი“ და ამოცანები, 1966, გვ. 308). ამასთანავე, სახელმძღვანელოში დასაბუთებულია, რომ ბიუჯეტური ფინანსები არის არა საერთოდ დამატებითი ექსპლოატაცია, როგორც ამას განმარტავენ ფინანსების ზოგიერთი სახელმძღვანელოში, არამედ არის დამატებითი ექსპლოატაციის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც შეერწყმის ძირითადი ექსპლოატაციის გადანიშნულებით ფორმას და აღრმავებს ექსპლოატაციის შინაარსს „რამდენადც ექსპლოატაციის ამ გადაჯარღინებული ფორმების გამოყენებით მიღებული სახსრები იხარჯება თვით ექსპლოატაციის პირობების გასამტკიცებლად“ (გვ. 23).

ფინანსური მეცნიერების ამოცანების განხილვის შემდეგ მოდის კაპიტალისტური სახელმწიფოებრივი ფინანსების საგნის ბურჟუაზიულ განსაზღვრათა კრიტიკა, — დაწყებული მერკანტილიზმიდან ვათავებული თანამედროვე ბურჟუაზიული თეორიებით; გაშუქებულია კაპიტალისტური სახელმწიფოთა ფინანსების ისტორიული განვითარება მონოპოლისტურამდელ, მონოპოლისტურ და, განსაკუთრებით, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში. გარკვეული სიახლეა სახელმძღვანელოს იმ ნაწილში, სადაც განხილულია ფინანსების ვითარება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მესამე ეტაპზე, აქ ნაჩვენებია სახელმწიფოს ხარჯთა არაჩვეულებრივი ზრდა კაპიტალისტური სახელმწიფოების

მიერ შექმნილი მრავალრიცხოვანი ხაზმედიან ბლოკების (ნატო, გატო, სენტო და სხვა) გამო-
ორიგინალურადაა გაშუქებული კაპიტალისტური სახელმწიფოს ხარჯთა და შემოსავალთა სისტემა. ფინანსური კატეგორიების ღრმა ანალიზი ემყარება მეცნიერული კომუნისმის კლასიკოსთა შრომების საფუძველიან შესწავლას. აღსანიშნავია, რომ მოცემულ სახელმძღვანელოს წინ უსწრებდა პროფ. ვ. ჩანტლაძის მიერ მოხდენილად შედგენილი ქრესტომათია „ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში“ (ორჯერ გამოიცა) და მისივე ხელმძღვანელობით შედგენილი ქრესტომათია — „ფინანსები და კრედიტი ვ. ი. ლენინის შრომებში“, რომელშიც მასალა დამატებულია ფინანსურ კატეგორიათა თანმიმდევრული გადმოცემის ასპექტში. სწორედ მეცნიერული კომუნისმის კლასიკოსების ფინანსურ შეხედულებათა მეშვეობით ასეთი ზედნიშვნითი შესწავლა უდევს საფუძველად სარცენზიო სახელმძღვანელოს.

სახელმძღვანელოში კაპიტალისტური სახელმწიფოთა ხარჯების სისტემის გაშუქება იწყება კაპიტალისტური სახელმწიფოთა ხარჯების არსის გარკვევით. აქ პირველად არის გამოყენებული კ. მარქსის დებულება ნამდვილი კოლექტიურობისაგან მოჩვენებითი კოლექტიურობის ანუ კოლექტიურობის სუროგატების განსხვავების თაობაზე. ამ საფუძველზე ჩვენი ავტორი კაპიტალისტური სახელმწიფოებს ახასიათებს როგორც მოჩვენებითი კოლექტიურობის გამოვლინებას.

აქვე დახასიათებულია კაპიტალისტური სახელმწიფოთა ხარჯების შედგენილობა ცალკეული სახეების მიხედვით და შემდეგ მოცემულია კაპიტალისტური სახელმწიფოს ხარჯების ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა.

ორიგინალურადაა განხილული კაპიტალისტური სახელმწიფოს შემოსავალთა სისტემა, რაც მოიცავს გადასახადებს, სახელმწიფოებრივ კრედიტს, ქალაქის ფულის ემისიის შემოსავალს და სახელმწიფოს საწარმოებსა და ქონებას; — აგრეთვე კაპიტალისტური გადასახადების არსი, გადასახადების ცნების ჩამოყალიბება და გადასახადების ადგილი კაპიტალისტური კლასების შემოსავალში. მშვენიერადაა გაშუქებული ისეთი საკითხები, როგორცაა გადასახადი და ხელფასი, გადასახადი და მოგება, გადასახადი და რენტა, წვრილი ბურჟუაზია და გადასახადები, გადასახადების როლი აღწარმოების პროცესში, სავადასახადო რეფორმების მნიშვნელობა კაპიტალიზმის პირობებსა და გარდამავალ პერიოდში. განსაკუთრებით კარგია პარაგრაფი გადასახადი და რენტა, სადაც მარქსის რენტის თეორიაზე დამყარებით გარკვეულია გადასახადების ურთიერთობა რენტასთან და ნაჩვენებია გადასახადების გადაყირების თავისებურებანი. გადასახადების ამ ნაწილის ამგვა-

ბრიგოლ ზარღალიშვილი

ტოპონიმიკური ატიუღაბი

ვაზაანთხევი

თბილისის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, ალბათ ბევრიც დაიწერება, მაგრამ ქალაქის ტოპონიმია კი, განსაკუთრებით მიკროტოპონიმია ჩერ კიდევ ხელუხლებელი უბანია. მართალია, ზოგიერთი დასახლებული უბნის ისტორია და სახელწოდების წარმოშობა გარკვეულია მთელ რიგ სპეციალურ ნაშრომებში, ასე, მაგალითად, მ. ლორთქიფანიძემ გააშუქა სოღდების რაობა, ნ. ბერძენიშვილმა მოგვცა ავარანისა და სამღებროსუბნის მნიშვნელობა, თ. ბერძენიშვილმა განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა ამ მიმართულებით და სპეციალური საკანდიდატო დისერტაციაც კი მიუძღვნა თბილისის ტოპონიმის, გარჩილა რა ისეთი მსგავსი ტოპონიმები, როგორცაა ელია, მეტეხი, ჩუღურეთი, თაბორი და სხვა, მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში.

დღითიდღეობით იზრდება თბილისის ფართობი, სულ უფრო ვრცელდება მისი საზღვრები, უკანასკნელი სამი—ოთხი ათეული წლის განმავლობაში თბილისმა შეიერთა მის გარშემო მდებარე რიგი სოფელი, — ვაშლაჯვარი, ზაპესი, ვეპისი, ავქალა, ბაგები, ხოლო თბილისის ფაქტიურ გარეუბნებს წარმოადგენენ დილომი, გლდანი, ოქროყანა. ახალშენებლობასთან ერთად იკარგება მიკროტოპონიმებიც, ხოლო საკუთარებრივ თბილისში მივიწყებას მიეცა ბევრი ტოპონიმი. მაგალითად, დღემდე თუ ჩერ კიდევ შემორჩა ხალხის მესხიერებას ისეთი დიდი ტოპონიმები როგორც არის დიდუბე, ღრმაღელე, საბურთალო, ჩუღურეთი, ავლაბარი და სხვ. ბევრი ტოპონიმი ისე დაიკარგა, რომ მისი აღდგენა თითქმის შეუძლებელი ხდება.

ჩვენს სტატიაში შევეხებით თბილისის ზოგიერთ ტოპონიმს და გამოვთქვათ ჩვენს მოსაზრებას ზოგიერთი მათგანის შესახებ.

მეტად საინტერესოა ისეთი მიკროტოპონიმი, როგორც არის ვაზაანთხევი (ვაზაანთწყარო). აღნიშნული ტოპონიმი არის ლურჯ მონასტერთან რომელიც დგას კიროვის სახელობის პარკის ტერიტორიაზე, ვაზისპირას. ეს ის ლურჯი მონასტერია, რომლის მიმდებარე მიწები ცნობილ ქართველ მოგზაურს რაფეელ დანიბე-ვაშილს ეკუთვნოდა. პენსიონერ ვიოლეტი კახიანიშვილის გადმოცემით, პარკის ფართობი XIX საუკუნის ბოლოს თურმე ეკუთვნოდა მღვდელ გამლიშვილს, ვაზაანთხევი იურისტს, რომელსაც ვარს გალავანი შემოუკერია (გალავნის ნარჩენები ზოგან ახლაც არის შემორჩენილი). თურმე ხეხილის ბაღები მის ქვევით მდებარე თანამედროვე აბრეშუმიკომბინატამდე ვრცელდებოდა. აღნიშნული მიწები რ. დანიბევაშილმა ინდიეთში გამგზავრების წინ გირაოდ დაუტოვა მღვდელ დავითს. მის მიერ ნასხენები თხრილი და ხევი ახლა ძალზედ შემცირებულია. თბილისის რველი გეგმების მიხედვით უწინ ხევი იწყებოდა დაახლოებით VI საშუალო სკოლის უკან. შემდეგში, მოსწორებულ ფართობზე, გაშენდა ჩერ კიდევ სასაფლაო, მერე პარკი, ხოლო პარკში ახალი შენობები აიგო, (მათ შორის დიდი საქადრაკო სასახლე). ამჟამად თხრილის სიგანე არ აღემატება 40—45 მეტრს სიგრძე კი 100 მეტრამდე იქნება. მის ქვევით გაშენებულია ავტობაზა, მერე კი მოდის მტკვრის სანაპირო, სადაც უწინ რიყე ყოფილა.

ნაძალადევი

თბილისში ყველამ იცის ნაძალადევის (ნახალოცკა) ადგილმდებარეობა. ნაძალადევი ფაქტიურად დიდუბის ნაწილი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიყვანეს რკინიგზა და ხალხმა აქადა იწყო დასახლება, რკინიგზის



გადამა მდებარე უბანს ნაძალადევი ეწოდა. თურმე ნაძალადევი ორ ნაწილად იყოფოდა. 1896 წლის დეკმაზე აღნიშნულია ახალი ნაძალადევი, და ძველი ნაძალადევი. გარდა ამისა, ნავთულში, ზანდუკელისა და ხარაბაძის ქუჩების მიდამოებში არსებობს კიდევ ძალათობანი (ნახალნი პასიოლოკი). ამ ტერიტორიაზე ძალად დასახლებულან 1853 — 54 წლებში. როგორც ვხედავთ, თბილისში რამდენიმე ნაძალადევი ყოფილა.

ლისის ტბა

თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 5-6 კმ მანძილზე, 530 მ სიმაღლეზე მდებარეობს **ლისის ტბა**, რომელიც ძირითადად მიწისქვეშა წყლებითა და ატმოსფერული ნალექებით ივსება. დოკტერ ა. მასსურაძის აზრით სიტყვა **ლი** მომდინარეობს **ლია-დან**, რაც სულხან საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს სიფლობ ტალახს. შინაარსეულად ტბისა და ჭაობის თანმხლები მცენარეა **ლისიცი**, საიდანაც წარმოსდგა ტბის სახელწოდება. **ლისი** სწორედ ჭაობიან ადგილებში იზრდება. ამას ადასტურებს ა. მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონი, მაგრამ არის სხვა განმარტებებიც. ვ. ლეონიძის აზრით **ლისი** ნიშნავს ტბის ქველს ან მისივე თქმით (რომელიც თურმე მოხუც ქვეშეთელ ვლენს განუმარტავს მისთვის) ნიშნავს სახლის ნაპირა ადგილს. ივ. ჯავახიშვილის აზრით **სილას** გარდა, ვაცრილი მსგავსი ქვიშის აღსანიშნავად **ლისი-ც** იხმარება: ეს სიტყვა რაჭაში ყოფილა შემორჩენილი. **ლისი—სილა** — წვიმილი ქვიშა (ვ. ბერიძის სიტყვის კონა. იმერულ და რაჭულ თქმათ).

თბილისის ზღვა (წყალსაცავი) რომელიც თბილისის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარეობს შეიქმნა სამი მლაზე ტბის ადგილას. ესენი იყო ავლარის, ილგუნიანისა და ეუკის (ზემო) ტბები. 1952 წელს სოფ. ბაღლოდან გამოყვანილი საირწყავი არხით შეივსო სამივე ტბის ფართობი და შეიქმნა თბილისის ზღვა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ილგუნიანის ტბის სახელწოდება. სწორია ილღუნიანი და არა ილგუნიანი. მცენარე ჭალურს ან ილღუნს რუსულად ეწოდება ტაპარისკი, გავრცელებული იყო ტბისპირა ჭაობიან ადგილებში და სწორედ აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდებაც. ილღუნიანი გადაკეთდა ილღუნიანად.

ბეთანია

საკმაოდ ცნობილია ბეთანიის მონასტერი, რომელიც თბილისიდან 30 კილომეტრზე მდებარეობს. დასავლეთის მიმართულებით, 900-950 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან,

მდ. ვერის სათავეში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთებზე. უწინ ეს მიდამოები ეუთუნოდა და ამერკავკასიის მეფისნაცვალს კანცელარის უფროს ბარონ ნიკოლაის, რომლის მეუღლე იყო ალ. ჰვაკავაძის უმცროსი ქალიშვილი სოფიო. ბარონ ნიკოლაის სახელი ეწოდებოდა დღესაც ზევს ბეთანიასთან (ბარონის ზევი ან დიდზევი), ხოლო ტყის მასივს სამადლოს დასავლეთით აგრეთვე შემორჩა ბარონის ტყის სახელწოდება.

აბარანი

XII-XIII საუკუნეებში აგარანის სახელწოდებით ცნობილი იყო თბილისის სამხრეთ დასავლეთით მდებარე სოფლები — შინდისი, ტბახმელა და კოჭორი. ეს იყო ქართველ მეფეთა და დიდებულთა საზაფხულო რეზიდენცია. ალბათ აქედანაა ნაწარმოები სიტყვა აგარანი (ნ. ბერძენიშვილი. იველი თბილისის ტოპონიმიკიდან. აგარანი. საქ. ისტორიის საკითხები. წიგნი I, 1964, გვ. 301) XVII—XVIII საუკუნეებში აგარანთან ერთად იხმარება ტერმინი საგარეო, რაც აგრეთვე მოიცავდა დასახლებული სოფლების სააგარეო ზონას. აგარანის ტერიტორიაზეა ცნობილი ციხე, რომელიც აზუელას ან აგარანის ან კოჭორისციხის სახელწოდებითაა ცნობილი. ვახუშტი ბატონიშვილი მას აზუელასციხეს უწოდებს. («აზუეა-აწყეა, მალლა აზიდეა», ჩუბინ). ამ ციხისათვის ქოროღლის სახელის მიკუთვნება არაფრით არ არის გამართლებული.

ალექსანდრეოროვი

ალექსანდრეოროვის სახელწოდებით ცნობილი იყო ტერიტორია თბილისში, რომელსაც ხშირად «ნემცების სოფელს», ან თბილისის კოლონიას ან უბრალოდ კოლონიას უწოდებენ. აქ დასახლდნენ 1818 წელს ვიურტენბერგიდან (გერმანია) გადმოსახლებული გერმანელები. მათ ბალ-ბოსტნეში ჰქონდათ თანამედროვე პლენსონის პროსპექტის ვასწვრივ. შემდეგში მათმა კოლონიამ დიდუბეში გადაინაცვლა, ამ დასახლებას თბილისელები «ნემცების სოფელს» უძახდნენ.

ალექსანდრას ბაღი

ალექსანდრეს (ალექსანდროვის) ბაღის სახელწოდებით დღესაც ცნობილია მოზრდილი სკვერი, კავშირგაბმულობის სამინისტროს ქვემოთ, ქაშვეთის ეკლესიის დასავლეთით. აღნიშნული ბაღი, როგორც ქალაქის საზოგადოებრივი სასე-

გრიგოლ ზარბაღიშვილი
ბოკონიმიკური მბრძოლვენი

ირნო ბალი, გაიხსნა 1865 წელს, მაგრამ ამ ბაღს რამდენიმე სახელწოდება გააჩნია. მავალითად, ასპარეზი, სადაც ხდებოდა ცხენოსანთა შეჯიბრებანი. ამიტომ ხშირად მას ყაბახსაც უწოდებდნენ. ეს ყოფილა ძველად თავშესაქცევი ან ძველქართულად დიდი მოედანი სამხედრო ვარჯიშობისათვის. პლ. იოსელიანის ცნობით მოედანი ყოფილა ქალაქის კედლის ჩრდილოეთით, მეფე იესეს სასახლის პირდაპირ. აქვე თამაშობდნენ ბურთს, იმართებოდა მარუღა, სამხედრო პარადი, ყაბახი, ქორწილები, დღესასწაულები. აქვე იყო სასიერო ადგილი—სალაღობო. ყაბახის ხშირი სტუმარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი და გრაგოლ ორბელიანი. ამ უკანასკნელის ლექსი „მარალი“ ყაბახზეა დაწერილი. ბალი წყლით მარჯდებოდა მტკვრისაგან. ამჟამად ბაღს ეწოდება კომუნარების ბალი.

ახალი მოლანდი

1896 წლის თბილისის გეგმაზე ვარდისუბნის (ამჟამად ჭანაშვიის სახელობის ქუჩა) აღმოსავლეთით თითქოს მდებარეობდა დასახლებული უბანი, ახალი ჰოლანდიის სახელწოდებით. მისი ადგილის დადგენა ვერ მოახერხეთ. ადგილობრივი ღრმად მოხუცებულების აზრით აქ XIX საუკუნის ბოლოს თითქოს ყოფილა სასაუზმე (ტავერნა), რომელსაც „ახალი მოლანი“ ეწოდებოდა. მისი კვალი დღეს აღარ არის.

როტონდა

ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მრგვალ შენობას. როტონდას ფუნქციონირის მიდამოებს დღესაც უწოდებენ ოქროყანას, შინდისისა და ტაბახმელას მცხოვრებლები (როტონდას სამოვრები). როგორც ირკვევა, როდესაც ბელგიელებმა გაიყვანეს ტრამეისი ხაზი მამადავითამდე, ზედა სადგურზე დადგეს სახეობადმრგვალი შენობა გუმბათით, რომელსაც როტონდა ეწოდებოდა. აღნიშნული სახელწოდება თბილისში უკვე მივიწყებულია, შემორჩა მხოლოდ დასახლებული სოფლის მცხოვრებლებში.

მეფის მოედანი

მეფის მოედანი რამდენიმე სახელწოდებითაა ცნობილი. მას უწოდებდნენ ბატონის, ეგზარხოსის, გუბერნატორის, ბებელის მოედანს, სალაყბოს, ამჟამად კი ერეკლე II მოედანი ეწოდება. აქ ხდებოდა დიდებულთა საზეიმო შეხვედრები და მეფის მოედანი აღნიშნულია ვახუშტის თბილისის 1735 წლის გეგმაზე. მეფის და ბატონის სახელწოდება გასაგებია, გუბერნატორის ეწოდებოდა იმიტომ, რომ იმ შენობაში, სადაც ახლა ქ. თბილისის მილიციის სამმართველოა, გუბერნატორი იყო, იქვე ჰქონდა ადგილი ეგზარხოსს, ამიტომ ეგზარხოსის მოედანსაც უწოდებდნენ. XVIII—XIX საუკუნეებში

ამ მოედანს სალაყბო მოედანსაც ეძახდნენ, ეს იყო ქვეყნის ამბების გასაგები ადგილი. ახლა მტკვრულად სალაყბო ერეკლე II სასახლის წინ ყოფილა, შემდეგ კი ერევნის მოედანზე გადაუტანიათ.

ლენინის მოედანი

ლენინის მოედანს ადრე რამდენიმე სახელწოდება ჰქონდა. 1829 წელს გენერალ პასკევიჩის მეთაურობით რუსეთ-თურქეთის ომში ერევნის აღებასთან დაკავშირებით მოედანს ერევნის ან პასკევიჩ-ერევნის მოედანი უწოდეს. აქ, ღია ცის ქვეშ ხშირად იმართებოდა ვაჭრობა, იყიდებოდა შეშა, თევზი, კვირაობით იმართებოდა დიდ ბაზრობა. ამ დროს გამოდიოდნენ ჭამაზეები და ტაქიმასხარები, ამიტომ ამ მოედანს თეატრალურ მოედანსაც უწოდებდნენ.

მეჯინი — მაჩხანნი

ვეჯინი და მაჩხანი კახეთის სოფლებია, მაგრამ სოფ. გლდანის ჩრდილო აღმოსავლეთით დღესაც არის ნასოფლარი, რომელიც ვეჯინის სახელწოდებით არის ცნობილი. ლეკიანობის დროს ვეჯინის მოსახლეობა აყრილა და კახეთში გადასახლებულა. სოფ. გლდანში შემალგებულ ადგილს ახლაც უწოდებენ ვეჯინისუბანს. სოფ. ლელობის აღმოსავლეთით (ვარდახნის რაიონი), დღესაც არის ნასოფლარი მაჩხანის სახელწოდებით. მწვანეუბნის ქაშის მოსახლეობა კახეთში გადასახლებულა და იქ გაუშენებიათ ორი სოფელი: ქვემო მაჩხანი და ზემო მაჩხანი.

კოლოუჩაია ბაღა

ამ სახელწოდებით ყოფილა ადგილი მოსკოვისხევისა და თანამედროვე რუსთაველის მოედანს შორის, რუსთაველის მოედანის (ზემელის) ქვევით. მოიცავდა სამაიას ბაღს და ჩადილია მტკვრის სანაპირომდე. ტერიტორია დაფარული ყოფილა ტყე-ბუჩქნარით, სადაც იმართებოდა ხოლმე საქანლა, დღესასწაულები. კოლოუჩაია ბაღა აღნიშნულია თბილისის 1896 წლის გეგმაზე.

ლოლაქისუბანი

მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე ცირკის ქვემოთ ყოფილა ადგილი ლოლაქისუბანის სახელწოდებით. უწინ ამ ადგილას მტკვარი ორ ტოტად მოედინებოდა. შუაში პატარა კუნძული იყო, რომელიც ვინმე ლოლაქს ეკუთვნოდა. ზაფხულობით ლოლაქის ნაგებობები სეირნობა იმართებოდა, ზამთრობით კი აქ ყინულს ამზადებდნენ.



ბევრს დღესაც აქოვს მადათოვის კუნძული, რომელიც მტკვრის ორ ტოტს შორის მდებარეობდა. ძველად თბილისის მცხოვრებლებსათვის ეს იყო ნაგვის საყრკული ადგილი და მედროშეკეთა თავშესაყარი. სარდალ დავით ორბელიანმა ხელოვნურად გააღრმავა მტკვრის კალაპოტი თავის სასახლის წინ (ახლა მარქსის ხილთან) და უწოდა ორბელიანის კუნძული, XIX საუკუნის ოციან წლებიდან ორბელიანებმა კუნძული დაუთმეს, როგორც მეზობელსა და მეგობარს, გენერალ მირზაჯან მადათოვს, ამიტომ აღნიშნული ადგილი ცნობილია მადათოვის, ორბელიანის და აგრეთვე სარდარის (ე. ი. სარდალის) სახელწოდებით. 1933 წელს მტკვრის მარჯვენა ტოტი გადაისროლეს მთავარ კალაპოტში და შეიქმნა ახალი დასახლებული ადგილი.

მუშაბილი

XIX საუკუნის 30-იან წლებში მტკვრის მარცხენა მხარეზე დიდი ბაღი ეკუთვნოდა საქართველოში ჩამოსულ შიიტთა სექტის მეთაურს ირანელ მუშტეიდს. 1853 წელს ეს ბაღები შესყიდა ხაზინამ სასოფლო-სამეურნეო ფერმისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშტეიდის ყოფილ ბაღს ეწოდა ორჯონიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც მდებარეობს პლენარის გამზირის ბოლოში.

საბიო (საბიოქსანანი)

ძველ თბილისში ორთაქალის შემდეგ მეორე სასიერნო ბაღი იყო. ნ. ბარათაშვილმა მასზე დაწერა ლექსი „ფიქრი მტკვრის პირას“. რკინიგზის გაყვანამდე შიდა ქართლიდან და მესხეთიდან ყოველგვარი ტვირთი, განსაკუთრებით ხილი, პირუტყვი, ხე-ტყე მოდიოდა ტივით თბილისში, ტივებით გადაჰყავდათ მგზავრები, ტივებზე იმართებოდა მეჭლისები, ქორწილები, თითო XX ს. დამდეგამდე. არის გ. გაგარინის ცნობილი სურათი „მგზავრობა ტივით“. საბიო ეწოდებოდა ადგილს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დახლოებით რესტორან „არავიდან“ ჩელუსკინის ხილამდე. აქამდე მოდიოდა შეკრული ტივები. აქ ტივებს დაშლიდნენ და მორბები დასახერხად მიჰქონდათ.

ლუნიზის მოედანი

დღევანდელი მთავრობის სასახლისა და პირველი საშუალო სკოლის ტერიტორიაზე უწინ ყოფილა დასახლებული უბანი და მოედანი ლუნიზის სახელწოდებით. ლუნიზის მოედანი აღნიშნულია თბილისის 1896 წლის გეგმაზე. სახელი ეწოდა რუსი ჯარის მიერ შამილის უკანასკნელი ციხესიმაგრის ლუნიზის აგებასთან დაკავშირებით.

სოფელ წყნეთის აღმოსავლეთით არის ტყე მასივი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლებში თემთოლოგის ტყეს უწოდებენ. მათივე გადმოცემით XX საუკუნის დამდეგს აქ მდგარა კახეთა სტელი და თითქმის მისი მეთაურის სახელს დატყვევდა ტყის მასივს. მას მეორე სახელწოდება გააჩნია — ერძოდ, კახეთა სათიბი (კახანი პოკოსი), რადგანაც კახელები ტყის ამ მასივში ბალახს თიბავდნენ.

დაბახანა

ამ სახელწოდებით ცნობილია მდინარე, რომელიც სოფ. წაყვისთან იწყება. მის ქვემო წელში, შესართავთან (უერთდება მტკვარს გორგასლის მოედანთან) უწინ დაბაღები (მეტყუვეები) ტყავს ალბობდნენ და გამოსაქნელად ამზადებდნენ, ამიტომ მდინარის ამ ნაწილს დაბახანა ეწოდა. მდინარე შუაწელში ცნობილია სოლოლაისწყლის, უფრო ზევით ლეღვთახვის, ხოლო სოფ. წაყვის მიდამოებში წაყვისწყლის სახელწოდებით. ამრიგად, დაბახანა, სოლოლაისწყალი, ლეღვთახვი და წაყვისწყალი ერთიდა იგივე სახელწოდებაა, ამ პატარა მდინარეს ოთხი სახელწოდება გააჩნია დინების მიხედვით.

თურაშაულისა და მარმარილოს წყაროები

XVIII საუკუნის დამდეგს თბილისში აღმადგელი რუსთაველის პროსპექტის ტერიტორიაზე, კომუნების ბაღის თავზე ყოფილა წყარო, რომელსაც თურაშაულის წყაროს უწოდებდნენ, ხოლო მის მახლობლად ოპერის თეატრის ტერიტორიაზე ყოფილა მარმარილოს წყარო.

ჩაღიპარი

სამგორის დასავლეთით „ლოკინის სამხრით არის სამგორის ველი და ჩაღიპარი“ იტყობინება ვახუშტი ბატონიშვილი. ჩაღიპარი მინდვრის სახელწოდებაა და ითვლებოდა კახეთის საზღვრად. ყოფილა ჩაღიპარის გორებიც, რომელიც კარგ სანადირო ადგილად ითვლებოდა. აღნიშნული ტერმინი ხალხს უკვე აღარ ახსოვთ.

სხვადასხვა

თბილისში, განსაკუთრებით ძველი თბილისის ტერიტორიაზე ძალზე ბევრი ტოპონიმი „ხან“ დაბოლოებულია. ასე, მაგალითად:

აგურხანა ყოფილა კრწანისის ქუჩაზე, სადაც აგურს ამზადებდნენ.

ზრიგოლ ზარღალიშვილი
ტომონიმიკაში უბოძდა



ბაყალხანა (ბალახანა) ეწოდებოდა ერთ პატარა უბანს პუშკინის ჩიხის გვერდით, ვერცხლის (ლესელიძის) ქუჩაზე. თბილისის 1800 წლის გეგმის მიხედვით ბაყალხანა მდებარეობდა ქალაქის აღმოსავლეთ კედელზე. აქ ყოფილა სახელოსნოები და საეაპრო წერტები. ბაყალხანას კარი და ფანჯრები არ გააჩნდა, ჰქონდა გასასული ფიცრის ფარები — დარაბები.

უუზახანა ტერმინი ნიშნავს საბატონეს, მისი ადგილმდებარეობა ვერ დავადგინეთ.

ქურჭიხანა ან **ქურჩიხანა** იგივეა, რაც კონხანა.

ქონხანა ან **მეჭუღეთა რიგი**, ქუჩებისა და ქულების მკერავთა რიგი ყოფილა მტკერის მარჯვენა ნაპირზე, თათრის მოედნის ტერიტორიაზე (ამჟამად გორგასლის მოედანი) ძირითადად მოიცავს შარდენის ქუჩის ტერიტორიას.

ბაზახანა ან **ბაზახების რიგი**, ფართლეთით მოვაქრეთა რიგი, მდებარეობდა მტკერის მარჯვენა მხარეს, შეითანბარის (გორგასლის მოედანი) მახლობლად. ძირითადად მოიცავს შარდენის ქუჩის გარშემო მდებარე ტერიტორიას.

ყსაბახანა ხორცის გამყიდველთა რიგი თათრის მოედანზე, მტკერის მარჯვენა ნაპირზე.

ჩითაზხანა ან **წულახანა** ან **ფოსტლების რიგი**, ფეხსაცმელის მკერავთა და მოვაჭრეთა თათრის მოედანზე.

ზარგარხანა ან **ოქრომჭედლის რიგი** ან **ვერცხლის ქუჩა** შეესაბამება თანამედროვე ლესელიძის ქუჩას, აქ განლაგებული იყვნენ ზარგარები (ოქრომჭედლები).

შემა — საპირემთისუხალი

მდინარე ვერე ძველად ცნობილი იყო სკვირეთისწყლის სახელწოდებით. მდ. ვერეს ხეობა და არსებული სოფლები წარმოადგენდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეს სკვირეთის სახელწოდებით.

შავსოფელი

გოგირდის აბანოების აღმოსავლეთით (ძირითადად იალბუჯის ქუჩა) უწინ ცნობილი იყო შავსოფლის სახელწოდებით. 1896 წლის თბილისის გეგმაზე მას აქვს მეორე სახელწოდება ძალღის სოფელი.



მოთარ ლოკოტიჟანიკა

პრქეოლოგია ღა თანამედროვეობა

არქეოლოგია ღა თანამედროვეობა! ერთი შეხედვით თითქოს ურთიერთდაპირისპირებული ცნებებია: როგორ ღა რა გზით შეიძლება ეხმარებოდეს თანამედროვეობის პრობლემებსა ღა მის მოთხოვნებს მეცნიერება, რომელიც მთლიანად შორეული წარსულის შესწავლისადმია მიმართული? ეს მეცნიერების ის დარგია, რომელიც თანამედროვეობისაგან ჩინური კედლითაა შემოზღუდული ღა მისი თვალსაწიერი მხოლოდ შორეული წარსულის წიაღისეული მატერიალური კულტურის ძეგლებით იფარგლება, თუ სულდგმულობს, მოქმედებს ღა ვითარდება, თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებით, პასუხობს ღა მხარში უდვას ახალი სამყაროს იმ გრანდიოზულ მშენებლობას, რომლის მონაწილედაც საამაყოთ რაცხს თავს ჩვენი თაობა?!

1.1. არქეოლოგია — ფუნქციური თვალსაზრისით მეცნიერების ერთ-ერთი დარგია. ჩვენს ეპოქაში კი განუზომლად გაიზარდა მეცნიერების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მისი საზოგადოებრივი როლი. ეს სავსებით ბუნებრივია: მეცნიერება ღა მისი მიღწევები სულ უფრო ღა უფრო ღრმად ღა, რაც მთავარია, საოცარი მრავალფეროვნებით იჭრება ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, იქვეა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ მამოძრავებელ ძალად. ამას გრძნობს ღა თვალნათლივ ხედავს დღეს თითოეული ჩვენთაგანი.

თანამედროვე მეცნიერების აქტიური საზოგადოებრივი როლი გაპირობებულია ჩვენი ეპოქისთვის ავრე დამახასიათებელი იმ ახალი ასპექტითაც, „მასობრივი ინფორმაციის“ სახელით რომაა ცნობილი. „მასობრივი ინფორმაცია“ XX საუკუნის პირმოა. თუმც მანამდეც არსებობდა ადამიანთა შორის კავშირის

სხვადასხვაგვარი საშუალებანი — გაზეთი, ეურნალი, ფოსტა ღა ტელეგრაფიც კი, მაგრამ განა ისინი შეედრებიან კომუნიაციის დღევანდელ ყოვლისმომცველ ღა, რაც მთავარია, უსწრაფეს საშუალებებს? დღეს ხომ რადიოსა ღა ტელევიზიის მეშვეობით ნებისმიერი ინფორმაცია უსწრაფესად აღწევს წარმოდგენლად ხალხმრავალ აუდიტორიაზე! რადიო, ტელევიზია ღა ნაბეჭდი სიტყვა მასობრივი ღა მომენტალური ინფორმაციის პირველწყაროა ღა ამიტომაც სწრაფადმოქმედია, ასე რომ მეცნიერების ახალი აღმოჩენები ახლა უსწრაფესი გზებით აღწევს საზოგადოების ყველაზე უფრო ფართო წრეებამდე. ეს კი მოწმობს, რომ არსებობს მასობრივი ინტერესი ღა მოთხოვნილება მეცნიერების მიღწევებზე, რაც ჩვენი ეპოქის ნიშანსვეტადაა ერთხმად აღიარებული: მეცნიერება კაბინეტიდან გამოვიდა მასობრივ აუდიტორიაში, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს საოცარი ღა სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურაზე, მათ შორის საისტორიო ლიტერატურაზე.

არქეოლოგია ისტორიულ-საზოგადოებრივი მეცნიერების დარგია ღა, ბუნებრივია, ისმის კითხვა რა ადგილი უნდა მიენიჭოს მას სხვა საზოგადოებრივ ღა ისტორიულ მეცნიერებათა შორის?

ისტორიული მეცნიერების კვლევის საგანი საზოგადოების განვითარების ისტორიის შესწავლაა, მაგრამ მის განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივი მეცნიერების ცალკეულ დარგებს შორის ურთიერთკავშირის განსახიერებაში ხედავენ. ეს ურთიერთკავშირი ხორციელდება „ისტორიზმის“ პრინციპით, რაც საუთუვლად უდევს ყველა საზოგადოებრივი მოვლენის მეცნიერულ შესწავლას. მასთან ერთად, ერთხმადაა აღიარებული, რომ ისტო-

რიულ მეცნიერებათა მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება მის უდიდეს აღზრდელობით ძალაშია. იგი უნერგავს თანამედროვე ადამიანს პატივისცემას როგორც საერთო საკაცობრიო კულტურის მიმართ, ასევე სახელოვანი ეროვნული ტრადიციებისადმი — ინტერნაციონალური და ნაციონალური სიახაყის გრძობას. სწორედ ამ ნიშნების გამოა ერთხმად აღიარებული ისტორიის, როგორც მეცნიერების, განსაკუთრებული როლი თანამედროვე საზოგადოებაში.¹

საისტორიო მეცნიერებათა წინაშე ყოველთვის იდგა და ახლა მით უფრო დგას საპატიო და მაღალი ამოცანა — ისტორიული სინამდვილის, ისტორიული სიმატილის აღდგენა. ეს კი საქმოდ რთული ამოცანაა და მის წარმატებით გადაჭრაში საზოგადოებრივ მეცნიერულ დისციპლინათა შორის არქეოლოგიის მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია: ისტორიკოსს მეტწილად საქმე აქვს იმ ფაქტებთან, რომელნიც უკვე აისახა ადამიანის გონებაში, კერძოდ, წერილობითი წყაროების შემდგენლის აზროვნებაში. ამიტომაც ფიქრობენ, რომ არ არსებობს ისეთი ისტორიული პრობლემა, რომლის გამოკვლევას ერთმანეთს ერთ მთლიანობაში არ ენასკეობოდეს სუბიექტური და ობიექტური, რაც ბუნებრივია, მეცნიერ-ისტორიკოსის წინაშე აყენებს ისტორიული სინამდვილის აღქმასა და წარმოსახვის მთელ სიბრტულს. არქეოლოგიის კვლევის საგანი კი უფრო ობიექტური პირველწყაროა — ნივთიერი კულტურის ძეგლები. აქ ჩვენს წინაშე დიდვა საკითხი არქეოლოგიის როლისა და ადგილის შესახებ თანამედროვე მეცნიერებათა, კერძოდ, საისტორიო-საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთიან სისტემაში.

1.2. საისტორიო მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა დადგენა. ერთხმადაა აღიარებული, რომ ამ კანონების და კანონზომიერებათა ცოდნაა აუცილებელი პირობა თანამედროვეობის საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტისას. საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა დადგენა კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ თვალს გავადევნებთ ადამიანთა საზოგადოების განვითარებას დასაბამიდან დღემდე. სწორედ აქ კი საისტორიო-საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის არქეოლოგიის როლი საქმოდ თვალსაჩინოა:

1. ადამიანისა და საზოგადოების ისტორია უახლესი მონაცემებით ორ მილიონ წელს აღემატება. მათგან წერილობით ძეგლებში მხოლოდ უკანასკნელი ხუთი ათასი წლის (!) ისტორიაა წარმოდგენილი და ისიც, როგორც

ცნობილია, საქმოდ ნაკლებად. ამიტომ არა მხოლოდ უდაწყურლობო ეპოქების გრძელდ საერთოდ კაცობრიობის ძველი დასახელებული ისტორიის აღდგენა ძირითადად არქეოლოგიური მონაცემებითაა მხოლოდ შესაძლებელი. იქნებ ბევრმა არც კი იცის, რომ ჯერ კიდევ ორასიოდე წლის წინ კაცობრიობის ისტორიას სულ რაღაც სამი ათასი წლით განსაზღვრავდნენ და იგი, წერილობითი წყაროების საფუძველზე, დაჰყავდათ მხოლოდ მეფეების ცხოვრებისა და ომების აღწერაზე. მხოლოდ XVIII საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო ძველი ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის, რამდენადმე უფრო გვიან კი (XVIII საუკუნის დასასრულიდან) — ძველი ეგვიპტის, ასურეთისა და ბაბილონის ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა, რამაც კაცობრიობის ისტორიას კიდევ ორი ათასი წელი „აღუმატა“. მხოლოდ XIX საუკუნის შუახანებში გახდა ცნობილი კაცობრიობის ისტორიის უძველესი პერიოდი, ქვის ხანის სახელით რომაა ცნობილი და მხოლოდ 1859 წელს აღიარეს, რომ ადამიანი არსებობს ე.წ. პლეისტოცენის ეპოქიანულ პერიოდში ქრონოლოგიით — მეოთხეული პერიოდის საწყისი ეტაპი... საქმიანისა ითქვას, რომ დღეს თანამედროვე ადამიანისათვის მხოლოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიებით ხდება ცნობილი ადამიანის წარმოშობის დრო და პირობები, ევოლუციის გზები. სულ რაღაც ოციოდე წლის წინ ადამიანის წარმოშობის ხანას 800 000 წლის წინანდელი ხანით განსაზღვრავდნენ. მას შემდეგ, ახალ-ახალი აღმოჩენების შედეგად ჩვენი წარმოდგენები ადამიანის წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ, შეიძლება ითქვას, კოსმოსური სისწრაფით იცვლება თუ ყოველ არქეოლოგიურ წელს ახალი ინფორმაცია მოაქვს. ასე მაგალითად, აღმოსავლეთ აფრიკაში — კენიასა, ტანზანიასა და ეთიოპიაში, აგრეთვე მაროკოს ტერიტორიაზე მაღალგანვითარებული პრიმატებისა და ხელით ნაკეთი ქვის იარაღების უახლესი აღმოჩენები 2,6 მილიონი წლის წინანდელი ხანით დაათარიღეს, რამაც დასაბამი მისცა ახალი თეორიების წარმოქმნასა და მწველად ისეკვლიება ადამიანის წარმოშობის პრობლემებზე.²

თითქმის ყოველწლიურად არქეოლოგიური კვლევა-ძიებით საისტორიო მეცნიერებისთვის ცნობილი ხდება უძველესი და მაღალგანვითარებული ცივილიზაციები შუამდინარეთისა თუ ინდის ნაპირებზე, აფრიკასა თუ ამერიკის ტრამალეხსა და ჯუნგლებში. ასე რომ კაცობ-

² თუ რაოდენ ფართო ინტერესს იწვევს ეს პრობლემა, ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მას მთელი ნომერი მიუძღვნა ჟურნალმა «Курьер ЮНЕСКО» (1973, № 1); იხ. აგრეთვე «Наука и жизнь», 1973, № 5, გვ. 74-91.

¹ Сб. «Исторические науки и некоторые проблемы современности», М., 1969.



რობის ისტორიის შესწავლა დასაბამიდან დღემდე დროსა და სივრცეში შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ როდესაც გაჩნდა არქეოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა. გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგი გორდონ ჩაილდ შესანიშნავად განმარტავდა: „არქეოლოგიამ შეადარა ალტერატივა მთაბინის ისტორიულ მეცნიერებაში. მან ისტორიის სივრცობრივი პირობონტი ვაფართოვა ისევე, როგორც ტელესკოპმა ვაზარდა ასტრონომიის ხედვით არე. მან ასიათასჯერ ვაზარდა ისტორიის პერსპექტივა, ზუსტად ისევე, როგორც მიკროსკოპმა აღმოაჩინა ბიოლოგისათვის ის, რომ დიდი ორგანიზმების მიღმა იმალება უმცირესი უჯრედები; დაბოლოს, მან ისეთივე ცვლილებები შეიტანა ისტორიული მეცნიერების მოცულობასა და შინაარსში, როგორც რადიოაქტივობამ შეიტანა ქიმიამში“.

II) განუზომელია არქეოლოგიის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ადრე, დაახლოებით 3 და 4 ათეული წლის წინ თითქმის არაფერი ვიცოდით ჩვენს მიწა-წყალზე ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ადრეული ეტაპების შესახებ. მხოლოდ არქეოლოგიური კვლევებივით გახდა ცნობილი, რომ

ა) საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანის ცხოვრება და საზოგადოების ისტორია იწყება კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძველი ქვის ხანის (პალეოლითის) ერთ-ერთი ადრეული ეპოქის — აშელის საკმობა მრავალრიცხოვანი ძეგლები, რომელთაგან უძველესად იაშთუხის პალეოლითური სადგომა (სოხუმის მახლობლად) მიჩნეული, მოზღვენო ეპოქაში (მუსტიეს ეპოქა) მიმდინარეობს პირველყოფილი ადამიანის ფართოდ განსახლება დღევანდელი საქართველოს მიწა-წყალზე, ხოლო ზედა პალეოლითის ყველა საფეხურის ძეგლები ახლა აღუხსნელია თითქმის ყველა კუთხეში.

ბ) ძველ წელთაღრიცხვით X-VIII ათასწლეულიდან დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე იწყება ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში „ნეოლითური რევოლუციის“ სახელით რომა ცნობილი. ნეოლითური კულტურის ძეგლები უქანასკნელ ხანებში განსაკუთრებით მრავალდაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში, როგორც ზღვისპირა ოლქებში (განსაკუთრებით გურია-აჭარასა და აფხაზეთში), ასევე კოლხეთის დაბლობის მთისწინა ზოლში. ეს ძეგლები ქმნიან ე.წ. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის წრეს, რომლის განვითარების ადრეულ ეტაპს უკავშირებენ დასავლეთ საქართველოს ზედა პალეოლითის ფინალურ სტადიას (ე. წ. მეზოლითს).

გ) უქანასკნელ წლებში აღმოჩნდა მანამდე

სრულიად უცნობი ადრესამიწამოქმედო კულტურის ძეგლები, რომელთა შესწავლა ზრუნავს საინტერესო კავშირს წინა აზიის უძველეს სამიწამოქმედო კულტურებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დღევანდელი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ნამოსახლარები (ზელოვანური სამოსახლო ბორცვები, აღიზით ნაკვები მრავალუბრა-თოვანი სახლები, ბზენარევი კერამიკა და სხვ.).

დ) ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარიდან იწყებს გამოჩენას ლითონის ნივთები.

ამ დროს აღმოსავლეთ საქართველო და დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი რაიონები ექცევა სტეპიალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ ცნობილ ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში. ამავე დროს დასავლეთ საქართველოში (კერძოდ, დღევანდელ აფხაზეთში) ვითარდება დოლმენური კულტურა.

ე) ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული და II ათასწლეულის პირველი ნახევარი შუა ბრინჯაოს ხანადაა წოდებული, რაც გახდა ცნობილი აგრეთვე მხოლოდ არქეოლოგიური კვლევა-ძიებით. ამ ეპოქაა ძეგლებიდან აღსანიშნავია თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურა. უქანასკნელ ხანებში ე.წ. თრიალეთური კულტურის ძეგლები აღმოჩნდა აგრეთვე კახეთსა და მესხეთში. ამრიგად, იკრება საკმობად ფართო არეალი, რომლის შესწავლა სრულიად ახლებურად სვამს თრიალეთური კულტურის გენეზისისა და მისი ეთნიკური იდენტიფიკაციის საკითხებს.

ვ) ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი საქართველოში ბრინჯაოს კულტურის განვითარების ფინალური სტადიაა. ამ ეპოქის შესანიშნავი ძეგლია სამთავროს სამაროვანი (მცხეთა) და აგრეთვე უქანასკნელ ხანებში აღმოჩენილი მთელი წყება ნამოსახლარებისა და სამაროვნებისა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. საერთოდ, საქართველო ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ კლასიკურ ქვეყნად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ზ) ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ჩნდება რკინა მრავალრიცხოვანი აღმოჩენები წარმოების ნაშთებისა მოწმობენ რკინის მეტალურგიის ფართო მასშტაბებს ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებში. ამ ხანის სამოსახლოების შესწავლა დღევანდელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე (ზოგჯერ, დიღომი) მოწმობს პროტოალაქური ცივილიზაციის არსებობას.

თ) განსაკუთრებით მდიდარია საქართველო

ოთბარ ლოკოთიზანიძე
არქეოლოგი და თანამედროვეობა

ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებით. უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა მცხეთაში, უფლისციხეში, ურბნისში და ქართლის სხვადასხვა პუნქტებში (კასპი, სამადლო და სხვ.), ვანა, საჩხერეში, ქობულეთში, ფიქვანარში, ფოთის მიდამოებში, სოხუმში და სხვ. წარმოაჩინა მალაღანეოთარებული ურბანისტული ცივილიზაცია, პირველი ქართული სახელმწიფოების — კოლხეთისა და იბერიის კულტურა, ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა აღმოსავლურ-აქემენიდურ, ბერძნულ, ელინისტურ და რომაულ სამყაროსთან.

ბ) უკანასკნელ წლებში საქართველოში ფართოდ ვაიშლა აგრეთვე საშუალო საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა, რასაც შედეგად მოყვა ბრწყინვალე აღმოჩენები (სასახლები, ტაძრები, სასოფრებელი, საზოგადოებრივი და თვალდაცვითი ნაგებობანი, აკლამბები, წარმოების ნაშთები, ოქრომკვდლობისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშები. წარწერები) მცხეთაში, დმანისში, უჯარმაში, რუსთავში, გრემში, ნოქალაქეში და სხვ.

არქეოლოგიური კვლევა-ძიებები შედეგად მიმოვიხილო მასალების საფუძველზე მხოლოდ უმსაძვლესი საქართველოს ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრა, როგორცაა ქართველთა ეთნოგენეზისი, მიწათმოქმედების წარმოშობა, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ისტორია, კლასიზმისა და სახელმწიფოს წარმოქმნა, ქალაქების ისტორია, ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა და მრავალი სხვა.

2. I. მოუხედავად იმისა, რომ არქეოლოგია მეცნიერების შედარებით ახალი დარგია (ფაქტურად იგი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა), მის განვითარებასთან მჭიდროდა დაკავშირებული მთელი წყება ახალი ისტორიულ-ეტიმოლოგიური დისციპლინების წარმოქმნა-განვითარება: პაპიროლოგია, ხეთოლოგია, შემეროლოგია, მივეროლოგია, მეროისტრია და მრავალი სხვა არქეოლოგიის პირმოა.

2.2. არქეოლოგიური კვლევის შედეგებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ზოგიერთი საბუნებისმეტყველო თუ ტექნიკური მეცნიერების პრობლემების კვლევისას, კერძოდ, პალეონტოლოგიასა და ისტორიულ გეოლოგიაში, განსაკუთრებით — ფიზიკასა და გეოფიზიკაში: მავალითისათვის — მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემებითა შესაძლებელი კონსოლური სხივების დედამიწის ატმოსფეროზე მოქმედების ეფექტის განსაზღვრა ისტორიულ პერიოდში, ან კიდევ დედამიწის მაგნიტური ველის წარმოშობისა და ვირაციის პრობლემების გადაწყვეტა და ა. შ.

2.3. არის სხვა, შეიძლება ითქვას, სრულიად ახალი და საინტერესო ასპექტიც არქეო-

ლოგიის როლისა თანამედროვე მეცნიერების სისტემაში.

დღეს, როგორც ცნობილია, ^{არქეოლოგია} ^{დღევანდელი} ანიჭებენ მეცნიერების, როგორც სოციალურ-საზოგადოებრივი ინსტიტუტის, ისტორიისა და თეორიის პრობლემას. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების განხორციელების შესწავლა იქცა ახალი დარგის — მეცნიერებათმცოდნეობის ინტენსიური კვლევის საგნად. აღიარებულია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის წარმოშობის, მათი განვითარების ადრეული ეტაპების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზოგადად გნოსეოლოგიური, მეთოდოლოგიური და სოცოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად. არქეოლოგიის როლი და მნიშვნელობა მეცნიერებისა და, განსაკუთრებით ტექნიკის განვითარების ადრეული ეტაპების შესასწავლად კი დიდ დასახუთებას არ მოითხოვს, თუმცა ამ თვალსაზრისით არქეოლოგიური კვლევების ორგანიზაცია ახლო მომავლის საქმეა.

3.1. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ზოგად მეცნიერული აზროვნების განვითარების განტრიალს წინსვლა და ტემპი არქეოლოგიის მიღმა რჩებოდა. მაშინ როდესაც ისეთი ჰუმანიტარული მეცნიერებანი, როგორცაა ლინგვისტიკა, ლოგია, ფსიქოლოგია, სწრაფად ეზმებოდა თანამედროვე მეცნიერული აზროვნების ახალ ლოგიკურ სისტემებში, არქეოლოგია ფაქტურად XX საუკუნის 50-იან 60-იან წლებამდეც კი სარგებლობდა ზოგად-მეცნიერული აზროვნების განვითარების კარგა ხნის წინ განვლილი ეტაპისათვის ჩვეული ცნებებით, კატეგორიებითა და მეთოდებით. ახლა კი, უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე, როდესაც თვალსაჩინოდ გამოიკვეთა არქეოლოგიის როლი ზოგადმეცნიერულ სისტემაში, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და არქეოლოგიაშიც სწრაფად და ფართოდ მკვიდრდება მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები: ტიპოლოგიური მოდელირება, სისტემურ-სტრუქტურული ანალიზი, მათემატიკური სტატისტიკა (ელექტროგამომოვლელი მანქანების გამოყენებით), ინფორმაციის თეორია და სხვ., რომელთაც წარმატებით იყენებენ ისეთი რთული და თვისითადაც ახლადსმული პრობლემების გადასაჭრელად, როგორცაა პალეოდემოგრაფია და პალეოეკონომიკა, პალეოსოციოლოგია და პალეოურბანისტიკა, ფენის თეორია და მრავალი სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი აქ დასახელებული პრობლემების გადაჭრა და ყოველმხრივი შესწავლა მკვიდრად უკავშირდება თანამედროვეობის აქტუალურ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. ასეთად ბირველ რიგში შეიძლება პალეოდემოგრაფიის ან კიდევ პალეოურბანისტიკის შესწავლა დღევანდელი დღეში. ასე, მავალითა, ქალაქური კულტურის განვითარების კანონო-



მიერების გამოვლენას (რაც არქეოლოგიურა მასალების საფუძველზე პალეოთრანსისტული კვლევის საგანს წარმოადგენს) დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამედროვე ურბანისტული პროცესების მართვის საქმეში.

3.2. არქეოლოგიურ ტექნოლოგიაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა, განსაკუთრებით კი მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების ფართოდ დანერგვამ უთუოდ მყარი, მტკიცე მეცნიერული საფუძველი შეუქმნა არქეოლოგიას, თუმც, ბუნებრივია, იმავე დროს გაართულა კიდევ თვით სისტემა არქეოლოგიური კვლევის მეთოდისა. დღის წესრიგში დადგა არქეოლოგიური კვლევის მეთოდის ადგილის განსაზღვრა მეცნიერული კვლევის მეთოდის საერთო სისტემაში, ახალი მეთოდების ეფექტურობისა და მათი ტრადიციულ "არქეოლოგიურ" მეთოდებთან ურთიერთობის, კვლევის მეთოდების ემპირიული და თეორიული დონეების კანონზომიერ თანაფარდობათა საკითხები. ამის კი შედეგად მოჰყვა ცხოველი დისკუსია (გლობალური მასშტაბით) არქეოლოგიის მეცნიერულ-მეცნიერებითი პოტენციალისა და თვით არქეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, საგნის შესახებ.

3.3. ართუდ ისე დიდი ხნის წინ თითქმის ერთხმად აღიარებდნენ, რომ არქეოლოგია მხოლოდ ისტორიის დამხმარე დისციპლინა და მისი ილუსტრაციაა. ისტორიისა და არქეოლოგიას შორის ერთადერთ განსხვავებას მხოლოდ იმაში ხედავდნენ, რომ არქეოლოგიაში პირველწყარო ნივთიერი ძეგლებია, ხოლო ისტორიისა — წერილობითი. არქეოლოგია ერთი ნაწილი (მაგ. ამერიკის არქეოლოგიაში ე. წ. ფაქტოლოგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებისა უ. ტეილორის მეთაურობით) ახლაც იმ აზრს ადგია, რომ არქეოლოგია მხოლოდ დამხმარე-ტექნიკური დისციპლინაა, რომლის ძირითადი ფუნქცია თითქოს მოპოვება-გადამუშავებაა და ამიტომაც არ საჭიროებს სპეციფიკურ თეორიას და მეთოდისაო. მაგრამ თვით ამერიკაში ამ მიმდინარეობას მკვეთრად დაუპირისპირდნენ ე. წ. "ახალი არქეოლოგის" წარმომადგენლები გამოჩენილი მეცნიერის ლუის ბინფორდის მეთაურობით.³ მათ აღიარეს, რომ არქეოლოგიური რბივტექნიკური თვისებები არტეფაქტების რომელიც თავის თავში შეიცავენ ინფორმაციას ვარდასაულო სოციალურ-ტრადიციული სისტემების შესახებ და თანამედროვე არქეოლოგიის უპირველესი ამოცანა ამ ინფორმაციის გამოვლენაშიაო. "ბინფორდის ჭვადის" ცლა ჰიპოთეზურ-დელტატიურ მეთოდის ფართოდ გამოყენებით

მიმდინარე პროცესების ღრმად შესწავლა და კანონზომიერებათა დადგენა თანამედროვე არქეოლოგიური მეცნიერული აზროვნების ერთ-ერთ თვალსაზრის მიღწევადაა მიჩნეული.

3.4. თანამედროვე არქეოლოგიაში მტკიცედ დამკვიდრდა აზრი, რომ არქეოლოგია დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-ისტორიული მეცნიერებაა, რომელსაც აქვს საკუთარი კვლევის თეორია და მეთოდი. არქეოლოგიის კვლევის ობიექტი მიწის წიაღში მოქცეული ნივთიერი კულტურის ძეგლებია. მაგრამ ამოცანა მხოლოდ ამ ძეგლების გამოვლენაში კი არ მდგომარეობს, არამედ პირველ რიგში მატერიალურ ნაშთებს შორის ურთიერთობისა და მათ შორის წესრიგის გამოვლენა და ახსნა უშთავრებს ამოცანა. მიწის წიაღში არქეოლოგიის კვლევის საგანი ე. წ. კულტურული ფენა, ე. ი. ნიადაგის ის ფენა, რომელიც ადამიანის მოქმედების კვალსა და ნაშთებს შეიცავს. ამდენად ეს კულტურული ფენა ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის (სამეურნეო, საომარი, ყოფითი, სულეარის, კულტურული თუ სხვ.) აურაცხელი სიმრავლისა თუ მრავალფეროვანი ნაშთების კომპლექსითაა წარმოდგენილი. ეს ნაშთები სტრუქტურულად სხვადასხვა გარემოში და ნიადაგშია განმარტებული. ამასთან, "განმარტება" მიმდინარეობდა არა მხოლოდ დროში, არამედ სივრცეშიც. თითოეული ეპოქის კულტურულ ფენას აქვს, ამრიგად, თავისი ისტორია და მას ჩვენ ვერ გავივებით თუ არ დავადგენთ მისი თითოეული შემადგენელი კომპონენტის ადგილს რთულ სისტემაში: როგორ მოხვდა იგი ამ კომპლექსში, როგორი იყო მისი ფუნქცია და როლი, მიმართება სხვა კომპონენტებთან. არქეოლოგია, ამრიგად, ეკვლევს ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების მიერ მიწის წიაღში დატოვებული ნაშთების (ნივთიერი საგნებისა და ამ საგნებში განსაზღვრებულ მოვლენების) წარმოშობასა და ვანვათარებას დროსა და სივრცეში. ამიტომაც არქეოლოგიური გათხრისა და მასალის მოპოვების მეთოდის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. უცილობელ პირობადაა აღიარებული ტოტალური გათხრა არა მხოლოდ ერთ ძეგლისა (უთქვეთ, სამოსახლოსი ან სამართვისის) ერთს რომელიმე პუნქტში, არამედ ძეგლთა კომპლექსებისა ვარკვეული ისტორიულ-კულტურული რეგიონის ფარგლებში; ამასთან აღნუსხვა მთელი მასალისა სტატისტიკური ანალიზისათვის; მისაწვდომი პრინციპებით როგორც ცალკეული ერთეულებისა მორფოლოგიური და ტექნოლოგიური ნიშნებით, ასევე კომპლექსებისა და ჭვადების ფუნქციონალური თვალსაზრისით. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ეტაპია არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა. მას

³ იხ. კრებული — New perspectives in archaeology, ed. by Sally R. Binford and L.A. R. Binford, Chicago, 1970.

ოთარ ლორთქიფანიძე
არქეოლოგიკა და თანამედროვეობა

მედიკოლ უკავშირდება მეორე ტეპი — არქეოლოგიური კვლევის ინტერპრეტაციულ დონედ წოდებული. ამ დონეზე ხდება ისტორიულ-სოციოლოგიური ანალიზი: ადამიანთა საზოგადოების განვლილი ეტაპების რეკონსტრუქცია (არქეოლოგიური საგნების სოციოლოგიური ინტერპრეტაცია, პალეოეთნოგრაფიის მოდელირება, არქეოლოგიური კულტურების ვარიანტების კანონზომიერებათა დადგენა და მათი ეთნოკური და ეთნოლინგვისტური ატრიბუცია და ა. შ.).

არქეოლოგიური კვლევის მეორე, ე.წ. ინტერპრეტაციული დონე პირველის გარეშე წარმოდგენილია და არსებითად მისი განახლებისა სხვადასხვა ხედვებით და მიზანდასახულობით. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე არქეოლოგიას სულ უფრო და უფრო აღიარებენ დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-ისტორიულ მეცნიერებად, რომლის უმთავრესი ამოცანა მატერიალურ ნაშთებში ასახული კულტურული-ისტორიული პროცესების კანონზომიერებათა დადგენაა.

4.1. არქეოლოგიური ძეგლები მრავალმხრივ (არა მხოლოდ ისტორიულ!) ინფორმაციას შეიცავენ და მათი სრულყოფილად გამოკვლევას აუცილებლობამ განაპირობა არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდების ფართოდ გამოყენება. განსაკუთრებით: თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული არქეოლოგიაში ფიზიკური მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით. ეს მეთოდები სამი სახეობის ამოცანის გადაჭრას ემსახურება: ა) გეოფიზიკური (მაგნიტური, ელექტრიკი, ელექტრომაგნიტური) დაზვერვა მიწის სქელი ფენის ქვეშ მოქცეული ქვიშაგები კედლების, კერამიკული ქურების, ძველი თხრილებისა და არხების, გზების გამოსავლენებლად.

ბ) არქეოლოგიური ნივთების ფიზიკური გამოკვლევა, როგორც მასალათმცოდნეობის, ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით. იმ მასალის შესწავლა, რომლისაგანაც ნივთი დამზადებული (თიხა, ლითონი, ქვა, ობსიდიანი), საშუალებას იძლევა განისაზღვროს ნედლეულის წყარო. ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა მინერალოგიური, იზოტოპური და ქიმიური ანალიზი. (კერძოდ, ქიმიური ანალიზის ფიზიკური მეთოდები: ოპტიკური ემისიონური სპექტროსკოპია, რენტგენული ფლოუორესცენტური და ნეიტრონულ-აქტივიზაციური ანალიზი).⁴

⁴ უაღრესად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ოქროსა და ვერცხლის მონეტების ანალიზის შედეგად, კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოვლენი-

არქეოლოგიური ნივთის ყოველმხრივი შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვერულ-სტილისტურ და ტიპოლოგიურ ანალიზთან ერთად) მის ტექნოლოგიურ გამოკვლევას. განსაკუთრებით თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული მეტალოგრაფიული ანალიზის შედეგად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ლითონის შინაგანი კრისტალური სტრუქტურა და მით მივიღოთ ინფორმაცია ლითონის, ჰამოსხმისა და შემდგომი დამუშავების მეთოდების შესახებ. მეტალოგრაფიული ანალიზის შედეგები ხშირ შემთხვევაში სენსაციურია, ასე, მაგალითად კუნძულ კრეტაზე ნაპოვნი ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნით დათარიღებული ბრინჯაოს მახვილი, რომელიც სპილენძის მანქლებიანი ვერცხლითაა მორთული. 1968 წელს გამოქვეყნდა ამ ნივთის მეტალოგრაფიული შესწავლის შედეგები ინგლისელ მეცნიერის ჯ. ჩარლზის ავტორობით: დადგინდა, რომ ვერცხლი და სპილენძი ერთმანეთთან ვერცხენიურ შენადნობითაა დაკავშირებული. აქამდე კი ითვლებოდა, რომ ამ ტექნოლოგიის შემომქმედი ვინმე ბოლოსოვერი, რომელსაც 1743 წელს შეუქმნია „შეფილდური ფირფიტა“.

ასევე დიდმნიშვნელოვანია კერამიკის ტექნოლოგიური შესწავლის შედეგები, რაც ქმნის სრულ წარმოდგენას მთელ პროცესზე (ნედლეული, დამზადების ტექნიკა, გამოწვა და ა. შ.). საინტერესოა, რომ ქიმიურ-ტექნოლოგიურ და მინერალოგიურ ანალიზთან ერთად უკანასკნელ ხანებში მიმართავენ აგრეთვე ხელით ნაქრწი კერამიკის დაქტილოსკოპიურ შესწავლასაც. მით აღგენენ ქალების მონაწილეობასაც კერამიკულ წარმოებაში და სქესობრივი სუბკომპლექსების გამოვლენით სემენ პალეოსოციოლოგიურ და კულტურულ ურთი-

ლია ძვირფასი ლითონის ოდენობის შემცირება და მით დოკუმენტურადაა დადგენილი ის ეკონომიური სიძნელებები, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა განიცდიდა მისი ისტორიის რომელსავე ეტაპზე. ასე მაგ. ინგლისელმა მეცნიერებმა ხ. ზავესის მეთაურობით VII საუკუნის ანგლოსაქსური მონეტების რენტგენული ფლოუორესცენტული სპექტრომეტრის მეშვეობით ანალიზის შედეგად დაადგინეს ოქროს თანდათანობითი შეცვლა ვერცხლით (რაც ხდებოდა თურმე შვიდჯერადი დეველაციის გზით, ამასთან თითოეული შემთხვევაში ვერცხლის ოდენობა იზრდებოდა 14,3% — ე.წ. წონის 117). ეს ფაქტი ახსნის ე.წ. „ოქროს შიმშილით“, რომელიც დასავლეთ ევროპაში გამოიწვია ბიზანტიასთან საეკონომიკური თანხმობის დაწყებამ.



ერთობათა უაღრესად საინტერესო პრობლემებს.⁵

გარქეოლოგიური ნივთების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდებით უკანასკნელი ხანის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევაა. განსაკუთრებით ფართო აღიარება მოიპოვა დათარიღების რადიოკარბონულმა მეთოდმა, რომელიც კოსმოსური სხივების დეამიწის ატმოსფეროზე ზემოქმედების ეფექტზეა დაფუძნებული (რადიოაქტიური ნახშირბადი C¹⁴). რადიოკარბონული მეთოდი ჩვეულებრივ გამოიყენება ხისა და ხის ნახშირის, ნივარის, ტორფისა და სხვა მსგავსი მასალის დასათარიღებლად. სულ ახლახან იელის უნივერსიტეტის (აშშ) რადიოკარბონულ ლაბორატორიაში დააწყეს აგრეთვე ძველი რკინის ნივთებისა და წილების დათარიღება. უკვე მიღებული ეფექტური შედეგი ახალ პერსპექტივებს შლის აღრული რკინის ხანის კულტურის შესწავლის საქმეში.⁶

ასევე ფართო აღიარება პოვა კერამიკული ნივთების არქეომანტიური მეთოდებით დათარიღებამ. უკანასკნელ ხანებში საინტერესო შედეგებმა მიღწეული კერამიკის ე.წ. თერმოლუმინესცენტური მეთოდით დათარიღებისას (განსაკუთრებით აშშ და ინგლისის ლაბორატორიებში). სულ ახლახან საბჭოთა მეცნიერმა ო. კრუგმა დაამუშავა კერამიკის დათარიღების ახალი მეთოდი — კრისტალოგრაფიკური, რომელიც კეცის შემადგენლობაში მყოფი კვარცის გაზომვაზეა აგებული და საკმაოდ საიმედოდ გამოიყურება. ფიზიკურ მეთოდებთან ერთად, უკვე კარგა ხანია ფართოდ გამოიყენება ე.წ. დენდროქრონოლოგია ანუ ხის მეტრის წლიური წრეებით დათარიღება. ასე მაგალითად, შექმნილია ნოვგოროდის აბსოლუტური დენდროქრონოლოგიური შკალა, რომელიც რუსეთის სიძველეების შემსწავლელებს საშუალებას აძლევს ხის ნაგებობანი დათარიღონ ერთი წლის სიზუსტით!

4.2. არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევების ფართოდ გამოყენება თანამედროვე მეცნიერული სისტემის განვითარების როლიდან გამომდინარეობს და თანამედროვე მეცნიერულ პროცესის ერთ-ერთი არსებითი თავისებურებათაგანია. მაგრამ არაფრით არაა გამართლებული ზოგიერთი მეკვლევარის ცდა, რომ არქეოლოგია ჩამოაშოროს ე.წ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

სისტემას იმ საბაბით, რომ არქეოლოგიის კვლევის ობიექტი მატერიალური ნივთებია, ე.ი. ფიზიკური საგნები. ხშირად ავიწყლება, რომ ეს ნივთები აბსტრაგირებული ფიზიკური ობიექტები კი არაა, არამედ ადამიანის ხელითა და გონებითაა შექმნილი. ამიტომაცაა უცილობელი, რომ კვლევის ყოველ დონეზე არქეოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის შესახებ მეცნიერების სისტემასთან და შეადგენს მის ერთ-ერთ დისციპლინას.

5. 1. სწორედ საკვლევი საგნის თავისებურებამ განაპირობა არქეოლოგიის სრულყოფილ განსაკუთრებულ რიგში თანამედროვე საზოგადოებაში. XX საუკუნის მეორე ნახევარი ადამიანის გონების, მისი გენიის ბუნებაზე ყოველდღიური გამარჯვებისა და ზეიმის ეპოქაა. დღევანდელი საოცარი პროგრესის მოტილი სიღრმადის სრულად შეცნობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ თვალს გვაგადგენებთ ადამიანის ნააზრევისა და ნახელავის განვითარებას მისი პირველი ნაბიჯებიდან — ქვის პრიმიტიული იარაღიდან დღევანდელი ავტომატური მართვის კოსმოსურ მანქანამდე. კაცობრიობას ორ მილიონზე მეტი წელი დასერიდა რომ მიეღწია ადამიანის გონების დღევანდელ მწვერვალამდე და ამ ორი მილიონი წლის მრავალი საიდუმლოს გამოშუქებდა და მომავალი თაობებისთვის მისი გაცნობაა თანამედროვე არქეოლოგიის საპატიო ამოცანა. მაგრამ არა მხოლოდ ეს! დღეს, როდესაც ადამიანი ვახდა სამყაროს ბატონ-პატრონი, ჩვენი წინაპრების თვითუღი ნახელავი და ნააზრევი ისევე ძვირფასია თანამედროვე ადამიანისთვის, როგორც საუკეთესო საოჯახო რელიქვია. ვინ მოთვლის წარსული ეპოქების მალალი აზრისა და ხელოვნების რამდენი უბერებელი ძეგლი დაუბრუნა კაცობრიობას არქეოლოგის ნიჩაბმა. აბა, წარმოიდგინეთ რა ღარიბები ვიქნებოდით დღეს ჩვენ, რომ არ გვეჩონოდა ნეფერტიტის მშვენიერი სახე და მილოსელი ვენერა, კრეტის სისახლეები და მთიას ქვეყნის პირამიდები, პელას მოზაიკები და ფთიუმის ფრესკები, თრიალეთის, ვანისა და მცხეთის ოქრომჭედლობის განსაცვიფრებელი ნიმუშები... ძველი ხელოვნების შედევრები ადამიანის მოღვმის კიდევ მრავალ ათეულ თაობას მოიყვანს ალტაცებაში, ამაღლებს მას და გაააყვებს.

არქეოლოგიური მონაპოვარი კი დღეს აგრე აღელებს თანამედროვე ადამიანს იმტომ, რომ იგი უღვრებს მას რწმუნანსა და პატივისცემას ადამიანის გონების ძალისა და პროგრესის მიმართ საერთოდ. ამიტომაცაა რომ ახლა მთელ მსოფლიოში იუნესკოს დროშით მიმდინარეობს კამპანია წარსული ეპოქების კულ-

5 ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული შედარებითი კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს ამერიკელმა არქეოლოგებმა ლ. ბინფორდმა, ფრ. კუიშბომ, ჯ. დიცმა და სხვ.

⁶ Nikolas J. Var der Nerwe, The Carbon - 14 Dating of I. I ron, Chicago, 1969.

ოთარ ლორთქიფანიძე
არქეოლოგია და თანამედროვეობა

ტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად. იგ-ზაენება ექსპედიციები აფრიკასა და ამერიკის ჯუნგლებში, ინდისა და ნილოსის ნაპირებზე... ყველას ახსოვს თუ როგორ დაირაზმა მთელი ცივილიზებული მსოფლიო და გადაარჩინა ძველი გვიპტის საოცარი ქმნილება — რამ-ზეს მეორის ტაძარი აბუ-სიმბელში.

ერთი სიტყვით — თანამედროვე საზოგადოებაში არქეოლოგია კიდევ ერთი მეტად საპატიო მისია აქვს: დადგინდეს ადამიანსა და მომავალ თაობებს დაუბრუნოს მისი წიაღში მოქცეული ყველაზე დიდი განძი — ადამიანის ნააზრევი და ნახელავი.

5.2. არქეოლოგიური ძეგლები საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღებისა და დაცვის საგანია დღიდან მისი დაარსებისა. ოქტომბრის რევოლუციის პირველადი დღეებში პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დანიშნა მუზეუმებისა და მხატვრულ ფასეულობათა დაცვის კომისარი. 1918 წლის 14 აპრილს კი ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნდა დეკრეტი „რესპუბლიკის ძეგლების შესახებ“, ხოლო 1919 წლის 18 აპრილს, სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის მძიმე პირობებში, ლენინის დეკრეტით შეიქმნა მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია, რომელსაც შემდგომ ეწოდა არქეოლოგიის ინსტიტუტი:

«Академия материальной культуры учреждается для археологического и художественно-исторического научного исследования вещественных как монументальных, так и бытовых памятников, предметов искусства и старины и всех вообще материальных культурных ценностей, а также научной охраны всех таких ценностей находящихся в пределах Российской Социалистической Федеративной Республики».

ასე რომ სწორედ არქეოლოგიის ინსტიტუტი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რომ დაარსდა მოსკოვში მეცნიერებათა აკადემიასთან.

დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა ახალი მძლავრი ტემპებით შეუდგა გრანდიოზული მასშტაბის მშენებლობას, ძველი კულტურისა და ხელოვნების ძეგლების დაცვასა და მეცნიერულ შესწავლას კვლავ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა: სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 ოქტომბრის №3998 დადგენილებით ძველი კულტურისა და ხელოვნების ძეგლები საერთო-სახალხო საკუთრებად გამოცხადდა, ხოლო სამშენებლო დაწესებულებებსა და უწყებებს დაევალით დააფინანსონ მშენებლობის ზონაში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა.

გვიჭრებ, ზემოთქმული თელსაინიო ილუს-

ტრაცია იმისა, რომ ძველი მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ძეგლები წარსული ეპოქების კულტურული მემკვიდრეობა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანდაა ქვეული საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების პირველივე დღიდან!

5.3. გრანდიოზულ ახალმშენებლობათა ეპოქაში, რომლის აქტიური მონაწილედ დღეს ჩვენი თაობაა, განუზომლად იზრდება, ამრიგად, არქეოლოგიის როგორც მეცნიერების როლი თანამედროვე საზოგადოებაში. განსაკუთრებით თელსაინიოა ეს არქეოლოგიური ძეგლებით ისეთ მრავლად დაყურსულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა. თითქმის ყოველდღიურად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს თუ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს მოსდის ცნობები (წერილობითი, ღებუთი, ტელფონით თუ პირადად) არქეოლოგიური ძეგლთა აღმოჩენის შესახებ. ყველანა იხიოვეს შველას, ძეგლის გათხრას, შესწავლას. ეს კი იმას მოწმობს, რომ არქეოლოგიური ძეგლები საერთო-სახალხო ზრუნვის საგანია.

5.4. ახალმშენებლობათა ზონაში ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სამუშაოები უკვე აღინიშნა უდიდესი მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობის აღმოჩენებით. ასე მაგალითად, უკანასკნელ წლებში იორ-ალანის სარწყავი სისტემის მშენებლობის ზონაში აღმოჩენილია ძველი ქვის ხანის ადრეული ეტაპის მანამდე უცნობი ძეგლები, აღრეამიწიომოქმედო დასახლებები, შუაპირიჩაოს ხანის ბრწყინვალე თრიალეთური კულტურის ახალი კერები, ადრეკინისა და ანტიკურ-ფეოდალური ხანის მრავალფეროვანი ძეგლები. ჩვენი დედაქალაქის მისაღმაგებთან დღმის ველზე აღმოჩენილია და ინტენსიურად ისწავლება კარგად სტრატეგიკობული არქეოლოგიური ძეგლები (ნამოსახლარები და სამაროვნები) ძვ. წ. V-IV ათასწლეულებიდან მოყოლებული გვიანსამულო საუკუნეებამდე. განუზომელი ამ ძეგლების მეცნიერული მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიაში პრეოქალკური ცივილიზაციის, აგრეთვე თბილისის გაქალაქების ისტორიისათვის.

ასევე დიდი მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობის ძეგლების აღმოჩენით აღინიშნება ყოველწლიურად არქეოლოგიური სამუშაოები ვინეალქესის, ვარციხეჯესის, კოლხიდ-მშენისა, ნასტაკისის და სხვა მშენებლობათა ზონაში.

ახალმშენებლობათა ტრეატირიაზე ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიების დიდი მეცნიერული ეფექტი სავსებით აშკარაა და სავანებო დასაბუთებას არ მოითხოვს.

5.5. ჩვენს რესპუბლიკაში ახალმშენებლობა-



თა არეალი და ტემპები კი ყოველწლიურად იზრდება: იგება მძლავრი ელსადგურები, უზარმაზარი ქარხნები, წყალსაცავები, დიდი სარწყავი სისტემები, გზები, საცხოვრებელი კომპლექსები... ამასთან, მომავალ ხუთწლეულებში ახალი ფაბრიკა-ქარხნებისა და მათი თანხლები საცხოვრებელი მიკრორაიონების მშენებლობა იგეგმება თითქმის მთლიანად დიდი ქალაქების გარეთ; რასაც, ბუნებრივია, მოჰყვება არქეოლოგიური ძეგლებით მდიდარი მიწების ათვისება. ასევე სამელიორაციო სამუშაოები იორ-ალაზნის ველზე, კოლხეთის დაბლობში და სხვ. გამოიწვევენ დიდი მასშტაბის სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწის სამუშაოებს. ყოველივე ზემოთქმული განადგურების გარკვეულ საფრთხეს უქმნის ნივთიერი კულტურის წიაღისეულ ძეგლებს. ამიტომ ახალმშენებლობათა ზონაში არქეოლოგიური სამუშაოების დროული განხორციელება ჩვენი არქეოლოგიური კვლევა-ძიების პირველი ამოცანაა: შეუძლებელია მშენებლობათა შეჩერება ან მისი ტემპების შენელება კი! მაგრამ იმავე დროს ყოველ დაუშვებელია, რომ კულტურისა და ხელოვნების ძეგლები, მეტწილად უნიკალური, დიდი მეცნიერული და მხატვრული მნიშვნელობისა, დაინგრეს ან წყლდნენ დაიფაროს მეცნიერული შესწავლისა და ლაცეის გარეშე.

ახალმშენებლობათა ფარგლებში მოქცეული არქეოლოგიური სამუშაოების დროულად და ეფექტურად განხორციელება სახალხო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა: ჩვენ ფეხდაფეხ უნდა მივყევით (უფრო სწორედ,

უნდა დაეასწროთ) ახალმშენებლობებს, რომ შევძლოთ მეცნიერებისა და ხალხისათვის არქეოლოგიური ძეგლების გადარჩენა, რომელთაც დაღუპვა ემუქრებათ. საამისოდ აუცილებელია ახალმშენებლობებით გამოწვეულ სავლე-არქეოლოგიურ სამუშაოებს მიეცეს გეგმაზომიერი ხასიათი, რომელიც რესპუბლიკის ახალმშენებლობათა პერსპექტიულ გეგმასთან იქნება კოორდინირებული: ქართული არქეოლოგიის სოციალისტურ ახალმშენებლობათა სამსახურში ჩაყენება გადაუდებელი ამოცანაა. ახლა, როდესაც მიწას, რომელიც ჩვენი ხალხის მიერ ასეული და თასისეული წლების მანძილზე შექმნილ მატერიალურსა და სულიერ კულტურას ინახავს, არნახული ძალით არყვევენ მძლავრი ბულდოზერები და ექსკავატორები, შეიქმნა რეალური საფრთხე საერთო-საკაცობრიო და ეროვნული კულტურული საუნჯის განადგურებისა. როგორც არასდროს ქართული მეცნიერებისა და მთელი ჩვენი საზოგადოების წინაშე დადგა პრობლემა არქეოლოგიური ძეგლების გადარჩენისა, მისი ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლისა.

ქართული არქეოლოგიის განვითარებაში ამრიგად დადგა ახალი ეტაპი: უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო. მისი წარმატება მშენებლებთან ნაყოფიერ თანამშრომლობაზეა დიდად დამოკიდებული. ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ დღევანდელ აღამიანს და მომავალ თაობას დაეუბრუნოთ და შეეუნახოთ მიწის წიაღში შემონახული ყველაზე დიდი საუნჯე — აღამიანის ნაზრევი და ნახელავი.



ზაურ კილაძე

ფორმის საკითხისათვის უიღიამ ფოლკნერის შემოქმედებაში

„ერთგზის როდი შექმნილა ქვეყნიერება,
 არამედ იმდენჯერ, რამდენჯერაც დაბადე-
 ბულა ორიგინალური ხელოვანი“.

მარსელ პრუსტი

მრავალ და წარმავალ ლიტერატურულ მიმდინარებებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ლიტერატურის ისტორია, საბჭოთა მეცნიერის მ. კავანის აზრით, შეიძლება სამ დიდ ეტაპად დაიყოს.

წესბერეული შემეცნების სადღეისო, მესამე ეტაპისათვის მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა დამახასიათებელი: გვიჩვენოს ადამიანი როგორც ბიოლოგიურ და სოციალურ სტრუქტურათა რთული ერთობლიობა. უბრალოდ რომ ვთქვათ, დროთა ვითარებაში „უარყოფილ“ იქნა „მარტივი“ სქემები — ლიტერატურულ გმირს თვისებათა ერთგვარი მოცემულობა, სტატიკურობა, თანდაყოლილობა რომ გააჩნდა (I ეტაპი); ანდა ეს თვისებები სოციალური გარემოთი რომ იყო განპირობებული (II ეტაპი).

ორივე ამ ეტაპის შეზღუდულობას მესამე „ძღვეს“ იმით, რომ მოახდენს „გენოტიპური მოცემულობის“ შეფარდებას ინდივიდის სოციალიზაციის პროცესთან“ (მ. კავანი). ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ თ. დოსტოევსკის „დანაშაული და სსაჭელი“. რასკოლნიკოვის დახასიათებას რომ შევუდგეთ, მართლაც, შეიძლება კაცმა ბევრ კითხვას გასცეს პასუხი და ბევრი სინტერესო ამაზე თუ გარე-

მობეა მოიკვლიოს. მაგრამ მთავარი, და ამავე დროს მარტივი კითხვა უპასუხოდ დარჩება, იმიტომ, რომ რასკოლნიკოვი ლიტერატურის მესამე ეტაპისეული გმირია, და ამ „რად“ და „რატომ“ შეიძლება ბოლოს და ბოლოს იქამდეც მიგიყვანოს — რასკოლნიკოვი რომ არ დაბადებულიყო არც ის ამბები მოხდებოდაო. როგორც ჩანს, პასუხის გაცემა მხოლოდ რუსთველური აქსიომით შეიძლება: „ჩვენ, კაცთა, მოგეცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“.

და აი დადგება დრო, როდესაც უშუალოდ, ისე როგორც არასდროს, ლიტერატურა დაინტერესდება უთვალავ ამ ფერთა თვითეული, ერთეული ნაწილით. ამ დროს იგი, ბუნებრივია, თავისი მოწოდების შესაბამისად, შეეცდება გვიჩვენოს ისტორიულ ქართველებში საოცრად „დამპიძებული“, კაცობრიობის ტიტანების უკვე არსებობის ფაქტით მეტად გართულებული რეალიზმი, შეეცდება გვიჩვენოს ადამიანი როგორც გენოტიპის ფსიქოფიზიოლოგიური სტრუქტურით განპირობებული ინდივიდი და იგივე ადამიანი როგორც პიროვნება, ცვალებადი საზოგადოებრივი ყოფიერების და საზოგადოებრივი შემეცნების სტრუქტურით რომ განისაზღვრება, კონკრეტული მოღვაწეობის რე-



ალიზაციითა და მოდიფიკაციით ჩამოყალიბებული (მ. კავანი). ლიტერატურის ჭეშმარიტი გმირი კონკრეტული, დიდი ხელოვნის ნიჭით წარმოსახული ადამიანი გახდება, მეტად გართულბულ სოციალურ პირობებში. რომ დაიწყებს ცხოვრებას, როცა მრავალრიცხოვანი და მრავალმხრივი წინააღმდეგობანი მოიცავს მის სულს: წინააღმდეგობანი საკუთარ „მე“-სთან, მზად გადაწყვეტელი და დაუსრულებელი რომ არის, წინააღმდეგობანი სხვა „მე“-სთან, რომელთა შეჯახება-ურთიერთობანი, რაიც დიალოგიზმის სახელითაა ცნობილი, ნათელი ჭეშმარიტების საფუძველი ხდება, ისტორიის, კერძოდ, ლიტერატურის ისტორიის მრავალ და მრავალ მონათვაართა წილ რომ გამოიკეთება ხოლმე.

მხატვრული შემეცნების ამ მაღალი საფეხურის დასაწყის მიჯნაზე ლიტერატურა გარდაქმნის ციებ-ციხელებით დაავადდა. ეს დაავადება ზრდით იყო გამოწვეული, მიზნულ მრავალ „ინჰიბიციონ“ წარმოშობისა, იმდროინდელი კრიტიკის გაოცება-განრისხება რომ დაიმსახურეს. მართლაც და, მაშინ ამ პროცესის ნამდვილი საფუძვლის მოკლევა შეუძლებელი აღმოჩნდა: და მოხდა ის, რასაც გუფუგებ რომა და გაუტრკვევლობა გამოიწვევს ხოლმე: პროცესების „ნათელი“, „მოკლე“ და „მკაფიო“ სახელწოდებებით შემკობა, ამით ერთგვარად კომპენსირება რომ გაუკეთდება წინააღმდეგობის „მიუწვდომელ“ იდუმალებას. მხოლოდ გარკვეული პერიოდის გარდასვლის შემდგომ, უკვე „დისტანციიდან“ ცხადი ხდება: ძიება იყო ეს პროცესები, კერძოდ ახალი, საოცრად გართულბულ-დამძიმებული ცხოვრების შესატყვისი ფორმის ძიება; იმხანად შეუძლებელი სოციალური ძვრები და მის ეპიცენტრში მოქცეული გმირი, მრავალ უჩვეულო განზომილებაში რომ დაინახავს თავს და თავის მსგავსს, სათანადოდ ხომ უნდა ასახულიყო ხელოვნების მაგიურ სარკეში. გარკვეულმა გარემოს-საზოგადოებრივმა ცვლილებებმა ლიტერატურულ ამ პროცესებს როგორცაა შეუშინველი, ჩუმი ბიძგი მისცეს, და ასე ჩანდა, რომ ზედაპირზე მხოლოდ შეუცნობადი ფორმები ყელყელობენ, უაზრონი და ყოვლისგან განმარცხვნი, მიუღებელი სადი ვინებისათვის. მაგრამ, სახედნეროდ, მხოლოდ ასე არ იყო და პრც შეიძლებოდა ასე ყოფილიყო: იყვნენ მწერლები, რომლებსაც ახალი ცხოვრების ახალი ხილვა გამოაჩნდათ, მისი ტოლი ფორმით უჩვეულოდ გამეცნებებული და წარმოჩენილი. რაღა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთეულბემა შეძლეს. იყვნენ ისეთებიც, კიდევაც წინ რომ უსწრებდნენ ამ პროცესის აპოგეას; ტიტანური ნიჭის შემოქმედებმა შეძლეს უპირველად დაუფლებოდნენ ახალი ცხოვრებისეული გადმოცემის ფორმას (მაგალითად, თ. დოსტოევსკი, ვაჟა-ფშაველა),

და ამით საკუთარი შემოქმედებით ნათელი მოეცინათ მაშინვე თუ არა, შემდგომ მაინც, ამ ურთულესი მოვლენებისათვის.

ლიტერატურა „გარემო — ინდივიდ — პიროვნულ“ სქემათა წყველიაში აღმოჩნდება, ადამიანის სულს რომ მოიცავს. ლიტერატურის გმირი გახდება კონკრეტული ადამიანი როგორც ინდივიდი და როგორც პიროვნება, საოცრად გართულბულ სოციალურ გარემოში რომ დაიწყებს ცხოვრებას, როცა შეიძლება ადამიანი სუფევდეს მკვლელი და ყოფიერების დიდი გაგებით გულანგილებული ფილოსოფოსი. ადამიანი წინააღმდეგობაში ჩავარდება, რადგან მისი სულის ოდინდელ საწყისებზე სულ მეტად რთულად ზემოქმედებს გარემო-საზოგადოება, და მაშინ დაინახავს იგი ადამიანურ ურთიერთობათა უსაზნო უფსკრულს... და დაიწყებს „ფილოსოფოსობას“ თ. დოსტოევსკის გმირების დარად, მაგრამ ამოდ, რადგან ბოლომდე ვერ ჩასწვდება და, ამგვარად, ვერ მიაღწევს მიზანს (თუ არ ვივულისხმებთ იმას, რომ თავად ეს არის მიზნის მიღწევა). ლიტერატურა, რაღა თქმა უნდა, ამ დროს ადამიანის შიდა სამყაროთი, ანუ ფსიქოლოგიით დაინტერესდება. „ფსიქოლოგიით დაინტერესება“ სერიოზულ განმარტებას მოითხოვს. რაც მთავარია, აქ მეტენიერული ფსიქოლოგია არ უნდა ვიქონიოდ მხედველობაში, არამედ სპეციფიკური მოვლენა, მხოლოდ ლიტერატურისათვის რომ არის დამახასიათებელი: „მეცნიერები არცთუ ისე იშვიათად უძღვრნი არიან ვაიკონ — რითი ხდება ადამიანი ადამიანური. მათი საუკეთესო ნაშრომებიც კი, როგორც ჩანს, რაღაცით ნაკლებანია ამ მხრივ. ხოლო მწერალს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს სიყვარული, მეგობრობა, ვენახი, გმობობა, სიძულვილი, ნაცვალგება, იქნეულობა და სხვა გრძნობები. ლიტერატორები ყურადღებას ამახვილებენ ეფექტური კავშირების აღწერაზე, ხასიათებს შორის რომ გაიკვანძება, მათ ვანივთარებასა და ტრანსფორმაციაზე, აგრეთვე სიხარულზე, სევდასა და მწვავე კონფლიქტებზე, რომლებიც ადამიანის ურთიერთობისას წარმოიშვებიან“ (ტ. შიბუტანი).

მხატვრული შემეცნების ახალმა საფეხურმა მოითხოვა უფვალად, დიდი და მკირბ მნიშვნელობის ამბებში სხვა პერსონაჟებთან მიმართებით ცალკეული გმირის თავისებურებათა გადმოცემა. ეს მოვლენა ლიტერატურის ისტორიაში „ფსიქოლოგიზმის“ სახელითაა ცნობილი. ტრადიციით როგორცაა დამკვიდრდა, რომ „ფსიქოლოგიაში“ ადამიანის სულის უღრმეს შრეებს უნდა მიმოიხილავდეს, ანუ მწერალმა ადამიანის სულის შეუვალ კუნძულებს უნდა

ზაურ კილაძე

ფორმის სპატიოზინათმის
შილინამ ფოლკანდრის შემოქმედებაში

ნააღწიოს, ასეთი „ჩაღწევა“ ხშირად ნაყალბევი გამოდიოდა (უკუთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ის მწერლები, რომლებიც ჩვეულებრივ მოყვებოდნენ აშბავს, ასეთ დროს ადამიანის ფსიქოფიზიონომია თავისთავად და დამაჩრებლად იხატებოდა ხოლმე), რადგან ასეთ მწერლებს ისე იტაცებდა ეს ფსიქოლოგიზმი, რომ ყოველივე სხვა ავიწყდებოდათ (ანუ სხვას კვლარ სწვდებოდა მათი ტალანტი) და ამგვარი ნაწარმოებების ღირებულება, მისი „ფსიქოლოგიური პარადოქსები“ დავიწყებას ეძლეოდა. „შეცდომა“ ამ მწერლებისა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ თავიანთ ნაწარმოებში გააღაპრებდათ მეცნიერული ფსიქოლოგიის თუ საკუთრივ მოქმედი „ფსიქოლოგიური“ სქემები და მათი გმირები მარიონეტებივით იყვნენ ჩამოკონწიალებული ამ სქემებზე. თავად ამ ტერმინის, ფსიქოლოგიზმის მოშველიება ერთგვარ გაუგებრობას იწვევს, თუკი ნათლად არ გამოიყვებოდა მისი ხმაარების სიზუსტე, თუ იგორა საგნისკენა მიმართული.

სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს დიდ მწერლებთან, მათთან „ფსიქოლოგიზმი“ მეორადია და უნებლიე, ისინი პირველ რიგში დიდი ხელოვანნი იყვნენ, ხოლო ყოველივე სხვა ამ დიდ ხელოვნებაზე იყო დამოკიდებული. „მე ფსიქოლოგს მიწოდებენ, არ არის სწორი, მე მხოლოდ რეალისტი ვარ, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, ე. ი. ადამიანის სულის ყოველ სიღრმეთა წარმომსახველი“. ჩემი მიზანია „სრული რეალისტივით ადამიანში ადამიანის სულის“, ამბობს თ. დოსტოვესკი.

უ. ფოლკნერიც წერს: „პირველ რიგში მე ადამიანებთა ვარ დინტერესებული, ადამიანთ, კონფლიქტში რომ არის თავის თავთან, გარეშემოებთან, ან თავის დროსა და ადგილთან, ვარემო-წერსთან“.

და ლიტერატურის ისტორიამ იცის ისეთი მწერლები, რომლებიც ღრმად ჩასწვდებიან „უფალავ ფერთა“ შინაარსს, შეძლებენ ამ შინაარსის ადეკვატურ ასახვას, სიტყვის საშუალებით, რასაკვირველია, მწერალი ხომ ერთი მასალა გააჩნია — სიტყვა. „რად უნათლეს მოსაშუალებ გრძნობად რიცხვდნენ თვალთახედვას, — წერს გოეთე, — მაგრამ შიდა გრძნობა მაინც უფრო რეალურ უნათლესია, ყველაზე უმაღლეს და ზუსტად მიდის მასთან სიტყვა, რადგან მხოლოდ ისაა ქეშმარიტად ზეარეული, როცა იგი, თვალთახედვით რომ აღვიქვამთ, თავისთავად ჩვენთვის უცხოა და ჩვენზე ღრმად ზეგაუღენს არ ძალუძს.“

შექსირი ზემოქმედებს ცხოველი სიტყვით, რაც ყველაზე უკეთ კითხვის დროს გადაიკეთება: მსმენლის გონებას ვერ მოიცავს ბედნიანი თუ უბედო წარმოდგენები. აჯობებს უფრო თვალის ვადევნოთ იმ მკვრივ სიმებს, რომლითაც იკვანძება მოქმედებანი. მართალია, ჩვენ

ვეწინოთ გარკვეულ სახეებს ხასიათთა მოხატვით, მაგრამ დიდმნიშვნელოვანის, შესაძლებელია შეგვიძლია ვავიგოთ სიტყვის და სიტყვის სახეობათა თანამიმდევრობით. ჩვენ ვგებულობთ ცხოვრებისეულ სიმართლეს და თავად არ ვუწყით — როგორ“.

სწორედ ეს „სიტყვა და სიტყვის გება“ ისე რთულდება, სიტყვა ისეთ სიმძიმეს განიცდის, ზოგჯერ შინაარსობრივად ისე ჩაიხრატება, რომ განათლებული მკითხველი რამდენჯერმე უნდა მიუბრუნდეს, არის რომ ჩასწვდეს. „სიტყვის გართულება“ (ზოგჯერ რომ ტერმინ — „მისტიციზმი“ — მიუსადაგებენ) აქვს სრულიად რეალური საფუძველი: „სანამ ჩვენს ცნობიერებაში, ობიექტური ვითარების ზემოქმედების შედეგად, რაიმე დასრულებული განაწერებული შინაარსი, მაგალითად, რაიმე აღქმა ან სხვა ჩამოყალიბდებოდეს, მანამდე ერთგვარი მთლიანობითი ხასიათის უსახო განცდა ჩნდება ხოლმე, რომელიც სუბიექტის მდგომარეობას უფრო ახასიათებს, ვიდრე ობიექტურ ვითარებას, და როგორც თავისებური ემოციური პროცესი განიცდება“ (დ. უზნაძე). შემოქმედი კაცის განცდები ხომ მით უმეტეს ურთულესი რამ არის, რაც უფრო დიდი ტალანტი, მით უფრო ძლიერია სიღრმე-სირთულე აღქმის, რაც თავის მხრივ გადმოცემის სირთულესაც წარმოშობს, და ამიტომაც რთულდება სიტყვა და თუ „...ბუნდოვანება თვითმიზანი არ არის და თუ თმა ნებას არ გვაძლევს გამოვთქვა უფრო ნათლად, ჩვენ ყოველთვის უნდა ვთავაზობდეთ შესაძლებლობა აპაიროდაპირ გავუღვიძოთ მკითხველს იგივე განცდები, ისე რომ მასში, თუ ასეთი საგნისთვის მომზადების დონე საკმარისია, კმაყოფილების იგივე გრძნობა აღიქვებოდა, ისე როგორც სხვა მიმართულების მხატვრული ნაწარმოების წყაობებისას“ (მ. არნაულოვი).

ფსიქოლოგიურ მომენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უ. ფოლკნერის შემოქმედებაში, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა — ფსიქოლოგიურ მომენტებს. მართლაცდა მისი რომანების გაცნობისას ცხადდ წარმოვიდგება ამ საკითხის სიმკვეთრე. ტერმინი „ფსიქოლოგიური“, როგორც აღინიშნა, აქ პირობითად წარმოგვიდგება, რადგან საქმე ეხება ასპექტიფიკურ მოვლენებს დიდ ლიტერატურას რომ ახასიათებს; უ. ფოლკნერის შემოქმედებაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიური დამაჩრებლობის (authenticity, достоверность) საკითხს.

ქეშმარიტი ფსიქოლოგიური დამაჩრებლობის საკითხი სისხლბორცვილად დაკავშირე-



ბული დიდ მწერალთან, რომლის ნაწარმოებს, ფართო ცხოვრებისეულ ხედვის შესაბამისად მოაწესრიგებს ფორმა. შინაარსისა და ფორმის ურთიერთბა განაპირობებს ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის სიძლიერეს, როცა ხერხი, რაც არ უნდა უჩვეულო იყოს, იზრდილება და მკითხველი რწმუნდება შინაარსის კუმპარტივბაში, და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის ფენომენი შექანაურად, სრულად, უნაკლოდ ამოქმედდება. ასეთი ნაწარმოების მნიშვნელობა დროით ვერ იცვითება. და ამგვარად, ავტორით განპირობებული ლიტერატურული ნაწარმოების ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა-ღირებულება გარდაუვალია.

ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოების ღირებულება მკითხველითაა განპირობებული. კუმპარტივი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის მიხედვით უიარაღის „მამელუსი“ ფინალი ევრავეთარ მტკიცებას ვერ უძლებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ნაწარმოები კარგავს თავის ღირებულება-დამაჯერებლობას. „მამელუსი“ გარკვეული ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა აქვს — მკითხველით განპირობებული, რაც გარდაუვალია.

საქმე ისე წარმოვედგება, რომ ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა-კუმპარტივის რამდენადმე სრულად დასაბუთება შეუძლებელია. აქ, როგორც ჩანს, მკითხველის ინტელექტზე, საერთოდ მკითხველზე დაიყვანება საკითხი. და აღამიანი უფრო ინტუიციით (გრძნობით) ხედება (ინტელექტუალური მკითხველი) რა არის კუმპარტივი და რა — ყალბი, უფროვე წაკითხვისას იგრძნობა, რომ ავტორის კარგად ესმის გმირის ფსიქოლოგია, ცხოვრება საერთოდ. და ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია დეტალებში განვსაზღვროთ გმირის საქციელი-მოქმედება. ჩვეულებრივ, გმირი როგორც არ უნდა მოიქცეოს, მისი მოქმედება ფსიქოლოგიურად კუმპარტივი, დასაბუთებული და გამართლებული იქნება. ამგვარად, სხვა საქმეა, როცა ლიტერატურულ ნაწარმოებში ფსიქოლოგიური მომენტი „თავისდა უნებლიედ“ არის, როცა მას „მოიქმედ-ხელოვნურობის“ დიდი არ აზის, როცა ის „მეორადია“, და მწერლის დიდი ტალანტიდან მიმდინარეობს.

უ. ფოლკნერთან ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის პრობლემაში დიდ როლს თამაშობს მისი ნაწარმოების თავისებური ფორმა, როგორც ფოლკნერისეული ფორმით უჩვეულო ძალით ხდება დამაჯერებლობის ეფექტის მიღწევა. უ. ფოლკნერის მიგნებული აქვს „ულოგიკო“ ფსიქოლოგიური მომენტები, რომელთა კუმპარტივბას ინტუიციით, უფრო სწორად — გრძნობის მეშვეობით ვხვდებით.

ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის ეფექტის მიღწევაში დეტალებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, საბოლოოდ რომ განაპირობებს შინა-

არსის სიღრმეს. ფორმათა ძიების შემდგომი ცხოვრების განვითარების დარად, დეტალები ფრიად ვართულება, რაც საერთოდ ხელოვნების მისი ვართულებამ გამოიწვია.

ამგვარად, დეტალების პრობლემა, მაგალითად, შუა საუკუნეების კლასიკისაგან განსხვავებით თანამედროვე ლიტერატურაში ახალ ხარისხს იძენს, რასაც, რასაკვირველია, ახლანდელი დიდი ლიტერატურის ფორმა განაპირობებს; უ. ფოლკნერის შემოქმედებაში ასეთი რამ სწორედ დომინირებულ ხასიათს ატარებს, დომინირებულს და გადაამწყვეტს, რადგან შინაარსობრივი სიმძიმე, როგორც იტყვიან, „მიზურგზე გადადის“, ამავე დროს, ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ისინი „უჩვეულოა“, უდრესად ორიგინალური, რომ ისინი ახალი კუმპარტივის მოკვლევის ხასიათს ატარებენ. ბალზაიან, მაგალითად, დეტალები ნაწარმოების მთავარ იდეასთანა დაკავშირებული, მითაა განსაზღვრული, მისი ამოქმედებისათვის ვთავიდან წინააღმდეგობა. უ. ფოლკნერთან დეტალები კი თავად არის აღმოჩენი. უ. ფოლკნერის ნაწარმოებს აქვს სიუჟეტი (ძირითადი საქმე), მიმდინარეობა თხრობისა, თავის მხრივ მრავალ ფოლკნერისეულ დეტალს თავად აქვს იდეა, დამოუკიდებელი მნიშვნელობა რომ ეტანება. ამ დროს უ. ფოლკნერი ორიგინალურ ეფექტს აღწევს — იდეები, ანუ აღწერა მკითხველთან თითქოს „განპარტეული“ სახით მიდის, და ამავე დროს შინაარსი მკითხველზე უდიდესი მხარტურული ეფექტით ზემოქმედებს.

უ. ფოლკნერი როდესაც აღწერს, მისი თხრობა უკვე მკითხველში თითქოს უბრუნდება თავის პირველსახეს, იმგვარად — როგორც ადამიანი რაიმეს სინამდვილეში განიცდის, გრძნობს, „პირველყოფილია“ ეს ვანკად, სიტყვების ყალბიზმს ჯერ ამოქმედული და რაც ეფექტურია სწორედ იმის გამო — ფოლკნერისეული ჯადო სიტყვის მიღმა ამოქმედდება ის ძირი-საფუძველი, ის პირველი, ადამიანი როცა რაიმე მოვლენას აღიქვამს;

„და შემდეგ, მიბრუნდა, სულ ორიოდ წამით გაიხედა უკანა მინაში, და მართლაც, დაინახა სახე კი არა — სახეები, მისა კი არა, და არც სახეთა მოზაიკა, არამედ ერთი სახე, სახე არა უძლები და არა მსუნავი, არამედ მოძრავი უბრალოდ. განუჩრეველი, ყოველგვარი ფერისა და ნდომისაგან გამოწმენდილი, არც არაფრის გამომეტყველი, უწარსულო... მოკლებული ყოველგვარ ღირსებას, თუნდაც საზარობის რაიმე ნიშანწყალი ჰქონოდა, უბრალოდ სახე უცისრო, მკვანარი, ბენტარი, პაერში გამოკიდული, სწორედ მის პირდაპირ, აქვე, უკანა მინასთან...“ („ნეტის შემბილწველი“).

ჯან პილამძე

ფორმის საჭიროებისათვის
შილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში

მართლაცა აქ სწორედ ისე ხდება როგორც ადამიანი აღიქვამს ხოლმე სიტყვისმუთმოსავად, ანგარიშიშეუცემლად. საინტერესოა, რომ აქ ბრბო ვაიარზება როგორც ერთი რაღაც, როგორც ასეთ შემთხვევაში აღქმა-განცხის დროს ხდება; ჩიყი (ნაწარმოების გმირი) მიბრუნდება და დინახავს არა სახეებს, არამედ სახეს, თუნდაც ეს მხოლოდ ეფექტური ხერხი ყოფილიყო! მაგრამ უ. ფოლკნერის ტალანტი ამით არ შემოიფარგლება, და სწორედ აქ იმალება მისი სიღრმე-სიღიადე: იშვიათად რომ ვინმე მწერალს ასე მძლავრად გადმოეცა ბრბოს ფსიქოლოგია, როდესაც ყოველი წვერი ჰკარგავს საკუთარ სახეს და ვახდება ნაწილი ფანტასტიური სხეულისა, ერთი მიმართულებით რომ აგორებულა და თავის გზაზე ყოველივეს ანგრევს.

ამგვარად, ფოლკნერისეული სიტყვა მეტად უახლოვდება თავის თავდაპირველ მოდელს, ესე იგი უსიტყვო აზროვნების ექსპრესიას აღწევს; როცა „ერთგვარი მთლიანობითი ხასიათის უსახო განცდა განილება ხოლმე, რომელიც სუბიექტის მდგომარეობას უფრო ახასიათებს, ვიდრე ობიექტურ ვითარებას, და როგორც თავისებური ემოციური პროცესი განიცდება“ (დ. უხნაძე).

თუმცა მიახლოებით ამდაგვარ რასმეს სხვა მწერლებთანაც შეგვხვდებით. მაგრამ უ. ფოლკნერის სიტყვის მაგაური ძალა უსაზღვროა. სხვა-სთან ასეთ კვლავწარმოქმნას პროზაულობის იერი დაკარავს, უ. ფოლკნერთან კი პირველყოფილი სიძლიერით ჟღერს და მაღალ ემოციურ ღრუნს მიადრწევს. „ჩვეულებრივი“ მწერალი „გადადებულ-გადაშუავებულს“ გვეწვდის მოსახტობს. ამბავი მასთან მიმდინარეობს „ლოგიკურად“, „გონებისდა მიხედვით“, მისდამი მისადაგებულ-გამიზნული. უ. ფოლკნერის თხრობა კი, შეიძლება ითქვას, „ნედლია“, გრძნობისმიერი, უშუალო, ისეთი როგორსაც დიდი ტალანტის კაცი აღიქვამს ხოლმე.

ლიტერატურული შემოქმედებისათვის ნიშნეულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება — სათქმელის გამოტოვების, ანუ ჰემინგუეისეული „აისბერგის“ ხერხი — ბელესტიკოსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. ნატურალიზმი ამის საპირისპიროა — როცა მწერალი ყოველივეს აღწერს და თუნდაც იგი საშუალო ნიშისა იყოს, მისი ნაწარმოების ნემოქმედების ძალა მცირეა. სუსტ მწერლებზე აღარას ვიტყვით. მესამე გზა არის პრინციპულად სულ ახალი, და ეს მესამე ფოლკნერისეულია — წერის მანერაზე რომ არის მეტად დამოკიდებული. შეიძლება ამ მანერას ლირიკულობა ვუწოდოთ, ლექსს რომ ახასიათებს იმდაგვარი. მაგრამ ხარისხობრივად უფრო ძლიერი, რადგან მკითხველს ესმის, რომ საქმე კონკრეტულ ამბავს ეხება, მოქმედება გარ-

კვეულად მიმდინარეობს; ლირიკულობა ჩვეულებრივ საგნებზე გადადის. ერთი სიტყვით ფოლკნერთან მრავალდ მოიპოვება მსქთის ხეყისი, რაიც პოეზიასათვისა დამახასიათებელი (შედევგის მიხედვით). ამავე დროს, ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, პროზა არ ჰკარგავს თავის ნიშნებს, ჩვენ საქმე გვაქვს სწორედ პროზასთან, მაგრამ როდენ ძლიერ პროზასთან! ლიტერატურაში ცნობილია ნაწარმოებები — პროზა ლექსად. მაგრამ ასეთ პროზაში ანკარად სძალავენ პოეტური ელემენტები, და ისინი, შეიძლება თაწისუფლად ითქვას, ლექსები, პოემებია პროზის ფორმით (მაგალითად, მ. გორკის „სიმღერა ქარიშხალზე“).

უ. ფოლკნერი თითქმისა ხელუწერად აბუნდოვანებს სიტყვას. არა, იგი არ გამოტოვებს სათქმელს, არამედ იტყვის, რაღაცა მიახლოებითს, მიახლოებითს ბუნდოვნად, მიგვანიშნებს რაღაცას, ათასს რამეს, როგორდაც უშუალოდ გრძნობაზე მოქმედებს, გრძნობის მეშვეობით მოდის იგი ჩვენამდე, სრულად მოიცავს ჩვენს გონებას, როგორდაც ვაძლიერებული შინაარსით აღავსებს. და ეს სრულებითაც არ არის მისტიკა, მისტიკა ტრადიციული გაგებით.

როცა ტერმინ „მისტიკურს“ განმარტავენ, უნდა აღინიშნოს, აქ ადგილი აქვს შეცდომას. საყურადღებოა, რისთვისაა მისტიკა, მისტიკოსების, თუ მისტიკა აზრისათვის. „ქემშარტიად“ მისტიკური აბაღუბაა, უდიდესი პრეტენზიულობის უნიჭო კაცი რომ იტყვის. მართლაცა არის შემთხვევა, მისტიკური აღწერისას შინაარსს ვერ იპოვი, როგორც არ უნდა შეატრიალო, ცხრატრიატულს მოგვაგონებს ასეთი რამ, რომლის შიგნით, როცა ვააღებ, არაფერია. სულ სხვაა, როცა „მისტიკა“ მოჩვენებითია, ხერხია, ფორმა, სიტყვაა, უყეთ რომ წარმოაჩენს სათქმელს, უფრო მძლავრად მოჰყვანს შუქს შინაარსს*.

საქმე იმაშია, რომ უ. ფოლკნერი ღრმად აღიქვამს სინამდვილეს და ამის უსახამისად რთულად (ადეკვატურად) გადმოგვეცემს. ეს დამოცემა იმდენად ძლიერია, რომ დამაჭერებლობის უდიდესი ძალით ხასიათდება. სულ უზარალო ამბავსაც უ. ფოლკნერი თავისებურად აღწერს, მაგრამ ეს უზარალო მასთან მნიშვნელობას (Signification, значимость) იძენს. ეს არის უ. ფოლკნერის მიერ დანახული და შექმნილი, თავისებური, სხვადასხვა ნიუანსებრივი სიმძიმეებით დატვირთული სინამდვილე, ტოლი ფორმით გადმოცემული.

და აქ დავლა უ. ფოლკნერის სიტყვის ძალის

* „თუ თემა ნებას არ გვაძლევს გამოვთქვათ უფრო ნათლად, ჩვენ ყოველთვის უნდა ვვიარაუდოთ შესაძლებლობა არაპირდაპირი გავუღვიძოთ მკითხველს იგივე განცდები...“ (მ. არნაულდოვი).



საკითხი. სიტყვა უ. ფოლკნერთან უჩვეულოა, უჩვეულოა იმ მხრივ, რომ იგი განსაკუთრებულად, „ზებუნებრივი“ სიძლიერისაა, მისი ზედვის შესაბამისი, შინაარსის უკეთ ვადმოსაცემად გამხზული: სიტყვაში სიტყვაზე უფრო რაღაც დიდი რამ არის (კ. ბოსი). აქ წამოიჭრება ასეთი კითხვა: როგორია სიტყვის მოქმედების მექანიზმი, კემპარიტ ლიტერატურულ ხელოვნებას რომ ახასიათებს — პირველად იგი გრძნობაზე, ხოლო შემდეგ, მისი მეშვეობით გონებაზე ზემოქმედებს. უ. ფოლკნერთან ამგვარი ზემოქმედება უჩვეულო სიძლიერით გამოირჩევა, მის სიტყვას შეუძლია ვაიმოიწვიოს შორეთული ასოციაციები, მივიწყებული, ბავშვობის-დროინდელი განცდები, გარდასული ემოციები, შექმნას კემპარიტად ცხოვრებისეული, რეალიტური ატმოსფერო. დიდი ლიტერატურის ეს თვისება კარგად აქვს ვადმოცემული მ. არნაუდოვს: „მეორედენი ელემენტების მეშვეობით (და გარეფორმის თანადგომობით) ყოველი ის სულიერი ექო, ყოველი ის ძვირფასი ასოციაციები და განწყობანი, რომლებიც ბუნებრივად ჭკუთვლებიან ერთი ან რამდენიმე ნიშნის ვარშემო“.

სწორედ ასოციაციები უ. ფოლკნერის შემოქმედებაში საინტერესო ბუნება-მნიშვნელობას იძენს. ფოლკნერისეული ასოციაცია უბრაუდესია, შინაარსობრივად (უბირველეს ყოვლისა) და გამოხატვის საშუალებებითაც. შინაარსისეული ასოციაციური მრავალფეროვნება უ. ფოლკნერის ნაწარმოებების ფორმის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. „...ასოციაციის შესაქმნელად, ისე მის განსახორციელებლად მნიშვნელოვან ფაქტორს, თვით — სუბიექტს — ცოცხალი ადამიანის, მთლიანი პიროვნების შინაგანი მდგომარეობა განაპირობებს“ (რ. ნათაძე).

სუბიექტის (მწერლის) — უ. ფოლკნერის — „შინაგანი მდგომარეობა“ ჩვენთვის „ცნობილია“; რას არ შეიძლება მისწვდეს, ჩასწვდეს, გასწვდეს მისეული ასოციაცია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრება აქ — უ. ფოლკნერის მკითხველის ინტელექტუალური დონე. უ. ფოლკნერის ნაწარმოებებს როცა ვანიხილავთ, ცხადია გაზდება ამ საკითხის აქტუალობა. საქმე ისაა, რომ მნიშვნელობა აქვს მეტადრე უ. ფოლკნერისათვის, როგორი მკითხველი ეყოლება მწერალს. ნებისმიერი ნაწარმოების აღქმა ცალკეულ მკითხველთან, რასაკვირველია, სხვადასხვა იქნება, ნიუანსებრივი სხვაობა მიანდ. მაგრამ როცა ნაწარმოებს სხვადასხვანაირად აღიქვამს ინტელექტუალური მკითხველი: არც თუ ისე ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს ეს და მწერლის შემოქმედების კემპარიტ სიღრმეზე მიუთითებს.

უ. ფოლკნერი ქმნის განწყობილებას-ფონს

მოქმედების, იდეის, თუ ამბის შესაბამისი რომ არის, მათ ვასაძლიერებლად გამიზნული, იმეტი მაგვარს, რასაც ასრულებს თეატრში ორკესტრი ან ქორეოები ძველებრჩნულ ტრაგედიაში. ფონის შექმნას იგი ფრიალ უჩვეულო ხერხით მი-აღწევს ხოლმე; ერთი შეხედვით საოცარ, უდინტასტურ აღწერას აყვებებს, მაგრამ ამით უდიდესი ხელოვნებით ვადმოიცემა გმირის მდგომარეობა, როცა მნიშვნელოვანი რაღაც ხდება მის ცხოვრებაში, არასოდეს რომ არ წარჩინდება მისი მესხარებებიდან: „და ამ მყუდრო, ღამ-ღამით განათებული ოთახის კედლებს იქით დროის კეება მ. ბრევი დგრიანობდა, შევადამეს კი არ უახლოვებოდა, არამედ მიათრევდა მას (ჩენშტის შემბილწეული“).

ჩვენ აქ გვაქვს ფერწერული ტილოსათვის დამახასიათებელი ვითარება. ფერწერაში ფონს ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩანაფიქრის ვადმოცემისათვის. ანალოგური თვისებისაა „ავგისტის ნათელში“ (პერსი გრიმის ამბავი) სხანძრო ვანავაშის ხმა, დროდადრო რომ აღწერილია ამბის თხრობაში. ეს დეტალი სწორედ ვანავაშის (პარადპირი ვაგებთ) მოტივს ვად-მოსცემს და კარგად არის ჩაქსოვილი ვანავაშში, ხშირად მეორდება, უფრო მეტი და მეტი სიძლიერით, კულმინაციას მიაღწევს მაშინ, როცა დანაშაული უკვე მოხდება. სხანძრო ვანავაშს გრიმის ბრძანებით ჩართავენ. მთელ ქალაქში ვაისმის მისი შემზარავი ხმა, და მკითხველში იქმნება შესაბამისი ვანწყობა.

ამავე მაზნით შემოჰყავს უ. ფოლკნერს „მოთამაშე“ (the Player). „მოთამაშე“ პერსონაჟი კი არ არის, უფრო ცნებაა, სიმბოლო. მას ორი ფუნქცია აქვს: ერთი გრიმის ხასილთის რული ვახსნისათვის არის ვანკუთვნილი: „ვითარცა პაიკს, ისე ამოძრავებდა ის პოთამაშე“. ამგვარად, უ. ფოლკნერს უნდა ხაზი ვაუსვას გრიმის ხასილთის მნიშვნელოვან დეტალს — მის რომოტისებურებას. მაგრამ ძირითადად მიიწე „მოთამაშე“ ამბავის თემის ვადმოდერებისათვისა ვათვალისწინებელი. ვანავაშის მოტივთან შედარებით ვითარება აქ ვაცი-ლებით რთულია და საინტერესო. „მოთამაშე“ ვამომხატველია იდეის, რომლითაც ვამსუკვალუ-ლია ქალაქი ჯეფერსონი (სარბიელი, სცენა — (the Board) ამ იდეამ (რასისტულმა) დამ-ნაშავედ ვადააქცია არა მარტო პერსი გრიმში, არამედ მთელი ქალაქი, „მოთამაშის“ შემოყვანა მოთხრობაში სხვა არას ნიშნავს, თუ არა ამ იდეის არსებობის ფაქტის მტკიცებას, ამ მიზნი-სათვის ვათვალისწინებელი ხერხია. უ. ფოლკნერის „მოთამაშე“ რაღაც მისტიკური არსება კი არ არის, მისთვის ჩვეულებრივი მხატვრუ-

ზაურ კილაძე
ფორმის საბითონსათვის
შილიამ ფოლკანერის შემომამედებაში

ლი ხერხია, ფოლკნერისეულ რეალისმს რამე
ემსახურება.

დროის აღრევა-ხლართვა* მნიშვნელოვანი და
საინტერესო ხერხია უ. ფოლკნერის შემოქმე-
დებამში. ეს პრინციპი ემსახურება ავტორის —
ფოლკნერისეული რეალიზმის მაქსიმალური ადე-
კვატურობით გადმოცემის მიზანს, რაიც იმაში
მდგომარეობს, რომ ყოველმხრივ, და კერძოდ,
დროის მრავალი განზომილებიდან გაიზაროს
ამბავი. უ. ფოლკნერის საწყისად აქვს აღებული
რაიო ლრო (რომლის დადგენა ძველი ან
სრულებითაც შეუძლებელია), გამოუცნობი, და,
შეიძლება ითქვას, ეს გაურკვეველი — ამოა-
ვლილი ყოველგვარი დროისათვის. ამგვარ აღწე-
რას სუბურულობისა და უსისტემობის იერი
დაკარავს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით; — ასე-
თი თხრობა უკეთ და სრულად წარმოაჩენს სა-
თქმელს თუ ამბავს მრავალი დროის წიად, რო-
ცა გმირი გარდაქმნილია, სხვა ფიქრით ფიქ-
რობს, სხვა თვალთ შეხედავს მომხდარ ამ-
ბავს. დროის ამგვარად აღრევა-ბანდვა ფორმის
ერთ-ერთი ნაწილია, ნათელი რომ შეაქვს
ფოლკნერისეულ პროზაში. უ. ფოლკნერი ამას
შეგნებულად აკეთებს, ანუ თავისუფლად მიჰ-
ყვება თავის აზრს, არ ეხამუშება რაღაც შე-
უსაბამობა რომ მოხდება დროში. და არც
მკითხველი შეიწყუბებს დიდად თავს დროის და-
ზუსტებაში; მის თვალწინ ხომ ერთი მთლიანი
ამბავი იქარგება — უ. ფოლკნერის ჯადოსნუ-
რი ყალბით დახატული, თვალშეუწელები სიგ-
რძე-სივანით.

საილუსტრაციოდ „ნეშტის შემბილწველის“
მეორე თავის ნაწილი ავიღოთ.

ეს თავი ოთხი წლის უკან მომხდარის ვაგრ-
ძელებით იწყება; თუ რას ფიქრობდა, რა ვან-
წყობამ მოიცვა ჩიკი (ცენტრალური გმირი) იმ

* საინტერესოა, რომ უ. ფოლკნერის შე-
მოქმედების ამ პრობლემის შესახებ სხვადასხვა
(ზნორი — საპირისპირო) აზრის არსებობს.

თავად უ. ფოლკნერის მიხედვით: „დროის
თვისება მდინარეა, და იგი არ არსებობს
სხვაგვარად — მხოლოდ ცალკეულ ადამიან-
შია განზორციელებული, არ არის არავითარი
„იყო“, არამედ მხოლოდ „არის“. კიდევ: „თა-
ვისთავად არაინ შეიძლება არსებობდეს, ადა-
მიანი თავისი წარსულის ჯამია. მართლაცდა,
არ არის ისეთი რამ, როგორცაა „იყო“, იმი-
ტომ რომ წარსული არის. იგი ყოველი კა-
ცის, ყოველი ქალის, ყოველი მომენტის ნაწი-
ლია“.

ე.პ. სარტრი სპეციალურ სტატიაში —
„დრო უ. ფოლკნერთან“ — წერს: „ერთი აწმ-
ყო, საიდანაც ამოტივტივებული, თან მოიყო-
ლიებს მეორე აწმყოს. ეს ჯამის ზრდასა ჰგავს,
სულ რომ ემატება და ემატება: „და... და... და
შემდეგ“.

მომენტში, როცა ეს ამბავი მოხდა, როცა თეო-
რეტიკანიანი ბიკის თავმოყვარეობა მწვერულზე
შეურის სიმძაფრით) შეიღაბა. „ისასწავს მისს
ნეტა ამოიღო ჩიბიდან და წყალში მოისროლა...
ღამით“ უძლიერად რომ წრიალებდა, მიხედა...“
ეს შემთხვევა უფრო სრულად ვაეცნობიერ-
დამით, როცა უკვე მთლიანად დაეუფლა გარ-
კვეული განწყობა, როცა შედარებით სრულად
ჩასწვდება-გაიზარებს მომხდარ ამბავს. „ფიქ-
რობდა იგი ამ კაცზე, მხოლოდ ერთხელ რომ
ნახა ცხობრებაში, და ისიც სულ თორ მეტე-
ოდე საათის უკან, ზუსტად ისე... რო-
გორც ოლქის ყველა თეორეტიკანიანი წლების
განმავლობაში“. მაგრამ ის: ჩიკი რომ
ფიქრობდა „ზუსტად ისე“ — თავად მიხედება
„მხოლოდ ამ განმავალ წელს“. ჩიკი მა-
შინვე, ამ შემთხვევის შემდეგ, ბევრ რამეს გა-
იგებს ლუკასის შესახებ, და, სხვათა შორის,
თუნდაც იმ ასეთ ამბავს:

„სამი წლის უკან მოხდა ეს ლუქან-
ში...“ (თუ წინა თავს ვიკვლიხმებთ, შეუძლე-
ბელი არ არის, მაგრამ ძალზედ რთულია დად-
გენა — რა დროსთან მიმართებით არის ადე-
ბული ეს „სამი წლის უკან“). შემდეგ, ამ ამბის
მერე (ლუქანს ბიჭიმის დახასიათებისთვის რო-
მაა გამოიხუთი) ისევ აწმყოში მოხდება დაბ-
რუნება: „და იმ, ამ ნახევარდოლარაინის უ-
ლისათვის. სინამდვილეში კი, რაღა თქმა გუ-
და, ოთხი მონეტა იყო, სულ სამოცდაათი ცენ-
ტი, მაგრამ უკვე დიდმა დრომ განვლო
სწორედ იმ მომენტიდან, თითქმის
პირველი წამებიდანვე. მან გადაიყვანა,
გარდაქმნა ერთ დაუბრუნადებელ, სირცხვილის
დიდ მონეტად, მწარედ რომ ვათელავს მის მა-
მაკატორ დირსებას“. რა დრო წავიდა! როცა
ჯერ კიდევ შეუცნობელი იყო ეს მწველი
გრძნობა: „ადრეულ ხანებში, სკოლის
მერე, ყოველდღე, ხოლო შაბათობით დილიდან-
ვე, ბეისბოლს თუ არ თამაშობდა... კანტორა-
ში მიდიოდა იგი ბიძამისთან, ტელეფონის ზარ-
ზე ეხმინებოდა ხოლმე... და ყოველივე ამას
პასუხისმგებლობის მაგვარი რამ გრძნობით აყე-
თებდა, თუნდაც არ ყოფილიყო ამის საჭიროე-
ბა, ასე გამოიხატებოდა ყოველ შემთხვევაში
სწრაფვა იმისა — რაღაც წონა მიეცა საკუთარ
თვალში საკუთარი თავისთვის. მაშინ ჯერ კი-
დევ სულ ბავშვი იყო...“

შემდეგ ისევ ამ ოთხი წლის წინანდელი ამბის
ვაგრძელებს: „სამ კვირაზე ნაკლები
იყო დარჩენილი ახალ წლამდე,
ყოველდღე სკოლის შემდეგ, ხოლო შაბათობით
დილიდანვე დაეხეტებოდა მოედანზე... ჯიბეში
ქონდა გამზადებული ორი ნაკრული — ოთხი
სიგარა ოცდახუთ ცენტად წყვილი — ლუკასი-
სათვის...“ (ადამიანური დირსების ინტერესთა

* ხაზგასმები ჩვენია.



სფეროების მონაცვლეობა ბავშვის ზრდასთან დაკავშირებით). და კიდევ: «ფულის შეგროვება დაიწყო თებერვალში... მაისისათვის ის საკმაო გაუხდა, და დადგა სექტემბერი», როცა ჩიკსა და ლუკას შორის საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა მოხდებდა. «და აი გავიდა ოთხი წელი (რა დროიდან — როგორც შემდგომ აღმოჩნდება) — დადგენა ამის შეუძლებელია. — ზ. კ.) და უკვე წელიწადზე მეტი, თუ სრული წელიწადნახევარი არა, თავის თავისუფლად გრძობდა და ფიქრობდა, რომ ყოველივე მორჩა ამ ამბავთან დაკავშირებით: ბებერი მთლი მოკვდა: და მხოლოდ ახლა, დიდი დრო რომ გავიდა, სრულიად შემთხვევით გაიგო ვილკისგან, თავის ქვხში სულ მარტოდ მარტო რომ ცხოვრობდა ლუკასი... მთელი ამ ხნის განმავლობაში სამკერ ნახა იგი ქალაქის მოედანზე... და მხოლოდ ახლა, ერთი წლის შემდეგ, უკანასკნელად რომ შეხვდა, უცებ გაახსენდა: იგი ქალაქში არასოდეს უნახავს ახალი წლის წინა დღეებში... და რომ ყოველი მათი შეხვედრა, ხდებოდა ზუსტად წელიწადგამოშვებით... პირველი შეხვედრისას — ეს იყო შემდგომი წლის ზამთარში — თავად ლუკასი გამოვლადარა... კიდევ ორჯერ ნახა... როცა ისინი ერთმანეთს შემოხვდნენ — სულ პირდაპირ დაიკერდა ლუკასი... ვერძლით ჩაუბრა... და გაიფიქრა ჩიკმა: «აღარ ვახსოვარ და რომ ვახსოვდე, არც უნდა», — ფიქრობდა იგი მანამდე, სანამ ეგონებ შემდეგ ამ წელიწადს, ბიძამისა როგორღაც უთხრა: შარშან ლუკასი ცოლი მოუკვრა — მოლი. და მან საჩქაროდ, არც კი გაუაზრებია ხერიანად, არც კი დაინტერესებულა, საიდან უნდა ცოდნოდა ეს ბიძამის. დღეების გამოთვლა დაიწყო და მაშინვე გულს მოეფრნა: «ბებერი მოლი მაშინ ისინი იყო მოკვდა... აი, რად ვერ დაინახა ლუკასმა... რა მოეკოთება გლოვად მივარდნილ კაცს... შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი დარაჯობდა და დაეხეტებოდა. მოედანზე ზუსტად ისევე, როგორც ამას აცეთებდა ორი წლის უკან როცა ედმონდს ყარაულობდა, საახალწლო საჩუქარი რომ გადაეცა მათთვის, და ასე გავიდა ორი, სამი, ოთხი თვე და უცერად გაუფლვა: ლუკასი იგი ხომ იანვარსა და თებერვალში ხდებოდა ყოველთვის, წელიწადში ერთხელ, და სწორედ ახლა მიხვდა რატომ — თავისი მიწის ნაკეთის ყოველწლიური ვადასახადის შესატანად ჩამოდიოდა ლუკასი. და აი, ეს იყო იანვრის ბოლოს, ცივ, ნათელ და სუსხიან დღეს, ქუჩის კუთხეში იდგა იგი, ბანკის გვერდით...» ლუკასმა ისევ ვერ შენიშნა ბავშვი; «ახლა კი მორჩა ყოველივე». მორჩა, ადამიანი, ოთხი წელიწადი რომ

«სდევნიდა», წავიდა მისი ცხოვრებიდან. თუმცა ისევე, როგორც აღრევე, შეიძლება კვლავ შეხვედნენ ერთმანეთს. მაშინ (უ. ფოლკნერი აქვე «შორეულ მომავალს გულისხმობს») ერთი მათგანი აღარ იქნება ის ადამიანი, ანაბად მხოლოდ ჩრდილი, ზანგის ორ ბიჭუნას ფულის აღება რომ უბრძანა, მეორე კი მხოლოდ მოგონება იმ ბავშვზე, რომელმაც წყალში მოწეტები მოსროლა...»

ჩვენთვის საინტერესო კუთხიდან «ნუშვილს შემბილწველის» მეორე თავის სულ ორიოდ გვერდი აღუწერეთ. უ. ფოლკნერის სიტყვების მოყვანისას მრავალ დაგვიკირდა სამწერტილიანების მოშველება, ჩვენთვის (აქ) მნიშვნელოვანი თემასათვის რომ არ გადაგვეხვია. უ. ფოლკნერი დროთა აღრევით ცნობიერების სავსე ნაკადს ჰქმნის, რაც უტყვო როდია ადამიანის ფსიქიკისათვის: «შესაძლებელია, ცნობიერების შინაარსი, რომელიც გარკვეული განწყობის ნიშანადგებ აღმოეცნა, მოისოს, გაქრეს, მაგრამ განწყობამ მინც განავტობს არსებობა... მაშინ სულაძვე, როდესაც განწყობის არსებობის შესახებ ვლაპარაკობთ, ეს მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ სუბიექტის გარკვეული მოდუსი განავტობს არსებობას, რომ თვითონ სუბიექტი, როგორც გარკვეული სუბიექტი, როგორც გარკვეული მიმართულებით განწყობილი სუბიექტი განავტობს არსებობას» (ე. უ. უნაძე).

ადამიანს როცა რაიმე მოვლენის შემდგომ გარკვეული მოთხოვნილება გაუჩნდება, მას შესაფერისი განწყობა დაეუფლება, და შესაძლებელია, თვით ეს მოვლენა უკან პლანზე გადავიდეს. სწორედ ასეთი შემთხვევა გვაქვს ზემოთ მოტანილ მონაკვეთში; ჩიკს მოიცავს შესაბამისი ღირსების განწყობა, და მისი მოქმედება-საქციელი შესაბამისად წარიმართება.

ჩვენ რომ ვხვდებით გმირის ამ განწყობას, ეს უ. ფოლკნერის «ცნობიერების ნაკადის» მეშვეობით მიიღწევა. მაგრამ აქ მოვლენის სრული აღეკატურობით (პირდაპირი გაგებით) გაღმოცემა, რასაკვირველია, არ არის — ხელოვნებას ხომ თავისი კანონები აქვს. ერთი რამ კი ცხადია, უ. ფოლკნერს კარგად შეუშინევია ადამიანის ფსიქიკის უმნიშვნელოვანესი თვისება, ზოგად ფსიქოლოგიაში განწყობის სახელით რომ არის ცნობილი. ავტორი აღწერისას, როგორღაც დაუფლებულია გმირის ცნობიერებას, რომელიც გარკვეულად წარიმართება, ყოველივეს მოიცავს, უმცირეს დეტალმაც, და ამბავი ძირითადად ერთი საგნის ვარშემო ტრია-

ზაურ კილაძე

ფორმის საკითხისათვის
 უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში

ლებს*, მაგრამ „ცნობიერების ნაკადი“ მხოლოდ გმირისეული როლია, უფრო ავტორისეული არის, ამას თუნდაც დროთა აღრვის პრინციპი ვითარებებს, და გზადაგზა სხვა ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოიხილება. ოდენ ღირსებაშეღაცული ჩიკის ამბავი რომ ყოფილიყო გადმოცემული, მაშინ ნაწარმოები, რაღა თქმა უნდა, მხატვრულად მწირი გამოვიდოდა.

უ. ფოლკნერი დროთა აღრევით განწყობის შესაფერის (ძირითადად) მოგონებების, ამბის მიმდინარეობის საეგე ნაკადს ჰქმნის. თავად გმირი მოგონებების აქტიური მონაწილეა, ავტორის თანადგომით, რასაკვირველია, ამიტომ ყოველი მოგონება შეიძლება მეტნაკლები სიძლიერით დამოუკიდებელი ქვეთმის ფუნქციას ასრულებდეს, და ამავ დროს გმირის — ფსიქოფიზიონომიას, ამბავს უკეთ გადმოსცემდეს.

თვით „ნეშტის შემბილწველი“ იწყება ასე: ჩიკი ღვას ციხის კარებთან, სადაც მალე უნდა მოიყვანონ ლუკას ბრძენი, რომელსაც ბრალი ედება მკვლელობაში, და იქ იქმნება გარემო მრავალი და მრავალი მოგონებისა, მკითხველი მდგონებთა მორევში ჩაინთქმება; აქ სრულად ამოქმედდება დროთა აღრვის პრინციპი, ფოლკნერისეული გმირი ამბავს გაიასრუებს თუ აღიქვამს წარსულთან, ასევე ახლო და შორეულ მომავალთან მიმართებით. ამგვარად, დრო უ. ფოლკნერთან ყოვლისმომცველი და განუზომელია. ამბავი თუ იღვა გმირის სიცოცხლის დროის მრავალი განსიონილებიდანაა მოხილული.

ფოლკნერისეულ მოგონებებთან დაკავშირებით კიდევ ერთი სასურალებო ვარემოება შეიმჩნევა: გზადაგზა, ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის შემოყვანისას მრავალი პირის ვახსენება ხდება, სულ მცირეოდენი დეტალების მოხსენიებით. უ. ფოლკნერთან ამგვარად მიიღწევა აქ პირების იმდენად მნიშვნელოვანი დახასიათება, რომ მკითხველი წარმოიდგენს, ორიოდე სიტყვის მეშვეობით, არა მარტო ქართველოლოგიურ ნიშანს თუ ნიშნებს, არამედ იმ გარემოსაც, მათ რომ ცხოვრება მოუხდათ.

მკითხველი ფოლკნერისეულ წინადადების აზრს როგორღაც სიტყვებს მიღმა აღიქვამს, კი არ დინახავს აღწერილს, არამედ შეიგრძნობს, ესე იგი გაიგებს უფრო უკეთ უფრო ზუსტად. მაგალითად, უ. ფოლკნერი წერს: „გრინი მიბზობდა... სახენელივით უკაფავდა გზას ვეება, ჩლუნგი, შავი პისტოლეტი“. „ვეეება“, „ჩლუნგი“, „შავი“ პისტოლტის ეხება, მა-

გრამ ცხადია, რომ პერსი გრინის დახასიათებისთვისაა განუთენილი; საგნის თვისებები უ. ფოლკნერის ოსტატურად გადაქცეს ვეეებაში, ამით უფილდს მხატვრულ ეფექტს მიადნებს — იქმნება ძლიერი წარმოდგენა, ადამიანი და საგანი გაერთიანებული, შერწყმულია ერთ ცნებად, როგორც სიმბოლო ტლანქი, ბრმა, ბნელი და დაუნდობელი არსებისა.

უ. ფოლკნერის შემოქმედების თვისებებზე რებათა (შეძლებილადგვარად) მოკვლევისას მრავალი „ფსიქოლოგიის“ მოშველიება მოგვხვდება, რაიც იმას როდი ნიშნავს, რომ ლიტერატურისმცოდნეობაში რაღაც ახალი მეთოდი გამოჩნდა, ყოველი მწერლის გარჩევას თან რომ უნდა ახლდეს. სრულებითაც არა. ეს „მეთოდი“ გამოუსადეგი იქნება მწერალთა უმრავლესობისათვის. „ფსიქოლოგიები“ აქ ჩვენი დამხმარე საშუალებად წარმოგვიდგება, უთუოდ რომ შეიტანს გარკვეულ ნათეს უ. ფოლკნერის სიტყვის გააზრებაში, მისი თავისებურებების წარმოჩენა-გაგებაში.

საქმე ისაა, რომ კრიტიკოსების უმრავლესობა ცდილობს, უ. ფოლკნერის ნაწარმოებების გარჩევას „ტრადიციული“ ლიტერატურისმცოდნეობის თვალსაზრისით და რეალური ვითარების მიმართ შეუწყნარებელ სიბეცეს გამოიჩენს ხოლმე. ცხადი ხდება, შხა კონცეპციებიდან ლიტერატურული ნაწარმოების კვლევა ყოველთვის გარკვეულ ჩარჩოებში მოგვაქცევს, და შედეგად არა ოდენ „მიმდინარეობათა“ აღრევა-დამახსიწება მოხდება, არამედ, რაც ყველაზე მეტად მიუღებელია საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობისათვის, შინაარსის, აზრის არასწორ, გულუბრყვილო, წინასწარვე „განწირულ“ ინტერპრეტაციას მივიღებთ.

საკითხი შედარებით მარტივად უნდა დადგეს; შემოქმედების რაობის, ხარისხის შესახებ. ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოების მნიშვნელობა უსაზღვროა, მრავალი დროის წიად გამარჯვებული რომ გაივლის, ასეთია დიდი მწერლის შემოქმედება. მეორე კი მწირი ნიქის მქონე კაცის სიტყვა, რომელიც მსწრაფლ მიეცემა დავიწყებას. „ჩარჩოებში მოქცევა“ არც თუ ისე უბოროტო ამბავია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. საქმე იმაშია, რომ ასეთი მკვლევარი „თითზე დაიხვევს“ უჩვეულო, ორიგინალურ ფორმას, და მისდა უნებლიედ გამოიწვევს შინაარსის სრულებით გაუქმობაზე უბელ გაგებას: უ. ფოლკნერის რომანების (კერძოდ, იგულისხმება „ხმაური და რისხვა“; „სამოციელო“, „აგვისტოს ნათელი“; „აბესალომ, აბესალომ!“) „ცხოვრება წარმოგვიდგება როგორც ტრაგიკული და შეუცნობელი ქალის. ფოლკნერის გმირები მოცულობა არიან შავნული ცნებებით ან დაუნდობელი მანიაკალური იდეებით, ძალადობის, მკვლე-

* „ხმაური და რისხვისაგან“ განსხვავებით „ნეშტის შემბილწველი“ ცნობიერების ნაკადი, ჩვენი აზრით, განწყობასთან არის დაკავშირებული, მითაა განპირობებული, ამგვარად, გაცოცხებით რთულია. „ხმაური“ კი ცნობიერების ნაკადი შედარებით მარტივი, სტრუქტურისაა.



ლობისა და თვითგანადგურებისაკენ რომ წაუბიძგებენ მათ. ვერაფერს ვერ გადაწყვეტენ ამ რომანებში მწვევე კრიზისები, ვერავითარ ნათელს ვერ დაგვიანახებენ, უფრო თუ ვისუვამენ ხაზს აღამიანის იმედის ამოებას, მის საწუთროვაციულებულ არსებობას“ (ა. სტარცევი. წინასიტყვაობა. იხ. უ. ფოლკნერი, სოფელი, მ., 1964, გვ. 6. რუსული გამოცემა).

ამ სიტყვებს, როგორც იტყვიან, კომენტარები აღარ სჭირდება. ა. სტარცევის არ მოკვავს მთავალით იმ გამრებისა, რომელზეც „მოთელი არიან შევხველი ვენებებით ან დაუნელებელი მანიაკალური იდეებით“. იქნებ ეს ნენსი მანიპოლა, თავსა და სულს რომ გასწირავს, სტივენსების სახლში გათამაშებული ტრაგედიის მთავარი მონაწილე, რომლის საქციელი, მიიმე საზაროების მიუხედავად, გამართლებულია, რადგან დამცირებულს, პირუტყველს სიცოცხლეს სიყვდილი სჯობია, მით უმეტეს, თუ ეს სიყვდილი დაიხსნის მეორე ბავშვს, გაამარჯვებინებს ქალს; მოაპოვებინებს რწმენას, რომ აღმამიანი დამლევს ხედვრს, მასხედ ამდღღება, განიწმინდება.

„სამლოცველს“ გმირების (თვით უ. ფოლკნერის აღიარებით, ეს იყო „რომანი-რეკლამა“) — ნენსი მანიპოლა და თემპლ დრიეის თემას მწერალი შემდგომ დაუმტრუნდება ნაწარმოებში „მონაზუნის რეჟივი“. „რეჟივიმ“ პიესად გადაამუშავეს ა. კამიუ, რომელიც წინათქმაში, სხვათა შორის, ასეთ სიტყვებს დაურს: „მოლოდ დიდ მხატვარს თუ შეეძლო ჩვენს თანადროულ საცხოვრებელში გამოეთქვა ასეთი წლდელი და გულსტიკივილი დამცირებულისა“.

ან იქნებ ეს პერსი გრემია („ავვისტოს ნათელი“) შეპრობილი მანიაკალური იდეებით. პერსი გრემისადმი მისადაგებულ სიტყვებში სცოდას თვით ისეთი ავტორიტეტი, როგორცაა ი. კაშკინი, რომელსაც თუმცა სწორად ესმის გრემის ხასიათის რაობა: „პერსი გრემის სახით ფოლკნერი ზიზღით, გულსწყრომიითა და გულსტიკივილით გვიხატავს... ფაშიზმის წარმოადგენელ ამერიკაში“ (ბოლოსიტყვაობა. იხ. უ. ფოლკნერი. შეიდი მოხარობა, მ., 1958, გვ. 172. რუსული გამოცემა). მაგრამ შემდეგ, როცა ი. კაშკინი მხედველობაში მიიღებს პერსი გრემის ხასიათის გადმოცემის ფორმას, იგი წინააღმდეგობაში ვარდება და მისალოლოდ აღმოჩნდება, რომ მცდარადაა გაგებულ ამ ხასიათის მხატვრული ღირსება-სიძლიერე: „გარნა ფოლკნერისათვის დამახასიათებელი ობიექტივიზმი და მაღალფარდოვანი მისტიკა ჩრდილავს მის საყუთარ შეხედულებას. მისთვის ხომ ორივე მხარეა გატანჯული და გადაყვანილი ამდღღებულში, რაიც არამცდაარამც არ მართლდება რეალურ მოქმედებათა შემხარავი ნატურალიზმით“ (იქვე).

„პერსი გრემის“ თემა ფანტიზმი (რასიტული). საერთოდ ფანტიკოსები უარყოფით გმირებს მიეკუთვნებიან (ეს ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, როცა სასულიერო გამოდგება და მართებულა ცნება „უარყოფითი გმირისა“), იმის მიუხედავად, თუ რა იდეების (უფრო სწორად იდეის) მხატვრულები არიან ეს უარყოფითი გმირები. მათი შეხედულებანი უკომპრომისოა, უბრალო, პირდაპირი და როგორც უ. ფოლკნერი ამბობს, „სადა, როგორც ცარიეტი ტალანი“. პერსი გრემის ტიპის ფანტიკოსები, რასაკვირველია, მარტივი ინტელექტის აღამიანებია და გარემოსთან მათი წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ სჯერათ სიკეთე თავიანთი მოქმედებისა, შეხედულებისა და არაფერს არ ებრუნებიან მისი გარნორციულების გზახე. იშვიათად ვინმე მწერალს ისე გადმოეცა ფანტიკოსის შინაგანი ბუნება, როგორც ეს უ. ფოლკნერმა შეძლო. გადმოცემის სიძლიერე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში პარმონიულადაა შეტრყული გმირის ბუნება-ფსიქოლოგია და მწერლის უჩვეულო, უნიკალური ხედვით განპირობებული გამოხატვის მრავალი საშუალება.

პერსი გრემი არ არის რომანტიულობას მოკლებული პიროვნება და, უთუოდ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ი. კაშკინის ზემოთ მოტანილი საყვედურისა.

ეს საყვედური უსაფუძვლო და მცდარია. აქ საკითხი ასე უნდა დადგეს — როგორია ეს რომანტიულობა? უ. ფოლკნერი პირდაპირ მიგვითითებს მის რაობაზე: „ღიწჯად მიმოდიოდნენ ისინი ქუშე, კრომისმომგვრელ შუქზე, ხაკისფრად რომ აღიქმებოდა, გრემის სათაყვანო ფერად, და თითქოს, რაწამსაც ოთახში ბრუნდებოდნენ, თან მოჰყვებოდათ გრემისეული ოცნების ღიღებული ნაკვლევი“.

ძირითადად აქ რომანტიულობა (ი. კაშკინის მიხედვით, „მაღალფარდოვანი მისტიკა“) წარმოგვიდგება როგორც ხერხი, საშუალება და გერეთვე როგორც მიზანი — უ. ფოლკნერის რეალიზმი. მართლაცდა გრემის „რობოტიკებურება“ როდი გამოიციხავს ასეთ თვისებას — ის ხომ აღამიანია და ფანტიზმიც ხომ აღამიანური მოეუნა და უ. ფოლკნერიც ხაზგასმით აღნიშნავს ამ გარემოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამბავი დაკარგავდა თავის მხატვრულ ღირებულებას. გრემის რომანტიულობის ჩვენება არათუ უსაფუძვლოა, არამედ პირიქით — მისი ხასიათის მნიშვნელოვანი რეალიზტური აღქმა და ამავდროს წარმოადგენს მკითხველზე ძლიერი ზემოქმედების, ესე იგი მაღალმხატვრული ღირებულების ხტრხს.

ზაურ კილაძე

ფორმის საპრობისმისი
უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში

გრიმის ხასიათი რომ ცხოვრებისეული და ადამიანურია, ამას თვით მისი ჩამოყალიბების პროცესი გვიჩვენებს, რასაც უ. ფოლკნერი სრული ლოგიკურობით, რეალისტურად ასაბუთებს. უ. ფოლკნერი ძუნწად, მაგრამ ნათლად და მეტოფორი აღწერს გრიმის ხასიათის დიდებულს: მან ვერ შეძლო მონაწილეობა მიელომში (განუხორციელებელი ოცნება და აქედან გამომდინარე უკმარისობის გრძობა); მუდამ ერთ ადგილზე ცხოვრება, როცა ადამიანს ჩამოყალიბება ძალზედ სუბიექტური მსოფლმხედველობა, წარმოდგენა სიამარხზე და, რაც მთავარია, ის საფუძველი, რაზედაც აღმოცენდა გრიმის ფანტიზმი „... მას იცნობდნენ როგორც უქნარას, უნიჭოს, ჰირვეულსა და ყოველგვარ ინტერესმოკლებულს“ და პუნს ზემოაღნიშნულ ვარგულო-პარობები, რომლებსაც შემდგომ დამატა „სამხედრო-სამოქალაქო კანონი“. ამათი ერთობლიობის შედეგია პერსი გრიმი. ვლუბულობთ სწორ, ლოგიკურ დასკვნას: არც შეიძლება სხვაგვარი ყოფილიყო გრიმის მსოფლმხედველობა, რომლის თვით არსებობა უკვე ბოროტებაა, ადამიანურობის ნორმებს სცილდება, მაგრამ სწორედ ადამიანია მისი მატარებელი, აქედან გამომდინარე თავისი ატრიბუტებით — იდეალი, ოცნება და სხვ.

უ. ფოლკნერი თავისი ფანტიკონი გმირის აღწერისას თითქოსდა ერთგვარ წინააღმდეგობაში ვარდება. მაგრამ ასეთ მოჩვენებითს წინააღმდეგობას განსხვავებული მიზანი აქვს — პერსი გრიმის ხასიათის რეალისტურად, მაღალ-მხატვრულად გადმოცემა. საქმე ეხება გარკვეულ განსხვავებას გმირის დამახასიათებელ ზოგიერთ დეტალსა და მისი ხასიათის საბოლოო სურათს შორის, მკითხველს ერთ საერთო, ძირითად შთაბეჭდილებას რომ უტოვებს.

უ. ფოლკნერის შემოქმედებისათვის კიდევ ერთი სინტერესო ვარგულება დამახასიათებელი. შეიძლება მასთან გმირები ერთი ადამიანის ხედვის პრიზმაში იყოს გარდატეხილი. მაგრამ, ხანჯავსით უნდა აღინიშნოს, ასეთ პერსონაჟებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიენიჭებათ ხოლმე. და კიდევ: ხშირად ავტორისეული ხედვა შერწყმულია გმირის ხედვასთან, თუნდაც ეს გმირი ბავშვი იყოს. ზოგიერთი მკვლევარი ამაში უარყოფით მოცუნვას ხედავს, რაიცა, მათი აზრით ნაწარმოების სისუსტის საფუძველია: „მართალი იყვნენ ის კრიტიკოსები, ფოლკნერის მნიშვნელოვან მხატვრულ მიღწევად რომ არ თვლიდნენ რომანს,“ მაგრამ აქ არაფერ შუაშია ნაწარმოების იდეა, რომელიც საძირკვლად დაედო წიგნს. ნაწარმოების სისუსტის მიზეზი სხვა რამეშია: ავტორი შეეცადა ზანგების მდგომარეობის შესახებ გამოეთქვა ბუნდოვანი შეხედულებები. ამასთან ეს

მოახდინა ერთი დღეამის უძნარო ბიჭის ცხოვრების ნაკადის მეშვეობით. ასეთი რაგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის. იგი საშუალებას აძლევდა ფოლკნერს ზანგების საკითხში თავი აერიდებინათ თავისი პოზიციის გამომხატურებისათვის (ვ. კოსტიაკოვი. ულიამ ფოლკნერის ტროლოვია, სარატოვი, 1969, გვ. 21. რუსული გამოცემა).

როგორც ვხედავთ, აქაც თავისებურ ლოგიკასთან გვაქვს საქმე — თუ ნაწარმოები ბავშვის ხედვითაა განპირობებული, მაშინ იგი სუსტია, რადგან ბავშვი ვერ დაინახავს იმას, რასაც მოხიზვან ზრდასრული ვაჟი. მაგრამ როგორც ვ. კოსტიაკოვს ავიწყდება — ვინ იმალება ბავშვის უკან, და ფიქრობს, რომ ბავშვის ხედვა იმთავითვე განპირობებს ნაწარმოების სისუსტეს. აქ თვალსაჩინო ნიშნულია იმისა, რომ არაუთუ უმართებულად არის გაგებული ფოლკნერისეული ფორმა, არამედ ადგილი აქვს ელემენტარულ შეცდომასაც. უ. ფოლკნერის ამ რომანში ბავშვი არ არის სტატეკური, საერთოდ, მას არა აქვს გარკვეული ასაკი, რადგან დროის აღრევის პრაინციბით, შეიძლება გვირმა უკვე ღრმად მოხუცებულმა — გაიაზროს ამბავი; შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგაც; ასაკის ცვლასთან დაკავშირებით გარკვეულად შეიცვლება შეხედულებები, აზრი რაიმე ფაქტის მიმართ. თუნდაც აქ დროთა აღრევის პრაინციბს არ პოვნდეს ადგილი — განა ბავშვის ხედვა, დიდი მწერლის მიერ წარმოჩენილი, არ განპირობებს ამბის გადმოცემის სიმძაფრეს, როცა ბავშვური გულბრბევილობა მძლავრად წარმოაჩენს სინამდვილეს, რაიც უაღრესად დამაყრებელი ვახვდება სწორედ ასეთი ხერხის საშუალებით. და აქ მთავარი, რასაკვირველია, ისაა — თუ ვინ არის შემოქმედი, ვინ იმალება ბავშვური ხედვის უკან, ვინ და როგორ წარმართავს ამ ხედვას. ამგვარად, ესეც თავისებური ფორმაა და არა იმისთვის გამიზნული ხერხი, უ. ფოლკნერმა თავი რომ აარიდოს სათქმელს.

ბევრი კრიტიკოსის აზრით, ლიტერატურისათვის მიზანშეუწონელია პათოლოგიური პერსონაჟის შემოყვანა, რადგან მათი შეხედულებით, როგორც ჩანს, ასეთი პირობითი მხოლოდ მკურნალნი უნდა იყვნენ დაინტერესებულნი: „სოფელში“ არის ასეთი გმირი — იდიოტი, იყ სნოუპსი... მრავალ სურათს, ამ გმირის მოქმედებასთან რომ არის დაკავშირებული, შეუძლებელია რეალისტური დაერქვას (მაგალითად, აიკის სიყვარული ძროხისად და მათი ტყეში ყოფნა როგორც სიცოცხლის მარადულობის სიმბოლო და გარემოს ბუნებრივი საწყისის ზეიმი)...“ (იქვე, გვ. 23-24).

ჩვენ აქ აზრის კურობულ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე. ვ. კოსტიაკოვი ამ სურათში არ არსებულ სიმბოლიკას ხედავს და თავდაყირა

* ივლისხმება „ნემისის შემბლიწველი“.



აქვს დაყენებული შინაარსი.* სინამდვილეში უ. ფოლკნერი აღწერს ამ იდიოტს, როგორც ეს უკანასკნელი გრძნობს და ამავე დროს როგორც ავტორს ესმის ეს გრძნობა, ამ სურათში რეალისტურად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღქმულია იდიოტის მდგომარეობა, „განუქვრეტელ, მტრულ, პირველყოფილ საშინელებაში გადასროლილი“ რომ არის. „სოფელის“ ამ ნაწილის წაკითხვისას ჩვენში მწვავე სიბრაღის გრძნობა აღიქვრება; „თვით უმძიმესი პასაჟებიც კი ბოღმისა და სიძულვილის ამაზრუნენ ლექსს კი არ ტოვებენ მკითხველთა სულში, ადამიანურ სიბოძისა და სიყვარულს აღჭრავენ საბოლოოდ“ (რ. თვარაძე).

* უკანასკნელ ხანებში ანალოგიურ საკითხზე ჩვენს პრესაში გამოითქვა მართებული შეხედულება. იხ. „ინოსტრანაია ლიტერატურა“, 1973, № 1, გვ. 126.

აიკ სნოუპსის თემის შემოტანა „სოფელში“ იმიტოა გამართლებული — ადამიანის დამცრება უ. ფოლკნერთან განა თვითმიზნურია, განა ამ დამცირებული კაცის გაგება (რეალურ ცხოვრებაში, უმეტეს წილად, ძრწოლას ან დამცინავს გრძნობას რომ აღუძრავს ადამიანს) არ აღამაღლებს მკითხველს?

„კაცი იმიტომ კი არ არის უკვდავი, — ამბობს უ. ფოლკნერი, — რომ ყოველივე ცოცხალი არსიდან მას აქვს დაუდუმებელი ხმა, არამედ იმიტომ, რომ სული აქვს მიმადლებული, თანამგრძნობი, მსხვერპლად მიმსვლელო და მოთმინე სული“.

და თუ უ. ფოლკნერის შემოქმედებას, თ. დოსტოევსკისა და ვაჟა-ფშაველას დარად, ძალუქს განადვიძოს მკითხველში „თანამგრძნობი, მსხვერპლად მიმსვლელო და მოთმინე სული“, ეს მისი უჩვეულო, დიდი ტალანტის მონაგარია.



გერმანელი პოეტი გოტფრიდ აუგუსტ გიურგერი

ქართველი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი იმ ლიტერატურული მოძრაობის სახელი, რომელიც ლიტერატურის ისტორიაში „ქარიშხლისა და შეტვის“ სახელწოდებით შევიდა. ასევე ცნობილია ამ მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლების პერდერის, გოეთესა და შილერის შემოქმედება. გოეთესა და შილერის ნაწარმოებები მრავალჯერ ითარგმნა ქართულად, ხოლო რაც შეეხება მათ მეცნიერულ კვლევას, ქართველმა გერმანისტებმა დასაუღლებელი წვლილი შეიტანეს ამ მწერლების შემოქმედების შესწავლისა და საკვანძო საკითხების გარკვევის საქმეში.

ამ უკანასკნელ წლებში სავანებო შესწავლის საგნად იქცა აგრეთვე ჩვენში ნაკლებად ცნობილი მწერლის, იაკობ ლენცის შემოქმედება, რამაც ხელი შეუწყო „ქარიშხლისა და შეტვის“ ლიტერატურული მიმდინარეობის შესახებ ზოგადი სურათის დახუსტებასა და ნათელი მოპოვინა ამ რთული, წინააღმდეგობები ალსავე მოძრაობის ბევრ აქამდე დაუწყვეტელ საკითხს. იმავე მიზანს ემსახურება ჩვენში თიოქმის უცნობი, თავის დროზე კი გერმანიის სახალხო პოეტად აღიარებული მწერლის გოტფრიდ აუგუსტ გიურგერის შემოქმედების შესწავლა, რომლის შესახებაც არც რუსულ და არც ქართულ ენებზე არავითარი სპეციალური გამოკვლევა არ მოგვეპოვება.

გოტფრიდ აუგუსტ გიურგერი გოეთესა და შილერისგან განსხვავებით ბოლომდე „ქარიშხლისა და შეტვის“ ლიტერატურის პრინციპების ერთგული დარჩა და მისი შემოქმედება სწორედ იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ამ ლიტერატურული მოძრაობის ნოვატორულ ტენდენციებს გამოხატავს. პოეტის უდიდეს დამსახურებას, როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე სხვა ქვეყნების ლიტერატურის წინაშე, წარმოადგენს მის მიერ გერმანული ლიტერატურული

ბალადის შექმნა, რომლის დაბადების თარიღად ერთხმად არის მიჩნეული ბიურგერის „ლუნორეს“ გამოქვეყნების თარიღი, 1773 წელი. რაც შეეხება ბიურგერის ლირიულ პოეზიას და აგრეთვე ანტიტირანული პათოსით გაღვნილი მის პოეტურ ნაწარმოებებს, ისინი ქეშმარიტად ნაციონალური, სახალხო პოეზიის ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებით ხაზგასმის ღირსია ბიურგერის მოქალაქეობრივი პათოსი, მისი პოეზიის დემოკრატიული ხასიათი, რაც მას XIX საუკუნის რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურის წინამორბედთა შორის საპატიო ადგილს უმკვიდრებს. გარემომცველ სინამდვილესთან პოეტის უკომპრომისო დამოკიდებულება, მისი პრინციპული, პათოსური პოეზიით მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ მას ქეშმარიტი პოეტური გენიით დაჭიდდებოდა კაცი იცავს, რომლის ყველაზე „პროზაულ“ თემაზე დაწერილ ლირიულ ნიმუშებში შეუძლებელია ადამიანმა ნამდვილი პოეზიის სურნელი არ იგრძნოს. ამას ვერ უარყოფს პოეტის ვერც ერთი ოპონენტი, ოპონენტები კი ბიურგერს მისი პოეზიის ურყევი დემოკრატიზმის გამო მრავლად მოეპოვებოდა.

სავანებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბიურგერის პოეზია არა მხოლოდ რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურას უმზადებდა საღვთველს, არამედ გერმანულ რომანტიზმსაც. მის პოეზიაში ანტილიტერატურული და სულელების საოცარი დასადგურება ომანიტიკოსთა შთაბეჭდილების წყაროდ იქცა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბიურგერის შემოქმედებაში ძლიერად არის წარმოდგენილი „ქარიშხლისა და შეტვის“ ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ყველა ტენდენცია. სწორედ ეს ხდის პოეტს, ერთის მხრივ, რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის, ხოლო, მეორეს მხრივ, რომანტიზმის წინამორბედად. „ქარიშხლისა და შეტვის“



წინააღმდეგობრივ მოძრაობაში ხომ, როგორც ცნობილია, ამ ორივე ლიტერატურის წინამძღვრები იყო მოცემული.

ბიურგერი დაიბადა გოეთეზე ორი წლით ადრე, 1747 წელს, აღმოსავლეთ პარცის პატარა სოფელ მოლმერსვენდენში. მამამისი ღარიბი მღვდელი იყო, დედა კი, გაუნათლებელი, მაგრამ მდიდარი ბუნებრივი მონაცემებით შემკული ქალი ყოფილა. მას ხშირად სჩვეოდა თურმე ხუმრობით თქმა, რომ მღვდლების თავებით მობირკეთებულ ჯოჯოხეთში მხოლოდ ერთი თავის ადგილია დარჩენილი, და ისიც ხემი ქმრის თავს ელოდებოდა. შეუძლებელია, რომ რელიგიისა და სასულიერო პირების მიმართ დედის ასეთ დამცინავ დამოკიდებულებას გავლენა არ მოეხდინა ბავშვის აზროვნებაზე.

პოეტის ბიოგრაფთა ცნობით მშობლების სახლიდან ბიურგერს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა პროტესტანტული სასულიერო საგალობლიდან და ლუთერის „ბიბლიიდან“ მიღებული შთაბეჭდილებები. ბიურგერის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი ლორე კეიმ-ლოუი მართებულად ამბობს ურადღებებს პოეტის ბიოგრაფიის ამ მონაკვეთზე, რადგან, მისი აზრით, ბიურგერის პოეზიაში გამოძახილი პოეა არა XVIII საუკუნის წყალწყალა და სენტიმენტალურმა საეკლესიო, სიმღერებმა, არამედ რეფორმაციისა და 30-წლიანი ომის ქარცეცხლიდან შობილმა და ქვეშაირით ხალხური პოეზიის ელემენტების შემცველმა ადრეული ხანის საეკლესიო საგალობლებმა. „ქარიშხლისა და შეტვის“ ლიტერატურის სხვა წარმომადგენლების დარად ბიურგერი ამავე პერიოდში ახლოს ეცნობა ხალხურ ზღაპრებს, გადმოცემებსა და სიმღერებს, რამაც მოგვიანებით გადამწყვეტი გავლენა იქონია მისი პოეზიის ჩამოყალიბებაზე.

1764 წელს ბიურგერი ჰალეს უნივერსიტეტის თეოლოგიურ ფაკულტეტზე შედის, მაგრამ მალე, მშობლებისაგან ფარულად, სამართლის ფაკულტეტზე გადადის და განსაკუთრებულ სიბეჭითეს იჩენს ანტიკური ენებისა და ლიტერატურის შესწავლაში.

1768 წელს პოეტი სწავლას აგრძელებს გოეტინგენის უნივერსიტეტში. აქ იწყება მისი ცხოვრების ახალი ერა. იგი უახლოვდება მრავალმხრივად განათლებულ ფილოლოგს ჰაინრიხ ჰრისტიან ბოიეს (1744-1806), რომელიც შემდგომში ჰირშიც და ლხინშიც ქვეშაირთ მეგობრობას უწყევდა. აქვე დაუკავშირდა პოეტი ბოიეს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ იმ ახალგაზრდა შემოქმედთა წრეს, რომელიც „შექსპირის კლუბის“ სახელით იყო ცნობილი. მოგვიანებით ბიურგერი სიამაყით აღნიშნავდა, რომ იგი „ქარიშხლისა და შეტვის“ ლიტერატურული მოძრაობის წარმომადგენელ სწავ-

ლობდა შექსპირის შემოქმედებას. შექსპირის კლუბში მონაწილეობა ბიურგერისათვის შექმნილი მზადებელ ეტაპს წარმოადგენდა „ქარიშხლისა და შეტვის“ ლიტერატურული მოძრაობის პოზიციებზე დასადგომად, რადგან, ცნობილია, რომ ამ ლიტერატურის წარმომადგენლებმა შექსპირი სამიგალითონ ნიმუშად და ეტალონად დასახეს.

ამ პერიოდში ბიურგერის პოეზია ჯერ კიდევ ანაკრონტიული ხასიათისაა. ლექსები „Lais und Demostenes“, „Trinklied“, „Mein Amor“ (1768), „Die Nachtfeier der Venus“ დაწერილია 1969, დაიბეჭდა 1771 წ.), „Herr Bachus“ (1770, 1771), „Das Dörfchen“ (1771, 1972) და სხვა, ღვინოს, სიყვარულს, მზიარულეობას, ცხოვრებით ეპიკურულ დატკობას ასხამენ ხოტბას.

გერმანულ პოეზიაში პირველად ჰაედერის (1708-1754) მიერ შემოტანილ ანაკრონტიულ ლირიკას, რომელსაც მოგვიანებით ბევრი მიმდევარი გაუჩნდა და რომელსაც ახალგაზრდობაში ლესინგი და გოეთეც, უხდიდნენ ხარკს, არ ახასიათებდა განცდათა მრავალფეროვნება, გრძნობათა სიღრმე, ადამიანის სულიერ სამყაროში წვდომის უნარი. ამიტომ ანაკრონტი პოეტები უმეტესწილად მხოლოდ ფორმაზე ამხვილებდნენ ყურადღებას. ბიურგერის სახსხელით უნდა ითქვას, რომ მან ხალხური პოეზიისა და სტუდენტური სიმღერების ელემენტების გამოყენების გზით შეძლო ანაკრონტიული ლექსის გამდიდრება და პირველყოფილი სურნელის დაბრუნება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბიურგერის ლექსი „Die Nachtfeier der Venus“, რომელშიც პოეტმა ანაკრონტიულ ლირიკას პირვანდელ მომხიბვლელობასთან ერთად, მისი პირვანდელი, ქრისტიანულ-ასეკტურ მორალთან მებრძოლის როლი დაუბრუნა, რადგან ლექსში განსაკუთრებით ხაზგასმით არის გატარებული ანტიკური ფილოსოფიისათვის ნიშანდობლივი ის მატერიალისტური თვალსაზრისი, რომელიც სიყვარულს სამყაროს შემოქმედ და მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს.

მატერიალისტური თვალსაზრისით არის განმსჯვალული აგრეთვე ბიურგერის ლექსი „Minnelied“ (1769 წ.), რომელშიც პოეტი მიწინააღმდეგობით პოეზიის ტრადიციებს ეყრდნობა. ეს ლექსი უკვე ანაკრონტიული პოეზიის ჩარჩოებიდან ბიურგერის გამოსვლას მოასწავებს. პოეტს საკუთარი, სხვებისაგან გამორჩეული ტონალობისათვის მიუგნია; უშუალოდ, ყოველგვარ ძალდატანებას მოკლებული, თითქმის ერთი ამოსუნთქვით დაწვე-

თინა ზაბიანი
გერმანული კომპიტი გოტფრიდ აუბუსტ ბიურგერი

რილი ეს ლექსი შეიძლება ბიურგერის პოეზიაში ვერძალადი ლირიკის საუკეთესო ტრადიციების აღორძინების დასაწყისად მივიჩნიოთ.

შემოსხვევითი არ ყოფილა, რომ 1772 წელს სწორედ ამ ლექსზე ამხვილებს სახსრებოდ ყურადღებას ამ დროისათვის მთელს გერმანიაში დიდი რეზონანსის მქონე ქურნალი „ფრანკფურტის სწავლული მიმოხილველი“, რომლის მუდმივ რეცენზენტებს გოეთე, პერდერი და მერკე წარმოადგენდნენ და რომელშიც სისტემატურად იმეჭლებოდა „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის ძირითადი პრინციპების ამსახველი წერილები. რეცენზიის ავტორი მინუნივერსულ პოეზიას ერთ-ერთ „უძლიერეს ფერმენტად“ მიიჩნევს იმ მიზნის განხორციელების საქმეში, რომელიც „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის წარმომადგენლებმა დაისახეს და რომელიც გერმანული ლიტერატურისათვის ერთგული სულის „შთაბერავაში“ მდგომარეობდა.

მინუნივერსულ პოეტთან ბიურგერი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა შუა საუკუნეების უდიდესი გერმანული პოეტის ვალტერ ფონ დერ ფოგელვალდის შემოქმედებისადმი. სხვა გოეტინგენელი პოეტებისაგან განსხვავებით იგი იმდენად შემოქმედებითად იყენებს მინუნივისათვის დამახასიათებელ პოეტურ ხერხებს, როგორცაა, მაგალითად, ბუნების მივლენებასა და აღამიანის სულიერ განწყობილებებს შორის პარალელის გავლება, ლექსის დრამატული დამახურობის გასაძლიერებლად დიალოგის ფორმის გამოყენება და ა. შ., რომ შემოქმედებელი ხდება მისი ლექსებისათვის ვალტერ ფონ დერ ფოგელვალდისთან შესატყვისების დაქტება.

ვალტერ ფონ დერ ფოგელვალდის შემოქმედებისადმი ბიურგერის განსაკუთრებული ინტერესი უეჭველად იმან განაპირობა, რომ XIII საუკუნის გერმანიაში ვალტერ ფონ დერ ფოგელვალდე ერთადერთი პოეტი იყო, რომელმაც სატრიფალიო ლირიკის გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სოციალურ-პოლიტიკურ ლირიკას და პაიის ხელისუფლებასა და გერმანიის იმპერიას შორის არსებული საიქედრო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში ნაციონალური გერმანიის სსსარგებლოდ აღიმატა. სხვა ვალტერ ფონ დერ ფოგელვალდის პატრიოტულ ლირიკას არ შეიძლება გამოაჩინოვდეს არ ეპოვნა „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურაში, რადგან ამ უკანასკნელმაც თავის ძირითად მიზნად გერმანელთა ნაციონალური თვითშეგნების გაღვივება და ერთიანი გერმანიის შექმნისათვის ზრუნვა დაისახა.

ასევე იზიდავდა „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის წარმომადგენლებს ფოგელვალდის პოეზიისათვის დამახასიათებელი

დემოკრატიული სულისკვეთება. ვალტერ ფონ დერ ფოგელვალდემ ხომ თავის თანამედროვე პოეტთან პირველმა შეძლო გასტუმროს სარიანდ-წოდებრივი მსოფლმხედველობის მიერ დადებულ საზღვრებს, თავი დაეღწია ქაღლის არისტოკრატიული კულტის ე. წ. „მადალი თემატის“ ვიწრო ჩარჩოებისათვის და უდიდესი პოეტური აღმაფრენით შეესხა ხობა უბრალო გლეხის ქალისათვის. აღსანიშნავია, რომ პოეტის მიერ მინუნივის ცოცხალი ფოკლორული მოტივებით გამოიღებდა და ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი ლექსწყობის გამოყენება პირდაპირ გამოიძინა-რეობდა ლიტერატურის დემოკრატიზირების ამოცანებიდან.

ბიურგერმა „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის პოეტთან ყველაზე კარგად შეძლო ვალტერ ფონ დერ ფოგელვალდის პოეზიისათვის დამახასიათებელი ელემენტების გამოყენებით ჰემეარტად ხალხური ლირიკის გამოღვივება და ამავე დროს ლექსის მდიდარი კომპოზიციური ფორმის შენარჩუნება. „ქარიშხლისა და შეტევის“ და რომანტიზმის ეპოქაში ხომ, ყირიმსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხური პოეზიის აღორძინება მოსწავებდა არა მხოლოდ XVIII საუკუნის ფრანგული პოეზიის სტილისტური შაბლონებისა და ტრადიციული თემატისათვის გერმანული ლირიკის განთავისუფლებას, არამედ აგრეთვე ლექსის მეტრიკული ფორმის განახლებასაც (ამ საკითხის შესახებ დაწერილებით იხ. В. Жирмунский, Введение в метрику, II-д, 1925, გვ. 20).

ბიურგერი თავიდანვე უერთდება „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურული მოძრაობის იმ ფრთას, რომელიც ლესინგის, პერდერისა და გოეთეს სახელებთან არის დაკავშირებული. ლესინგსა და „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის არსებული უთანხმოების მიუხედავად „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურამ ბევრი რამ იმეკვიდრა ლესინგისაგან. ამ ლიტერატურის წარმომადგენლებს იგივე მიზნები ამოძრავებდათ, რაც ლესინგმა დაუსახა გერმანულ ლიტერატურას. ამის ღრმა შეგნებით არის გამსჭვალული ბიურგერის ლექსი „An Klopstock den Klopstock, den Dichter, und Lessing, den Kunstrichter“ (1776).

ბიურგერისათვის თავიდანვე მახლობელი გახდა აგრეთვე ხალხურობის ის გაგება, რომელიც პერდერმა დაამკვიდრა, რადგან პერდერის შეხედულებები ხალხური პოეზიისა და ბუნებრიობის შესახებ ზურგს უმაგრებდნენ მის საკუთარ შეხედულებებს. რაც შეეხება გოეთეს, ბიურგერმა თავისი „ლენორეს“ წერისას გოე-



თეს „გოეც ფონ-ბერლიხინგენი“ სამავალითონიმუშად დასახა. პოეტი ცდილობდა, ბალადის სფეროში ისეთი რამ შეექმნა, რომელიც ისეთივე ბრწყინვალე და ახლისმოქმედი იქნებოდა, როგორიც დრამატურგის სფეროში გოათეს „გოეც ფონ ბერლიხინგენი“ იყო. მის ცდას ფუძად არ ჩაუვლია. „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის წარმომადგენლების მიერ ხალხურობის ახლებური გაგების საფუძველზე შექმნილია მაღალად თავიდანვე განვითარების ძიეთ ვალე დონეს მიაღწია, რომ საყოველთაო გავლენა გამოიწვია. ამით ბიურგერი მართლაც საშვილოშვილო საქმე გააკეთა: ბალადის სფეროში გზა გაუკაფა როგორც მის თანამედროვე, ისე შემდგომი დროის პოეტებს და მათ „გზის სიხნულე გაუადვილა“.

მკვლევართა უმრავლესობა ბიურგერის სერიოზული ბალადის ფუძემდებლად მიიჩნევს, რაშიც ის იგულისხმება, რომ თავისი გერმანელი წინამორბედისაგან, გლაიმისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით კი გლაიმის მიმდევრებისაგან (ლიოგენი, ჰოლტი, ცახარე და ა. შ.) განსხვავებით, რომლებიც უმეტესად იჯახური უთანხმოების, ექვიანობის, მკვლელობის თემებს ამუშავებდნენ და უხეში იუმორით დასცინოდნენ თავიანთი გმირების ცოდვებსა და სუსტ მხარეებს. ბიურგერი პირველი იყო, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია და შესწლო უბრალო წრიდან გამოსულ ადამიანთა გრძნობები დრმა თანაგრძნობითა და ირონიული დისტანციის ვარეშე გადმოეცა.

„ლუნორეით“ ბიურგერი თავისი თანამედროვე გერმანიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას ეხმაურებოდა, კერძოდ, შვიდწლიანი ომის შედეგებს და ხალხის წრიდან გამოსული ადამიანის მიერ ამ ომის მიზეზების შეფასებას.

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ სწორედ ამ პერიოდში იწყება მეგობრული მიმოწერა გოეთესა და ბიურგერის შორის და რომ ამ მიმოწერას თვით გოეთე იწყებს. ეს ის პერიოლია, როდესაც ბიურგერი მტკიცედ ღვება „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის პოზიციებზე, როდესაც მისი ნაწარმოებები ამ ლიტერატურისათვის ნიშანდობლივი თემებითა და განწყობილებებით იწყებენ სუნთქვას.

„ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის სხვა წარმომადგენლების დარად ბიურგერიც მაღალ მოთხოვნებს უყენებს პიროვნებას, წინ წამოსწევს ძლიერი, აქტიური ადამიანის ფიგურას, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ფანტაზიის როლს, თუმცა, აქვე ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იგი, გოეთეს დარად, არ სცნობს „გენიალობის კულტის“ იმ უვიდურეს გამოვლინებებს, რაც „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის ბევრ წარმომადგენელს ახასიათებდა და გენიალობას მხოლოდ რჩეულთა ხეოდრად მიიჩნევს.

1772-84 წლებში ბიურგერი გელიპაუზენის საგრაფოში მუშაობდა სოფლის მოსამარტოვლედ. ამ დამქანცველი საქმიანობის მიუხედავად, პოეტი ცხოველ მონაწილეობას იღებდა, გიოტინგენის ლიტერატურული წრის მუშაობაში და სისტემატურად აქვეყნებდა ნაწარმოებებს „მუშათა აღმანახში“.

მოსამართლედ მუშაობისას ბიურგერი თანაგრძნობითა და გულისტკივლით ეკიდებოდა მასზე დაქვემდებარებულ სოფლებში მცხოვრებ ვლენთა კირ-ვარამს და ხშირად საქმეს მათ სასარგებლოდ წყვეტდა. ამით მან არაერთხელ გამოიწვია იმ გრაფის ოჯახის წევრთა რისხვა, რომლის სამსახურშიც იღვა.

ამ პერიოდში იწყებს ბიურგერი ძლიერი ანტიტირანული სულისკვეთებით აღსავსე ლექსების წერას, რომელთაგან საუკეთესონი (მაგალითად, Der Bauer. An seinen Durchleuchtigen Tyrannen) გოეთეს „პრომეთეს“ ეხმაურებიან, თუმცა მათ არ ახასიათებთ გოეთეს „პრომეთესათვის“ ნიშანდობლივი ფილოსოფიური სიღრმე. ამავე პერიოდში იწერება ბიურგერის საუკეთესო ბალადები: „ველური მონადირე“, „ყაჩაღი გრაფი“, „გაინსბერგელი ქალები“, „ტაუტენჰაინელი მეფელის ქალიშვილი“, „ქალბატონი შნიპსი“ და სხვ.

„ქალბატონი შნიპსი“ ბიურგერი სატირის მხვიელს მიმართავს ორითოდოქსალური რელიგიისა და გონებაშეზღუდული ფილისტერების წინააღმდეგ. ბალადის შინაარსი ასეთია: ქალბატონმა შნიპსმა, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე არც თუ ისე პატიოსნად იქცეოდა, სიკვდილის შემდეგ ზეცაში განიზიარა ცხოვრება და წმინდანების მყულროება დაარღვია. წმინდანებს ძალიან გაუკვირდათ, რომ ასეთმა ცოდვილმა ქალმა მათთან გამოცხადება და მათი გაზევა, მაგრამ ქალბატონი შნიპსი თვითველ მათგანს პირში ბურთის იმით ჩრის, რომ მათ მიერ ჩადენილ ცოდვებს ჩამოთვლის. ბოლოს თვით იესო ქრისტე უღებს ცოდვილ ქალბატონს ზეცის კარებს.

ცხადია, ამ ბალადამ ნასულეირო წრეებისა და რეაქციული კლასების აღშფოთება გამოიწვია, რამაც ბიურგერს ბევრი უსიამოვნება მიაყენა, რადგან, მოუხედავოდ იმისა, რომ „ქალბატონი შნიპსი“ ბიურგერმა ფსევდონიმით დაბეჭდა, უმეტესობამ უმალ ამოიცირა მისი ნამდვილი ავტორი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბიურგერის სატირული ლირიკა, რომლის ჩამოყალიბებაზეც ძლიერი გავლენა იქონია მწერლის ბიოგრაფი-

თინა ზაბიანი
გმრამანილი კომეტი გონტფრიდ აუბუსტ
ბიურგერი

ის იმ მომენტმა, რომელზეც განსაკუთრებით ამახვილებენ ხოლმე ყურადღებას ბიურგერის შემოქმედების ბურჟუაზიული მკვლევარები, როდესაც სურთ დაამტკიცონ რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის წინამორბედი პოეტი, რომლის თავისუფლების სიყვარულით ანთებული ლექსებს გერმანელი ხალხი უმალ თავის საკუთრებად იხდიდა ხოლმე. საქმე ის არის, რომ თავისი სატრფიალო ლექსების უმრავლესობას ბიურგერი უძღვნის პოეზიაში „მოლის“ სახელით შემოსულ თავის ცოლის დას, აუგუსტე ლეონჰარტს, რომლისადმი სიყვარულიც პოეტის დიდი წამების წყაროდ იქცა. ბიურგერის ყველა ბიოგრაფი აღნიშნავს მისი ცოლის, დოროთეას დიდსულუბნებას, რადგან ამ ქალმა შეძლო თავისი პირადული ინტერესების უკანა პლანზე გადატანა და მის ოჯახში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ობიექტურად შეფასება. მაგრამ არც ერთი ბიოგრაფი არ აღნიშნავს იმას, რომ დოროთეას პოეზია მისი ეპოქის სულისკვეთებითაც არის აღბეჭდილი. ეს ამბავი ხომ „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურის აყვავების პერიოდში ხდება, იმ პერიოდში, როდესაც გოეთეს „სტეფა“ იწერება, რომელშიც ახალგაზრდა ავტორმა სწორედ საზოგადოებაში მიღებული ნორმების საპირისპირო სიტუაციის აღწერა და გამართლება გახედა და გონებაზე გრძნობის პრიორიტეტი აღიარა. რაც შეეხება „მოლის“, მასაც ეპოქის მიმართულება აძლევდა საშუალებას „ქარიშხლისა და შეტევის“ გმირ ქალებს გრეტენის, კლერხენის, სტელას დარად არად ჩაეგდო საზოგადოებაში მიღებული კანონები და მთლიანად გრძნობას დამორჩილებოდა.

ბიურგერის სატრფიალო ღირსი საუკეთესო ნიმუშების გაცნობა გვარწმუნებს, რომ თავისი პოეტური მალაღნიჭიერებით ბიურგერი XVII საუკუნის გერმანიის უმნიშვნელოვანესი პოეტის გიუნთერის ღირსეული შთამომავალია. ლექსებში „Trautel“, „Das Mädel, das ich meine“, „Mollis Wert“ და სხვა. ნათლად იგრძნობა აგრეთვე ბიურგერის კავშირი ხალხური ღირსი საწყისებთან. ამ ლექსებში პოეტის შთაბრძნობლად მოლო გვევლინება, მაგრამ განსხვავებით მოლისადმი მიძღვნილი ზოგიერთი ლექსისაგან, სადაც გარკვევით ჩანს მოვალეობასა და გრძნობას შორის ბიურგერის პიროვნებაში წარმომებული ბრძოლის კვალი, აქ პოეტს თითქმის დაეწყენია თავისი ტრაგიკული მდგომარეობა და სამყაროსათვის იმედის თვალთ შეუხედავს. ასეთი განწყობილებით შექმნილ სიმღერებს უმაღლესია სილამაზისა და სრულქმნილებისათვის მიუღწევიათ.

1784 წლიდან ბიურგერი თავს ანებებს მოსამართლეობას და გოტირინგენის უნივერსიტეტში იწყებს ლექციების კითხვას ესთეტიკაში,

გერმანულ სტილსა და გერმანულ ენაში. საინფანტია, რომ 1787 წლიდან იგი კამერის-ფილოსოფიაში კითხულობს ლექციებსა და ლექსებს წესს იღებს ფილოსოფიის დოქტორის საპატიო წოდებას. ბიურგერის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მან ისეთ უნივერსიტეტში მიჰყო ხელი კანტის ესთეტიკაში ლექციების კითხვას, რომლის პროფესორთა უმრავლესობაც თავს კანტის ფილოსოფიის მოწინააღმდეგედ თვლიდა. ბიურგერმა მათგან განსხვავებით დროულად შეიცნო კანტის ფილოსოფიის პროგრესული ხასიათი და მასში ვოლფიანელთა ცალმხრივი რაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართული მძლავრი იარაღი დაინახა.

ბიურგერის განსაკუთრებულ დამსახურებას შეადგენს აგრეთვე ჰუმანიტარულ ხალხური ხასიათის წიგნის „ზარონ მიუნჰაუზენის თავგადასავლის“ (1786 წ.) შექმნა, რომელიც ღირსეულად აგრძელებს გერმანული ხალხური წიგნების „ტილ ოილენშპიგელისა“ და „შილდბიურგერების“ ტრადიციას. ამით პოეტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მის დამსახურებულად ერგო გერმანიის სახალხო პოეტის სახელი.

გოეთინგენის პერიოდს ემთხვევა ბიურგერის დიდი უბედურება, მოლის სიკვდილი, ხოლო შემდგომ, ახალი ოჯახის შექმნის ცდისას, იმედების გაკრულება. ამავე პერიოდში (1791 წ.) გამოჩნდა „საყოველთაო ლიტერატურულ ვაზეთში“ ბიურგერის ლექსების შესახებ ფრ. შილერის მეტად მკაცრი რეცენზია, რომელშიც გამოხატულება პოვა ვაიმარის პერიოდის შილერის ესთეტიკის ერთ-ერთმა ცენტრალურმა საკითხმა, კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურაში სინამდვილის „იდეალიზაციის“ მოთხოვნა. რეცენზიაში შილერი, რომლისთვისაც „ქარიშხლისა და შეტევის“ პერიოდში უკვე განვლილი ეტაპი იყო, თავს ესხმის „ქარიშხლისა და შეტევის“ ესთეტიკურ პოზიციებზე დარჩენილ ბიურგერს. მართალია, „იდეალიზაციის“ მოთხოვნაში შილერი ნამდვილი რეალისტური ხელოვნებისათვის აუცილებელ ნიშნებსაც გულისხმობდა, როგორცაა მკაფიოდ. მხატვრული ობიექტურობა, პოეტური შინაარსის ზოგადმნიშვნელობა, განზოგადოების უნარი და ა. შ., მაგრამ ძირითადი იგი იმ იდეალიზატურ თვალსაზრისს გამოხატავდა, რომელმაც მასთან დასრულებული სახე XVIII საუკუნის 80-იან წლებში მიიღო და რომლის ჩამოყალიბებაზეც გადაწყვეტი გავლენა იქონია კანტის ესთეტიკურმა შეხედულებებმა.

სულთერად და ფიზიკურად გატენილი პოეტისთვის შილერის აღნიშნული რეცენზია ძლიერ და მოულოდნელ დარტყმას წარმოადგენდა. ბიურგერის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო შილერის კრიტიკას ვაეკაცურად დახვედროდა და მნიშვნელოვანი ზიანი



მიეყენებინა მისი სუსტი მხარეებისათვის. თავის „ანტიკრიტიკაში“ პოეტმა საკმაოდ ნათლად ჩამოაყალიბა საკუთარი პოეტური კრედიო.

შილერის რეცენზია და ბიურგერის პასუხი ცხადყოფს, რომ ამ პოლემიკაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი განსხვავებული შემოქმედებითი მრწამსის პოეტი, რაც ამ პაექრობას იმ ბრძოლის სისხლხორცეულ ნაწილად აქცევს, რომელიც ოდითგანვე მიმდინარეობდა იდეალებისა და მატერიალისტების შორის.

გოეტინგენის პერიოდის ბიურგერის შემოქმედებაში ცალკე აღნიშვნის ღირსია სონეტები, რომელთა უმრავლესობაც მან შემდგომში ცნობილ რომანტიკოს პოეტ ავგუსტ ვილჰელმ შლეგელთან თანამშრომლობის პერიოდში შექმნა და რომელთა მაღალმხატვრულ ღირსებებს შილერის საგანგებოდ უსვამდა ხაზს.

თავისი ლექსების მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ბიურგერი სპეციალურად განიხილავს სონეტის ფორმის საკითხს და განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას შინაარსისა და ფორმის ორგანულ კავშირზე. მართლაც, ბიურგერმა თავის მხატვრულ პრაქტიკაში შესანიშნავად შეძლო უშუალო, ცხოვრებისეული განცდების სონეტის ფორმაში ჩამოსხმა.

ბიურგერმა გერმანიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სონეტის ფორმის ათვისების საქმეში. მხოლოდ 25 წლის შემდეგ (1815 წ.) შეუერთდა მას გოეთე მინა ჰერცლობისადმი მიძღვნი-

ლი შვენიერი სონეტებით. ამდენად, ბიურგერი გზის გამკაფავი იყო არა მხოლოდ ლიტერატურული ბალადის შექმნის, არამედ გერმანული სონეტის ჩამოყალიბების საქმეშიც.

ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში ბიურგერზე ერთდროულად მოქმედებდა ორი სტიმული. ერთი სტიმული იყო თავის „პოეტურ შეილითან“ (ბიურგერის სიტყვებით), ავგუსტ ვილჰელმ შლეგელთან მისი ნაცოფიერი თანამშრომლობა, მეორე კი — საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელმაც პოეტს მისი შემოქმედების ნაკლებად ნაცოფიერ პერიოდში მოუსწრო, ხელში კალამი ააღებინა, ახალი ძალა შთაბერა, რათა მას კიდევ ერთხელ და მანამდე არნახული აღმაფრენით გამოეხატა თავისი დემოკრატიული სულისკვეთება.

ბიურგერი გარდაიცვალა 1794 წელს, 47 წლის ასაკში, თითქმის ყველასაგან მივიწყებული, უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებაში მყოფი. დროთა მსვლელობამ მის პოეზიას ვერაფერი დააკლო, პირიქით, სწორედ ჩვენს ეპოქაში გახდა შესაძლებელი მისი შემოქმედების ახლებური შეფასება და ბიურგერისათვის სხვა გერმანელ პოეტთა შორის ღირსეული ადგილის მიჩენა.

გერმანიაში ყველა სასკოლო ქრესტომათიაშია შეტანილი ბიურგერის „ლენორე“, ხალხში კი მისი ბევრი ისეთი ლექსი და სიმღერაა გაბნეული, რომელთა ავტორს ცოტა ვინმე თუ დაგისახელებთ.



ტექნიკური ხელშეკრულება ჟ. ტყეშელაშვილს.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშუალოდ ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. შ. შიშინის — 95-08-35. განყოფილებების: პოეზიის
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 17/XII-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/II-74 წ., ქალაქის ზომა
70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირებით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.

თაბახი 14,5

შეკვეთა № 3975

უგ 01644

ტირაჟი 30.000

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3260 60 353.



საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236